

უნივერსალური პარტნიორი საქმიანი ადამიანებისთვის

ბიზნესი კანონმდებლობა



№3 ივნისი 2013



www.b-k.ge
info@iverioni.com.ge

ISSN 1987 - 6041



9 771987 604000



ბიზნესი და კანონმდებლობა

№3 ივნისი 2013

სამეცნიერო,

ანალიტიკურ-პრაქტიკული შურონალი

რეფერირებადია 2008 წლიდან

WWW.B-K.GE

შურონალი ხელმძღვანელობს თავის-სუფალი პრესის პრინციპებით. რედაქციის აზრი შესაძლოა ყოველთვის არ ემთხვეოდეს ავტორისას. უმოსული სტატიების უინარსზე და მონაცემთა სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი.

ნაქვემოთ მისაღწი:

თბილისი, ძმები ზუბალაშვილების ქ. 36
ტელ: 292-14-61, 599 56-14-57, 599 34-64-27
ვებ გვერდი: www.b-k.ge
e-mail: info@iverioni.com.ge, gfaafm@gmail.com

საბანკო რეკვიზიტები:

სააქციო საზოგადოება „საქართველოს ბანკი“;
ბანკის კოდი: BAGAGE22;

ა/ა GE30BG000000850902700; ს/კ 404956455.

გამომცემელი:

საქართველოს ანტიკორუფციული, გულანდინთა და უინანსური მენეჯინთა ფუნდინთა, სინფორმაციო-ანალიტიკური სააგენტო „ივერიონი“

სარედაქციო საბჭოს თავმჯდომარე:

ზაქი ნაჭყებია

მთავარი რედაქტორი:

იუიი ჰაპასქუა, ეკონომიკური მეცნი. აკად. დოქტორი, ჰიოფესორი

სამეცნიერო რედაქტორი:

ნიკოლოზ ბაქაშვილი, ეკონომიკური მეცნი. დოქტორი, ჰიოფესორი

რედაქტორი:

ეკა ჯიმშელაძე

პასუხისმგებელი რედაქტორი:

ილინა ადამია

ტექნიკური რედაქტორი:

ლევან ბოჭორიშვილი

სამეცნიერო საბჭო:

ეკონომიკური მეცნიეებათა დოქტორები, ჰიოფესორები:
ილან მახინა, ნოღაი ჟინანაზა, ელბაქა მუქვაბიშვილი, ჰაბაბა ჟოღაშვილი, დამაღა ჟოღინაღი, ნახო ჰაღაშვილი, ნანა შონინა, დავით ჰაღალონინა, თამაღი ნოღაიღი, ჟოღა ჰაღაღა, ნიკოლოზ ჩინაღა, თამაღი ჰაღაღინა, დანიღა თაღაღაღა, ბიოღიღი ლავთაღა, დინ დინაღა, დავით ჟინთაშვილი, სანიღო ფაღაღაღა, დამა ჰაღაღაღაღა, ბიოღიღი ჟინაღა.

საქაღთველოს მეცნიეებათა აკადემიის ნეღი-ეოღესპოდენტი ჰვთინიღი სინაღაღა.

სამაღთინა და ჰოღიტიკური მეცნიეებათა დოქტორი ჰამაღი ბახოღინა.

იუიდიღიღი მეცნიეებათა დოქტორი, ჰიოფესორი ბუღამ ნაჭყებია,

ჰედაგოღიკური მეცნიეებათა დოქტორი, ჰიოფესორი მამაღა თაღაღინა.

ბუღინაღი ზინაღინი (ბუღინის ენიეეისტიკური ჰიოფესორი),

იოღან ფინიღინი (ბონის ენიეეისტიკური ჰიოფესორი),

ანიღ ბაღოინი (ეეენის საბ. ენიეეისტიკური ჰიოფესორი),

ანიღ ანიღინი (ბაქოს საბ. ენიეეისტიკური ჰიოფესორი).

კონსულტანტი:

თამაღი იაღიღი, ანოღი მეღინიღი, იინე ლონტი

შინაარსი

ეკონომიკური პოლიტიკა

ნოდარ ჭითანავა

საქართველოს ეკონომიკის განვითარების ტენდენციები და პერსპექტივები

3

საბანკო საქმე

ლია ელიავა

საქართველოს ეროვნული ბანკის ოქროს ბიზნესი

14

ბრალისიანი

პაატა კოლუაშვილი

ქართველთა კვების კულტურა

20

თვითმმართველობები

ბორის ჭიჭინაძე

საქართველოს მუნიციპალიტეტების განვითარების ასპექტები

24

SOS!

იური პაპასჭუა

ბუღალტრული აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშგების თვითრეგულირება -
კანონის მონოპოლიური მეტასტაზები

30

პრობლემა: სოფლის მეურნეობა

პაატა კოლუაშვილი

უნდა გაიყიდოს თუ არა მიწა?

37

აღრისხვა-ანგარიშგება

ნატო გუგიაშვილი

არამატერიალური აქტივები

39

გლობალიზაცია

ნონა ასვლელიანი, ნანა შონია

გლობალიზაცია და სტატისტიკის აქტუალური პრობლემები 21-ე საუკუნეში

41

მეხნიერება

თენგიზ მეურნიშვილი

დაზღვევა, როგორც საზოგადოების ეკონომიკური,
ფინანსური და სოციალური ურთიერთობების ნაწილი

44

გადაზღვევის სისტემა

48

მარკაზინი

კობა ბიჭაძე

ხუთი ტიპური შეცდომა ხელფასზე მოლაპარაკების დროს

51

თვითმმართველობა

ნუკრი მიხანაშვილი

თვითმმართველობა, როგორც დემოკრატიის მწვერვალი

52

რეზენია

იური პაპასჭუა

საბანკო საქმის მეგზური

55

საკანონმდებლო ინიციატივები

საქართველოს კანონი:

„ბუღალტრული აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშგების აუდიტის შესახებ“

58

საქართველოს ეკონომიკის განვითარების ტენდენციები და პერსპექტივები



ნოდარ ჭითანავა

ეკონომიკურ მეცნიერებათა
დოქტორი, პროფესორი,
სოფლის მეურნეობის
მეცნიერებათა აკადემიის
აკადემიკოსი

II ნაწილი – გაგრძელება

(დასაწყისი იხილეთ „ბიზნესი და კანონმდებლობა“ №2)

კვაზი საბაზრო ეკონომიკური სისტემა. განვლილი პერიოდის შეფასებისას ყურადღება უნდა მივაქციოთ შემდეგ თავისებურებას: ამჟამინდელი ეროვნული ეკონომიკური სისტემა „საბჭოთა სოციალიზმის“, „ველური კაპიტალიზმის“, განვითარებული და განვითარებადი ქვეყნების ეკონომიკურ სისტემათა ფუნქციონირების ცალკეული პრინციპებისა და მექანიზმების გაერთიანებით (დაჯგუფებით) შეზღუდულ პერიმეტრზე (სივრცეში) წარმოიქმნა და „ჰიბრიდულ“ წარმონაქმნად ჩამოყალიბდა, რომელიც დღემდე არსებული ეკონომიკური სისტემებისაგან ყოველმხრივ განსხვავდება და სიტუაციის (პოსტსოციალისტური პერიოდის) თავისებურებების აგებულების (ფორმირებადი და ფუნქციონირებადი სტრუქტურა), საზოგადოებრივ ურთიერთობათა გარდაქმნების ხასიათთან ცვალებადი ადეკვატურობით გამოირჩევა და ისტორიული ანალოგი არა აქვს.

ბუნებრივია, ასეთი სისტემის (კონგლომერატის) ძირითადი შემადგენლები (ელემენტები) დეფორმირებულია. მაგალითად, კაპიტალის დიდი ნაწილი წარმომავლობის (პრივატიზაციის კრიმინალური ასპექტები) და დაბალი დონის მენეჯმენტის გამო, აღწარმოებაში რეალურად არ მონაწილეებს. ძირითადი და სანარმოო ფონდების, მიწის დიდი ნაწილი კონსერვაციაშია. წარმოების ფაქტორი – შრომა (სამუშაო ძალა) ახალ რეალობასთან ადაპტირებული არ არის. კაპიტალის (როგორც წარმოების ფაქტორის) არაეფექტიანად გამოყენების გამო წარმოების პროცესის განახლება, თუნდაც მარტივი აღწარმოების დონეზეც არ ხდება და კვალიფიციურ შრომაზე (განსაკუთრებით რეალურ სექტორში) მოთხოვნაც მცირდება. ისეთი ფაქტორი, როგორცაა მეწარმეობრივი უნარი თვითგანვითარების პოტენციურ შესაძლებლობებს ვერ იყენებს. ეკონომიკის სახელმწიფოებრივი რეგულირება

(როგორც განვითარების ფაქტორი) დროის მოთხოვნებს ჩამორჩა და ეროვნული ეკონომიკის სტრატეგიული ამოცანების გადანყვეტას არასისტემატიური ხასიათი აქვს. ცოდნა, როგორც განვითარების ინტეგრირებული ფაქტორი, ეკონომიკის ეროვნულ თავისებურებებს არ ითვალისწინებს. ამიტომ, ზოგად კონცეპტუალური და მეთოდოლოგიური მიდგომებით განისაზღვრება ეკონომიკის განვითარების ორიენტირები და სტრატეგია.

რეალურ ეკონომიკაში კონკურენტული (კლასიკური გაგებით) გარემო არ შექმნილა, რაც ამუხრუჭებს საბაზრო მექანიზმების (ინსტრუმენტების) მოქმედებას, აკნინებს სტიმულირების (მოტივაციის) როლს, ზღუდავს თავისუფალ არჩევანს. ქვეყანაში კერძო საკუთრება (როგორც ასეთი) და სახელმეკრულეო ურთიერთობები, მყარად არ არის დაცული (სუბიექტური ინტერესების გავლენას განიცდის). კერძო საკუთრების დისკრედიტაციის საფრთხეც შეიქმნა.

ქვეყნის ეკონომიკური სისტემა არ არის ორიენტირებული მწარმოებლურობასა და ეფექტიანობაზე, გრძელვადიანი ზრდის ფაქტორებზე (ინვესტიციები რეალურ სექტორში, სამუშაო ძალის ფორმირება, განათლება და ა.შ.). ამასთან, არსებითად დამოკიდებულია გარედან მხარდაჭერაზე (ინვესტიციები). ყოველივე ამის შედეგად, ბუნებრივია, ეროვნული ეკონომიკა ეფექტიანი თვითრეგულირების რეჟიმში ვერ ფუნქციონირებს.

ამრიგად, ქვეყანაში როგორც ფორმით, ასევე შინაარსით ფუნქციონირებს სოციალურ-ეკონომიკური სისტემა, რომელიც დეფორმირებულ საბაზრო და სახელმწიფოებრივ მექანიზმებს ემყარება. ამიტომ, მისი სიცოცხლისუნარიანობა, თვითგანვითარების პოტენციალი ვერ უზრუნველყოფს ხანგრძლივი ეკონომიკური ზრდის ახალ ტრაექტორიაზე გადასვლას.

სოციალური დიფერენციაციის პროცესის შეუქცევადი ხასიათი. წარმოების ფაქტორების არაეფექ-

ტიანად გამოყენების ფონზე, გაღრმავდა სოციალური დიფერენციაციის პროცესი. საქართველოში ღარიბთა უდიდესი ნაწილი განათლებული და ადრე პროფესიული ჩვევების (გამოცდილების) მქონე ადამიანები არიან. მათი დღევანდელი ყოფა პროფესიის, რწმენის დაკარგვას, ფსიქოლოგიურ სტრესს, საბოლოოდ საზოგადოებრივ და მორალურ დეგრადაციას იწვევს.

ზემოთ მოტანილი ანალიზი (საარსებო მინიმუმის, უმუშევრობის, სოციალური დიფერენციაციის მაჩვენებლები და სხვ.) ადასტურებს, რომ „ახალ მდიდრებსა“ და „ახალ ღარიბებს“ შორის სოციალური პოლარიზაციის ფონზე ჩამოყალიბებული წინააღმდეგობა თვისებრივად ახალ ფორმასა და შინაარსს იძენს – პოლიტიკური დაპირისპირების შეუქცევად პროცესში გადავიდა, რაც ბუნებრივია, კლასობრივი ბრძოლის რევანშისტული ფორმების გამოყენების საფრთხეს შეიცავს. იგი თავისი არსით განსხვავდება ცნობილი შეხედულებისგან – კაპიტალსა და შრომას შორის არსებული წინააღმდეგობის შესახებ. იგი შინაარსით უფრო ღრმაა და განვითარების პროცესის ნებისმიერ სიტუაციაში სოციალური აფეთქების რეალურ წყაროს წარმოადგენს. ამასთან, ეს მოვლენა ინტერნაციონალური ხასიათისაა და ზოგად-საკაცობრიო სოციალურ პრობლემათა რანგში განიხილება.¹

საზოგადოება, ამ საფრთხეს სერიოზულ ყურადღებას არც აქცევს. არადა, ეს ორი კატეგორია („ახალი მდიდრები“ და „ახალი ღარიბები“) მხოლოდ პირობითად განსხვავებული ცნებები არ არის, ორი ერთმანეთისგან მკვეთრად განსხვავებული მენტალიტეტი, ფასეულობათა აღიარებაა. მათ სხვადასხვა სამომხმარებლო ბაზრებიც აქვთ, ფასწარმოქმნის მექანიზმის გავლენაც სხვადასხვანაირია. ამიტომ, საზოგადოებრივი ქცევის სხვადასხვა ნორმებით ცხოვრობენ. ეს განსაკუთრებული ტიპის სოციალურ-პოლიტიკური მოვლენაა, რომელიც ქვეყნის განვითარების პროცესებზე პირდაპირი ზემოქმედებით ყოველმხრივ ხელს უშლის საზოგადოების კონსოლიდაციას, საბოლოოდ, სოციალურ წონასწორობას. ნიშანდობლივია, რომ ეს მოვლენა საქართველოში აღმოცენდა ეროვნული ეკონომიკის გაჩანაგების ფონზე. ამასთან, „ახალი ღარიბების“ დიდი ნაწილი, როგორც ითქვა, განათლებული ადამიანები არიან. ასეთ მოვლენას ისტორიული ანალოგი არა აქვს.

ამჟამად, ისე როგორც მსოფლიოში, საქართველოშიც ხუთ საშობო სოციალურ-პოლიტიკურ მოვლენასთან გვაქვს საქმე. ესაა შიმშილი, უმუშევრობა, ავადმყოფობა, უნიგნურობა და უთანასწორობა. ესენი, ზოგად საკაცობრიო და ამავდროულად, ეროვნული პრობლემებია, თანამედროვეობის ამკარად გამოკვეთილი თავისებურება-ტენდენციებია. საქართველოში

ეს მოვლენა — შედეგი უკანასკნელი 20 წლის მანძილზე საზოგადოებრივ ურთიერთობათა ტრანსფორმაციის მიზნებისა და ამოცანების „კლასობრივი ბრძოლის“ პოზიციებიდან გაცნობიერებამ და როგორც აღინიშნა, არსებული პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური სისტემების თანმიმდევრულად შეცვლის (დემონტაჟის) ნაცვლად, მათი მყისიერად ნგრევის პოლიტიკამ განაპირობა. განსაკუთრებული როლი ამ საქმეში შეასრულა პოლიტიკური შურისძიების სულისკვეთებამ, რომლის ლოზუნგი იყო „სისხლი სისხლის წილ“. სამწუხაროდ, ეროვნული ცნობიერება, მოუმზადებელი შეხვდა გარედან შემოთავაზებულ, სწრაფად ცვალებად პროცესებს, ვერ მოახერხა მათთან ადაპტირება.

ტრანსფორმაციული პროცესების თავისებურებები. გარდამავალ პერიოდში ბევრ ბუნდოვან კითხვას გაეცა პასუხი. უფრო ცხადი გახდა, რომ თავისუფლება და წესრიგი თავსებადია, მაგრამ იგი ავტომატურად არ მიიღწევა. აუცილებელია სახელმწიფოს მრავალმხრივი ძალისხმევა, პროფესიული მიდგომა, სოციალურ-ეკონომიკური პროცესების გეგმაზომიერი მართვა (რეგულირება) იდეოლოგია კი არ არის, არამედ საზოგადოების განვითარების საყოველთაოდ აღიარებული კანონზომიერებაა. საზოგადოება ბაზარს კი არ ემსახურება, პირიქით, ბაზარი საზოგადოებას, თანაც არა მხოლოდ მის ერთ ნაწილს, არამედ საერთოდ ადამიანს, საზოგადოების ყველა წევრს.

არ დადასტურდა ზოგიერთი კონცეპტუალური და მეთოდოლოგიური მიდგომა. მაგალითად, საბაზრო მექანიზმზე გაფეტიშებული წარმოდგენები, საერთაშორისო ეკონომიკური და სხვა სტრუქტურების რეკომენდაციების მართებულობა. საბაზრო მექანიზმების უნივერსალური ხასიათის შესახებ სტერეოტიპები დაიმსხვრა. ამასთან, კვლავინდებურად მძლავრობს ილუზიები იმისა, რომ ვიღაც მოწყალეების თვალთ გადამოგვხედავს, უანგაროდ დახმარებას გაგვინევს, ყოველმხრივ შეეცდება დროსა და სივრცეში დანაწევრებული ინტელექტუალური პოტენციალი აღგვიდგინოს, რომ ქვეყანა მომავალშიც შეძლებს თავისი ისტორიული როლის შესრულებას. ეიფორიაში ყოფნის ხანგრძლივ პერიოდში, სამწუხაროდ, დამკვიდრდა სხვის ხარჯზე ცხოვრების განწყობა, შესაბამისად, გაძლიერდა გულგრილობისა და უპასუხისმგებლობის დამოკიდებულება (ინსტინქტი), საზოგადოება ნელა გამოდის იძულებით ნაზიარები კრიმინალური აზროვნებიდან. ბევრი თავს იმით იმშვიდებს, რომ ასეთ მძიმე მდგომარეობაში ბევრჯერ ყოფილა ქვეყანა, მაგრამ იგი ყოველთვის გადარჩენილა. სწორედ ასეთი განწყობა ქმნის ქვეყნისთვის ყველაზე დიდ საფრთხეს.

საზოგადოებრივ ურთიერთობათა გარდაქმნების მთავარი სუბიექტები – სახელმწიფო-პოლიტიკური პარტიები-ბიზნესი-არასამთავრობო სტრუქტურები (სამოქალაქო საზოგადოება)-პროფკავშირები-მეცნიერება-საერთაშორისო ეკონომიკური და ფინანსური სტრუქტურები – ცალ-ცალკე, ერთმანეთთან შეუთანხმებლად მოქმედებენ, ხშირად ერთმანეთს უპი-

1 მსოფლიო ბანკის ცნობით 2,6 მლრდ კაცი სიღარიბის ზღვარს ქვემოთაა, 2 დოლარზე ნაკლებს მოიხმარს. მსოფლიოში 400 ოჯახს უფრო მეტი რესურსი აქვს, ვიდრე ერთ მილიარდ ლატაკს. ჟურნალი „მეფედუნაროდ-ნაია ეკონომიკა“, №6, 2009, გვ. 21.

რისპირდებიან, გამოიყენება ცნობილი პრინციპიც – ყველა ერთის წინააღმდეგ. სწორედ ეს ერთი ქვეყნის სტრატეგიული ინტერესებია. ამრიგად, ეკონომიკის ტრანსფორმაციის პროცესზე ზემოქმედების სუბიექტების საქმიანობა ვინრო მიზნობრივი პოზიციებიდან წარიმართება და ერთობლივად მოქმედებაზე ორიენტირებულიც არ არის.

გასათვალისწინებელია ისიც, რომ XX საუკუნეში საქართველომ შვიდი უცხოური ეკონომიკური დოქტრინა გამოსცადა („წმინდა კაპიტალიზმის“ სახე-შეცვლილი (რუსეთის იმპერიის თავისებურებების გათვალისწინებით) მოდელი, სოციალ-დემოკრატიული, ნეპი, ცენტრალიზებული დაგეგმვა და მართვა, „შოკური თერაპია“, ლიბერალურ-მონეტარისტული მოდელი, ლიბერტარიანიზმი.¹

ამასთან, ყოველი მომდევნო დოქტრინა წინას ანტიპოდი იყო. ამიტომ, ქვეყნის ეკონომიკის განვითარებაში დაიკარგა გენეტიკური ფონი (მემკვიდრეობითობა), რომლის არსი იმაში მდგომარეობს, რომ ეკონომიკური განვითარების პროცესში ეტაპობრივად იქმნება ახალი ნანამძღვრები, შემდგომში უფრო გაფართოებული აღწარმოებისთვის. ეს პრინციპი დაირღვა. ნიშანდობლივია, რომ უგულვებელყოფილ იქნა საზოგადოებრივი წონასწორობის მთავარი ფაქტორის – უფროსი, საშუალო და უმცროსი თაობების ინტერესების ერთიანობის დაცვის პრინციპი. ცნობილია, რომ უფროს თაობას აქვს დიდი ცხოვრებისეული გამოცდილება (ამავდროულად დიდი დამსახურება ქვეყნის წინაშე), საშუალო თაობას – თანამედროვე ცოდნა (მის მსოფლმხედველობაზეა დამოკიდებული როგორ განვითარდება ქვეყანა), უმცროს თაობას – მზარდი ენერჯია (ქვეყნის მომავლის, ანმყოსა და წარსულის გამთლიანების ამოცანა). ერი მაშინ აღწევს წარმატებებს, როცა სამივე ფაქტორს ამთლიანებს და განვითარების მთავარ მამოძრავებელ ძალად გარდაქმნის. სხვა შემთხვევაში ერის ისტორიულ განვითარებაში დიდი პაუზა დგება. ასე მოხდა საქართველოშიც. სამწუხაროდ, უმცროს თაობას არაბუნებრივი ამოცანა – ექსტრემალურ პირობებში (გარდამავალ ბობოქარ ეპოქაში) ქვეყნის სტრატეგიული განვითარების ლიდერის როლი დაეკისრა. ქვეყნის განვითარების ახალ ტრანსფორმაციაზე გადასასვლელი ხიდი მხოლოდ ცენტრალური საყრდენით (ერის უმცროსი თაობის ენერჯიის და მსოფლიო თანამეგობრობის მხარდაჭერის შერწყმით) დარჩა და, ბუნებრივია, უმძიმეს, ფაქტობრივად ბურუსით მოცულ პირობებში დაიწყო ტრანსფორმაციული პროცესების ერთი ნაპირიდან მეორეზე გადასვლა „აინონა-დაინონას“ პრინციპით. შედეგები სახეზეა — ქვეყანა განვითარებაში ჩამორჩა, დროის მოთხოვნებს ვერ პასუხობს. სამწუხაროდ, ბოლო 20 წლის მანძილზე ხელისუფლების სამივე თაობამ ამ თვალსაზრისით საბედისწერო შეცდომა

დაუშვა. როცა ქვეყნის განვითარება ექსტრემალურ პირობებში მოითხოვდა გარე და შიდა ფაქტორების ერთობლივად და ერთიანი მიზნით გამოყენებას, წარსულის, ანმყოს და მომავლის გამთლიანებულ პროცესად წარმოდგენას, იმძლავრა განცალკევებულობის, წარსულისადმი ნიჰილიზმის, განთითოებულობის ინსტინქტმა და შურმა. ქართველმა ქართველის – „ვერაგი მტრის“, მისი დამმარცხებლის „სტატუსი“ ამაყად მოიგო, ქართული ფენომენის, უპირატესად შიდა ფაქტორებით ღრღინის პროცესი გაძლიერდა, ეროვნული სიმდიდრე გაიძარცვა.

ნიშანდობლივია, რომ ნეგატიური პროცესების ფონზე, ჩამოყალიბდა ქვეყნის განვითარების ხელშემწყობი პოლიტიკური, სოციალურ-ეკონომიკური ფაქტორები და პირობები. მაგალითად, ქვეყნის აქტიური მონაწილეობა გლობალურ პროცესებში, პოლიტიკური და ეკონომიკური დემოკრატიის ფუძემდებლური პრინციპების დამკვიდრების შეუქცევადი ხასიათი, ეკონომიკაში კერძო სექტორის განმსაზღვრელი როლი და ადგილი, საკუთრების ფორმების პლურალიზმი, ეკონომიკის სოციალური ორიენტაცია, საბაზრო მენტალიტეტის ფორმირების მზარდი ტენდენციები, ხელსაყრელი გეოპოლიტიკური და გეოეკოლოგიური გარემო, საბაზრო ინფრასტრუქტურის ფუნქციონირება, მსოფლიო თანამეგობრობის აქტიური მხარდაჭერა და სხვა.

გარდამავალ პერიოდში დაშვებული თეორიულ- მეთოდოლოგიური შეცდომები

ქვეყნის პოლიტიკურ და სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაში არსებული მდგომარეობის ანალიზი შემდეგი დასკვნების გაკეთების საშუალებას იძლევა:

საქართველოში საბაზრო ურთიერთობებზე გარდამავალი პერიოდის უხეში თეორიულ-პოლიტიკური ხასიათის სტრატეგიული შეცდომა ის იყო, რომ დაავადებული საბაზრო ეკონომიკის გაჯანსაღებისთვის შექმნილი დასავლეთის იდეოლოგიზებული ეკონომიკური დოქტრინა „შოკური თერაპია“, როგორც გარდაქმნების სტრატეგია, გამოყენებულ იქნა სრულიად განსხვავებულ სიტუაციაში – ტოტალიტარული ეკონომიკური სისტემიდან საბაზრო ურთიერთობებზე გადასვლისათვის.

თეორიულ-ეკონომიკური ხასიათის სტრატეგიული შეცდომა იყო ის, რომ სწორად (ობიექტურად) ვერ განისაზღვრა ქვეყნის ეკონომიკის ახალ თვისებრიობაში გადასვლის სასტარტო გარემო და პოტენციალი. ყურადღება არ მიექცა განვითარების უნიკალურ ხასიათს, რომ საბაზრო ურთიერთობებზე გადასვლა იწყებოდა თვისებრივად სხვა სასტარტო პირობებიდან, ვიდრე ეს ისტორიულად განხორციელდა თავად კაპიტალიზმის განვითარების პერიოდში. გეგმიანი

¹ ვრცლად ნოდარ ჭითანავა. „საქართველოს ეკონომიკის მეტამორფოზები და პერსპექტივები“. თბ. გამომცემლობა „ივერონი“. გვ. 99-114; 154-160.

ეკონომიკა იყო გარდაქმნების სასტარტობა. მას გააჩნდა სანარმოო ძალების განვითარების არც თუ დაბალი დონე (პრიორიტეტიც კოსმოსის ათვისებაში), საკუთარი სანარმოო-სამეცნიერო, სოციალური, საკადრო პოტენციალი, მენეჯმენტის სათანადო ფორმები, ინტეგრაციული პროცესების მართვის გამოცდილება. ამ ისტორიულ მემკვიდრეობას ანგარიში არ გაენია და დაიწყო გადასვლა „კლასიკურ კაპიტალიზმზე“. ამიტომ, განვითარების ობიექტური პროცესი (საბაზრო ურთიერთობებზე გადასვლა) ნეგატიურ, დამანგრეველ ფაქტორად იქცა. აწმყოს წარსულში გადაყვანის უზადრუკი ცდა კრახით დამთავრდა. პოლიტიკურ-ეკონომიკური მნიშვნელობის ეს მოვლენა ძირითადად ქართული ხელწერისაა.

თეორიული და პოლიტიკურ-სამართლებრივი ხასიათის შეცდომა იყო არსებული სოციალურ-ეკონომიკური სისტემის სტიქიურად, შესაბამისი საკანონმდებლო ბაზის გარეშე დაშლა, საბაზრო ურთიერთობებზე გადასვლის რთული პროცესის სახელმწიფოებრივი რეგულირების მიზანშეწონილობის უგულებელყოფა. სახელმწიფომ უარი თქვა იმ ფუნქციების შესრულებაზე, რასაც მისგან დრო მოითხოვდა. თავისი „ნიშა“ დაუთმო კრიმინალური ცნობიერების საფუძველზე სპონტანურად აღმოცენებულ სტრუქტურებს (ჯგუფებს), რომლებიც ოლიგარქიის ტრადიციული პრინციპებით შეერწყა სახელისუფლებო ინსტიტუტს და საბოლოოდ ჩამოყალიბდა საზოგადოებრივი გარდაქმნების „ლიდერად“. ეკონომიკური პროცესი აღმოჩნდა ბაზრის კრიმინალურ-მაფიოზური რეგულირების სტადიაში, რომელმაც ეროვნული სიმდიდრის დატაცების ხელსაყრელი გარემოს შექმნა დააჩქარა. სასაქონლო-ფულადი მიმოქცევის კონტროლის ფუნქცია ახალი ტიპის ოლიგარქიამ მიითვისა. ამასთან, სახელმწიფოს პოლიტიკაში „ქუჩის ელემენტი“ გაძლიერდა, ქალაქის უბნების (რეგიონების) „პოლიტიკურმა“ ფენომენმა მონაცვლეობით დომინირებადი ადგილი დაიმკვიდრა და ფართო გზა მისცა ქვეყნის დოვლათის მიტაცებას, ახალი ტიპის ოლიგარქიული ინტერესების ჩამოყალიბებას, რასაც, ბუნებრივია, მოჰყვა იმ ინსტიტუტის გაძლიერება სახელმწიფოს „პოლიტიკაში“. „ახალი აზროვნებით“ მოსულთა უმრავლესობამ ისტორიული ამოცანა შეასრულა და სოციალისტურად აღიარებული ეროვნული ეკონომიკა „ნულოვან საძირკვლამდე“ (ცალკეული ეროვნული მოღვაწეების მონოდება-დევიზი) დაანგრია, დროებით ასპარეზიდან გავიდა. დღეს კი მათი მნიშვნელოვანი ნაწილი ქართული ეკონომიკის დაუძღურებული ორგანიზმის გადარჩენილი, ჯანსაღი ნაწილით იკვებება (მიტაცებული ქონებიდან დარიცხული დივიდენდების სახით), თანაც მამულიშვილობის ამბიციებით და ყოველმხრივ ცდილობს დაიცვას კონკრეტული სიტუაციით შემოთავაზებული „თამაშის წესები“. ეს ორი მიზეზით უნდა ავხსნათ. პირველი, სახელმწიფო იმდენად დასუსტებული იყო (ეს მიზანმიმართულად გაკეთდა), რომ მზად არ აღმოჩნდა დროის შესაბამისად განესაზღვრა განვითარების

ახალი სტრატეგია. საბედისწერო როლი შეასრულა სახელმწიფოს მართვაში პირდაპირ ქუჩიდან მოსულთა არაკომპეტენტურობამ. მეორე, თავად ფორმირებადი სახელმწიფო იძულებული გახდა გარედან თავს მოხვეული დოგმების გავლენით საშიშ კომპრომისებზე წასულიყო. ასეთ არასტანდარტულ პირობებში სახელმწიფოს აღმშენებლობისთვის საჭირო სოციალური ენერგია, საზოგადოების სათანადო მხარდაჭერა და პროცესებზე ზემოქმედების ბერკეტებიც არ აღმოაჩნდა.

ქვეყანაში პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური გარდაქმნების განხორციელებისას დაშვებულ იქნა სტრატეგიული ხასიათის მეთოდოლოგიური შეცდომებიც.

კერძოდ, „რეფორმები“ ეკონომიკის დარგების მიხედვით ერთმანეთისგან იზოლირებულად წარიმართა. მას კომპლექსური, თანმიმდევრული ხასიათის, ერთიანი მეთოდოლოგია არ ჰქონდა (ამყამადაც არა აქვს). რეფორმების ლიბერალურ-მონეტარისტული მოდელი, რომელიც „შოკური თერაპიით“ განისაზღვრა, ოთხ ძირითად „კონსტრუქციას“ ემყარებოდა. კერძოდ, რადიკალურ ლიბერალიზაციას, მასობრივ პრივატიზაციას, ფინანსურ სტაბილიზაციას (რომელიც მიღწეული უნდა ყოფილიყო ფულად-საკრედიტო და საფინანსო მექანიზმებით), სახელმწიფოს ეკონომიკური როლის მინიმიზაციას. აღნიშნული მოდელი თავისთავად, კონცეპტუალურ-მეთოდოლოგიური თვალსაზრისით, საინტერესოა და თითქოს ლოგიკურიც. მსოფლიო პრაქტიკაში ასეთი მოდელის, მისი ყველა ელემენტის ერთდროულად კონკრეტულ სოციალურ გარემოში გამოყენების გამოცდილებაც არ არსებობს (საქართველომ ამჯერადაც მორიგი „პიონერული“ ფუნქცია შეასრულა). ამ მოდელით უგულებელყოფილია რეალური მდგომარეობა, საბაზრო ურთიერთობებზე გადასვლის თავისებურებები. ნაცვლად იმისა, რომ სახელმწიფოს ექსკლუზიური პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური ფუნქცია (საბაზრო სისტემის შემქმნელი ფაქტორი) სწორად ყოფილიყო გაცნობიერებული, განხორციელდა ეკონომიკურ პროცესებში მისი მინიმიზაციის, ანუ საზოგადოებრივ ურთიერთობათა ტრანსფორმაციის რთული პროცესიდან ფაქტობრივად ჩამოცილების კურსი. ლიბერალიზაცია, როგორც ეკონომიკური პროცესების რეგულირების ფორმა, მექანიზმი, არასრულყოფილად იქნა გამოყენებული. ფაქტობრივად, იგი გახდა ეკონომიკური რეფორმების სტიქიური განვითარების სინონიმი. დადასტურდა, რომ, როდესაც ეკონომიკის განვითარებაში ლიბერალიზმი ძირითად ფუნქციას დაკარგავს (პირველ რიგში, თვითგანვითარების ხელშეწყობა და ამით „მთვლემარე“ ძალების, პროგრესული პროცესების ამოქმედება, რათა განვითარება ბუნებრივი კალაპოტით წარიმართოს) სტიქიურ ძალად გადაიქცევა და ეკონომიკურ გარდაქმნებს შეაფერხებს. ლიბერალიზმის (მეთოდის, მექანიზმის) გამოყენება აუცილებელია, იგი განვითარების მუდმივად თანმდევი პროცეს-ნაკადია, მაგრამ არ შეიძლება, რომ

მას ექსტრემალურ პირობებში საბაზრო ეკონომიკის ფორმირებისა და ფუნქციონირების ერთ-ერთი მთავარი ფაქტორის როლი დაკისრებოდა. **მხოლოდ ლიბერალიზაცია, როგორც ასეთი, ვერ უზრუნველყოფს გაფართოებული აღწარმოების „მზიდი კონსტრუქციის“ როლის შესრულებას. მას რეგულირების სხვა მექანიზმებიც სჭირდება, რაც, უპირველეს ყოვლისა, გამოიხატება ძლიერი სახელმწიფო ინსტიტუტების აუცილებლობაში.**¹

ეკონომიკური რეფორმების ცენტრალურ ამოცანად მიჩნეულ იქნა შეზღუდულ და ექსტრემალურ (სამოქალაქო დაპირისპირება) პირობებში **სახელმწიფო საკუთრების მასობრივი პრივატიზაცია**, მაშინ, როცა მისი დიფერენცირებულად, თანმიმდევრულად და ეტაპობრივად განხორციელება იყო საჭირო. როგორც მოსალოდნელი იყო, კერძო სექტორის დეკლარირებით (მისი გაფეტიშებით) ეკონომიკური ეფექტიანობა არ ამალღებულა, თუმცა გარკვეულწილად მისი ობიექტური პირობები შეიქმნა. პრივატიზაციას საფუძვლად დაედო არა ეკონომიკური მიზანშეწონილობა, არამედ პოლიტიკური. საქართველოში პრივატიზაციის პროცესი იდეოლოგიზებული აღმოჩნდა. ამას ადასტურებს მსოფლიო ბანკის მთავარი ეკონომისტის **ჯოზეპ სტიგლიცის** მოსაზრებაც. „უკანასკნელ ხანებამდე აქცენტი კეთდებოდა მხოლოდ კერძო საკუთრების შექმნასა და ვაჭრობის ლიბერალიზაციაზე. პრივატიზაციის პროცესს გარდამავალ ეკონომიკებში თან ახლდა მძიმე შეცდომები. დღეს ცხადია, რომ პრივატიზაციის მომხრეებმა, როგორც ჩანს, ჯეროვნად ვერ შეაფასეს თვით ამ პროცესის დანაკარგები – განსაკუთრებით, პოლიტიკური, აგრეთვე ის დაბრკოლებები, რომლებსაც დაჩქარებული პრივატიზაცია უქმნის შემდგომ რეფორმებს. ამჟამად, რეფორმის შვიდი წლის გამოცდილების გათვალისწინებით, ასეთი პოლიტიკური არჩევა ყოველმხრივ უფრო გაუმართლებელი იყო.“² ეს შეფასება მთლიანად ეხება საქართველოსაც.

იმისათვის, რომ ობიექტურად შეფასდეს პრივატიზაციისას დაშვებული შეცდომები, სწორი იქნება განვიხილოთ, თუ როგორი იყო პრივატიზაციული პროცესის მონაწილეთა ეკონომიკური ინტერესები და როგორ მოხერხდა მისი ურთიერთშეხამება.

პრივატიზაციის პროცესის ცენტრალური ფიგურა (მონაწილე) სახელმწიფო იყო. მან საკუთარი ქონების გასხვისების მიზანი გარედან შემოთავაზებული რეკომენდაციებით განსაზღვრა არა ეკონომიკური მიზანშეწონილობით (ეფექტიანობის ამალღება), არამედ წმინდა პოლიტიკური მოტივით (სოციალისტური ეკონომიკის

საფუძვლების მოშლა), რომელიც რეალიზებულ იქნა.

პრივატიზაციის პროცესის მეორე მონაწილე – მყიდველი აღმოჩნდა ის „აქტიური სუბიექტი“, ვისაც ადრე უკანონო შემოსავლები ჰქონდა და ნებისმიერი ქონება საკუთარი კაპიტალის ლეგალიზების საგნად სჭირდებოდა. მისი ეს მიზანიც ხელისუფლების პოლიტიკური ინტერესების „ჩარჩოში“ ჩაჯდა და დაჩქარდა იაფი პრივატიზაციის წინააღმდეგობრივი პროცესი, რომლის შედეგი ორივე მხარისთვის მისაღები აღმოჩნდა.

სახელმწიფო ქონების იაფად ხელში ჩაგდების მიზნით „ფარულ მეპატრონეთა“ მიერ ხელოვნურად იძარცვებოდა, პარტახდებოდა, ფუნქციას კარგავდა ადრე მოქმედი, მაღალრენტაბელური საწარმოები. ამ მეთოდით იშორებდნენ იქ დასაქმებულ „ზედმეტ“ პირებს, შემდგომ უკვე ფუნქცია და იერსახე დაკარგული ობიექტი შეჰქონდათ სპრივატიზაციო ქონების ნუსხაში და წინასწარვე შეთანხმებული პირობებით გადადიოდა ის „ახალი ინვესტორის“ კერძო საკუთრებაში.

პროცესის მესამე მონაწილე – პრივატიზებული საწარმოს კოლექტივი და საერთოდ ქვეყნის მოქალაქეთა („პასიური სუბიექტი“) უდიდესი ნაწილი დაზარალდა. პრივატიზაციის შედეგად, თითქოს 400 ათასზე მეტი კაცი მესაკუთრე გახდა (მინის მესაკუთრეთა გარდა), მაგრამ მესაკუთრეთა სტატუსის შეცვლით ეკონომიკაში ეფექტიანობა არ ამალღებულა, შესაბამისი ორგანიზაციულ-მმართველობითი სისტემა არ შექმნილა, არც სათანადო ტექნიკურ-ტექნოლოგიური გარდაქმნები განხორციელებულა. უმუშევრობა კი გაიზარდა. პრივატიზაციის პროცესში აღინიშნა ისეთი მოვლენა, რომელიც ცნობილია „ფულის გარეცხვით“. საზოგადოების ის ნაწილი, რომელსაც არასწორი გზით ნაშოვნო ფული გააჩნდა, ძირითადი ფონდების ხელოვნურად შემცირებული დაბალი ფასების (ასევე ვაუჩერების შესყიდვით) „მაღალ ნონიანი“ მესაკუთრე გახდა. მათ შეძლეს უკანონოდ შეძენილი ქონების ფორმალურად ლეგალიზება. სახელმწიფოს, როგორც მესაკუთრის კერძო მფლობელით შეცვლამ, კონკურენტული გარემო ვერ შექმნა. პრივატიზაციას როგორც წარმოების რესტრუქტურის მიზანშეწონილი ფაქტორს, სათანადო ინსტიტუციონალური ცვლილებები არ გამოუწვევია. მან ხელი შეუწყო სამრეწველო და სამეცნიერო პოტენციალის მკვეთრად დაქვეითებას, ეკონომიკის კრიმინალიზაციას, კორუფციის მასშტაბების გაფართოებას.

დადასტურდა, რომ სახელმწიფო ქონების პრივატიზაცია პოსტსაბჭოთა ქვეყანაში ინსტიტუციური გარდაქმნების ერთ-ერთი ფორმაა, რომელიც ინვესს საზოგადოებრივ ურთიერთობათა ღრმა ცვლილებებს, განსაზღვრავს თვისებრივად ახალი ტიპის სოციალურ-ეკონომიკური სისტემის ჩამოყალიბების საფუძველს. პრივატიზაციის ფორმები, მისი მასშტაბი, განხორციელების მეთოდი დამოკიდებულია ქვეყნის ეკონომიკის სტრუქტურაზე, საწარმოო ძალების განვითარების დონეზე, სახელმწიფოს ეკონომიკური სტრატეგიის მიზანსა და პროცესის ხელშემწყობი სიტუაციის მომზადებაზე.

1 დიდი დაგვიანებით ეს აღიარა **ზ. ბუჟინსკიმ**, რომელმაც განაცხადა „უნდა გამოვასწოროთ ჩვენი შეცდომები. რუსეთში საბაზრო ეკონომიკის შემოღების მოთხოვნა ახალი (ხაზგასმით ჩვენია – ნ.ჭ.) კონსტიტუციისა და ახალი სასამართლო სისტემის გარეშე შეცდომა იყო. გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“, 2001 წლის 14 ივნისი.

2 უ. „ვოპროსი ეკონომიკი“, №8, 1996, გვ. 281.

სახელმწიფო საკუთრების პრივატიზაცია, რომელიც საქართველოში განხორციელდა, თავისი შინაარსით, თავისებურებებით არსებითად განსხვავდება მისი ტრადიციული ფორმებისგან. იგი მოიცავს მთლიანად ეროვნულ ეკონომიკას (მის ყველა დარგს), რამაც სირთულეები შექმნა თვით პროცესის რეგულირებაში. ამასთან, პრივატიზაციის მიზანი მხოლოდ ახალი მესაკუთრის შექმნა არ ყოფილა (როგორც ეს ხშირად ბევრს წარმოუდგენია).

ამასთან, საჭიროა აღინიშნოს, რომ პრივატიზაციის პროცესის სამართლებრივი, სოციალური, ზნეობრივი ხასიათის დარღვევებით განხორციელების მიუხედავად დადასტურდა, რომ პრივატიზაციამ საბაზრო ურთიერთობათა ჩამოყალიბების ერთ-ერთი მთავარი ფუნქცია ფაქტობრივად შეასრულა, ამასთან, ისიც ცხადი გახდა, რომ პრივატიზაციის პროცესი განსაკუთრებულ ყურადღებას მოითხოვს და იგი სახელმწიფოს საგანგებო ფუნქციაა.

პრივატიზაციის პროცესმა (განსაკუთრებით მისმა „აგრესიულმა“ ეტაპმა) გვიჩვენა, რომ ქვეყანაში შეიქმნა ახალი ტიპის ელიტა – კორუფციის, ქვეყნისა და მოსახლეობის ქარცვის გზით ნაშოვნი კაპიტალის მფლობელი. იგი თავისი შეხედულებებისამებრ, საკუთარი ინტერესების დასაცავად ახორციელებდა სასიცოცხლო და სტრატეგიული მნიშვნელობის ისეთი სახელმწიფო ობიექტების გასხვისებას, რომლებსაც თანამედროვე მენეჯმენტის პირობებში შეეძლოთ მაღალი ეფექტიანობით ფუნქციონირება. საჭირო იყო არა ხელაღებით სახელმწიფო საწარმოების, საზოგადოებრივი დანიშნულების სხვა და სხვა შენობა-ნაგებობების გაყიდვა, არამედ მათი კომერციალიზაცია და მონოპოლიური მდგომარეობის შეცვლა, იმისთვის ხელის შეწყობა, რომ უფრო მრავალფეროვანი გამხდარიყო საბაზრო გარემო.

გარდამავალ პერიოდში დაშვებული თეორიული და მეთოდოლოგიური ხასიათის შეცდომებს შორის უმთავრესი იყო ეკონომიკის სახელმწიფოებრივი რეგულირების, როგორც ფაქტორის როლის უგულებელყოფა. ეს შეცდომა ძვირად დაუჯდა საქართველოს.

ცნობილია, რომ ქვეყნის განვითარების ნებისმიერ ეტაპზე, კონკრეტულად ჩამოყალიბებული სიტუაციების მიხედვით განისაზღვრება სახელმწიფოს როლი და ფუნქციები. სახელმწიფოს პოლიტიკა, როგორც ასეთი, თავისი არსით მრავალვარიანტულია, რაც ძირითადად აიხსნება საზოგადოებრივი ინტერესების მონაცვლეობის საყოველთაო პრინციპის მოქმედებით. პოლიტიკა უფრო სუბიექტურ კატეგორიას მიეკუთვნება. თუმცა, იგი ყველგან და ყოველთვის ობიექტურად ჩამოყალიბებული სინამდვილის არსს უნდა გამოხატავდეს და მისი სასიკეთოდ შეცვლის მიზანს ემსახურებოდეს. ეს საყოველთაო პრინციპი უკანასკნელი 20 წლის მანძილზე უხეშად დაირღვა.

როგორც ზემოთ აღინიშნა, სახელმწიფო პოლიტიკა (განვითარება), ქვეყანაში სპონტანურად ჩამოყალიბებული სიტუაციების უშუალო გავლენით

ყალიბდებოდა. ამიტომ იგი სტაბილური არ იყო და დროის ცვალებადობას ვერ უძლებდა. ამასთან, მნიერი ცოდნისა და ღირებულების მსოფლმხედველობითი პოზიციების მქონე შემთხვევითი ადამიანების გატაცებათა და ილუზიების რეალიზაციის ასპარეზიც გახდა. პოლიტიკამ მთავარი ნიშანი – სერიოზულობა, კომპეტენტურობა, შესაბამისად მანევრირების ადეკვატური უნარი დაკარგა. ამიტომ, ქვეყნის ტრანსფორმაციის პროცესმა (როგორც ბუნებრივად ობიექტურმა მოვლენამ) მთლიანობით სისტემის ფორმა და შინაარსი დაკარგა და ახალ თვისებრიობაში გადასვლის პროცესი დამანგრეველი ფაქტორი გახდა.

ქვეყნის ეკონომიკის მდგრადი და უსაფრთხო განვითარების ბრძანებებიანი პროგრამის ფორმირების აუცილებლობა

ქვეყნის ეკონომიკაში ამჟამად შექმნილი კრიზისული მდგომარეობა რთულ კვანძებად ჩამოყალიბებულ პრობლემათა ერთობლიობაა, რომელთა გადაწყვეტა ხანგრძლივ პერიოდს, დიდ ინვესტიციებს, თანამედროვე მენეჯმენტს, და, რაც გადამწყვეტია, საზოგადოების, მთელი მოსახლეობის ერთიან ნებას, ერის ყველა თაობის ცოდნისა და ენერჯის გამთლიანებას და ერთიანი მიზნისკენ წარმართვას და ორგანიზებულობის მაღალ დონეს მოითხოვს.

ქვეყანას სჭირდება ეროვნულ-სახელმწიფოებრივი იდეოლოგია (ქვეყნის განვითარების შესახებ იდეების, შეხედულებების და რწმენის სისტემური ერთიანობა, რომელიც ეფუძნება ეროვნულ ფენომენს და თავსებადია ზოგად-საკაცობრიო იდეალებთან), რომელიც განსაზღვრავს მთავარ ეროვნულ იდეას (მიზანს) და ხელს შეუწყობს ქვეყნის განვითარების ორიენტაციის სტაბილურობას. იდეოლოგიის განხორციელება უნდა მოხდეს თანმიმდევრულად, ეტაპობრივად (კონკრეტული ამოცანების შესაბამისად) კომპლექსური პროგრამების მეშვეობით.

მიზანშეწონილია შედგეს 2020 წლამდე პერიოდისთვის ეკონომიკის მდგრადი და უსაფრთხო განვითარების კომპლექსური პროგრამა, რომელშიც აისახება ეროვნულ-სახელმწიფოებრივი იდეოლოგიის ფუძემდებლური პრინციპები და სტრატეგიული მიზნით განსაზღვრული ამოცანები, ეტაპები, პრიორიტეტები, განვითარების პროცესის რეგულირების მექანიზმები. უნდა ჩამოყალიბდეს პროგრამის ამოსავალი კონცეპტუალური და მეთოდოლოგიური საფუძვლები, რათა ობიექტურად პასუხი გასცეს სამ მთავარ კითხვას: პირველი, განვითარების რომელ სტადიაზეა ქვეყანა. მეორე, საით უნდა წავიდეთ (სტრატეგიული მიზანი), რომელი მიმართულებით უნდა განვითარდეს ქვეყანა? მესამე, როგორი პერიოდულობით და რესურსებით, მექანიზმებით ვფიქრობთ დასახული მიზნის მიღწევას?

**არც ეროვნული ცნობიერებისა და
გამოცდილების ნაჭურჭი ჩაკეცვა
და არც ეროვნული ნიადაგისაგან მოწყობა**

ასეთი (პროგრამული) მიდგომის უპირატესობა ისაა, რომ მასში აისახება ლოგიკური (პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური, ორგანიზაციული, ტექნოლოგიური და სხვ.) კავშირი (ურთიერთგანპირობებულობის დონე) დასახულ მიზანსა და მისი მიღწევის რესურსულ ფაქტორებს შორის. პროგრამაში **მკაფიოდ უნდა ჩამოყალიბდეს ეროვნული იდეა (განვითარების მიზანი), რომლის გარშემო მოხდება ერის კონსოლიდაცია და მიიღწევა ეროვნული თანხმობა (ფართო გაგებით).** ასეთად მიგვაჩნია: საქართველოს სახელმწიფოს იდენტურობისა და თვითმყოფადობის შენარჩუნება-განმტკიცება, ქართული ფენომენის თვითგანვითარების უნარის უზრუნველყოფა, გლობალური პროცესების აქტიურ სუბიექტად გადაქცევა.

ეს იდეა ლოგიკურად ამთლიანებს ქვეყნის წარსულს, აწმყოსა და მომავალს. ამასთან ადეკვატურად პასუხობს მსოფლიოში მიმდინარე პოლიტიკური, სოციალურ-ეკონომიკური, რელიგიური, ეკოლოგიური პროცესების გადაკვეთაზე ჩამოყალიბებულ ახალ პარადიგმას – გლობალური აზროვნების, ლოკალური მოქმედებისა და სოციალურ-ეკონომიკურ-ეკოლოგიური ეფექტიანობის ერთიანობას პრინციპს.

ეროვნული იდეის კონტექსტში უნდა გამოიყოს ერთი განსაკუთრებული მიმართულება (იდეა-სტრატეგია), რომელიც რეალურად განსაზღვრავს საქართველოს როლს ცივილიზაციათა ურთიერთობებში. ასეთად უნდა მივიჩნიოთ ქართული კულტურა (ფართო გაგებით), რომელიც მართლმადიდებლობის ფუნდამენტურ პრინციპებს ემყარება, დროსთან მიმართებაში სრულყოფას განიცდის, გამოირჩევა მრავალფეროვნებით, თავისთავადობით, მთლიანობით, სრულყოფილად გამოხატავს ეროვნულ ხასიათს, პატრიოტულ, კაცთმოყვარეობის, თავისუფლების, თანასწორობის ჰუმანურ იდეალებს. იგი მუდმივად (ისტორიული პაუზის გარეშე) ემსახურებოდა (ემსახურება) ეროვნულ სტრატეგიულ ინტერესებს. მომავალშიც საქართველომ გარე სამყაროს მუდმივად უნდა შესთავაზოს საკუთარი კულტურა, როგორც ექსკლუზიური წვლილი კაცობრიობის განვითარებაში. ამიტომ მიგვაჩნია, რომ ეროვნული კულტურის განვითარება ვალდაროთ ზოგად-ეროვნულ მიზნად.

დღეს საქართველოს წინაშე დგას კომპლექსური ამოცანები:

პოლიტიკურ სფეროში: სოციალური, სამართლებრივი სახელმწიფოს აშენება;

სოციალურ-პოლიტიკურ სფეროში: ახალი ტიპის სამოქალაქო საზოგადოების ფორმირების დაჩქარება;

სოციალურ-ეკონომიკურ სფეროში: პოსტინდუსტრიული საზოგადოების შესაბამისი ეროვნული ეკონომიკური სისტემის ფორმირება და ეფექტიანი ფუნქციონირება;

მმართველობით-ორგანიზაციულ სფეროში: ადამიანისეული ფაქტორის გაძლიერება.

აღნიშნული ამოცანების განხორციელება მხოლოდ განვითარებული ქვეყნების გამოცდილებაზე ორიენტაციით სასურველ შედეგს არ მოგვცემს. გვმართებს ვიხელმძღვანელოთ პრინციპით: **ახალი ტიპის სახელმწიფო, სამოქალაქო საზოგადოება, ეროვნული ეკონომიკა, ქართული ფენომენიდან უნდა ამოვიდეს, რატქმა უნდა, მსოფლიოს პროგრესული გამოცდილებისა და ეროვნული ტრადიციების ოპტიმალური თავსებადობით.** საზოგადოებაში განსაზღვრული უნდა იყოს არა მხოლოდ ინდივიდების ინტერესები, მისი როლის გააქტიურების პრინციპი, არამედ მასთან ერთად, **ოჯახის, საერთოდ, ერის ფუძემდებლური როლისა და ფუნქციონირების სწორად გაცნობიერება.** ქართული ოჯახი (კომლი) ყოველთვის ასრულებდა ქვეყნის საზოგადოებრივი და ეკონომიკური ორგანიზმის ფუნქციას და ქართული სახელმწიფოებრიობის ერთ-ერთი ძლიერი საყრდენი (ბურჯი) იყო. მომავალშიც ასე უნდა იყოს. **ქართული სახელმწიფოს მუდმივი და უმნიშვნელოვანესი ფუნქციაა ქვეყნის სუვერენიტეტის განმტკიცება, ისტორიული განვითარების პროგნოზირება, ადამიანისა და საზოგადოების ინტერესების დაცვა, ერის მატერიალური და სულიერ მოთხოვნილებათა მაქსიმალური დაკმაყოფილება.** სახელმწიფო ერთადერთი სუბიექტია საზოგადოებრივ ურთიერთობებში, რომელსაც შეუძლია უზრუნველყოს საზოგადოებაში ძველი და ახლად აღმოცენებული ინტერესების დაბალანსება, საზოგადოებრივ ურთიერთობათა მთლიანობით სისტემის ელემენტების ურთიერთმოქმედების ეფექტიანობა. ასეთი ფუნქციის შესრულებას შეძლებს მხოლოდ ისეთი სახელმწიფო, რომელიც სამართლებრივი, ეკონომიკური და ორგანიზაციული აგებულებით, მიზნებითა და მათი რეალიზაციის მექანიზმებით ეყრდნობა დემოკრატიისა და სამართლიანობის საყოველთაოდ აღიარებულ პრინციპებს და ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ინტერესების დაცვის პრიორიტეტს.

საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური სისტემა (მოდელი) არც ერთი სხვა ქვეყნის თარგზე არ უნდა შეიქმნას. ეროვნული ეკონომიკური სისტემა ქვეყნის თვითმყოფადობის, ეფექტიანობისა და სამართლიანობის პრინციპებს ეყრდნობა. ასეთ სისტემად გვესახება შერეული (მრავალსუბიექტიანი) **სოციალურად ორიენტირებული ეკონომიკა.** იგი ეკონომიკური (მრავალსუბიექტიანობა), **სამართლებრივი** საკუთრების ფორმების პლურალიზმი), **ორგანიზაციული** (ბაზრისა და სახელმწიფოს სიმბიოზი), **მმართველობითი** (განვითარების სტრატეგიული დაგეგმვა და მართვა), **ზნეობრივი** (ადამიანის კეთილდღეობის თანაბარი შესაძლებლობების შექმნა) პრინციპების ერთობლიობას ეფუძნება და ემსახურება მკაფიოდ გამოხატულ სოციალურ-პოლიტიკურ მიზანს – ცხოვრების მაღალი დონის (ხარისხის) მიღწევასა და სტაბილიზაციას.

განვითარების პრიორიტეტები

ქვეყნის განვითარების ნებისმიერ ეტაპზე განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს პრიორიტეტების სწორად განსაზღვრას. ერთმანეთისგან უნდა განვასხვავოთ **ზოგადეროვნული, საერთო-სახელმწიფოებრივი, რეგიონული, ეტაპობრივი, დარგობრივი და სხვა სახის პრიორიტეტები.**

თითოეული პრიორიტეტის (მიმართულების) მიხედვით გამოიყოფა დარგობრივი, რეგიონული, ეტაპობრივი პრიორიტეტები. მაგალითად: **პოლიტიკურ სფეროში** – ინსტიტუციური გარდაქმნები, **ეკონომიკის სფეროში** – ენერგეტიკის, მრეწველობის, სურსათის წარმოების, ტურიზმის განვითარების, **სოციალურ სფეროში** – დემოგრაფიული სიტუაციის გაუმჯობესება, სიღარიბის დაძლევა და სხვ. **რეგიონულ სფეროში** – რეგიონის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაჩქარება და სხვ.

ქვეყნის ეკონომიკის ეფექტიანობა მნიშვნელოვანწილად განისაზღვრება მისი დარგობრივი სტრუქტურით. **ამჟამად და მომავალშიც ეროვნული ეკონომიკის სიცოცხლისუნარიანობის უზრუნველყოფის ფუნქცია მრეწველობამ უნდა შეასრულოს.** იგულისხმება, რომ იგი მაღალ ტექნოლოგიებსა და მენეჯმენტის თანამედროვე სისტემებს უნდა ეყრდნობოდეს. ამასთან, საქართველოში უახლოეს პერსპექტივაში ეკონომიკის ექსტენსიური განვითარება გარდაუვალია (დასაქმების პრობლემის გადაწყვეტა ამ პროცესთან მნიშვნელოვნადაა დაკავშირებული). აღსანიშნავია ისიც, რომ **ბოლო წლებში ეკონომიკის დეინფლაციური პოლიტიკის ძლიერდება, რაც მომავალში დეინფლაციური პოლიტიკის საშიშ პროცესს გააღრმავებს. ამიტომ განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს მრეწველობის, როგორც დარგის სიცოცხლისუნარიანობის უზრუნველყოფას.** უპირველესად, უნდა ნავახალისოთ ისეთი საწარმოების განვითარება, რომლებიც ხელს შეუწყობენ ეროვნული მეურნეობის კომპლექსურ განვითარებას – ეს ეხება გადამამუშავებელ მრეწველობას. განსაკუთრებით სოფლის მეურნეობის ნედლეულის გადამამუშავებას, საწარმოო და სოციალური ინფრასტრუქტურის სფეროს განვითარებას, ახალი ტექნოლოგიების წარმოებას.

სამრეწველო პოლიტიკაში უნდა გამოიკვეთოს სახელმწიფოს, როგორც მესაკუთრის ფუნქციები და როლი. ჩვენი აზრით, რიგი დარგები (ენერგეტიკა, რკინიგზა, მომპოვებელი მრეწველობის განსაკუთრებული მნიშვნელობის საწარმოები, ბუნებრივად მონოპოლიური დარგები და სხვა) მიზანშეწონილია დარჩეს სახელმწიფო საკუთრებაში, ან შერეული (სახელმწიფო-კომერციული) ფორმით. აუცილებელია მრეწველობის (საერთოდ ეკონომიკის) მდგრადი განვითარების სტრატეგიაზე გადასვლა (ბუნების დამზოგველ, უნარჩენო და ბუნების აღმდგენი ტექნოლოგიების გამოყენება). მრეწველობაში ფართოდ უნდა გამოიყენოთ მცირე და საშუალო მენარმეობის განვითარების ქვეყანაში არსებული ხელშემწყობი ეკონომიკური და ორგანიზაციული პირობები. **საქართველოს**

მრეწველობის, საერთოდ ეკონომიკის განვითარების უმთავრესი პირობა-ფაქტორი ენერგეტიკის დიდი პოტენციალის ოპტიმალური ამოქმედებაა.

აგრარული მეურნეობის ეფექტიანი ფუნქციონირება უნდა განვიხილოთ, როგორც ქართული სახელმწიფოებრიობის განმტკიცების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფაქტორი. ამჟამად სოფლის მეურნეობაში შექმნილი მდგომარეობა უნდა შეფასდეს როგორც კრიზისული (საგანგებო) და მისი დაძლევისთვის აუცილებელია კომპლექსურ ღონისძიებათა შემუშავება და თანმიმდევრულად განხორციელება.

ეკონომიკაში, განსაკუთრებით სოფლის მეურნეობაში, რთული პრობლემების გადაწყვეტაში განმსაზღვრელი როლი კოოპერაციას ეკუთვნის. მის გარეშე შეუძლებელია პროდუქციის წარმოება-გადამამუშავება-რეალიზაციის ერთიანი სისტემის ფორმირება და ეფექტიანი ფუნქციონირება. მიზანშეწონილია მიღებულ იქნას კანონი „**კოოპერაციის შესახებ**“. საჭიროებისამებრ შეიძლება გამოყენებულ იქნას შერეული საწარმოების შექმნა-ფუნქციონირების პრაქტიკა (მაგალითად, გადამამუშავებელი საწარმოები, ასევე მომსახურების სერვის-ცენტრები და სხვ.) სახელმწიფოს და კერძო სექტორის სახსრებით აშენდეს. ფართოდ უნდა გამოვიყენოთ ლიზინგი.

უნდა შეიქმნას აგრარული განვითარების ფონდი, რომელიც უზრუნველყოფს სოფლის მეურნეობისა და ამასთან დაკავშირებული დარგების განვითარების მომსახურებას. სახელმწიფო სისტემაში უნდა შეიქმნას მრავალდარგოვანი მეურნეობისთვის კადრების მომზადების ერთიანი სისტემა. სოფლის მეურნეობის სახელმწიფოებრივი რეგულირება საბაზრო ურთიერთობათა პირობებში სრულიად ახალ შინაარსს იძენს. იგი უპირველეს ყოვლისა, პარტნიორობას, ინტერესთა შეთანაწყობას და ურთიერთობათა ახალ ფორმებს გულისხმობს, რაც არ შელახავს დამოუკიდებელი მენარმის სამეურნეო, ეკონომიკურ, უფლებრივ და სხვა ინტერესებს.

დიდი რეზერვებია შიდა რეგიონთაშორისო კოოპერაციის (ინტეგრაციის) განვითარებისათვის. განსაკუთრებით ეს ეხება წარმოების, მეცნიერულ-ტექნიკურ, ინფორმაციულ და მომსახურების სფეროს. გარდამავალ პერიოდში კოოპერაციამ შეიძინა უნიკალური ფუნქცია: **ქვეყნის შიგნით, რეგიონებს შორის ხელი შეუწყოს სახელმწიფოს პოლიტიკური და ეკონომიკური სიმტკიცის ჯანსაღი მატერიალური და ორგანიზაციული საფუძვლების მომზადებას. ამიტომ, სწორად უნდა მივიჩნიოთ, რომ რეგიონების საწარმოებს (საერთოდ ეკონომიკის სექტორებს) შორის კავშირების გაფართოება (ფრანჩაიზინგი, ერთობლივი საწარმოები და სხვ.) ყოველმხრივ ხელს შეუწყობს ინოვაციურ აქტიურობას, რესურსების ეფექტიანად გამოყენებას, რის კების გადანაწილებას და სხვ. რაც მთავარია, ასეთი ურთიერთობები განამტკიცებს ქვეყნის ერთიანი სამეურნეო კომპლექსის ფორმირებასა და სიცოცხლისუნარიანობას.**

აღსანიშნავია, რომ კორპორატიული ეკონომიკა საქართველოსთვის ახალი მოვლენაა. იგი ფაქტობრივად ეფუძნება მსხვილ სამეურნეო სტრუქტურებს, რომლებიც წარმოებისა და კაპიტალის კონცენტრაციის ხელსაყრელ პირობას ქმნიან. ერთ-ერთი ნიშანთვისება, რომელიც კორპორატიულ ეკონომიკას საერთოდ ახასიათებს ისაა, რომ გლობალიზაციის პროცესში ტრანსე-როვნული კომპანიების ეროვნულ ეკონომიკაში შემოსვლის მიზნის „გაფილტვრის“ შესაძლებლობას ქმნის, რაც გეოეკონომიკური სტრატეგიის ძლიერი ბერკეტი იქნება. წარმოების განვითარების მასტიმულირებელი ფუნქცია შეუძლია შეასრულოს ადგილობრივ პრობლემებს მორგებულმა ფრანჩაიზინგის სისტემამ, რომელიც სახელმწიფოებო ურთიერთობებს ეფუძნება (მსხვილი სტრუქტურა თავის უფლებამოსილებას გადასცემს მცირე საწარმოს ვთქვათ, საკონსერვო წარმოებას), რათა მან გამოიყენოს მისი სავაჭრო მარკებით და რეკლამით სარგებლობის უფლება. ამასთან ანოდებს საქონელს, ტექნოლოგიებს, ეხმარება ფინანსურად და სხვა.

თანამედროვე მსოფლიოში სოციალურ-ეკონომიკური განვითარების თვალსაზრისით, ახალი მოვლენები (ტენდენციები) გამოვლინდა. ერთ-ერთი მათგანია ქალაქის მოსახლეობის საცხოვრებლად სოფელში გადასვლა. ეს პროცესი, რომელსაც რურალიზაციას ეძახიან, დასავლეთის განვითარებულ ქვეყნებში, ფართო მხარდაჭერით სარგებლობს. საქართველოში რურალიზაციის პროცესის გაძლიერების ფსიქოლოგიური და ორგანიზაციული წინაპირობები შექმნილია, საჭიროა პროცესის მატერიალური საფუძველი მომზადდეს. ეს კომპლექსური მოვლენაა და პრობლემების ურთიერთგანპირობებულობის მაღალი ხარისხით ხასიათდება. ამიტომ, საჭიროა პროცესის სახელმწიფოებრივი რეგულირება. პენსიების თუნდაც საარსებო მინიმუმის დონემდე გაზრდა, სოფლად საწარმოო და სოციალური ინფრასტრუქტურის თუნდაც მინიმალურ დონეზე განვითარება, სოფლის მეურნეობის პროდუქციის გადამამუშავებელი მცირე სიმძლავრეთა აშენება-ფუნქციონირება და სხვა ღონისძიებათა განხორციელება მნიშვნელოვნად ხელს შეუწყობს ქალაქის მოსახლეობის თანდათანობით გადასვლას სოფელში. განსაკუთრებით იქ, სადაც მიტოვებული ნასახლარია, ან აგარაკები აქვს მოსახლეობას. დღეს თბილისის გარშემო ადრინდელი მსხვილი მეურნეობების ბაზაზე ათიათასობით ჰამინის ნაკვეთი, ბევრგან საცხოვრებელი ფართით, ფაქტობრივად გამოუყენებელია. უფრო მეტიც, საქართველოს სოფლის მოსახლეობის დიდი ნაწილი დედაქალაქშია და დროებითი სამუშაოს ძიებაში კარგავს დროს. ეს უმწვავესი სოციალურ-ეკონომიკური პრობლემა სახელმწიფოებრივ რეგულირებას მოითხოვს.

რაც შეეხება ეკონომიკის სხვა დარგების (სფეროების) განვითარებას, საბაზრო ინფრასტრუქტურის სრულყოფას და სხვ. უნდა განისაზღვროს საერთო სახელმწიფოებრივი პრიორიტეტების შესაბამისად, მათი როლისა და ფუნქციონირების გათვალისწინებით. ეკონომიკის კრიზისიდან გამოსვლას და საჭი-

რო ტემპებით განვითარებას სჭირდება შესაბამისი საინვესტიციო გარემო. ქვეყნის ეკონომიკაში შექმნილი კრიზისული მდგომარეობის გამო აუცილებელია გარედან ინვესტიციების მოზიდვა, რაც სწორად (სახელმწიფოებრივად) გააზრებულ მიდგომას მოითხოვს. სახელმწიფომ უნდა განსაზღვროს ის სფეროები (დარგები), სადაც ინვესტიციების ჩადება ხელს შეუწყობს ეროვნული ეკონომიკის გაფართოებულ კვლავწარმოებას. ხელი უნდა შეეწყოს ერთობლივი საწარმოების, თავისუფალი ზონების, ლიზინგებისა და სხვა ფორმების ფართოდ გამოყენებას. ყოველმხრივ, პოლიტიკურად, ეკონომიკურად, მორალურად, სამართლებრივად უნდა წავახალისოთ ქართველი „ახალი მდიდრების“ კაპიტალის ეროვნულ ეკონომიკაში განთავსების პროცესი. მათ დიდი რესურსები აქვთ, რომელთა რაციონალურად გამოყენება ქვეყანას წაადგება.

საინვესტიციო პოლიტიკაში დიდი მნიშვნელობა ენიჭება ბანკებს. უპირველეს ყოვლისა, მათ უნდა დააფინანსონ ეკონომიკის რეალური სექტორი, ის მიმართულებანი, სადაც უფრო მეტი სამუშაო ადგილები იქმნება (მრეწველობა, სოფლის მეურნეობა, მშენებლობა და სხვ.).

გლობალურ პროცესებში ეროვნული ეკონომიკის ჩართვამ მოითხოვა ინფორმაციული უზრუნველყოფის თვისებრივად ახალი სისტემის შექმნა. ამჟამინდელი მაჩვენებლები **მეპი, მშპ, ადამიანის პოტენციალის განვითარების ინდექსი** და სხვა, რომლებიც გამოიყენება ქვეყნების ცხოვრების დონის შეფასებისათვის, საკმარისი არ აღმოჩნდა ეკონომიკაში კრიზისული მოვლენების პროგნოზირებისათვის. მაგალითად, როგორც პრაქტიკამ გვიჩვენა **მშპ არ გამოდგება ეკონომიკის მდგრადი განვითარების დახასიათება-შეფასებისათვის.** ამიტომ საჭიროა შეიქმნას სტატისტიკურ მაჩვენებელთა ახალი სისტემა. მასში წარმოდგენილი უნდა იყოს არა მხოლოდ სოციალურ-ეკონომიკური კრიტერიუმები, **არამედ პოლიტიკური სტატისტიკის (დემოკრატიისა და სამოქალაქო საზოგადოების ფორმირების, პოლიტიკური და საზოგადოებრივი სტრუქტურების საქმიანობის, პოლიტიკური სტაბილურობის მახასიათებლების და სხვ.) მაჩვენებლებიც.**

სოციალურ-ეკონომიკური განვითარება არსებითად დამოკიდებულია პოლიტიკურ ფაქტორებზე. ერთ-ერთი მათგანია სახელმწიფოს ტერიტორიულ ადმინისტრაციული მოწყობის პრინციპი (მოდელი). ამ პრობლემის ირგვლივ აზრთა სხვადასხვაობაა. **ჩვენი აზრით, საქართველო უნდა იყოს ფედერაციული რესპუბლიკა. ფედერაციული სუბიექტებია: აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკა და მხარეები. ტერიტორიულ-ადმინისტრაციული მოწყობის სისტემაში პირველი დონე უნდა იყოს სოფელი, თემი, დაბა, ქალაქი – ადგილობრივი თვითმმართველობა.** მას აქვს საზღვრები (ტერიტორია), ქონება, ფინანსური წყაროები, ჰყავს წარმომადგენლობითი ორგანო (საბჭო, ან საკრებულო), რომელიც აირჩევა 3 წლის ვადით და ამტკიცებს მამასახლისს (გამგებელს). მეორე დონეა

– აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკა (მას საქართველოს კონსტიტუციით მინიჭებული აქვს განსაკუთრებული სტატუსი (პარლამენტი, მთავრობა, პრეზიდენტი, დროშა, კონსტიტუცია) და მხარეები, რომლებსაც ყავთ წარმომადგენლობითი ორგანო, რომელიც პარლამენტთან შეთანხმებით ამტკიცებს მხარის ადმინისტრაციის ხელმძღვანელს).

მესამე დონე (ცენტრი) – პარლამენტი, მთავრობა, პრეზიდენტი.

მართვის დონეებს შორის კონსტიტუციით გამიჯნულია უფლებამოსილებანი, საზღვრები, საკუთრება, ბიუჯეტი, ფინანსური წყაროები. პარლამენტი აირჩევა 5 წლის ვადით. იგი შედგება ორი პალატისგან. ერთ-ერთ პალატას, როგორც წესი, უხელმძღვანელებს აფხაზეთის წარმომადგენელი. ასევე აფხაზეთისთვის მთავრობაში განისაზღვრება კვოტა – მთავრობას აკომპლექტებს პარლამენტის უმრავლესობა.

ქვეყნის ეკონომიკის განვითარების სტრატეგია (ტაქტიკა) მნიშვნელოვანწილად განსაზღვრავს საგარეო (განსაკუთრებით მისი მთავარი შემადგენლის – საგარეო-ეკონომიკური) პოლიტიკას. იგი დროის ადეკვატური უნდა იყოს. დრო კი მკვეთრი ცვლელადობით, პრობლემის წარმოქმნა-განვითარების დღემდე უცნობი ნიშან-თვისებებით (გლობალიზაციის გავლენა) ხასიათდება და ქვეყნების წინაშე ახალ-ახალ ამოცანებს აყენებს. ეს თავისებურება აიძულებს ქვეყანას თავისი შესაძლებლობები, როლი, ფუნქციები ახლებურად შეაფასოს არა მხოლოდ საკუთრივ, არამედ მსოფლიო განვითარების ძირითადი ფაქტორების (განსაკუთრებული ინტერესების) გათვალისწინებითაც. საქართველოს გეოპოლიტიკური პოზიციების განმტკიცების ფონზე არა მხოლოდ ხელსაყრელი პირობები ყალიბდება, არამედ, იზრდება გამონწვევები, რისკები უსაფრთხოებისთვის.

ქვეყნის სტრატეგიული მიზანი უნდა იყოს ევროკავშირის სივრცეში სრული ინტეგრაცია. ყოველმხრივ მხარი უნდა დავუჭიროთ რუსეთთან კეთილმეზობლური ურთიერთობების დამყარებას, რუსეთის ბაზარზე ეკონომიკური სუბიექტების დამკვიდრებას. უნდა გავიცნობიეროთ, რომ საქართველოს თავისთავადობის შენარჩუნება-განმტკიცებისთვის ბენჯის ხიდზე მუდმივად, ფხიზლად და სხვათა ინტერესების გათვალისწინებითაც გავლა მოუწევს. ეს მისი ისტორიული ბედისწერაა.

გაოეკონომიკა – სტრატეგიული რეაქსია

საქართველოს ამჟამად ხელსაყრელი გეოპოლიტიკური და გეოეკონომიკური (ტრასეკა, ენერჯეტიკული დერეფანი, ყარსი-ახალქალაქის რკინიგზა და სხვ.) მდგომარეობა აქვს, ევროპისა და აზიის ქვეყნების ინტერესების შეჯერებისა და საკუთარი ეროვნული მიზნებისთვის გამოყენებით ევრაზიის სივრცეში დამკვიდრდეს ძლიერი პოლიტიკური და ეკონომიკური

სუბიექტის როლით.

გასათვალისწინებელია, რომ ქართულ ფენომენში მხოლოდ ევროპული შემადგენელი არ არის წარმოდგენილი, არამედ რეალური აზიური კომპონენტიცაა, რომელსაც ქვეყნის წარსულში ძლიერად აქვს ფესვები გადგმული. ეს ის შემთხვევაა, როცა საქართველო ევრაზიის სივრცეში წარმოდგენილია არა მისი ევროპული და აზიური ნაწილების (შემადგენლების) არითმეტიკული ჯამის სიდიდით, არამედ მასზე მეტი განზომილებით. ამას თვისებრიობას ეძახიან. სწორედ ეს აძლევს საქართველოს გეოპოლიტიკურ სივრცეში მანევრირების უნიკალურ შანსს. საქართველოს შეუძლია ექსკლუზიური როლის შესრულება კავკასიის ერთიანი ეკონომიკური სივრცის (ბაზრის) ფორმირებაში, რომელშიც სომხეთთან, აზერბაიჯანთან, ირანთან, თურქეთთან ერთად მონაწილეობას მიიღებენ რუსეთის ფედერაციის ჩრდილოკავკასიის სუბიექტები. კავკასია პლანეტის უნიკალური რეგიონია. იგი მომავალში უნდა წარმოვიდგინოთ როგორც მსოფლიო ბაზრის დიდი პოტენციალის ტერიტორიული სეგმენტი, ამიტომ პრინციპული მნიშვნელობა აქვს მისი შესაძლებლობების (რესურსების) კომპლექსურ ამოქმედებას.

გასათვალისწინებელია, რომ „დიდი აბრეშუმის გზა“ ორ კონტინენტს შორის არა მარტო ეკონომიკურ (სამეურნეო) ინტერესებს ემსახურებოდა, არამედ კულტურის სფეროს განვითარებასაც. ეს ფუნქცია მომავალშიც „აბრეშუმის გზის“ მოდერნიზებული პროექტის განხორციელება-ფუნქციონირების დონეზე, ძლიერ ფაქტორად დარჩება. ამ ისტორიული ფუნქციის განხორციელებისა და გეოპოლიტიკურ სივრცეში ერთ-ერთი წარმმართველი ლიდერის როლს ისტორიულად საქართველო ასრულებდა. ეს, უპირატესობასთან ერთად, საგანგებო და ისტორიული პასუხისმგებლობაცაა.

საქართველოს მიერ ამ როლის შესრულებას, სხვა პირობებთან ერთად, ეფექტიანი სოციალურ-ეკონომიკური სისტემა სჭირდება. სწრაფად ცვლელადი პოლიტიკური კონიუნქტურა, აზიის ფენომენის მზარდი ხასიათი, რუსეთის, ჩინეთის, ინდოეთის, ირანის, შუა აზიის ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკების განვითარების თავისებურებანი, ტენდენციები და ორიენტირები, შავი ზღვის აუზის რეგიონალური პრობლემების გადაწყვეტის კომპლექსური ხასიათი, აფრიკისა და, საერთოდ, წინააზიის რეგიონში შექმნილი ვითარება, რომლის ინიცირება აშშ-ის და ევროპის ინტერესების გავლენით მოხდა, საქართველოს უქმნის ხელსაყრელ გარემოს ევრაზიის სივრცეში მანევრირებისთვის. ეს სტრატეგიული რესურსია, რომლის გონივრულად გამოყენება ამავდროულად ეროვნული თანხმობის (შიდა ეროვნული ფაქტორების თანმიმდევრულად და ერთიანი სისტემის ამოქმედებით) მიღწევისა და სიმტკიცის გარანტიაც იქნება (გარე და შიდა ფაქტორების ერთობლიობა, როცა მათი შერწყმა ხდება ისტორიული ამოცანის განხორციელებისათვის).

წარმოდგენილი მდგომარეობის (პრინციპების) მიხედვით ქვეყნის განვითარების საგარეო სტრატეგიაში უნდა მოხდეს ამოცანებისა და პრობლემების სისტემატიზაცია, განისაზღვროს პრიორიტეტები, დროსა და სივრცეში მათი რეალიზაციის ეტაპები, თანმიმდევრობა, მექანიზმები და სხვა.

ქვეყანაში ამჟამად შექმნილი მდგომარეობა, თავისებურებანი და ტენდენციები, როცა ქვეყანა ღია ეკონომიკის პრინციპებით ფუნქციონირებს და მსოფლიო ინტეგრაციულ პროცესებშია ჩართული, როცა დრო ახალ გამონეწევებს გვთავაზობს, როცა სოციალური დაძაბული მდგომარეობა რეალურად ხელს უშლის სამოქალაქო საზოგადოებისა და სახელმწიფოებრიობის ფუნდამენტური პრინციპების განხორციელებას, ქვეყნის განვითარებას სჭირდება პროგრამული მართვა. ქვეყნის მდგრადი და უსაფრთხო განვითარების პროგრამის შედგენაში აქტიური მონაწილეობა უნდა მიიღოს საზოგადოებრივ ურთიერთობათა ყველა სუბიექტმა. ხოლო ტრიადას – სახელმწიფოს-მეცნიერებას-ეკლესიას უნდა დაეკისროს ქვეყნის განვითარების სტრატეგიის განსაზღვრისა და მისი განხორციელების კოორდინაცია. ამ შემთხვევაში უფრო მოხერხდება ეროვნულ-სახელმწიფოებრივი იდეოლოგიის საფუძველზე განვითარების უმთავრესი ფაქტორების სწორად განსაზღვრა და შეთანხმებულად ამოქმედება.

რატომ სახელმწიფოს? მხოლოდ სახელმწიფოს შეუძლია ქვეყნის განვითარების დაგროვილი გამოცდილება, ერთი მხრივ, მოსახლეობის ცოდნის (განათლების, მეცნიერების) არსებული პოტენციალი, მეორე მხრივ, და მესამე მხრივ მოსახლეობის სოციალური ენერჯია ქვეყნის აღმშენებლობის უმთავრეს ფაქტორად აქციოს. ამისათვის საჭიროა ქვეყნის განვითარებას დღევანდელი მდგომარეობის სწორი ანალიზი და პროგნოზირება, სტრატეგიის განსაზღვრა, სახელმწიფოს მშენებლობის ისტორიული გამოცდილებისა და ახალგაზრდული ენერჯიის (მემკვიდრეობითობის პრინციპი) ერთდროულად და თანმიმდევრულად ამოქმედება, განვითარების ერთიან პროცესში მათი ჩართვა. **ქვეყნის აღმშენებლობის სახელმწიფო სტრატეგიით და ხელისუფლების ლიდერობით უნდა წარიმართოს.**

რატომ მეცნიერებას? ქვეყნის განვითარების არსებული მდგომარეობის ანალიზი, პროგნოზირება, სტრატეგიის განსაზღვრა უნდა მოხდეს მეცნიერების თანამედროვე მიღწევების საფუძველზე. სწორედ მეცნიერული ცოდნა განსაზღვრავს განვითარების მრავალი ვარიანტიდან ოპტიმალურს. მეცნიერება მუდამ უნდა ასაზრდოებდეს პრაქტიკას, დროულად უნდა ასწრებდეს მის განზოგადებას და შესაბამისი კორექტივები უნდა შექმნდეს შემუშავებულ სტრატეგიაში.

რატომ ეკლესია? იგი ისტორიულ ფუნქციას ასრულებდა და ასრულებს მამულთან და ენასთან ერთად, ქართული ფენომენის მტკიცე დასაყრდენი (ღვთაებრივი საუნჯე (ილია) იყო, არის, და უნდა იქნეს მომავალშიც! ილია ამობდა: „ქრისტეს სჯული ქართველებისათ-

ვის მარტო სარწმუნოებითი აღსარება კი არ იყო. იგი ამასთან ერთად პოლიტიკური ქვითკირიც იყო საქართველოს მრავალ ნაწილების გასაერთიანებლად და შემოსაკრებად. ერთობა სარწმუნოებისა ერთობას ერისას მოასწავებდა... სხვათაშორის, ქართველი ერი ამისათვის უფრთხილდებოდა თავის რჯულს, რომელიც თავის შინაგან ღირსების გარდა, დუთაობას უწევდა ერთობასა“.

გასათვალისწინებელია, რომ ქართული ეკლესია კარგი მაგალითია სარწმუნოების და მეცნიერების ერთმანეთში ბედნიერი მორიგებისა. გამეცნიერებული სარწმუნოება და გასარწმუნოებული მეცნიერება. ეს იყო ის, რასაც სიბრძნეს ეძახიან (ილია). ამასთან, მოვალენი ვართ დღევანდელი გადასახედოდან სწორად შევაფასოთ საქართველოს სახელმწიფოებრივ მართვაში ეკლესიის როლის უნიკალური გამოცდილება. მხედველობაში მაქვს დავით აღმაშენებელ-გიორგი ჭყონდიდელის პოლიტიკური ტანდემის მოდელი. ამ მოდელის მეცნიერული შესწავლის აუცილებლობაზე სხვადასხვა დროს საკუთარი აზრი საჯაროდ გამოვთქვი (გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“, 2-3 აგვისტო, 1998წ.) მიმანჩნდა (მიმანჩნია), რომ დავით აღმაშენებელი-გიორგი ჭყონდიდელის პოლიტიკური ტანდემის მოდელის გათანამედროვეობა უნდა იყოს ქართული სახელმწიფოებრიობის აღორძინების ამოსავალი პრინციპი. ცნობილია, რომ ამ მოდელის მთავარი ღერძი ცოდნას, მეცნიერებას ეყრდნობა. ძლიერი ხელისუფლების გვერდით ნამყვანი ფიგურა იყო არა მეჭურჭლეთუხუცესი (არა ეკონომიკის სფერო), არამედ მნიგნობართუხუცესი (განათლების, მეცნიერების, საერთოდ, აზროვნების სფერო), რომელიც ეროვნულ იდეოლოგიას (მართლმადიდებლობას) ეფუძნებოდა და ორგანულად ერწყმოდა. საკითხი დგას არა წარსულის სახელმწიფოს მართვის აღიარებული სისტემის ბრმად გადმოტანაზე, არამედ საჭიროა სწორად ავხნათ, თუ როგორ და რატომ მივიდა ასეთი მოდელის (სტრუქტურის) ჩამოყალიბებამდე მაშინდელი პოლიტიკური და ფილოსოფიური აზროვნება. რა იყო ის მთავარი, რომელზეც აღმოცენდა იგი. აქვე აღვნიშნავთ, რომ დღეს ეკლესიაში მიმდინარე არაორდინალური პროცესები, თავად ეკლესიის როლისა და გავლენის მზარდი ტენდენციები, ერის კონსოლიდაციის რთული ამოცანა, რომელიც მნიშვნელოვანწილად განპირობებულია გარეფაქტორების გავლენით, აუცილებლად მოითხოვს სახელმწიფოსა და ეკლესიის საქმიანობის კოორდინაციას.

დადგა დრო, რომ ქართველმა ერმა („როგორც კრებული ისტორიით შედუღებულ ერთ-სულ და ერთხორც მკვიდრთა“) მტკიცედ განაცხადოს: „გვეყო ბატონებო ჩვენი ანწყოსი და მომავლის ბედის სხვაზედ მიგდება, ჩვენი გაჭირვების „გულის ტკივილის და წადილის პატრონი ჩვენვე უნდა ვიყვნეთ“ (ილია).

დღევანდელ თაობას ევალება მზად იყოს ამ საგანგებო და ისტორიული მნიშვნელობის ამოცანის შესრულებისთვის!

საქართველოს ეროვნული ბანკის ოქროს ბიზნესი

მსოფლიოში ოქროს სერტიფიკატების გამოშვების უმთავრესი მიზანია ქვეყნის ეკონომიკის სტიმულირება ოქროს მონეტიზაციის გზით, რაც გულისხმობს მოსახლეობის ნახალისებას – ოქრო შეინახონ ბანკებში და ამისთვის მიიღონ გარკვეული სარგებელი.

ასეთი პროცესი ხელს უწყობს ქვეყნის ეკონომიკის განვითარებას, განსაკუთრებით კი, საგადასახდელო ბალანსის გაუმჯობესებას. ოქროს სერტიფიკატების გამოშვებას გააჩნია არც ისე ხანგრძლივი ისტორია. 1882-1934 წლებში აშშ ფინანსთა სამინისტრო უშვებდა ბანკში დეპონირებულ ოქროს სერტიფიკატს, რომელიც ადასტურებდა მფლობელის უფლებას მის საკუთრებაში არსებულ ოქროზე. რუსეთის ფედერაციაში ოქროს სერტიფიკატების გამოშვებას საფუძველი ჩაეყარა 1993-1994 წლებში, რომელიც გარანტირებული იყო მთავრობის მიერ და მათგან მიღებული შემოსავალი გამოიყენებოდა ბიუჯეტის ხარჯების დასაფარავად.



ლია ელიავა
ეკონომიკის დოქტორი, პროფესორი

ოქროს სერტიფიკატებით ვაჭრობა დღესაც მიმდინარეობს მთელს მსოფლიოში, მათ შორის საქართველოშიც. ამ ბოლო წლებში საქართველოს ეროვნულმა ბანკმა დაიწყო ვაჭრობა ოქროს სერტიფიკატებით. თუმცა მის მიერ ოქროს სერტიფიკატებით ვაჭრობის პოლიტიკა მკვეთრად განსხვავდება მსოფლიოში ჩამოყალიბებული პრაქტიკისაგან.

საქართველოში ოქროს ბირჟის განვითარების ხელშეწყობის მხარდასაჭერად ეროვნულმა ბანკმა შეიმუშავა ოქროს სერტიფიკატებით ვაჭრობის წესები, რომლებიც ამოქმედდა 2012 წლის 1 თებერვლიდან.¹ ამ წესების თანახმად, ნებისმიერ პირს შეუძლია ეროვნული ბანკისგან შეიძინოს ოქროს სერტიფიკატები მხოლოდ საქართველოში მოქმედი კომერციული ბანკების მეშვეობით. სერტიფიკატების ყიდვისა და გაყიდვის პროცესი უნდა ხორციელდებოდეს ახლადშექმნილ ოქროს ბირჟაზე.

ერთი შეხედვით, სრულიად მისაღები და კანონზომიერია ეროვნული ბანკის ძალისხმევა – ოქროს ბაზრის განვითარების ხელშეწყობა, ამ მიზნით ოქროს ბირჟის შექმნა და ოქროს სერტიფიკატებით ვაჭრობის დაწყება. თუმცა, საკითხის სიღრმისეულმა შესწავლამ წარმოშვა ბევრი კითხვა, რომელიც დღესაც, ხშირ შემთხვევაში, პასუხგაუცემელია.

მიუხედავად იმისა, რომ ეროვნული ბანკის დეკლარირებული მიზანია ოქროს ბაზრის განვითარება, მის მიერ ოქროს სერტიფიკატების გამოშვების რეალური მიზანი მაინც ბურუსითაა მოცული. პირველი, რაც თავიდანვე იწვევს გაკვირვებას, არის ის გარემოება, რომ ეროვნულმა ბანკმა საკუთარ თავს უწოდა “**ოქროს სერტიფიკატების პირველადი ბაზარი**”. საქმე იმაშია, რომ ეროვნული ბანკი ოქროს სერტიფიკატების რეალიზაციას ახდენს თავისი “**ბროკერი**” კომერ-

ციული ბანკების მეშვეობით, უფრო სწორად, მათი შუამავლობით, პირდაპირ საბოლოო მომხმარებელზე. ამის იქით სერტიფიკატების მოძრაობას არა აქვს ადგილი. არადა, პირველადი ბაზრის არსებობა უნდა გულისხმობდეს მეორად ბაზარსაც. ანუ ლოგიკურია ვივარაუდოთ, რომ თუ ეროვნული ბანკის მიზანს მართლაც წარმოადგენს ოქროს ბაზრის განვითარება, იგი შექმნიდა შესაბამის სამართლებრივ და ეკონომიკურ გარემოს იმისთვის, რომ კომერციული ბანკები დაინტერესებულნი იქნებოდნენ ჯერ ეროვნული ბანკისგან შეესყიდათ ნაღდი ოქრო, ხოლო, შემდგომ საკუთარი სახელით განეთავსებინათ იგი ბაზარზე სერტიფიკატების სახით, როგორც ამას ადგილი აქვს სხვა ქვეყნებში ცივილიზებული ოქროს ბაზრის პირობებში. მაგრამ დღეს ასე არ ხდება და, სავარაუდოდ, როგორც ჩამოყალიბებული ტენდენცია გვიჩვენებს, არც უახლოეს მომავალში მოხდება.

მიზეზი არის ძალიან მარტივი. **ჯერ ერთი, ეროვნული ბანკი კომერციულ ბანკებს ვერ მიყიდის მის ბალანსზე არარსებულ ოქროს ლითონს, რომლის ფასი ბანკებისათვის მიუღებელია. მეორე, კომერციული ბანკები ეროვნულ ბანკზე ბევრად უკეთ ფლობენ სიტუაციას ბაზარზე, იციან ეროვნული ბანკის მიმართ მოსახლეობისა და ინვესტორების ნდობის ხარისხი და კარგად ესმით, რომ მათ მიერ ოქროს შეძენის შემთხვევაში ვერ გაყიდიან ოქროს სერტიფიკატებს.** კომერციული ბანკების ამ პოზიციის გათვალისწინებით ეროვნულმა ბანკმა თავის ოქროს ბიზნეს ინიციატივაში კომერციულ ბანკებს მისცა საშუალება ხელი მოეთხოთ მიამიტი ინვესტორებისგან აკრეფილი საკომისიოებით.

იმაზე, რომ ეროვნული ბანკის მიერ წამოწყებული ოქროს ბიზნესი ჯერ-ჯერობით არაეფექტიანია და პრაქტიკულად არაფრის მომცემი, მეტყველებს ოქროს სერტიფიკატებით ვაჭრობის სტატისტიკა (იხ. ცხრილი 1).

1 http://www.nbg.gov.ge/uploads/legalacts/fasianikagaldebi/2012/oqros_sertifikatis_debuleba_29_05_12.pdf

ეროვნული ბანკის ოქროს სერტიფიკატებით ვაჭრობა 2012 წლის თებერვლიდან 2013 წლის ივლისამდე

ვაჭრობის თარიღი	20 გრამი ნომინალის ოქროს ზოდის სერტიფიკატი		1 უნცია ნომინალის ოქროს საინვესტიციო სერტიფიკატი	
	შესყიდვის ფასი, ლარი	რაოდენობა	შესყიდვის ფასი, ლარი	რაოდენობა
1 თებერვალი 2012	1,958.9	3		
18 ივლისი 2012	1,751.6	2		
20 აგვისტო 2012	1,793.54	1		
21 აგვისტო 2012			2,695.73	1
22 აგვისტო 2012	1,820.25	1		
12 სექტემბერი 2012	1,935.35	1		
3 ოქტომბერი 2012	1,992.14	4		
5 ნოემბერი 2012	1,881.55	4		
17 დეკემბერი 2012	1,897.42	4		
31 დეკემბერი 2012	1,861.26	12		
21 იანვარი 2013	1,891.64	350		
5 თებერვალი 2013	1,876.47	10		
27 თებერვალი 2013	1,795.49	4		
18 მარტი 2013	1,790.84	1		
18 აპრილი 2013	1,562.89	2		
11 ივნისი 2013			2,292.09	10

წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი www.nbg.gov.ge

როგორც ჩანს, 17 თვის განმავლობაში ეროვნულმა ბანკმა გაყიდა 399 ოქროს ზოდის სერტიფიკატი და 11 ოქროს საინვესტიციო სერტიფიკატი. ეს არის თითქმის რვანახევარი კილოგრამი ოქრო (1 ტროული უნცია = 31,1035 გრამი). ამასთან, ოქროს სერტიფიკატების მყიდველებიდან არავის მიუძღვრათავს ეროვნული ბანკისთვის ოქროს ზოდის გამოსატანად.

ამრიგად, ასეთი სტატისტიკის პირობებში საუბარი ოქროს ბირჟის განვითარებაზე უსაფუძვლოა. ამასთან, განსაკუთრებით საყურადღებოა საქართველოს ისედაც მწირი ოქროს მარაგის განიავების შესაძლებლობის დაშვება. ვინაიდან ეროვნული ბანკი უშვებს არარეზიდენტების მიერ ეროვნული ოქროს შესყიდვასა და მის ქვეყნის საზღვრებს გარეთ გატანის შესაძლებლობას, ბუნებრივია, ეს შეიცავს გარკვეულ საფრთხეებს. ქვეყნის ოქროს საბაზოებიდან მოპოვებული ოქროს მოძრაობა გაურკვეველი მიმართულებით კიდევ უფრო ამწვავებს ეროვნული ბანკის ოქროს მწირი მარაგების ამინურვის პრობლემას. მსოფლიოს ყვე-

ლა ქვეყნის ცენტრალური ბანკი ცდილობს გაზარდოს საკუთარი ოქროს მარაგი როგორც ქვეყნის ფინანსური სისტემის სტაბილურობის გარანტი, რასაც, გამომდინარე ზემოაღნიშნულიდან ვერ ვიტყვით საქართველოს ეროვნულ ბანკზე.

მიზეზი იმისა, თუ რატომ ვერ განვითარდა ოქროს ბირჟა საქართველოში, უნდა ვეძიოთ ეროვნული ბანკის მიერ ოქროს სერტიფიკატებით ვაჭრობის დადგენილ წესებსა და პროცედურებში.

საქართველოს ეროვნული ბანკი უშვებს ორი სახის ოქროს სერტიფიკატს: **ოქროს ზოდის სერტიფიკატს და ოქროს საინვესტიციო სერტიფიკატს. ორივე სახის სერტიფიკატი წარმოადგენს უვადო და უპროცენტო ფასიან ქალაღს, რომლის გადაცვლა შესაძლებელია სტანდარტიზირებულ ოქროს ზოდებზე. მათ შორის განსხვავება იმაშია, რომ ოქროს ზოდის სერტიფიკატის შემთხვევაში ეროვნული ბანკი იღებს ვალდებულებას საკუთრებაში იქონიოს სერტიფიკატის შესაბამისი სტანდარტიზირებული**

ოქროს ზოდი, ხოლო, ოქროს საინვესტიციო სერტიფიკატის შემთხვევაში ეროვნულ ბანკს ასეთი სახის ვალდებულება არ გააჩნია.

უნდა აღინიშნოს, რომ ოქროს ზოდის სერტიფიკატის მყიდველს არ მიეწოდება სათანადო ინფორმაცია გადაწყვეტილების მისაღებად. კერძოდ, მისთვის უცნობია რამდენად უტყუარია ეროვნული ბანკის დაპირება იმის შესახებ, რომ მას გააჩნია გაყიდული სერტიფიკატების შესაბამისი ოქრო. ეჭვს იწვევს ის გარემოება, რომ ეროვნული ბანკის ბალანსზე ოქრო საერთოდ არ არის აღრიცხული. ამიტომაც რისკიანი მყიდველი იძულებულია ბრმად უნდა ენდოს ეროვნული ბანკის შეპირებას სერტიფიკატის ოქროს სტანდარტიზირებული ზოდით განაღდება შესახებ.

არადა, ამ საკითხში მსოფლიო პრაქტიკა კი უფრო გამჭვირვალედ გამოიყურება. ასე, მაგალითად, უხცოური ქვეყნის ბანკები ინვესტორს უხსნიან ლითონის ანგარიშს (Allocated metal account), სადაც აღრიცხულია ბანკისათვის შესანახად გადაცემული ძვირფასი ლითონები დასახელების, სინჯის, მწარმოებლის, სერიული ნომრის და სხვა რეკვიზიტების მითითებით. სხვა ოპერაციების სანარმოებლად ასეთი ძვირფასი ლითონის გამოყენების უფლება ბანკს არ გააჩნია. მეანაბრეზე კი გაიცემა სერტიფიკატი, სადაც მითითებულია მის საკუთრებაში მყოფი ზოდების რაოდენობა და მათი მახასიათებლები. ეს არის ძვირფასი ლითონის ბანკის სადეპოზიტო სეიფში შენახვის ანალოგი. ლითონის შენახვისთვის მეანაბრე იხდის გარკვეულ საზღაურს. ასეთი სახის ლითონის ანგარიში წარმოადგენს ბანკის უპირობო ვალდებულებას, რომ მას გააჩნია კონკრეტული ოქროს ზოდები, რომლებითაც უზრუნველყოფილია კონკრეტული ოქროს სერტიფიკატი.

ჩვენს სინამდვილეში კიდევ უფრო ბუნდოვანია იმ პირის პერსპექტივები, რომელიც შეიძენს ოქროს საინვესტიციო სერტიფიკატს. ინვესტორი ფაქტიურად

ყიდულობს ელექტრონულ ჩანანერს, ვინაიდან ოქროს საინვესტიციო სერტიფიკატი არის არაუზრუნველყოფილი ვალდებულება და ეროვნულ ბანკს მისი შესაბამისი ოქროს ზოდები არ გააჩნია. გამომდინარე აქედან, შეიძლება ითქვას, რომ ოქროს მაგივრად ეროვნული ბანკი ჰყიდის ჰაერს, ე.წ. ელექტრონულ დაპირებას.

საერთაშორისო პრაქტიკაში არსებობს ლითონის ანგარიშის ნაირსახეობა (Unallocated metal account), რომლითაც მეანაბრე ფლობს ძვირფას ლითონებს განუპიროვნებელი სახით. ეს ნიშნავს, რომ თეორიულად ბანკი ადასტურებს მეანაბრის მიერ ლითონის გარკვეული ოდენობის ფლობას გაცემული სერტიფიკატის მეშვეობით, ოღონდ, არ მიუთითებს ამ ლითონის ინდივიდუალურ მახასიათებლებს, როგორცაა: **მწარმოებელი, სერიული ნომერი, წარმოების წელი** და სხვ. თუ მეანაბრე მოისურვებს ნაღდი ლითონის გამოტანას ბანკიდან, იგი მას ღებულობს უპირობოდ. მეტი წილი არაგანპიროვნებელი ანგარიშების პირობებით მეანაბრეს შეუძლია ივაჭროს თავისი სერტიფიკატებით და მონაწილეობა მიიღოს ოქროს ლიზინგის პროგრამაში. კიდევ ერთი ანგარიში (Pool account) - გაერთიანებული ანგარიშის ოქროს სერტიფიკატები გამიზნულია იმ ინვესტორებისთვის, რომლებსაც სურთ შეიძინონ ძვირფასი ლითონის 1000 ტროულ უნციაზე ნაკლები ოდენობა. მაგალითად, მინიმალური ინვესტიცია პერტის ზარაფხანის ოქროს სერტიფიკატების პროგრამაში (Perth Mint Certificate Program, PMCP) მონაწილეობის მისაღებად შეადგენს 10 000 აშშ დოლარს. ეს არის ერთადერთი პროგრამა, რომელიც გარანტირებულია ავსტრალიის მთავრობის მიერ.¹

ეროვნული ბანკი ასეთი სახის გარანტიებს არ იძლევა. უფრო მეტიც, როგორც ირკვევა, მას ოქრო არ აქვს აღრიცხული ბუღალტრულ დოკუმენტებში, ხოლო, მის საცავებში არსებული ოქროს აუდიტის ჩატარე-

1 <http://www.perthmint.com.au/>





ბის შესახებ ფართო საზოგადოებისთვის ინფორმაცია ხელმიუწვდომელი და გაუმჭვირვალეა.

არანაკლებ საყურადღებოა ოქროს სერტიფიკატების განაღდების პროცედურა. ოქროს ზოდის სერტიფიკატის შემთხვევაში ეროვნული ბანკი მყიდველს პირდება ოქროს ზოდის გადაცემას, თუმცა, არ აკონკრეტებს გაცემის ვადებს, ხოლო, საინვესტიციო ოქროს სერტიფიკატის განაღდება კი საერთოდ ეფემერულ პროცესს წააგავს: ეროვნული ბანკი ჯერ იღებს გადაწყვეტილებას მისი განაღდების შესახებ, ხოლო, 35 დღის გასვლის შემდეგ მესაკუთრემ შესაძლოა მიიღოს ნაყიდი ოქროს ზოდი. ამასთან, თუ ეროვნულ ბანკს არ აღმოაჩნდა შესაბამისი ოქროს ზოდი, იგი მას უკვე თავს უცხოურ დამამზადებელ კომპანიას. თუ ამ კომპანიის მიზეზით ვერ განხორციელდა ოქროს ზოდების დამზადება და მიწოდება დადგენილ ვადებში, მაშინ ეროვნული ბანკი მიმართავს სხვა დამამზადებელ კომპანიას და ეს პროცესი შეიძლება გაგრძელდეს საკმაოდ დიდხანს. იმავდროულად ეროვნული ბანკი იტოვებს უფლებას – არ გაანაღდოს ორივე სახის ოქროს სერტიფიკატი იმ შემთხვევაში, თუ მისთვის მიუღებელი აღმოჩნდა საერთაშორისო ბაზარზე ოქროს საბაზრო ფასი.

ოქროს ზოდების გაცემის პროცედურის გაჭიანურება და გართულება მიუთითებს იმაზე, რომ ეროვნული ბანკის ინტერესებში ნაკლებად შედის სტანდარტიზირებული ოქროს გაცემა. მისთვის უფრო სარფიანია ივაჭროს გაყიდული ოქროს სერტიფიკატებით საერთაშორისო ბაზრებზე და ამისთვის მიიღოს სარგებელი. გარდა იმისა, რომ ინვესტორებს შეიძლება ხელზე შერჩეთ მხოლოდ ეროვნული ბანკის დაპირება და ვერ მიიღონ მისგან ნაყიდი ოქროს ზოდები, ისინი ოქროს სერტიფიკატების ყიდვით ეროვნულ ბანკს საშუალებას აძლევენ ამ სერ-

ტიფიკატებზე მიიღოს სარგებელი ისე, რომ არაფერი გადაუხადოს ინვესტორს. საქმე იმაშია, რომ ეროვნული ბანკი აპირებს გაყიდული ოქროს განათავსოს საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებში და მართოს ისე, როგორც საერთაშორისო რეზერვები. გარდა იმისა, რომ ეროვნულ ბანკს ექმნება შესაძლებლობა ქვეყნიდან ოქროს გაიტანოს ლეგალური გზით, იგი ასეთი ოპერაციის განხორციელებისთვის მიიღებს გარკვეულ საზღაურს, რომლის ინვესტორზე განაწილების ვალდებულებასაც კი არ იღებს საკუთარ თავზე. ამ შემოსავლის გარდა, ოქროს სერტიფიკატის ფასში ეროვნული ბანკი ოქროს საერთაშორისო ფასთან ერთად ითვალისწინებს საკუთარ მარჟასაც და სერტიფიკატის განაღდების, ანუ ზოდის გამოტანის საკომისიოს, რომელიც ასევე წარმოადგენს მისი შემოსავლის წყაროს. ფაქტიურად, ეროვნულმა ბანკმა წამოიწყო ახალი ბიზნესი, რომელიც შესაძლოა საკმაოდ სარფიანი აღმოჩნდეს მისთვის, თუ მან შეძლო მაღალ რისკებზე მოთამაშე ინვესტორების საკმარისი რაოდენობის მოზიდვა.

მსოფლიოში სერტიფიკატების რამდენიმე სახე არსებობს, იგი საინტერესო იქნება პოტენციური ინვესტორისთვის, განსაკუთრებით საქართველოს მოქალაქისთვის, რომელიც მოკლებულია როგორც შესაბამის ინფორმაციაზე წვდომას, ასევე სათანადო ფინანსურ შესაძლებლობებს. მსოფლიოში ყველაზე გავრცელებულია შემდეგი სახის ოქროს სერტიფიკატები:

- **Open End უვადო ოქროს სერტიფიკატი**, რომელიც მონაწილეობას იღებს ოქროს ფასის ფორმირებაში, ვინაიდან ოქროს ფასდება აშშ დოლარში, ოქროს ფასი ყოველთვის მიბმულია გაცვლით კურსზე და გავლენას ახდენს Open End ოქროს სერტიფიკატის ღირებულებაზე;



- Quanto ოქროს სერტიფიკატი გულისხმობს დამატებით გარანტიებს გაცვლითი კურსის ვარდნისას. დაცვა გაცვლითი კურსის ცვლილებისგან ვრცელდება როგორც დაბანდებულ კაპიტალზე, ასევე, შესაძლო სარგებელზე. Quanto ოქროს სერტიფიკატი არის უფადო და ზემოქმედებს ოქროს ფასზე ევროთი;

- Mini Future ოქროს სერტიფიკატის მეშვეობით შესაძლებელია გაცვლით კურსზე ზემოქმედება. Mini Future Long ოქროს სერტიფიკატით შესაძლებელია სარგებლის მიღება ოქროზე ფასის ზრდის შემთხვევაში, Mini Future Short ოქროს სერტიფიკატით კი სარგებლის მიღება ოქროზე ფასის ვარდნის შემთხვევაში;

- Discount ოქროს სერტიფიკატი მომგებიანი ოქროზე ფასის მცირე ცვლილებისას. ფასის მნიშვნელოვანი ზრდის შემთხვევაში ამ სერტიფიკატის დაფინანსება ხდება მოგებაზე უარის თქმის გზით.

არანაკლებ დამაფიქრებელია ეროვნული ბანკის პოზიცია გაყიდული ოქროს სერტიფიკატების სანაცვლოდ გაცემული სტანდარტიზირებული ოქროს ზოდების მიმართ. საქმე იმაშია, რომ ეროვნული ბანკიდან გასული სტანდარტიზირებული ზოდი მისთვის უკვე აღარ არის სტანდარტიზირებული, მიუხედავად იმისა, დარღვეულია თუ არა ოქროს ზოდის შეფუთვისა და მისი მთლიანობის სტანდარტი. ეს გარემოება ბალებს ბევრ კითხვას, რომელთა შორის მთავარია ის, თუ რამდენად ენდობა ეროვნული ბანკი ოქროს ზოდების დამამზადებელ კომპანიებს. ანუ, არსებობს ალბათობა იმისა, რომ ეროვნული ბანკიდან გამოტანილი ოქროს ზოდი იყოს არა მარტო სტანდარტების შეუსაბამო, არამედ, გაყალბებულიც კი. ამის ალბათობის არსებობა დასტურდება თვით ეროვნულ ბანკის ვალდებუ-

ლებით შეცვალოს ოქროს ზოდი იმ შემთხვევაში, თუ ექსპერტიზით დადგინდა მისი შეუსაბამობა დადგენილ სტანდარტებთან.

დღევანდელ პირობებში მსოფლიო ბაზარზე ყალბი ოქროს გაყიდვა იშვიათობა როდია. ამას ადასტურებს მასმედიის მოკლე შეტყობინებები ბაზარზე ყალბი ოქროს მოძრაობის შესახებ, თუმცა ასეთ ინფორმაციას არ მოჰყოლია პრაქტიკული გადანყვებილები.

ამგვარი ინფორმაციის მიჩუმათების მაგალითად შეიძლება მოვიყვანოთ ერთი ინციდენტი, რომელიც მოხდა იტალია-შვეიცარიის საზღვარზე. 2009 წლის ზაფხულში, მსოფლიო საინფორმაციო სააგენტოების ინფორმაციის თანახმად (თქე Associated Press, Bloomberg), მილანიდან 40 კილომეტრში მდებარე პატარა სასაზღვრო პუნქტ კიასოში იტალიის ფინანსურმა გვარდიამ დააკავა ორი იაპონელი, რომლებსაც შვეიცარიაში გადაჰქონდათ აშშ ფედერალური რეზერვის 259 ობლიგაცია ნარმომდგენზე საერთო თანხით 134,5 მლრდ. აშშ დოლარი. ამ ინფორმაციის გამოქვეყნების შემდეგ იგი უკვე აღარ იძებნება სააგენტოების საიტებზე, სამაგიეროდ შემორჩა მისი კვალი სხვა რამოდენიმე საიტზე¹. საინტერესოა ის გარემოება, რომ იმავე წლის გაზაფხულზე, აღწერილ მოვლენებამდე სამი თვით ადრე, აშშ ფინანსთა სამინისტრომ განაცხადა, რომ კრიზისის დაძლევის ფონდში მას დარჩა ზუსტად 134,5 მლრდ. დოლარი ობამას ადმინისტრაციის გადარჩენის პროგრამის დასაფინანსებლად.² არსებობს

1 http://ca.news.yahoo.com/s/capress/090615/world/eu_italy_switzerland_smuggled_bonds
<http://www.japanprobe.com/?p=10797>
 2 <http://online.wsj.com/article/SB123828522318566241.html>

თუ არა რაიმე კავშირი ხსენებულ ორ მივლენას შორის, სამწუხაროდ, აღარ გახდა მასმედის შემდგომი ინტერესის საგანი.

არანაკლებ საინტერესოა 2010 წლის 11 იანვარს პაკისტანური გაზეთის Pakistan Daily ინტერნეტ-საიტზე გამოქვეყნებულ ხელმოწერილი სტატია, სათაურით “Fake gold bars in Bank of England and Fort Knox”, სადაც პირდაპირ არის საუბარი იმაზე, რომ აშშ სახაზინო ოქროს ზოდების ნაწილი, რომელიც ინახება ფორტ-ნოქსში, ყალბია.

2009 წლის ოქტომბერში ჩინელებმა აშშ-დან მიიღეს ოქროს ზოდების პარტია. ოქროს გაცვლას აქვს სისტემატური ხასიათი ქვეყნებს შორის ვალის დაფარვისა და სავაჭრო ბალანსის სალდოს რეგულირებისთვის. მსოფლიო ოქროს მეტი წილი იცვლება და ინახება სეიფებში ძვირფასი ლითონების ბაზრის მონაწილეთა ლონდონის ასოციაციის (LBMA) მეთვალყურეობით. როდესაც ჩინეთმა მიიღო ოქროს ტვირთი, მან მოითხოვა ოქროს ზოდების სინმინდისა და წონის ტესტის ჩატარება. ჩინელები გაოგნებულნი დარჩნენ, როდესაც ოქროს ზოდების მაგივრად ხელთ შეერჩათ ზემოდან ოქროს თხელი ფენით დაფარული ვოლფრამის ზოდები. დღეს ზემოხსენებული სტატია აღარ იძებნება Pakistan Daily ინტერნეტ-საიტზე, თუმცა, მისი კვალი მაინც დარჩა ინტერნეტ სივრცეში.¹

საინტერესოა აგრეთვე ინფორმაცია 2008 წლის მარტში ეთიოპიის ოქროს სკანდალის შესახებ.² ეთიოპიამ ოქროს ზოდების ექსპორტი განახორციელა სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში, საიდანაც მიიღო პრეტენზია იმის შესახებ, რომ ზოდები არ იყო ოქროსი. ეთიოპიის ცენტრალურმა ბანკმა მოახდინა მთელი თავისი ოქროს მარაგის ექსპერტიზა. შედეგად დაკავებულ იქნა ოქროს ზოდების მიმწოდებლები, საქმიანი პარტნიორები, ცენტრალური ბანკის თანამშრომლები, ოქროს ექსპერტიზაზე პასუხისმგებელი პირები და სხვა მრავალი ადამიანი, რომლებიც დაკავშირებული იყვნენ ეთიოპიის ცენტრალური ბანკის მიერ ოქროს შესყიდვებთან.

ამრიგად, არსებობს იმის ალბათობა, რომ ოქროს გაყალბებული ზოდები აღმოჩნდეს ეროვნულ ბანკში და შემდგომ გადაცემულ იქნას ოქროს სერტიფიკატების მყიდველებისთვის. როგორც ჩანს, ამიტომაც, რომ ეროვნული ბანკი გატანილ სტანდარტიზირებულ ოქროს აღარ მიიჩნევს ასეთად და მასზე იხსნის ყოველგვარ პასუხისმგებლობას. შედეგად, ინვესტორის მიერ ეროვნული ბანკიდან ოქროს ზოდის გატანის შემთხვევაში მას ხელთ რჩება მსოფლიო ფასებზე ბევრად მაღალ ფასად ნაყიდი ლითონი, რომელიც შეუძლია ნაგებით მიყიდოს იუველიერს ან სხვა პირს. **ფაქტიურად, გაუგებარია, რაში და რატომ უნდა ჩადოს ინვესტორმა ფული და რა ჰქვია ისეთი სახის ინვესტიციას, რომელიც მხოლოდ ზარალის**

მომტანია. სწორედ ეს არის იმის ძირითადი მიზეზი, რომ კომერციულ ბანკებს არ გააჩნიათ სტიმული შეიძინონ ოქრო ეროვნული ბანკისგან, მისი უზრუნველყოფით გამოუშვან ფასიანი ქაღალდები და რეალური საფუძველი ჩაუყარონ საქართველოში ოქროს ბირჟის განვითარებას.

გარდა ამისა, ეროვნული ბანკის ოქროს ბიზნესი შეიძლება იყოს საფრთხის შემცველი თვით ეროვნული ბანკის ფინანსური მდგომარეობისთვის. თუ გაყიდული სერტიფიკატების მოცულობა იქნება დიდი და ამავე დროს ოქროზე მსოფლიო ფასი ნახტომისებრად გაიზარდა, დიდი ალბათობით ინვესტორების მიერ ოქროს სერტიფიკატების ელექტრონული ჩანაწერების სანაცვლოდ მოთხოვნილი იქნება ნაღდი ოქრო. ასეთ ვითარებაში ეროვნული ბანკი ან იძულებული იქნება სასწრაფოდ შეისყიდოს ოქროს ზოდები ბევრად უფრო ძვირად, ვიდრე გაყიდა სერტიფიკატები და მნიშვნელოვნად იზარალოს, ან უარი თქვას ოქროს გაცემაზე, რაც დაშვებულია ოქროს სერტიფიკატებით ვაჭრობის წესებში.

პირველ შემთხვევაში ეროვნულ ბანკს მიადგება მხოლოდ ფინანსური ზარალი, მეორე შემთხვევაში კი მისი ავტორიტეტი და მის მიმართ ნდობა მნიშვნელოვნად შემცირდება, და ორივე შემთხვევაში დაზარალებულა სახელმწიფოს იმიჯი და მის მიმართ ინვესტორების ნდობა დაეცემა.

რთული სათქმელია, რეალურად რა მიზნებს ემსახურება ეროვნული ბანკის მოცემული ოქროს ბიზნესი, თუმცა, იმის თქმა შეიძლება, რომ იგი აღმოჩნდა არაეფექტიანი როგორც თვით ეროვნული ბანკის მიერ სარგებლის მიღების, ასევე, ოქროს ბირჟისა და მთლიანად ეკონომიკის განვითარებისთვის.

GOLD BUSINESS OF THE NATIONAL BANK OF GEORGIA

Abstract

Lia Eliava, Professor

Since the year of 2012 the National Bank of Georgia has started to deal with gold certificates. The reason for such an activity was interpreted as the contribution to the development of gold exchange market in Georgia. During the seventeen months period after dealing with gold certificates it became obvious that this kind of initiative taken by the National Bank of Georgia turned out to be inefficient as the biddings actually are not made on the gold exchange market. Failure of dealing with gold certificates is caused by ineffective work out of relevant rules and procedures by the National Bank of Georgia that does not encourage the investors to become the participants of the gold exchange market. At the same time, gold certificates of the National Bank poses a threat for the National Bank itself, investors and for the country as a whole.

1 http://www.fourwinds10.net/siterun_data/business/currentcy/news.php?q=1263489113

<http://bbs.chinadaily.com.cn/thread-658195-1-1.html>

2 <http://news.bbc.co.uk/2/hi/africa/7294665.stm>

ქართველთა კვების კულტურა

„საქართველოს ბუნებრივი მრავალფეროვნების საფუძველზე ქართველმა ერმა შექმნა მრავალნაირი საკვები და სასმელი, რომლითაც ის თავის ჯანმრთელობასაც იცავს და გემოვნების მოთხოვნილებებსაც იკმაყოფილებს.“

ივანე ჯავახიშვილი



პაატა კოლუაშვილი,
პროფესორი

საციცოცხლო უზრუნველყოფის სხვა ატრიბუტებთან ერთად სურსათი საუკუნეთა განმავლობაში ქმნიდა და განასახიერებდა ცალკეული ერების სპეციფიკურ ეთნოკულტურას. ჩვენს დროშიც კი, როცა მატერიალურ-კულტურული, საყოფაცხოვრებო და სხვა სფეროებში მიმდინარეობს ეთნიკური სპეციფიკის ინტენსიური ნიველირების (გამოთანაბრების) პროცესი, ისტორიულად ჩამოყალიბებული კვების ხალხური, ტრადიციული სისტემა კვლავაც ყოფითი კულტურის ფენომენად რჩება. მასში ვლინდება საციცოცხლო უზრუნველყოფის კულტურის მემკვიდრეობითი ფასეულობანი, ეთნოსის დამახასიათებელი თვისებები და ეროვნული თვითშეგნება.

საქართველო უძველესი, თვითმყოფადი აგრარული კულტურისა და საკვებმოპოვების მონინავე გამოცდილების ქვეყანაა. ქართველი ერის კვების ტრადიციები წინა აზიურ სივრცეში ყალიბდებოდა, რომელიც სამართლიანად ითვლება უძველესი მინათმოქმედებისა და მეცხოველეობის განვითარების კერად. ტრადიციულ საკვებ პროდუქტებზე მოთხოვნილება ქართველებში გენეტიკურია, იგი ათასწლეულების მანძილზე იხვეწებოდა როგორც გემოვნება და მკვიდრდებოდა როგორც კვების ხა-

სიათი. ყოველივე ამან განაპირობა ქართველთა განსხვავებული ჩვევები, სურვილები და მისწრაფებები ამქვეყნიურ ცხოვრებაში, რაც მინასთან მარადიული ურთიერთობის თავისებურებებიდან გამომდინარეობს.

საკვები ადამიანის მატერიალური კულტურის ერთ-ერთი ყველაზე არსებითი შემადგენელი ნაწილია. საკვების სახეობა, საკვებნარმოების წესი, კვების პერიოდულობა, ყოველდღიური და რიტუალური საკვები და სუფრის ეტიკეტი ეთნოსის კვების ხასიათს ქმნის. სხვაგვარად, კვების ხასიათი დაკავშირებულია ყოფითი კულტურის ბუნებრივ და სამეურნეო პირობებზე. მასზე გავლენას ახდენს ხალხის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დონე, ისტორიული გარემო, რელიგია და ეთნოსთაშორისი კონტაქტები.

საქართველოში კვების სისტემის და კვების კულტურის განვითარებას ხელს უწყობდა და აყალიბებდა ეკოლოგიური გარემო, სამეურნეო პირობები, ქონებრივი და სოციალური მდგომარეობა, ეთნოსის რელიგიურ-საკრალური რწმენა-ჩვეულებები.

საქართველოს ცალკეულ ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მხარეს ჰქონდა თავისი ბუნებრივი და სამეურნეო სპეციფიკა, რაც განაპირობებდა ეთნიკური ჯგუფის კვების

თავისებურებას (საკვების სახეობა, დამზადების წესი, საკვების მიღების პერიოდულობა). ეკონომიკური ინტეგრაციის პროცესში, მთისა და ბარის ინტენსიური კონტაქტების შედეგად ჩამოყალიბდა ზოგადად-თული კვების კულტურა.

ქართული კვების კულტურაში მცენარეული კომპონენტების ძირითადი მასა მოდის მინათმოქმედებიდან. მისი შემავსებელი (და არა დამხმარე) ნაწილი შემგროვებლობის პროდუქტი იყო. მეცხოველეობის განვითარებასთან ერთად, ცხოველური ნარმოშობის პროდუქტებიდან ნანადირევის ხვედრითი წონა თანდათან მცირდებოდა და ბოლოს „დელიკატესად“ იქცა. საქართველოში სამდინარო თევზჭერა სარეწაო ხასიათისა არ ყოფილა, ამიტომ თევზი ქართველთა კვების სისტემაში, როგორც ცხოველური ნარმოშობის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი კომპონენტი, იყო და არის მოპოვებითი მეურნეობის პროდუქტი.

ქართველთა კვების სისტემაში შერწყმულია ბალახოვანი ველურად მზარდი საზრდო მცენარეები და მებოსტნეობის პროდუქტები: მწვანელი, სანელებელი ბოსტნეული და მხალი; ასევე, ხიჩატელი (ტყის ხილი) და კულტურული ხილი. მემცენარეობის ტიპის ჩარჩოებში ქართველთა

ტრადიციები

კვების სისტემიდან შეიძლება გამოვყოთ მემინდვრობის ქვეტიპის კულტურული მცენარეები – ყველა საკვები ნივთიერების (ცილები, ცხიმები, ნახშირწყლები) წყარო: პარკოსანი (ცერცვი, ცერცველა, ხანჭკოლა, ოსპი, ბარდა, მუხუდო, ცულისპირა, ძაძა, უგრეხელი, ლობიო), ზეთოვანი (სელი), პურეული მარცვლეულები (ხორბალი, ფეტვი, ქერი, ჭვავი, შვრია). შერწყმული სახითაა წარმოდგენილი, ერთი მხრივ, მემინდვრობისა და მებოსტნეობის, მეორე მხრივ, მემინდვრობისა და მევენახეობის პროდუქტები. ყოველივე ეს განაპირობებს კარგად ბალანსირებულ ვეგეტარიანულ კვებას. მაგალითად, პური (სახამებელი), სელის ზეთი, პარკოსნები (მცენარეული ცილა+ნახშირწყლები), ბოსტნეული (ნახშირწყლები, ცილა, ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებები, ორგანული მჟავები), ველურად მზარდი ბალახოვანი მცენარეები (ნახშირწყალი, ცილა, დიეტური და სამკურნალო ნივთიერებები), კაკალი და თხილი (მცენარეული ცხიმები) ადამიანს აძლევს ყველა იმ აუცილებელ

ნივთიერებას, რაც უზრუნველყოფს მის ნორმალურ ცხოველქმედებას. საქართველოში ბუნებრივი სამეურნეო პირობები ყველა სოციალური ფენისთვის ყოველთვის უზრუნველყოფდა კვების იდეალურ სისტემას. ცხოველური ცილის ძირითადი წყარო, რომელიც ტრადიციულად სასიცოცხლო პირობებს ქმნიდა, არის მეცხოველეობიდან სარძევე მეურნეობა და მეფრინველეობის პროდუქტი – კვერცხი, რომელიც ითავსებდა მემინდვრობის და მებოსტნეობის პროდუქტებს (რძე + კვერცხი + პური; რძემჟავა პროდუქტები + პური + ბოსტნეული; ყველი + პური + მწვანილი; რძე + პურეული მარცვლეული; ნაღული, რძის შრატი + პური + ბოსტნეული). ცხოველური ცილის შემავსებელი წყარო მოპოვებითი მეურნეობიდან თევზია. მოხმარების ხალხური ტრადიციების მიხედვით, არასამარხვო პერიოდში ცხოველური ცილის მეორეული წყაროდ ფრინველისა (წლის ყოველ პერიოდში) და ღორის ხორცი (ზამთარი, გაზაფხული) ითვლება. ცხოველური ცხიმებიდან უპირატესი

მოხმარებით გამოირჩევა რძის ცხიმო (კარაქი, ერბო, ნაღები), ღორისა და ცხვრის ქონი.

ამრიგად, ხალხურ კვებით სისტემაში შეგვიძლია ეთნოსის თავისებურებებიც დავინახოთ. აქ ვლინდება ეროვნულ თვითშეგნებაში გამოხატული სასიცოცხლო უზრუნველყოფის კულტურის მემკვიდრეობითი ღირებულებები. საკვებწარმოების ეროვნულ გამოცდილებაში წარმოჩენილია ეკოლოგიური, სამკურნალო, გერონტოლოგიური, ეკონომიკური და კულტურულ-სამეურნეო, რელიგიური და სოციალური ასპექტები.

ჩვენში კვების დღიური განაწესი დამოკიდებული იყო წელიწადის დროზე, დასაქმებასა და შრომის ხასიათზე. საქართველოს თითქმის ყველა კუთხეში უმეტესად სამჯერადი კვება იყო დანესებული (იყო ორჯერადიც, სამხარი და სერობა). ვხვდებით ოთხჯერად და ხუთჯერად კვებასაც. სამჯერადი კვება მოიცავდა: საუზმეს (დილის საჭმელი შემდგომად გამოღვიძებისა – ჩუბინაშვილი), სადილს (შუა დღის საწვავი – ჩუბინაშვილი), სამხარს



კვების ძირითადი ტიპები

№	კალორიების მთავარი წყარო	ცილებების მთავარი წყარო
I	ხორბალი, კარტოფილი, შაქარი, ხორცი, ცხოველური და მცენარეული ცხიმები	მსხვილფეხარქოსანი პირუტყვის, ღორის, ცხვრის ხორცი, რძე და რძის პროდუქტები
II	ხორბალი ფეტვი, სორგო, ბრინჯი	ბარდა და სხვა პარკოსნები
III	ხორბალი, სიმინდი, ქერი, ცხოველური და მცენარეული ცხიმები	მსხვილფეხარქოსანი პირუტყვის, ცხვრის, ზოგჯერ ღორის ხორცი, სხვადასხვა პარკოსნები
IV	ხორბალი, სიმინდი, ქერი, კარტოფილი	პარკოსნები
V	ხორბალი, სიმინდი, ბრინჯი, შაქარი	მსხვილფეხარქოსანი პირუტყვის ხორცი, პარკოსნები
VI	ხორბალი, სიმინდი, მანიოკა	პარკოსნები
VII	ბრინჯი	ბარდა და სხვა პარკოსნები
VIII	ბრინჯი, ხორბალი	თევზი, სოია
IX	ბრინჯი, სიმინდი, ტკბილი კარტოფილი	ღორის ხორცი, თევზი, სოია, არაქისი
X	ბრინჯი, სიმინდი, ტკბილი კარტოფილი	თევზი, სოია და სხვა პარკოსნები, არაქისი
XI	ბრინჯი, სიმინდი, ბანანი, მანიოკა, შაქარი	ბარდა და სხვა პარკოსნები
XII	სიმინდი	პარკოსნები
XIII	სიმინდი, ხორბალი, კარტოფილი	მსხვილფეხარქოსანი პირუტყვის ხორცი, პარკოსნები
XIV	სიმინდი, ფეტვი, სორგო	ბარდა და სხვა პარკოსნები
XV	ფეტვი და სორგო, სიმინდი, ბრინჯი, ბატატი, მანიოკა, ბანანი	ბარდა და სხვა პარკოსნები, არაქისი
XVI	ფეტვი და სორგო, ბრინჯი, მანიოკა, ქოქოსის კაკალი	თევზი, პარკოსნები, არაქისი
XVII	ფეტვი და სორგო, ხორბალი, სიმინდი, კარტოფილი	ღორის, ცხვრის ხორცი, სოია, არაქისი
XVIII	ქერი	რძე და რძის პროდუქტები, ცხვრის, თხის ხორცი
XIX	მანიოკა, ტარო, ბანანი, ქოქოსის კაკალი	თევზი, ღორის ხორცი
XX	ცხოველური ცხიმები, ხორბალი	თევზი, გარეული ცხოველების ხორცი

ტრადიციები

(სადილის შემდგომი სერი – ჩუბინაშვილი). ოთხჯერადი კვება კი, გარდა სამხრისა, ვახშამსაც გულისხმობდა. „დანოლის ჟამს“ საქმლის მიღებას ეძახდნენ „სერის კუდს“.

აღმოსავლეთ საქართველოს მთის მოსახლეობაში სამჯერადი კვება იყო დანესებული: მზის ამოსვლისთანავე – „ნაყრი“, შუადღისას – „სამხარი“, საღამოს – „ნუხრი“. ქიზიყურად საუზმეს „განანილება“ ერქვა. სპეციფიკური სამუშაოების შესრულებისას მიმართავდნენ ოთხჯერად კვებას.

სამეგრელოში დღეში სამჯერ იკვებებოდნენ (საუზმე – „საკაკალი“, სადილი – „ონდღური“ და ვახშამი – „ოსერშე“).

სულხან-საბა ორბელიანი საქმლის მიღების დღიური განანესის დამრღვევებზე ამბობს: „არიან კაცნი პირუტყვისებრნი, რომელნი ჭამენ ოთხ და ხუთგზის. არს პირველი ჭამა განთიად – საუზმე, მეორე ჭამა – სადილი ანუ სამხარი, მესამე სამხრის შემდგომად – ზარმელი, ხოლო მიმნუხრი – სერი და სერსა შემდგომად, რომელსა სერის-კუდად უხმობენ“.

დღე-ღამეში თანამედროვე ადამიანი საკვებად იყენებს დაახლოებით 1,5 – 2 ლიტრ წყალს და 800 – 900 გრამამდე საკვებს. ჩვენი პლანეტის მოსახლეობის (7 მლრდ) სადღეღამისო რაციონი დღეისათვის 6,5 მილიონ ტონა საკვებს შეადგენს. კაცობრიობის დიდი ნაწილი განიცდიდა და განიცდის ზოგიერთი სახეობის საკვები პროდუქტის დეფიციტს (დღეს მსოფლიოში 1 მლრდ ადამიანზე მეტი შიმშილობს, ხოლო 2,2 მლრდ სასმელი წყლის დეფიციტს განიცდის).

ადამიანთა კვების თავისებურებები, მოხმარებული საკვების ოდენობა და სტრუქტურა მრავალფაქტორზეა დამოკიდებული. მრავალფეროვანია კაცობრიობის რაციონი, რის გამოც, კვების მრავალი ტიპის გამოყოფა შეიძლება.

ამერიკელმა მეცნიერმა კერიელმა დედამინის ცალკეულ არეალებში საკვები ნივთიერებების წყაროების მიხედვით გამოყოფა კვების 20 ტიპი (იხ ცხრილი).

კვების 1 ტიპი ახასიათებს აშშ-ს, კანადას და ევრაზიას, უკიდურესი ჩრდილო ნაწილის გარდა (ევრაზიის შემთხვევაში სამხრეთ და სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილის გარდა), სამხრეთ ამერიკის და აფრიკის უკიდურეს სამხრეთ ნაწილს; II ტიპი გავრცელებულია ავღანეთში, პაკისტანში, ჩრდილოეთ აფრიკის ზოგიერთ ცენტრალურ რაიონში, მადაგასკარში, ავსტრალიის ცენტრალურ ნაწილში; III ტიპი – შუა აზიაში, აფრიკის ჩრდილო ნაწილში, სამხრეთ ევროპაში; IV ტიპი – სამხრეთი ამერიკის ჩრდილო-დასავლეთით; V ტიპი – ბრაზილიის აღმოსავლეთ შვერილზე; VI ტიპი – სამხრეთი ამერიკის ცენტრალურ ნაწილში; VII ტიპი – სამხრეთ-აღმოსავლეთი აზიის დასავლეთ ნაწილში; VIII ტიპი – იაპონიაში; IX ტიპი – ჩინეთის სამხრეთში; X ტიპი – სამხრეთ-აღმოსავლეთი აზიის ქვეყნებში, ფილიპინებში, XI ტიპი – ბრაზილიის ჩრდილოეთში, კარიბის ქვეყნებში; XII ტიპი – მექსიკაში, ჩრდილო ამერიკის უკიდურეს სამხრეთ ნაწილში; XIII ტიპი – სამხრეთი ამერიკის ჩრდილო ნაწილში; XIV ტიპი – აფრიკის სამხრეთ აღმოსავლეთში; XV ტიპი – ცენტრალურ აფრიკაში; XVI ტიპი – ინდოეთში; XVII ტიპი – ჩინეთის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში, კორეის ნახევარკუნძულზე; XVIII ტიპი – მონღოლეთში, ჩინეთის ჩრდილოეთში; XIX ტიპი – ოკეანის კუნძულებზე; XX ტიპი – კანადასა და რუსეთის უკიდურეს ჩრდილოეთში. როგორც კვების ტიპების ტერიტორიული განთავსება ცხადყოფს, მას გეოგრაფიული სიახლოვის პრინციპი არ უდევს საფუძვლად. ერთი და იგივე კვების ტიპი შეიძლება დედამინის მეტად დაშორებულ რეგიონებში არსებობდეს, მაშინ როცა „გვერდიგვერდ“ მყოფნი განსხვავებული რაციონით იკვებებოდნენ. აღნიშნულ ტიპოლოგიას და, საერთოდ, დედამინაზე კვების გვარობას სხვადასხვა ფაქტორი განაპირობებს, რომელთაგან უმთავრესია ბიოგეოკლიმატური პირობები, სოციალ-ეკონომიკური განვითარების ისტორიულ-კულტურული თავისებურებები, რელიგია, კვების ტრადიციები, წყლის გარე-

მოსთან (ოკეანეებთან, ზღვებთან) ურთიერთობების შესაძლებლობა. თავის მხრივ, ჩამოყალიბებულ კვების ტიპებში რაციონის შემადგენლობა დიდად მოქმედებს ადამიანის ცხოვრების რიგ ასპექტზე, კერძოდ, საცხოვრებელი არეალის ლანდშაფტებზე და ამ.

„კერიელის სქემაში“ დროსა და სივრცეს გარკვეული კორექტივები შეაქვს. ასე მაგალითად, „ველური ლანდშაფტების“ კმაყოფაზე მყოფი ხალხები, განვითარების კვალობაზე, საკუთარ რაციონში ზრდიან კულტურული მინათმოქმედებისა და მეცხოველეობის პროდუქტებს. ეკონომიკური განვითარება იწვევს ცხოველური წარმოშობის პროდუქტების მოხმარების უპირატეს ზრდას. ამის მაგალითია იაპონია.

საქართველო „კერიელის სქემაში“ შეტანილი არ არის. მიგვაჩნია, რომ მას, როგორც მსოფლიო გაერთიანების სუბიექტს, უნდა მოენახოს საკუთარი ადგილი.

საქართველო უნდა მიეკუთვნოს იმ ქვეყანათა რიცხვს, რომლებიც, „კერიელის სქემით“, გაერთიანებულია მესამე ჯგუფში (შუა აზია, აფრიკის ჩრდილოეთი ნაწილი და სამხრეთი ევროპა), სადაც მოსახლეობისთვის კალორიების მთავარ წყაროს მარცვლეული, მცენარეული და ცხოველური ცხიმები, ხოლო ცილის მთავარ წყაროს, სხვადასხვა სახეობის ხორცთან (მ.შ. თევზთან) ერთად, პარკოსნები შეადგენს. ამასთან, საქართველოში ნახშირწყლების, ვიტამინებისა და მინერალური ნივთიერებების უმნიშვნელოვანესი წყარო – თაფლი, მრავალფეროვანი ხილი, ბოსტნეული, ბალჩეული, კაკლოვანი და სხვა ტრადიციული კულტურებია, რაც, საერთო ანგარიშით, ქართული კულინარული ხელოვნების საფუძველს ქმნის.

გლობალიზაციის ეპოქაში ქართველებს უნიკალური კვების კულტურის დასაცავად დიდი სიფრთხილე გვმართებს. ზოგადქართული კვების ხასიათიდან გამომდინარე, ჩვენ უნდა შევინარჩუნოთ და გავამდიდროთ კვების რაციონი.

საქართველოს მუნიციპალიტეტების განვითარების ასპექტები

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, მავინ როცა ჯერ კიდევ არ არსებობდა ადგილობრივი თვითმმართველობების ჩამოყალიბებისა და შემდგომი განვითარების ტანდენციები მნიშვნელოვნად გაუარესდა ადგილობრივ დონეებზე სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა, შემცირდა წარმოების ზრდა, გაიზარდა უმუშევრობა, გააძვირდა ეკონომიკური მდგომარეობა.



შექმნილი მდგომარეობიდან გამომდინარე დღის წესრიგში დადგა ადგილობრივი პოლიტიკის შემუშავების აუცილებლობა, რომელიც მნიშვნელოვნად უზრუნველყოფდა ადგილობრივი თვითმმართველობების ქმედუნარიანობის ამაღლებას. გამომდინარე იქედან, რომ ცენტრალური ხელისუფლება იჩენდა სრულ ინდიფერენტულობას ადგილობრივი თვითმმართველობების განვითარების საქმეში, მდგომარეობა თანდათან რთულდებოდა და ადგილობრივი თვითმმართველობების სოციალურ-ეკონომიკური განვითარება ფერხდებოდა. ადგილობრივი თვითმმართველობების განვითარების მნიშვნელოვანი შემაფერხებელი ფაქტორი იყო ასევე ის, რომ არ არსებობდა თვითმმართველობების განვითარების ერთიანი მეთოდოლოგია.

მეთოდოლოგია სწორედ სუბიექტების და ობიექტების, მიზნებისა და ამოცანების, პრინციპებისა და მიდგომების, კრიტერიუმებისა და მაჩვენებლების ერთობლიობაა. სწორედ მეთოდოლოგიის საშუალებით უნდა განისაზღვროს, თუ როგორ პოლიტიკას ირჩევს ცენტრალური ხელისუფლება ადგილობრივი თვითმმართველობების განვითარების კუთხით, როგორია სახელმწიფოს როლი და დანიშნულება თვითმმართველობების განვითარებაში და როგორ უწყობს ხელს ცენტრალური ხელისუფლების მიერ მიღებული კა-

ნონები ადგილებზე არსებული მძიმე სოციალური საკითხების ეფექტურად გადაწყვეტას.

მრავალი ასპექტი, როგორც თეორიულ-მეთოდოლოგიური, ასევე გამოყენებითი ხასიათის მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული თვითმმართველობის სპეციფიკასთან. ადგილობრივი თვითმმართველობების სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის კვლევისას უმნიშვნელო ყურადღება ეთმობოდა ამა თუ იმ თვითმმართველობის სპეციფიკურ განსხვავებებს, ასევე თვითმმართველობების რეგულირების, სტიმულირებისა და განვითარების თავისებურებებს. თვითმმართველობების ჩამოყალიბების საწყის ეტაპზეც და ეხლაც უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება ადგილობრივი დამოუკიდებელი პოლიტიკის წარმოებას, ადგილებზე ისეთი სამართლებრივი და ეკონომიკური კანონების მიღებას, რომელიც მაქსიმალურად უზრუნველყოფდა ადგილობრივი თვითმმართველობების საბიუჯეტო დამოუკიდებლობის მიღწევას. ადგილობრივი თვითმმართველობის განვითარების კუთხით არ იყო გადადგმული ნაბიჯები შემდეგი მიმართულებით;

ა) საინფორმაციო ინფრასტრუქტურის შექმნის კუთხით;

ბ) ადგილობრივი განვითარების პროგრამების სოციალურად ორიენტირებულობის კუთხით;

გ) ადგილობრივი კანონების ეფექტურობის კუთხით;

დ) ადგილობრივი მოსახლეობის ინფორმირებულობის კუთხით;

ე) ადგილობრივი მნიშვნელობის კანონების მიღებისას ადგილობრივი მოსახლეობის თანამონაწილეობის კუთხით.

ადგილობრივი თვითმმართველობების განვითარების გეგმის შემუშავებისას ფაქტიურად არ ხდებოდა ადგილობრივი რესურსული პოტენციალის შეფასება. ისეთების როგორცაა--დემოგრაფიული, მწარმოებითი, სამეცნიერო-ტექნიკური, სოციალურ-კულტურული, ეკოლოგიური, სწორედ ეს განსაზღვრავს ადგილობრივი ეკონომიკის მიმართულებასა და მის განვითარებას, აღნიშნულ კრიტერიუმებზეა სწორედ დამოკიდებული მთლიანი შიდა პროდუქტის (მშპ) და მთლიანი რეგიონული პროდუქტის (მრპ) მაჩვენებლების დადგენა, რაც წარმოადგენს ადგილობრივი თვითმმართველობების სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის ამღმნიშვნელ ძირითად მაკროეკონომიკურ პარამეტრებს.

საქართველოს მუნიციპალიტეტების განვითარების გზების დასახვის მიზნით საჭიროა მუნიციპალიტეტების სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის ღრმა ანალიზი. ამისთვის აუცილებელია გავეცნოთ ადგილობრივი მუნიციპალიტეტე-

თვითმმართველობები

ბის უფლებებსა და მოვალეობებს, რომელიც გადმოცემულია ორგანულ კანონში – „**ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ**“, ხოლო საბიუჯეტო უფლებამოსილების სფეროში ადგილობრივი მუნიციპალიტეტების კომპეტენციები რეგულირდება „**საქართველოს საბიუჯეტო კოდექსი**“-ის მოთხოვნათა შესაბამისად. „**საბიუჯეტო კოდექსის**“ შესაბამისად ადგილობრივი თვითმმართველობები ყოველწლიურად ლეზულობენ ადგილობრივ ბიუჯეტებს, ბიუჯეტის პარამეტრები კანონით შეთანხმებულია საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთან.

„ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 57-ე მუხლის მიხედვით ადგილობრივ თვითმმართველობებში საფინანსო კონტროლის ფორმებია: ა) აუდიტორული შემოწმება; ბ) საფინანსო შემოწმება.

აუდიტორული შემოწმება ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების საფინანსო დოკუმენტაციის აუდიტორული შემოწმებაა, რომელსაც საკრებულოს ერთი მესამედის წერილობითი მოთხოვნით, არა უმეტეს წელიწადში ერთხელ ატარებს მონვეული აუდიტორი, აუდიტორის დასკვნა წარედგინება საკრებულოს, ხოლო, თავის მხრივ, აუდიტორი დასკვნას აგზავნის საქართველოს კონტროლის პალატაში. კანონში აღნიშნულია, რომ აუდიტორული დასკვნა საჯაროა და ექვემდებარება გამოქვეყნებას. საფინანსო შემოწმებას ახორციელებს საკრებულოს საფინანსო კომისია, აღნიშნული შემოწმება ასევე შესაძლებელია განახორციელოს საქართველოს კანონით განსაზღვრულმა სხვა ორგანომაც.

თანამედროვე პერიოდში მკვეთრად შეიმჩნევა მუნიციპალიტეტების განვითარების არათანაბრობა, მიუხედავად იმისა, რომ არსებობს გარკვეული საკანონმდებლო ნორმები ადგილობრივი მუნიციპალიტეტების გამოთანაბრების შესახებ, ის მაინც არ არის ეფექტური და ადგილობრივი თვითმმართველობების განვითარებას ხელს არ უწყობს. ხშირ შემთხვევაში ადგილობრივი მუნიციპალიტეტების პასიურობითა და გულგრილობითაა გამონეული ის, რომ

ფაქტიურად არ ხდება ადგილობრივი მუნიციპალიტეტების დამოუკიდებლად განვითარების გზების დასახვა, რადგანაც სწორედ მუნიციპალიტეტების დამოუკიდებლობა წარმოადგენს თვითმმართველობების კონკურენტუნარიანობის ამაღლების საწინდარს. შეჯიბრობითობის პრინციპი მუნიციპალიტეტებს შორის უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტის პოზიციების გაძლიერებას. შეჯიბრობითობა უზრუნველყოფს სწორედ ადგილობრივი რესურსების კიდევ უფრო წარმოჩენას, მათ მობილიზებასა და მოსახლეობის მდგომარეობის გაუმჯობესების გზების დასახვას.

თანამედროვე პირობებში საქართველოს მუნიციპალიტეტების პრობლემების ანალიზისა და კონკურენტუნარიანობის შეფასების მეთოდების შესწავლა ჩანასახის პროცესშია, გამომდინარე აქედან ძალიან მნიშვნელოვანია განისაზღვროს ის ფაქტორები, რომლებსაც შეუძლიათ უზრუნველყონ ადგილობრივი მუნიციპალიტეტების სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესება.

თითოეულ მუნიციპალიტეტს გააჩნია განვითარების თავისებურებანი, მაგრამ არსებობს ასევე ისეთი პრობლემები, რომელიც საერთოა სხვა მუნიციპალიტეტებისთვისაც. გამომდინარე აქედან, თითქმის შეუძლებელია ერთი რომელიმე მუნიციპალიტეტის წინაშე არსებული პრობლემების გადაწყვეტა დამოუკიდებლად. ხშირ შემთხვევაში მუნიციპალიტეტში არსებული ბევრი პრობლემა გამომდინარეობს იმით, რომ არ არსებობს საკმარისი ურთიერთდამოკიდებულება (ხშირად საერთოდ არ არსებობს) მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციასა და მუნიციპალიტეტში არსებულ მენარმე-სუბიექტებს შორის, რაც იწვევს მუნიციპალიტეტების განვითარების შეფერხებას და მათ მუშაობას ქაოტურს და არაპროგნოზირებადს ხდის. **გამომდინარე აქედან, საჭიროა მუნიციპალიტეტებსა და მენარმე-სუბიექტებს შორის არსებობდეს ორგანიზაციული, სისტემური და ინსტიტუციონალური კომუნიკაცია, ასეთი კომუნიკაციების არ-არსებობის შემთხვევაში მუნიციპალიტეტების სოციალ-**

ურ-ეკონომიკური პოლიტიკა ვერ იქნება შედეგზე ორიენტირებული.

ადგილობრივ მუნიციპალიტეტებსა და ადგილობრივ მენარმე-სუბიექტების ურთიერთდამოკიდებულება უნდა იყოს მეტად ეფექტური და ურთიერთსაინტერესო, რადგანაც ადგილობრივ ეკონომიკურ სუბიექტებს ესაჭიროებათ ადგილობრივი მუშახელი, ადგილობრივი ბუნებრივი რესურსები და შესაბამისი ინფრასტრუქტურა, რისი უზრუნველყოფაც მეტწილად ადგილობრივ მუნიციპალიტეტებზეა დამოკიდებული. როდესაც მენარმე-სუბიექტი ფუნქციონირებს ამა თუ იმ მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, ის სხვადასხვა გზებით უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებას. კერძოდ: ა) უზრუნველყოფს სამუშაო ადგილების შექმნასა და მუშაკთა ხელფასებით დაკმაყოფილებას. ბ) უზრუნველყოფს ადგილობრივი საგადასახადო ბაზის გაფართოებას. გ) ხელს უწყობს ადგილებზე საინვენსტიციო კლიმატის გაუმჯობესებას.

მუნიციპალიტეტებში მოქმედი მენარმე-სუბიექტები ახდენენ თავისი საკუთარი ინტერესების რეალიზებას, რომლებიც შემდეგი სახით შეიძლება იყოს წარმოდგენილი:

- 1) წარმოების მომგებიანობა; 2) წარმოების მოდერნიზაცია და გაფართოება; 3) იმ მუშაკთა არსებობა, რომლებიც გამოირჩევიან მაღალი კვალიფიკაციით; 4) ინვენსტიციების მოზიდვის შესაძლებლობები; 5) ადგილობრივი მუნიციპალური ინფრასტრუქტურის გამოყენების შესაძლებლობა; 6) ხელსაყრელი პირობების შექმნა წარმოების განვითარებაში.

თავის მხრივ, საწარმოების განვითარება მნიშვნელოვნად უზრუნველყოფს ადგილობრივი მუნიციპალიტეტების სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებას. მუნიციპალიტეტებს კი აკისრიათ ისეთი მნიშვნელოვანი ფუნქციები, როგორიცაა: ეკონომიკური, სოციალური, ეკოლოგიური და სოციალურ-კულტურული.

ეკონომიკური ფუნქცია მოიცავს მიზანმიმართული ღონისძიებების არსებობას და ნორმალურად

ფუნქციონირებადი ეკონომიკური მდგომარეობის განვითარებას, რაც გამოიხატება მუნიციპალიტეტში არსებული ინფრასტრუქტურის განვითარებაში და მუნიციპალიტეტებში მცხოვრები მოსახლეობის კეთილდღეობის გაუმჯობესებაში.

სოციალური ფუნქცია გამოიხატება ადგილობრივი მოსახლეობის სოციალური მოთხოვნების დაკმაყოფილებაში, ადგილობრივი მოსახლეობის დასაქმებაში, დასაქმებულთა კვალიფიკაციის ამაღლებაში, ასევე მოსახლეობის ცხოვრების დონის გაუმჯობესებაში.

ეკოლოგიური ფუნქცია თავის თავში მოიცავს იმ ღონისძიებების ერთობლიობას, რომელიც საჭიროა გაატაროს ადგილობრივმა მუნიციპალიტეტებმა ადგილობრივი წყლის და ჰაერის მდგომარეობის გაუმჯობესებაში, ადგილობრივი ბუნებრივი და მინის რესურსების ყაირათიანად გამოყენებაში.

სოციალურ-კულტურული ფუნქცია მოიცავს ადგილობრივი მოსახლეობისთვის ყველანაირი პირობების შექმნას, ნორმალურ სულიერ და კულტურულ ატმოსფეროში ცხოვრების კუთხით, ადგილობრივ თვითმმართველობებს ყოველთვის არ აქვთ სრულად გათავისებული ამ კუთხით მათზე დაკისრებული ის ვალდებულება, რომელთა გატარებაც მათ ევალებათ, სწორედ ნორმალური სოციალურ-კულტურული ღონისძიებების გატარება წარმოადგენს მუნიციპალიტეტების სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესების აუცილებელ

წინაპირობას.

ადგილობრივი მუნიციპალიტეტების ძირითად მოვალეობებს წარმოადგენს ასევე ისეთი სოციალურ-ეკონომიკური პოლიტიკის გატარება, რომელიც მაქსიმალურად უზრუნველყოფს მოსახლეობის დასაქმებას, რაც მოსახლეობის ცხოვრების დონის წინაპირობაა, რომელიც საერთო ჯამში იწვევს მოსახლეობის საკუთარი შემოსავლების ზრდას. სწორედ ასეთი საკითხების გადაწყვეტას უზრუნველყოფენ ადგილობრივი მენარმე-სუბიექტები, თუ მათ აქვთ ადგილობრივი მუნიციპალიტეტების ხელმძღვანელებთან კარგი და ნორმალური (შედეგზე ორიენტირებული) დამოკიდებულება.

ადგილობრივ თვითმმართველობებს მათ მიერ მიღებული ფინანსებით ასევე შეუძლიათ გავლენა მოახდინონ ადგილობრივი საგადასახადო ბაზის გაფართოების კუთხითაც, რაც საბოლოო ჯამში სამენარმეო საქმიანობის გაუმჯობესებას და სამუშაო ადგილების შექმნას შეუწყობს ხელს, სამუშაო ადგილების შექმნა კი მოსახლეობის კეთილდღეობის გაუმჯობესების წინაპირობაა.

ადგილობრივ თვითმმართველობებს „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით შეუძლიათ ადგილებზე სამენარმეო გარემოს გაუმჯობესების მიზნით დაანესონ დიფერენცირებული გადასახადი ქონების დაბეგვისას, დღეს მოქმედი საგადასახადო კოდექსით ქონების გადასახადი (აღნიშნული გადასახადი წარმოადგენს ერთადერთ ადგილობ-

რივ გადასახადს) სწარმოს ბალანსზე რიცხული ქონების საშუალო საბალანსო ღირებულების არა უმეტეს 1%-ია, აღნიშნულ განაკვეთზე მეტის დაწესების უფლება თვითმმართველ ერთეულებს არ გააჩნიათ, ხოლო რაც შეეხებათ მინიმალურ განაკვეთს, ის კანონმდებლობით არ რეგულირდება. გამომდინარე აქედან, ადგილობრივი და უცხოური ინვენსტიციების მოზიდვის მიზნით ადგილობრივ თვითმმართველობებს შეუძლიათ დაანესონ ქონების გადასახადზე 1%-ზე ნაკლები განაკვეთი, რაც საერთო ჯამში მუნიციპალიტეტებში აღნიშნული გადასახადის მობილიზების მიმართულებით მდგომარეობას გააჯანსაღებს, მიუხედავად იმისა, რომ ცალკე აღებულ ერთ სანარმოს ადგილობრივ ბიუჯეტში ქონების გადასახადის კუთხით ნაკლები გადასახადი მოუწევს, მთლიანობაში მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ქონების გადასახადის კუთხით მობილიზირებული გადასახადების ჯამური ოდენობა მნიშვნელოვნად გადააჭარბებს 1%-ანი ქონების გადასახადის არსებობისას ბიუჯეტში შემავალ თანხებს. ეს საკითხი მუნიციპალიტეტების მიერ არ არის ღრმად და საფუძვლიანად შესწავლილი, ამიტომაცაა, რომ საქართველოს თითქმის ყველა მუნიციპალიტეტში მათ შორის ზესტაფონის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მოქმედი სანარმოებისთვის შემოღებულია მაქსიმალური 1%-იანი განაკვეთი, რაც ხშირ შემთხვევაში განპირობებულია ადგილობრივი



თვითმმართველობები

თვითმმართველობების არაპროფესიონალიზმით, რაც ნაკარნახეია იმით, რომ ადგილობრივ თვითმმართველობებს არ გააჩნიათ საბიუჯეტო დამოუკიდებლობა და მათი გადანაცვებილებები ხშირად არაკომპეტენტურობით გამოირჩევა.

ადგილობრივ თვითმმართველობებს ასევე შეუძლიათ მოახდინონ ადგილობრივი საწარმოების უზრუნველყოფა იაფი კაპიტალით, რაც გამოიხატება მათთვის სესხის, სუბსიდიის, და სხვა გრანტების მიცემით. აღნიშნული მეთოდების გამოყენება საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით არ რეგულირდება, რაც საერთო ჯამში ადგილობრივი თვითმმართველობების განვითარებაზე ნეგატიურად აისახება. აღნიშნული მეთოდი კარგად აპრობირებულია უცხოეთის მრავალ განვითარებულ ქვეყანაში.

ადგილობრივი თვითმმართველობები უცხოეთში (აშშ-ში, დიდ ბრიტანეთში, გერმანიაში) ფართოდ იყენებენ საგადასახადო შეღავათებს იმ კომპანიების მიმართ, რომლებიც ფუნქციონირებენ შტატებში, მუნიციპალიტეტებში, საგრაფოებში. ადგილობრივი თვითმმართველობები მათ ტერიტორიაზე მოქმედი კომპანიების მიმართ იყენებენ როგორც საგადასახადო კანონმდებლობით განსაზღვრულ ბერკეტებს, ასევე, ამ კომპანიებს უწესებენ სხვადასხვა საგადასახადო შეღავათებს, ე.წ. „საგადასახადო არდადეგებს“, ასევე აძლევენ საგადასახადო კრედიტებს. ადგილობრივი თვითმმართველობები საწარმოებს უწევენ ასევე არაპირდაპირ დახმარებებს, რაც გამოიხატება პრემიების დანესებით, ასევე დაბალპროცენტიანი სესხების გაცემით, ასეთი მიდგომებით თანდათან ფართოვდება ადგილობრივი საგადასახადო ბაზა, ხდება მუშა-ხელის დასაქმება და მოსახლეობის ცხოვრების დონის ამაღლება. აღნიშნული კუთხით საქართველოს თითქმის არცერთ მუნიციპალიტეტში არ გამოიყენება უცხოეთში აპრობირებული ნახალისების ფორმები, თუ არ ჩავთვლით საგადასახადო კოდექსით დადგენილი ქონების გადასახადის დიფერენცი-

რებულ 1 %-იან განაკვეთს, რომლის გამოყენებაც არ ხდება ადგილობრივი თვითმმართველობების მიერ და მათ სამოქმედო ტერიტორიაზე საწარმოებისათვის მაქსიმალური 1 %-იანი განაკვეთია დანესებული.

საქართველოს მუნიციპალიტეტებში კიდევ უფრო რთულად დგას საქმე არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე ქონების გადასახადის შემთხვევაში. აღნიშნული გადასახადი ქონების გადასახადის შემადგენელ ნაწილია, რომელიც 100 %-ით ირიცხება შესაბამისი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტებში. საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისად არასასოფლო-სამეურნეო მიწის 1 კვ.მ-ზე გადასახადის საბაზისო განაკვეთი შეადგენს 0,24 ლარს, ხოლო ტერიტორიულობის კოეფიციენტი მერყეობს 1-იდან 1,5-მდე, ანუ მინიმალური განაკვეთი 1 კვ.მ-ზე შეადგენს 0,24 ლარს, ხოლო მაქსიმალური განაკვეთი 0,36 ლარს. ადგილობრივი თვითმმართველობების ტერიტორიები ქონების გადასახადის მიზნებისთვის დაყოფილი იყო ზონებად, თითოეულ ზონაში მოქმედებდა არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე განსხვავებული განაკვეთი, 2011 წლიდან თითქმის ყველა მუნიციპალიტეტში მოქმედებს ერთი განაკვეთი, რომელიც წარმოადგენს მაქსიმალურ განაკვეთს--0,36 ლარს 1 კვ.მ-ზე, ასეთი დაბეგვრით მუნიციპალიტეტების ტერიტორიაზე მოქმედ საწარმოებს გაეზარდათ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის გადასახადი, რაც მათ მიერ წარმოებული საქონლის/მომსახურეობის თვითღირებულების გაზრდას იწვევს, მთლიანობაში კი ეს ადგილებზე უმუშევრობის პროვოცირებას უწყობს ხელს, ხოლო ადგილობრივი საწარმოების მიერ წარმოებული საქონელი და მომსახურეობა დაბალშემოსავლიანი მოსახლეობისათვის ხელმიუწვდომელი ხდება.

ყველაფერი ზემოდაღნიშნული ადგილობრივი სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებას აფერხებს და ადგილობრივ თვითმმართველობებს ცენტრზე დამოკიდებულს ხდის, ასეთი მიდგომები კი ადგილობრივი თვითმმართველობების გაზარდაც ხელს უწყობს

ხელს, რაც კიდევ უფრო აღრმავებს უფსკრულს ადგილობრივ ხელისუფლებასა და ადგილობრივ მოსახლეობას შორის, კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებს ადგილობრივი ხელისუფლების მუშაობის ტრანსფარენტულობას, მათ გამჭვირვალობას და მოსახლეობისადმი ანგარიშვალდებულებას.

საქართველოში ამჟამად მოქმედი კანონმდებლობა სრულად გამოირიცხავს ადგილობრივი ხელისუფლების მხრიდან ადგილებზე ინიციატივის გამოჩენას, თითქმის შეუძლებელია ადგილობრივი მუნიციპალიტეტების მთავრობების მიერ მათ ტერიტორიაზე მოქმედი საწარმოების მისამართით სხვადასხვა საინფორმაციო მომსახურების განევა, როგორცაა; იურიდიული, საკონსულტაციო, საფინანსო და სხვა მომსახურეობა, აღნიშნული მიდგომების არ-არსებობით კი ფაქტურად ადგილობრივი ხელისუფლებები ვერ უწყობენ ხელს მათ ტერიტორიაზე მოქმედი საწარმოების დახმარებას და საერთო ჯამში მუნიციპალიტეტის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებას.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს მუნიციპალიტეტებში გამოყენებულ უნდა იქნეს უცხოეთის განვითარებულ ქვეყნებში აპრობირებული მიდგომები ადგილობრივ საწარმოებთან ურთიერთობის კუთხით, საჭიროა ისეთი მიდგომები როგორცაა: თვითმმართველობებში ერთობლივი შერეული კომპანიების დაფუძნება ადგილობრივი მუნიციპალიტეტების კაპიტალის მეშვეობით.

ადგილობრივი თვითმმართველობების სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის ანალიზი გვიჩვენებს, რომ თითქმის არცერთ მუნიციპალიტეტში წარმომადგენლობითი ორგანოების (საკრებულოები) მიერ არ მიიღება ისეთი კანონები, რომლებმაც უნდა უზრუნველყოს ადგილობრივი მნიშვნელობის საკითხების სწრაფად და ეფექტურად გადანაცვება, ეს ხშირ შემთხვევაში გამოწვეულია როგორც ობიექტური (საკანონმდებლო ვაკუუმი) ასევე სუბიექტური (არაკვალიფიციური კადრების არსებობა) ფაქტორებით. გამომდინარე იქედან, რომ ცენტრალური ხელისუფლების მიერ

დღემდე არ ხდება ისეთი კანონების მიღება, რომელიც მნიშვნელოვნად გაზრდის ადგილობრივი თვითმმართველობების დამოუკიდებლობას და ფინანსურ მდგრადობას, ამიტომ, ადგილობრივი თვითმმართველობების სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა ყოველწლიურად მძიმდება და ადგილობრივი თვითმმართველობების მაკროეკონომიკური პარამეტრები ვერ კიდევ მნიშვნელოვნად ჩამორჩება 1990 წლამდე (საბჭოთა კავშირის პერიოდამდე) ადგილობრივი მუნიციპალიტეტების (აღრე რაიონების) მონაცემებს. **მდგომარეობას კიდევ უფრო ამძიმებს ადგილობრივ დონეებზე მართვის უსისტემობა, ადგილებზე სუსტი მენეჯმენტი, კადრების არასწორი შერჩევა და გადამზადების კურსების არ-არსებობა, ასევე ადგილობრივი რესურსების (ბუნებრივი, ფინანსური, ადამიანური, ინფორმაციული და სხვა) პოტენციალის შესახებ არაობიექტური ინფორმაცია და ადგილობრივი თვითმმართველობების სოციალურ-ეკონომიკური განვითარების კუთხით მათი გამოუყენებლობა.**

თითქმის არცერთ მუნიციპალიტეტში არ არსებობს ადგილობრივი ბიუჯეტების განმტკიცებისა და გაზრდის კუთხით მოკლევადიანი და გრძელვადიანი გეგმები, არ არის მოძიებული ადგილობრივი საბიუჯეტო რეზერვები, რამაც უნდა უზრუნველყოფს ადგილობრივი თვითმმართველობების ეკონომიკური მდგომარეობის მნიშვნელოვნად გაუმჯობესებას. ადგილობრივი თვითმმართველობების მხრიდან თითქმის არ ხდება იმ კუთხნილი ტრანსფერის ოდენობის გამოანგარიშება, რომელიც ადგილობრივ თვითმმართველობებს ეკუთვნით მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, პირიქით, ცენტრალური ხელისუფლების მხრიდან ყოველწლიურად მცირდება მუნიციპალიტეტებისთვის გადასაცემი ტრანსფერების რაოდენობა. გამომდინარე აქედან, ადგილობრივი თვითმმართველობები ტრანსფერის იმ ოდენობას სჯერდება, რომელსაც მათ ცენტრი (თბილისი) უწყალობებს, გამოყოფილი ტრანსფერი კი არანაირად არ უწყობს ხელს ადგილობრივ თვით-

მმართველობებში მცხოვრები პირების სოციალურ გამოთანაბრებას და ხშირ შემთხვევაში პოლიტიკური ელფერი დაჰკრავს. (თუ ჩვენი მხარდამჭერია მეტ ტრანსფერს მიიღებს, წინააღმდეგ შემთხვევაში იმას უნდა დაჯერდეს, რასაც ჩვენი ვთავაზობთ). სწორედ ამის გამოა, რომ ადგილობრივი თვითმმართველობების დონეებზე არ არსებობს ადგილობრივი ბიუჯეტების დაგეგმვის მეთოდოლოგია, რომელიც დამტკიცებული უნდა იყოს წარმომადგენლობითი ორგანოების (საკრებულოების) მიერ და მიმდინარე წლის ადგილობრივი ბიუჯეტების საშემოსავლო ნაწილი წინაწელს მიღებული (მობილიზირებული) შემოსავლების ტოლფასია, გამომდინარე აქედან იგნორირებულია ადგილობრივი მუნიციპალიტეტების ინტერესები (მოკლევადიანი, გრძელვადიანი) და ამოცანები. ადგილობრივი ბიუჯეტების შედგენა ხდება ექსპერტული გათვლების გარეშე, რაც ვერანაირად ვერ უზრუნველყოფს ადგილობრივი მოქალაქეების სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის მნიშვნელოვან გაუმჯობესებას.

განვლილმა 20 წელმა გვიჩვენა, რომ საქართველოს ადგილობრივი მუნიციპალიტეტების განვითარების მიმართულებით ცენტრალური ხელისუფლების მხრიდან ფაქტიურად არაფერი არ კეთდებოდა. ადგილებზე არასათანადო დონეზეა სააღრეცხვო საქმიანობა, მიუხედავად იმისა, რომ თითქმის ყველა მუნიციპალიტეტი კანონის შესაბამისად არსებულ ვადებში ლებულობდა ადგილობრივ ბიუჯეტებს, მათ არ ჰქონდათ მათ სამოქმედო ტერიტორიაზე არსებული საწარმოების შესახებ სრული ინფორმაცია, ასევე არ იცოდნენ საწარმოების ბალანსზე რიცხული ქონების ღირებულების შესახებ, ასევე იმ საწარმოების შესახებ, რომლებზედაც ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს გაცემული ჰქონდა ლიცენზია შესაბამის ტერიტორიაზე ბუნებრივი რესურსების სარგებლობის კუთხით, ბიუჯეტების დაგეგმვა ხდებოდა სპონტანურად, წინა წელს ბიუჯეტში ფაქტიურად მობილიზებული თანხებიდან გამომდინარე. ადგილობრივი თვითმმართველობე-

ბის შესაბამისი სამსახურები მუშაობდნენ შესაბამისი ინსტრუქციების გარეშე. ადგილობრივი მუნიციპალიტეტები ვერ ფლობენ ინფორმაციას მათ სამოქმედო ტერიტორიაზე არსებული საწარმო-დანესებულებების შესახებ, იქ დასაქმებული მუშა-მოსამსახურეების რაოდენობისა და თვის განმავლობაში გაცემული ხელფასის ოდენობების შესახებ. შექმნილი მდგომარეობიდან გამომდინარე ადგილობრივი თვითმმართველობების მუშაობა არაეფექტური იყო და ვერანაირად ვერ უწყობდა ხელს ადგილებზე სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებას.

ადგილობრივი მუნიციპალიტეტების დონეზე არ ხდება აღრეცხვის ისეთი ფორმების დანერგვა, რომელიც მაქსიმალურად უზრუნველყოფდა ადგილობრივი საბიუჯეტო შემოსავლების დივერსიფიკაციას და მის გამჭვირვალობას. ადგილებზე არ დგება მოკლევადიანი (3-5 წელი) და გრძელვადიანი (5 წელი და მეტი) პრიორიტეტული გეგმები, ადგილობრივ მუნიციპალიტეტებში მცხოვრებ მოქალაქეებთან ერთად არ ხდება იმ საკითხების განხილვა, რომელიც მოცემული მუნიციპალიტეტისთვის წარმოადგენს სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანს, ფაქტიურად ადგილობრივ ხელისუფლებასა და მოსახლეობას შორის კავშირი განწყვეტილია და დიდი უნდობლობა სუფევს, ამის დამადასტურებლად გამოგვადგება ის, რომ თითქმის ყველა მუნიციპალიტეტში საკრებულოს სხდომების გამართვის დროს დარბაზში ფაქტიურად არ იმყოფება რიგითი მოქალაქეები, არ არსებობს არანაირი საკანონმდებლო ინიციატივები მოქალაქეების მხრიდან, რაც იწვევს დიდ ხილჩატეხილობას ადგილობრივ მთავრობასა და მოქალაქეებს შორის. მდგომარეობას ართულებს ისიც, რომ საქართველოს მუნიციპალიტეტების წარმომადგენლობითი ორგანოების წევრები (დეპუტატები) არ გამოირჩევიან დიდი განათლებით, არ იჩენენ არანაირ საკანონმდებლო ინიციატივებს, რაც მთლიანობაში მათ მუშაობას არაეფექტურს ხდის, ხოლო, შესაბამისი მუნიციპალიტეტის მოსახლეობას არ გააჩნია არანაირი ბერკეტი გამოიწვიოს მათ



მიერვე არჩეული დეპუტატი საკრებულოებიდან.

საქართველოს მუნიციპალიტეტების ჩამოყალიბება და ფუნქციონირება თანამედროვე პირობებში მოითხოვდა განსაკუთრებული ეკონომიკური პირობებისა და მექანიზმის არსებობას. მნიშვნელოვან პრობლემად ადგილებზე კვლავ რჩებოდა არასაკმარისი საბიუჯეტო დამოუკიდებლობა, ადგილობრივი საგადასახადო-საბიუჯეტო სამსახურების არ-არსებობა, რაც მთლიანობაში ადგილობრივ თვითმმართველობებს ცენტრზე დამოკიდებულს ხდიდნენ და მინიმუმადე ამცირებდნენ ადგილობრივი თვითმმართველობების მუშაობის მარგი ქმედების კოეფიციენტს.

მუნიციპალიტეტების დონეებზე ფაქტიურად არანაირი ყურადღება არ ეთმობა საინვენსტიციო მიმზიდველობის ხარისხის შესწავლას, მაშინ, როცა ადგილობრივი საინვენსტიციო გარემოს გაუმჯობესება მუნიციპალიტეტების სოციალურ-ეკონომიკური პირობების გაუმჯობესების ძირითად საფუძველია. ქვეყნის საინვესტიციო გარემოს გაუმჯობესება თავის მხრივ უზრუნველყოფს ადგილობრივი მუნიციპალიტეტების საინვენსტიციო კლიმატის გაჯანსაღებას. საქართველოში უკანასკნელ წლებში განხორციელებულმა რეფორმებმა მაქსიმალურად შეუწყობ ხელი საინვენსტიციო კლიმატის გაჯანსაღებას.

აღსანიშნავია, რომ საქართველოში მნიშვნელოვანი ნაბიჯები გა-

დაიდგა საგადასახადო კანონმდებლობის ლიბერალიზაციის კუთხით. 2005 წლამდე საქართველოში მოქმედებდა 22 გადასახადი, 2005 წლიდან კი მნიშვნელოვნად შემცირდა როგორც გადასახადები ასევე მისი განაკვეთები, დღეისათვის კი მოქმედებს მხოლოდ 6 გადასახადი;

- ა) დამატებული ღირებულების გადასახადი (დღგ)-18%;
- ბ) მოგების გადასახადი--15%;
- გ) საშემოსავლო გადასახადი-20%;
- დ) აქციზი (დიფერენცირებულია სასაქონლო ჯგუფების მიხედვით);
- ე) საბაჟო გადასახადი 0%-დან 12%;

ვ) ქონების გადასახადი (დიფერენცირებულია დაბეგვრის ობიექტის მიხედვით);

საგადასახადო კოდექსში არსებობს გარკვეული სახის შეღავათები ინვენსტირების განხორციელებასთან დაკავშირებით. მაგალითად, მოგების გადასახადისგან თავისუფლდება;

ა) სასოფლო-სამეურნეო საქმიანობიდან მიღებული მოგების ის ნაწილი, რომლის რეინვენსტირებაც ხდება ამ საქმიანობის ფარგლებში;

ბ) საერთაშორისო ფინანსური კომპანიის მიერ ფინანსური მომსახურებიდან მიღებული მოგება;

გ) საერთაშორისო ფინანსური კომპანიის მიერ გამოშვებული ფასიანი ქაღალდების რალიზაციით მიღებული მოგება;

დ) სამედიცინო დაწესებულებების სამედიცინო საქმიანობიდან

მიღებული მოგების ის ნაწილი, რომელიც მომხმარებელთა რეინვენსტირებას და თანამშრომელთა მატერიალურ ნახალისებას. დაწესებულ იქნა ასევე შემდეგი სახის შეღავათები, კერძოდ;

- ა) 0%-იანი ქონების გადასახადი მცირე მინის ნაკვეთებზე (5 ჰექტარზე ნაკლები);
- ბ) 0% საბაჟო გადასახადი საქონლის ექსპორტზე;
- გ) 0% დამატებული ღირებულების გადასახადი საქონლის ექსპორტზე;
- დ) 0% დამატებული ღირებულების გადასახადი ტურ-ოპერატორების მიერ საქართველოს ტერიტორიაზე უცხოელი ტურისტების ორგანიზებულ შემოყვანასა და მათთვის ტურისტული მომსახურების პაკეტის მიწოდებაზე;

ე) 0% დამატებული ღირებულების გადასახადი საქონლის (გადამუშავებული პროდუქტის, ან გადაუმუშავებელი საქონლის) საქართველოს ტერიტორიიდან გატანაზე;

ვ) 0% საბაჟო გადასახადი ნავთობისა და გაზის ოპერაციების წარმოებისთვის განკუთვნილი მონეობილობა-დანადგარების, სატრანსპორტო საშუალებების, სათადარიგო ნაწილებისა და მასალების იმპორტზე და სხვა.

პორის ჭიჭინაძე,
ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტი.

ბულალტრული აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშგების თვითრეგულირება – კანონის მონოპოლიური მატასტაჟები

დროისა და ვითარების შესაბამისად, საქართველოს კანონები „ბულალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების რეგულირების შესახებ“ და „აუდიტორული საქმიანობის შესახებ“ კორექტივებს საჭიროებდნენ. აღნიშნულის აუცილებლობა მეტადრე გამოკვეთა იმ გარემოებამ, რომ ფაქტობრივად, კერძო სექტორში ბულალტრული აღრიცხვა 2000 წლიდან უკვე „თვითრეგულირდებოდა“, ხოლო აუდიტორული საქმიანობა კი ბოლო ათწლეული „თვითდინებაზე“ იყო მიშვებული. ჩვენ ხანგრძლივი ვადით აღმოვჩნდით საექვო რეიტინგების ტყვეობაში, ფაქტობრივად კი აშკარად ჩამოვრჩით განვითარების პროცესებს: დაეცა მოტივაცია; კადრების კვალიფიკაცია სასურველზე დაბალია; ფინანსურ ანგარიშგებას, ფას-ის სტრუქტურული საფუძვლებისა და სამართლიანი წარდგენის პრინციპით, მხოლოდ ერთეული სანარმოები ადგენენ; ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე მოთხოვნა შესაბამისად მცირეა... შედეგად, ორივე მიმართულებით მივიღეთ სავალალო მდგომარეობა.



იური პაპასავა,
ეკონომიკურ მეცნიერებათა
აკადემიური დოქტორი, პროფესორი

საქმიანმა წრემ ზედმინევენით იცის, რომ ყველა ასპექტში ბულალტრულ აღრიცხვას და აუდიტს უაღრესად დიდი ზეგავლენა აქვს ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებაზე. ბიზნესის წარმართვა, ინვესტიციების მოზიდვა თუ ექსპორტ-იმპორტს შორის ბალანსის რეგულირება წარმოუდგენელია გამართული აღრიცხვისა და კონტროლის გარეშე, თუმცა საკუთრივ, სააღრიცხვო და აუდიტორული საქმიანობა, თავისი არსით, მიზნებითა და ამოცანებით, ბიზნესის სფეროს არ წარმოადგენს. მიუხედავად იმისა, რომ ბულალტერი და აუდიტორი ყველგან მაღალანაზღაურებადი პროფესიაა, მათზე ვერავინ იტყვის ბიზნესმენიაო. თუმცა, განვითარებული მოვლენები აშკარად მიანიშნებენ, რომ დარგის რეგულაციის სფერო კი „სარფიან საქმედ“ უკვე ჩამოყალიბდა. სხვა ახსნა არ აქვს იმ ფაქტს, რაც ბულალტრული აღრიცხვისა და აუდიტის ერთი რეგულაციის სფეროდ წარმოდგენას და თვითრეგულირებაზე გადაყვანის ცდას ეხება.

გასული წლის მაისიდან, ჯერ ჯიდეგ არჩევნების ქანცგამცლელ ფაზაში შესვლამდე, აუდიტორებ-

ის და ბულალტრების თავსატეხად იქცა საქართველოს მთავრობის მიერ პარლამენტში ბულალტრული აღრიცხვისა და აუდიტის შესახებ კანონპროექტის წარდგენა და მისი მიღების პროცედურების დაჩქარებული (ფორსირებული) ტემპით დაწყება.

ფორმალური განხილვებისა და მცირეოდენი „კოსმეტიკის“ შემდეგ, გარკვეულ პირთა წრის კერძო ინტერესების ლობირების შედეგად, თუ კარსმომდგარ არჩევნებში მხარდაჭერის დაპირების სანაცვლოდ, წინა მოწვევის პარლამენტმა ბოლო სასესიო ვადის მიწურულს, კანონპროექტთან შედარებით გაცილებით უარესი: „**ბულალტრული აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშგების აუდიტის შესახებ**“ კანონი მიიღო, რომელიც ძალაში შევიდა 2013 წლის 1 იანვრიდან. კანონპროექტის ფორმალური ინიციატორი იყო საქართველოს მთავრობა, მაგრამ დღეს უკვე ეჭვგარეშეა, რომ ფაქტობრივ ინტერესდამკვეთს წარმოადგენდა **ბულალტერთა და აუდიტორთა ფედერაცია (ბაფ)**. საგულისხმოა, რომ გარდა ბაფ-ისა, საქართველოში არსებობს რამდენი-

მე პროფესიული ორგანიზაცია (მათ შორის „აუდიტორთა, ბულალტერთა და ფინანსურ მენეჯერთა ფედერაცია“; „დამოუკიდებელ ბულალტერთა და აუდიტორთა საზოგადოება“), რომელთა მეცადინეობა – წერილობითი თუ სამაუწყებლო საშუალებებით გამოხატული მკვეთრად უარყოფითი დამოკიდებულება, ასევე, კონსტრუქციული მოსაზრებებიც, კანონის მიღებისას სრულად იყო იგნორირებული. ასეთ ფორმატში კანონის განსხვავებული ვერსიების გატანის უშედეგო ცდას ადრეც არაერთხელ ჰქონდა ადგილი, მაგრამ მაშინ საღმა აზრმა გადაწონა.

ინტერესთა დაპირისპირებას, სხვა ბევრ მიუღებელ დებულებასთან ერთად, განაპირობებდა პრინციპული უთანხმოება, ერთის მხრივ, ბაფ-ის ხელმძღვანელობას (ხაზს ვუსვამ, ხელმძღვანელობას და არა ბაფ-ის წევრებს) და მეორეს მხრივ, პროფესიული ინტერესების გამომხატველ აუდიტორთა (ბულალტერთა) მნიშვნელოვანი (ანგარიშგასაწევი) ნაწილის პოზიციებს შორის: **აუდიტორული საქმიანობის სრულ თვითრეგულირებაზე გადაყვანა და ბაფ-ისთვის, როგორც IFAC-ის**

№3 ივნისი 2013

SOS!

წევრისთვის, მკვეთრად გამოხატული მონოპოლიური მდგომარეობის დაკანონება (მიზეზთა თუ „უალტერნატივო“ კომპეტენციის გამო, საქართველოდან მხოლოდ ბაფ წარმოადგენს IFAC-ის ნამდვილ წევრს და ამდენად, კანონის მიზნებისათვის ეს ატრიბუტი გახდა მთავარი „სავაჭრო უპირატესობა“). კანონში ჩადებული რეგლამენტაციები შეიცავს კორუფციულ ელემენტებსაც, რამდენადაც ერთი კერძო სამართლის სუბიექტი (ბაფ) აღმოჩნდა პრივილეგირებულ მდგომარეობაში (ავტომატიურად ხდება აკრედიტებული, მხოლოდ ბაფ-მ უნდა აწარმოოს სავალდებულო აუდიტის განმახორციელებელ პირთა რეესტრი, მხოლოდ ბაფ-ს აქვს უფლება თარგმნოს, გამოსცეს სტანდარტები და ა.შ.); კანონი წინააღმდეგობაშია ევროპარლამენტისა და ევროსაბჭოს 2006 წლის 17 მაისის დირექტივასთან, რომლის თანახმადაც სახელმწიფოებმა უნდა შექმნან აუდიტის განმახორციელებელ პირთა სახელმწიფო ზედამხედველობის ეფექტური სისტემა.

მონოპოლიური და კორუფციული ელემენტები გადაჭარბებულად (მიკერებულ იარაღივით) რომ არ მოეწვევოს ვინმეს, კანონიდან მხოლოდ რამდენიმე შემდეგი ნორმის დამონშვებაც საკმარისია:

„აკრედიტებული პროფესიული ორგანიზაცია – ბუღალტერთა ან/და აუდიტორთა პროფესიული ორგანიზაცია, რომელიც საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად რეგისტრირებულია არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირად და არის ბუღალტერთა საერთაშორისო ფედერაციის (IFAC) ნამდვილი წევრი ან ბუღალტერთა საერთაშორისო ფედერაციის (IFAC) მიერ აღიარებული რეგიონალური ორგანიზაციის ნამდვილი წევრი ან ამ კანონის მოთხოვნების შესაბამისად აკრედიტებული პირი“ **(მე-2 მუხლის „ს“ პუნქტი);**

„აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ISA) საქართველოს სახელმწიფო ენაზე ხელმისაწვდომობის მიზნით ისინი ქართულ ენაზე უნდა თარგმნოს და გამოსცეს იმ აკრედიტებულმა პროფესიულმა

ორგანიზაციამ, რომელიც ბუღალტერთა საერთაშორისო ფედერაციის (IFAC) ნამდვილი წევრია“ **(მე-5 მუხლის მე-5 პუნქტი).**

„ხარისხის კონტროლის საერთაშორისო სტანდარტის (ISQC) საქართველოს სახელმწიფო ენაზე ხელმისაწვდომობის მიზნით, ის ქართულ ენაზე უნდა თარგმნოს და გამოსცეს იმ აკრედიტებულმა პროფესიულმა ორგანიზაციამ, რომელიც ბუღალტერთა საერთაშორისო ფედერაციის (IFAC) ნამდვილი წევრია“ **(მე-8 მუხლის მე-4 პუნქტი).**

„ხარისხის კონტროლის სისტემის მონიტორინგი ხორციელდება საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს სტანდარტებისა და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტოს მიერ რეგისტრირებული ხარისხის კონტროლის სისტემის მონიტორინგის დებულების შესაბამისად, რომელსაც საჯარო სამართლის იურიდიულ პირს – საქართველოს სტანდარტებისა და მეტროლოგიის ეროვნულ სააგენტოს რეგისტრაციისათვის წარუდგენს ბუღალტერთა საერთაშორისო ფედერაციის (IFAC) ნამდვილი წევრი – აკრედიტებული პროფესიული ორგანიზაცია“ **(მე-8 მუხლის მე-4 პუნქტი);**

აკრედიტებულმა პროფესიულმა ორგანიზაციამ 2013 წლის 1 ივლისამდე უზრუნველყოს ბუღალტერთა (სერტიფიცირებულ პროფესიონალ ბუღალტრად და სერტიფიცირებულ ბუღალტრად) სერტიფიცირების პროგრამების შემუშავება“ **(მე-16 მუხლის მე-5 პუნქტი);**

„აკრედიტებულმა პროფესიულმა ორგანიზაციამ, რომელიც ბუღალტერთა საერთაშორისო ფედერაციის (IFAC) ნამდვილი წევრია, 2013 წლის 1 იანვრამდე უზრუნველყოს ხარისხის კონტროლის შემოწმების სერტიფიცირების პროგრამისა და ხარისხის კონტროლის სისტემის მონიტორინგის დებულების შემუშავება“ **(მე-16 მუხლის მე-6 მუხლი)** და ა. შ. აქ მხოლოდ „კოლმეურნეობის თავმჯდომარის“ გვარი და სახელი არაა დასახელებული, თორემ ყველა მიხვდება, რომ ამ „პრივილეგიათა მთავარი ტრიუმფატორია“ ბაფ-ი. კანონსაც თამამად შეიძლება ვუწოდოთ „კანონი ბაფ-ის შესახებ“.

ყოველგვარი გადაჭარბების და

ნიშნის მიგების გარეშე, უნდა შევნიშნოთ, რომ პროფესიული ორგანიზაციის აკრედიტაციისთვის IFAC-ის (ალტერნატივულთა საერთაშორისო ორგანიზაციის) ნამდვილი, ან/და IFAC-ის მიერ აღიარებული რეგიონალური ორგანიზაციის წევრობა არ უნდა წარმოადგენდეს განსაკუთრებული პრივილეგიის და სანდომიანობის ავტომატიურად განმსაზღვრელ სტატუსს. IFAC-ის ნამდვილი, ან/და IFAC-ის მიერ აღიარებული რეგიონალური ორგანიზაციის წევრობა, არ შეიძლება იყოს ხარისხის კონტროლის კომპეტენციის, უპირობო, 100%-იანი გარანტია აუდიტის სფეროში.

ამდენად, არაპროფესიონალიც კი ყოველგვარი ტვინლრძობის გარეშე შეინშნავს, რომ კანონის მიღების ნამდვილი მიზეზი და მიზანიც გახლდათ არა დეკლარირებული (გაცხადებული) ბუღალტრული აღრიცხვის და აუდიტის ჩატარების პროცედურების განსაზღვრა, ხარისხის კონტროლის სისტემის დანერგვა, არამედ ამ ორ, ეკონომიკის განვითარებისთვის მართლაც მნიშვნელოვან სფეროზე გარკვეული წრის ერთპიროვნული გავლენის ქვეშ მოქცევა. ერთი შეხედვით, საჭირო, კეთილშობილური მისიის ფონზე, ფაქტობრივად, მთლიანად გამოირიცხა სახელმწიფოს საზედამხედველო ფუნქცია და კერძო სექტორში ბუღალტრული აღრიცხვა და აუდიტორული საქმიანობა, ბუღალტერთა და აუდიტორთა სერტიფიცირება, ხარისხის კონტროლის ზედამხედველობა IFAC-ის წევრ ორგანიზაციაზე (მაშასადამე ბაფ-ის) განმგებლობაში გადავიდა.

შეიძლება დილეტანტმა, საქმეში ჩაუხედავმა პირმა იფიქროს, რომ ბაფ-ის მიმართ გამოხატული აგრესიული დამოკიდებულება რაღაც სხვა პირად ამბიციებს, ან „გავლენის სფეროების გადანაწილებით“ გამოვლენილ უკმაყოფილებას უკავშირდება, მაგრამ ეს ასე ნამდვილად არ არის!

როცა პროფესიის განვითარებაზე ვმსჯელობთ, მხარეებად დაყოფა, ბარიკადების გაღმა-გამოღმა დგომა, დაპირისპირება, მართლაც, მკრეხელობაა. მაგრამ ამასთან, ისიც ხომ

ანგარიშგასანევი, რომ უფრო დაკვირვებული, შორსგამიზნული (მონოპოლიური და კომერციული ზრახვებისგან თავისუფალი) გადაწყვეტილებების მიღება გვმართებს!

არავინ უარყოფს, ბაფ-ის ღვან-ლი ძალიან დიდია ბულალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების ხელმისაწვდომობასა და დამკვიდრებაში, მაგრამ გარდასული დამსახურება არ უქმნის ალიბს ვინმეს ანმყოში ჩადენილი ცოდვა არ მოეკითხოს. შეიძლება მისი ხელმძღვანელობა ვერ გრძნობს ან არ უნდა გაიგოს (უფრო სწორი იქნება ვთქვათ, იცის კიდევაც), რომ ბაფ-ი დაშორდა პროფესიულ შემოქმედებას და აშკარად კომერციული ინტერესებისკენ გადაიხარა (სულაც არ ვგულისხმობ რაიმე საძრახის საქმეს ან დანაშაულებრივ ქმედებებს). ბაფ-ის ხელმძღვანელობამ (ვაკონკრეტებ, ხელმძღვანელობამ და არა მასში განევრიანებულმა პირებმა) კერძო სექტორში ბულალტრული აღრიცხვისა და აუდიტური საქმიანობის ერთპიროვნული მარეგულირებლის ფუნქციის აღება და ამით მისი კომერციული მიზნების არეალის გაფართოება (უზრუნველყოფის მუდმივი, უშრეტი გარანტიების მიღება) მოინდომა, თანაც ისეთი ფორმით, გზებითა და მეთოდებით, რომელიც პროფესიულ განვითარებას არ წაადგება... აი, ეს არის დაპირისპირების (პრინციპული განსხვავების) ერთადერთი საფუძველი. სხვა დანარჩენის პოზიცია ერთიანდება იმაში, რომ ბულალტრული აღრიცხვისა და აუდიტური საქმიანობის მარეგულირებელ ფუნქციას, ხარისხის კონტროლსა და განგრძობით სწავლებაში წესრიგს განაგებდეს არა კომერციულად მოტივირებული კერძო სამართლის იურიდიული პირი, არამედ, პარიტეტულ საწყისებზე დაკომპლექტებული სახელმწიფო ზედამხედველობის ორგანო. ბაფ-ს არავინ უშლის განავითაროს თავისი ბიზნესი, მაგრამ პროფესიული განვითარების სფეროში უნდა იყოს წარმოდგენილი, როგორც სხვა პროფესიულ ორგანიზაციებთან თანასწორი, რეალურად კონკურენტუნარიან სასტარტო გარემოში მყოფი, არაპრივილიგირებული



სუბიექტი. ეს ახირება კი არ არის, არამედ დიალექტიკის (განვითარების) მთავარი განმსაზღვრელი ფაქტორი. ბაფ-ის ხელმძღვანელობას, წარსულში „უალტერნატივო“ დამსახურების გამო, მიაჩნია, რომ სხვები სტანდარტებში ჩაუხედავი, არაკვალიფიციური, არაკომპეტენტური პირები არიან, არ იციან, ვერ ერკვევიან და მაშასადამე, ხმაც არ უნდა ამოიღონ, რაც რბილად რომ ვთქვათ, შეურაცხმყოფელია, ამასთან, მცდარი, ძალადობრივი წარსულის დრომოჭმული შეხედულებაა.

კანონის მიღების შემდგომაც, ამ აქტის მიმართ სპეციალისტთა (მიუმხრობელი აუდიტორების და ბულალტრების) ნაწილის უკმაყოფილება არ დამცხრალა, თუმცა წინა ხელისუფლების პირობებში აზრის გამოხატვის ფორმას შედეგზე მაინც არ ქონდა გავლენა, ამიტომ სამართლიანობის აღდგენის მოლოდინი ოქტომბრის ცვლილებებს დაუკავშირდა. პროგრესული აზრი მიიჩნევდა, რომ არსებული სახით კანონის ამოქმედება დაუშვებელია. აუცილებელია მასში შევიდეს ცვლილებები, რომლებმაც, როგორც ამას აუდიტორთა კორპუსის ანგარიშგასანევი ნაწილი იზიარებს (მოითხოვს), სულ მცირე, ორი პრინციპი უნდა დააკმაყოფილოს: პირველი, ყველა პროფესიული

ორგანიზაცია უნდა ჩადგეს თანაბარ სასტარტო მდგომარეობაში და მეორე, კანონი შესაბამისობაში უნდა მოვიდეს ევროპარლამენტისა და ევროსაბჭოს 2006 წლის 17 მაისის დირექტივასთან, რაც გულისხმობს სავალდებულო აუდიტორებისა და აუდიტური ფირმების სახელმწიფო ზედამხედველობის ეფექტური მოდელის შექმნას.

ახალი ხელისუფლების პირობებში, საქართველოს პარლამენტმა, გაიზიარა რა ბულალტრეთა, აუდიტორთა და ფინანსურ მენეჯერთა ფედერაციის წერილობით მიმართვაში დაფიქსირებული შექმნილი ვითარების ანალიზი, ბულალტრული აღრიცხვასა და აუდიტის რეგულაციის სფეროში გადაუდებლად განსახორციელებელი ღონისძიებების აუცილებლობის არგუმენტაცია, პირველივე შესაძლებლობისთანავე გამოხატა ნება განეხილა კანონში შესატანი ცვლილებების პაკეტი და კანონის ამოქმედებამდე (ანუ 2013 წლის 1 იანვრამდე) მიელო შესაბამისი გადაწყვეტილება. მართლაც, საქართველოს პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის თავმჯდომარის ბატონ დავით ონოფრიშვილის ინიციატივით მომზადდა კანონპროექტი „ბულალტრული აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშგების აუდიტის შესახებ“ საქარ-

SOS!

თველოს კანონში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე და გამოქვეყნდა კიდეც (07-3/20, 29.11.2012) პარლამენტის ვებგვერდზე. მასში ფაქტობრივად ყველა მნიშვნელოვანი შენიშვნა, მათ შორის, საზედამხედველო ორგანოს შექმნა, მისი ფუნქციები, პროფესიული ორგანიზაციების აკრედიტაციის თანაბარი სასტარტო პირობები, ხარისხის კონტროლის მონიტორინგის განხორციელების რეგულაციებიც კი იყო გათვალისწინებული და თავისუფლად შეიძლებოდა 2012 წლის დეკემბრის მინურულისთვის წინა ხელისუფლების მიერ თავსმოხვეული ძალადობის ნაწილობრივი ნეიტრალიზაცია, თუმცა ბოლო მომენტში პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტმა თავისივე ინიცირებული კანონპროექტი გამოითხოვა უკან და მის ნაცვლად წარადგინა სხვა (რალაც უაზრო, პერსპექტივისთვის ბუნდოვანი, სულ ორ მუხლიანი) პროექტი, რაც პარლამენტმაც უცვლელად მიიღო. ყველასათვის ნათელი რომ იყოს, ამასთან, არაობიექტურობაშიც არ ჩამეთვალოს, სრულად მომყავს პრობლემის გადაწყვეტისადმი არაადეკვატურობის ნიშნები:

მუხლი 1. „ბუღალტრული აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშგების აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონში (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე (www.matsne.gov.ge), 13.07.2012, სარეგისტრაციო კოდი: 260000000.05.001.016869) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

1. მე-7 მუხლის მე-12 პუნქტი ამოღებულ იქნეს.

2. მე-16 მუხლის:

ა) მე-14 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„14. საქართველოს პარლამენტთან არსებული აუდიტორული საქმიანობის საბჭოს საკუთრებაში მყოფი აქტივები მისი ლიკვიდაციისთანავე გადაეცეს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს.“;

ბ) მე-14 პუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-15 და მე-16 პუნქტები:

„15. 2013 წლის 1 ივლისამდე აუდიტორების/აუდიტორული ფირმების პროფესიულ ორგანიზაციებში გა-

წევრება არ მოითხოვება.

16. საქართველოს პარლამენტთან არსებული აუდიტორული საქმიანობის საბჭო მისი ლიკვიდაციისთანავე გადასცემს ინდივიდუალური აუდიტორებისა და აუდიტორული ფირმების ერთიან რეესტრს საჯარო სამართლის იურიდიულ პირს – საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს.“.

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

როგორც ჩანს, აღნიშნული ცვლილებებიდან არსებითი პრობლემის გადაწყვეტას მხოლოდ ერთი, მე-14 მუხლზე დამატებული მე-15 პუნქტი ნაწილობრივ ეხმარება. კერძოდ, ის, რომ აუდიტორების/აუდიტორული ფირმების პროფესიულ ორგანიზაციებში განწევრების ვალდებულება 2013 წლის 1 ივლისამდე გადაიდო. კანონის სხვა დანარჩენი მონოპოლიური და კორუფციული ნორმები უცვლელი დარჩა (ანუ სადაო, მიუღებელი და გაუმართავი დებულებებიც კი არ შეჩერებულა, და ბაფ-ს შეუნარჩუნდა კვლავინდებური პრივილეგირებული მდგომარეობა), მეტიც, კანონის მე-7 მუხლის მე-12 პუნქტის ამოღებით, აუდიტორ/აუდიტორულ ფირმას, რომელიც სუბიექტს უტარებდა სავალდებულო აუდიტს, 7 წლიანი მომსახურების შემდეგ აუცილებელი შეცვლის ვალდებულება მთლიანად მოეხსნა და ამით ბაფ-ის ხელმძღვანელობასთან ასოცირებულ ფირმებს უკეთესი (მეზობლადავი) პირობები შეექმნათ.

მიღებულ გადაწყვეტილება მოტივირებულ იყო იმით, რომ კანონში შესატანი ცვლილებები, მათ შორის, სახელმწიფო საზედამხედველო ორგანოს შექმნა, პროფესიულ ორგანიზაციათა აკრედიტაციის მექანიზმი, ხარისხის კონტროლისა და განგრძობითი სწავლების მეთოდოლოგიური უზრუნველყოფა დაკავშირებულია სტრუქტურულ რეორგანიზაციასთან, რაც დამატებით რესურსებს მოითხოვს და მთლიანობაში გასააზრებელია მიზეზ-შედეგობრივი კავშირები. აქედან გამომდინარე, 2013 წლის პირველ ნახევარში მომზადდებოდა შესაბამისი კანონპროექტი და უფრო დაფიქრებულად საქართველოს პარლამენტი მიიღებდა ახალ გადაწყვეტილებას. ლოგიკა ამაში,

რა თქმა უნდა, იყო და პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის განწყობაც დაეჭვების აშკარა საბაზს არ იძლეოდა. თუმცა არც ისაა უსაფუძვლო, რომ ახალი პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტიც მოექცა დაინტერესებული პირების ზეგავლენის ქვეშ და მიაღებინეს სრულიად უსახური გადაწყვეტილება. სხვა შემთხვევაში, უფრო გონივრული იყო კანონის ამოქმედება გარკვეული ვადით შეჩერებისათ.

აღნიშნულის დასტურად, შემდეგ განვითარებულმა მოვლენებმა გამოკვეთა **ლობისტური ინტერესის ნამდვილი სახე და კანონის მონოპოლიური მეტასტაზებიც**. კანონი უცვლელი სახით დღემდე მოქმედებს, რამაც მზაკვრული ტაქტიკის მეშვეობით ბაფ-ს განუსაზღვრელი (უკონტროლო) უფლებები და პრივილეგიები ფაქტობრივად დაუმკვიდრა. 2013 წლის 1 იანვრიდან კანონის ამოქმედებამ უკვე შექმნა ვაკუუმი რეგულაციის მიღმა დარჩენილ საკითხებზე, რეგულაციით მოცულ სფეროში კი სრულმა ქაოსმა დაისადგურა. სხვას ყველაფერს რომ თავი დაეანებოთ, ამოქმედდა კანონის ის ნორმა, სადაც აღნიშნულია: „**2013 წლის 1 ივლისამდე აუდიტორების/აუდიტორული ფირმების პროფესიულ ორგანიზაციებში განწევრება არ მოითხოვება**“, ანუ ამჟამად უკვე აუცილებელია აკრედიტებულ პროფესიულ ორგანიზაციაში განწევრიანება (ავტომატურად აკრედიტებული პროფესიული ორგანიზაცია კი ერთია); არ არსებობს აუდიტორთა (ორდონიანი) რეესტრი; ვინც რეესტრში არაა რეგისტრირებული, ფინანსურ აუდიტის ჩატარების უფლება არა აქვს და ა.შ. მოკლედ, **ყველა გზა ბაფის კენ მიდის!**.

ამ ხნის (ნახევარი წლის) განმავლობაში კანონში შესატანი ცვლილებების შესახებ პროექტზე მუშაობა განსაკუთრებული ინტენსივობით არ მიმდინარეობდა, თუმცა, უნდა ითქვას, რომ წინა წლის დეკემბერში პარლამენტის საიტზე გამოქვეყნებული ვერსიისგან განსხვავებული ორი სხვადასხვა ვარიანტი გახდა ცნობილი. პირველი, რომელიც ჯერ კიდევ აპრილის მინურულს იხილებოდა, ჩაანაცვლა მეორემ. ეს უკანასკნელი, სავარაუდოდ, პარლამენტს 1

ივლისამდე უნდა მიეღო. მართალია, ისინი პარლამენტის საიტზე არ გამოქვეყნებულან, მაგრამ დაინტერესებულ პირთათვის ხელმისაწვდომი ლეგალური გზებით გავრცელდა. ორივე მათგანზე წამძღვარებული განმარტებითი ბარათი იდენტურია. აქედან, რამდენიმე განმარტება ძალაუფლებურად იქცევა ყურადღებას და აზრის ჩამოყალიბებისთვის საინტერესოა, კერძოდ:

ა) ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ:

ა.ა) კანონპროექტის მიღების მიზეზი:

„ბუღალტრული აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშგების აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანის მიზეზს წარმოადგენს საკანონმდებლო რეგულირების გაუმჯობესება და ხარვეზების გამოსწორება, რომლებიც არ აძლევს აღნიშნულ სფეროში დასაქმებულ ორგანიზაციებს, კომპანიებს და კერძო პირებს ნორმალური ფუნქციონირების საშუალებას.

ა.ბ) კანონპროექტის მიზანი:

კანონპროექტის მიზანს წარმოადგენს კანონის საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკასთან დაახლოება, ევროდირექტივების რეკომენდაციების გათვალისწინება.

ა.გ) კანონპროექტის ძირითადი არსი:

საქართველოს ფასიანი ქაღალდების ეროვნული კომისიასთან იქმნება საჯარო სამართლის იურიდი-

ული პირი – „ფინანსური ანგარიშგებისა და აუდიტის საზედამხედველო სააგენტო“, რომელიც განახორციელებს აღნიშნულ სფეროში არსებული პროფესიული ორგანიზაციების ზედამხედველობას, რეესტრის წარმოებას და სხვა.

კანონპროექტით დეტალურადაა განსაზღვრული სააგენტოს შექმნის წესი, სტრუქტურა და უფლებამოსილება.

აღსანიშნავია, რომ საზედამხედველო ორგანოსათვის მოხდა სხვადასხვა ფუნქციების გადაცემა, რომელსაც ახორციელებდა საქართველოს პარლამენტთან არსებული აუდიტორული საქმიანობის საბჭო.

ცვლილებების შესაბამისად, საქართველოში მოქმედი ბუღალტერთა და აუდიტორთა ორგანიზაციები აკრედიტაციის თანაბარ პირობებს დაექვემდებარებიან, ყოველგვარი გამონაკლისის გარეშე.

დ.ა) სახელმწიფო, არასახელმწიფო, ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია /დანესებულება, ექსპერტები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს კანონპროექტის შემუშავებაში, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

კანონპროექტის შემუშავების პროცესში მონაწილეობდნენ აღნიშნული დარგის წამყვანი სპეციალისტები, კონსულტაციის მიზნით მოეწყო მრავალი შეხვედრა.

აღსანიშნავია, ბატონი **ლავრენ-**

ტი ჭუმბურიძის (საქართველოს პროფესიონალ ბუღალტერთა და აუდიტორთა ფედერაციის აღმასრულებელი დირექტორი და ბატონი **გიორგი ხმალადის** (საქართველოს დამოუკიდებელ ბუღალტერთა და აუდიტორთა საზოგადოება) მნიშვნელოვანი წვლილი კანონპროექტის მომზადების პროცესში.

დ.ბ) კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის (დანესებულების) ან/და ექსპერტის შეფასება კანონპროექტის მიმართ, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

წერილობითი შეფასებები არ არსებობს“.

განმარტებითი ბარათის ამ ამონარიდიდან ნათლად ჩანს, რომ: „ბუღალტრული აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშგების აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონი შეიცავს ისეთ ხარვეზებს, რომლებიც არ აძლევს აღნიშნულ სფეროში დასაქმებულ პირებს ნორმალური ფუნქციონირების საშუალებას; მასში არ არის და აუცილებელია საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკასთან დაახლოება, ევროდირექტივების რეკომენდაციების გათვალისწინება; ადგილი აქვს არაერთგვაროვან მიდგომებს და საქართველოში მოქმედი ბუღალტერთა და აუდიტორთა ორგანიზაციები აკრედიტაციის თანაბარ პირობებს უნდა დაექვემდებარონ, ყოველგვარი გამონაკლისის გარეშე. კარგად ჩანს, აგრეთვე ვისი მნიშვნელოვანი წვლილიცაა კანონის ხარვეზების „გასწორებაში“.

სავსებით ბუნებრივად, ყოველგვარი ირონიის გარეშე, თავისთავად ისმება რამდენიმე კითხვა:

- რატომ, რის ფასად, ვინ შეადგინა, ვისი ხელშეწყობითა და ინტერესებისთვის მიიღეს ასეთი უპარგისი კანონი?

- თუ კი არსებობს პრობლემები (ხარვეზები კანონში), ცნობილია შედეგები (ნორმალური არსებობის საშუალება არ არის) და მიზეზები (არ არსებობს ზედამხედველობის ეფექტური ორგანო, პროფესიული ორგანიზაციები არათანაბარ სასტარტო პირობებში არიან ჩაყენებული, აგრეთვე სხვა რეგულაციის დეფიციტია), **ნაპოვნია გამოსავალი** (საუკეთესო საერთაშორისო





პრაქტიკასთან დაახლოება, ევრო-დირექტივების რეკომენდაციების გათვალისწინება, სპეციალისტთა შენიშვნები და მითითებები, მაშ რატომ არ ლეზლობენ ადექვატურ გადანყვეტილებას?

- ვინ უშლის ხელს, ან ვის ინტერესებში არ შედის კანონში ცვლილებების შეტანა?

- მადლობადამსახურებული კონსულტანტები რატომ ვერ გრძობენ (ხედავენ) კანონის სხვა უთვალავ ხარვეზებს, ან კვლავ რატომ „აპარებენ“ დისკრიმინაციულ, მონოპოლიურ, კორუფციულ მუხტის შემცველ ნორმებს?

- თუ კი ეს ყველაფერი საზიანოა დარგის, ეკონომიკის, ქვეყნის ინტერესებისთვის, რატომ ჭიანურდება შესაბამისი რეგულაციის შემოღება?

- რატომ უნდა გაფუჭდეს და უფრო მეტად განადგურდეს, მთლიანად დაინგრეს ის, რაც ასე თუ ისე, უკვე შექმნილია და მუშაობს?

კითხვათა რიგი კიდევ შეიძლება გაგრძელდეს. ცნობილია სავარაუდო პასუხებიც და მაინც, მთავარი კითხვა რჩება პასუხგაუცემელი: როდემდე უნდა გაგრძელდეს ასეთი არაკომპეტენტურობა, ძალადობრივი წარსულის გადმონაშთი ინერცია?!

ყველა ნიშნის მიხედვით, ეჭვს არ უნდა იწვევდეს, რომ „ბუღალტრული აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშგების აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონი

არსებული სახით მიუღებელია და პროფესიულ (დარგის, ეკონომიკის, ქვეყნის) განვითარებას ხელს ვერ შეუწყობს. ამიტომ ვფიქრობ, აუცილებელია შემუშავდეს ახალი კანონი (ან კანონები) სრულიად განსხვავებული კონცეფციით. ბუღალტრული აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშგების აუდიტის ერთ რეგულაციაში გაერთიანებამ, რბილად რომ ვთქვათ, ვერ მოგვცა ინტეგრირების საუკეთესო ვარიანტი. როგორც ჩანს, მათი თავმოყრა ერთ სივრცეში ხელოვნურად განხორციელდა. ბუღალტრული აღრიცხვა მაინც რჩება ცალკე რეგულაციის სფეროდ, ხოლო, აუდიტური საქმიანობა სრულიად განსხვავებულ სამართლებრივ საფუძვლებს და ორგანიზაციულ სტრუქტურას ეყრდნობა;

გაცხადებული პირობის თანახმად, „ეს კანონი ადგენს საქართველოში ბუღალტრული აღრიცხვის წარმოების, ფინანსური ანგარიშგების მომზადების, წარდგენის და ფინანსური ანგარიშგების აუდიტის ჩატარების სამართლებრივ საფუძვლებს. ამ კანონის მიზანია: ა) ბუღალტრული აღრიცხვის წარმოების, ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის სამართლებრივი საფუძვლების განსაზღვრა; ბ) ფინანსური ანგარიშგების აუდიტის ჩატარების პირობებისა და წესების განსაზღვრა“. თუ კი ჩვენ ვაღიარებთ საერთაშორისო სტანდარტებს (ბასს, ფასს, ასს) და ვამკვიდრებთ მას სახელმძღვანელოს რანგში, ბუ-

ღალტრული აღრიცხვის წარმოების, ფინანსური ანგარიშგების მომზადების, წარდგენის და ფინანსური ანგარიშგების აუდიტის ჩატარების სამართლებრივი საფუძვლები ამ სტანდარტებში სავესებით გასაგებადაა წარმოდგენილი და ახლის გამოგონება სრულიად ზედმეტია;

კანონში გაცხადებული მიზნის შესაბამისი რეგულაციის გარდა, მოცემულია სხვა დაკავშირებული საკითხების გადანყვეტის ნორმებიც (პროფესიული ორგანიზაციების სტატუსი, პროფესიული ორგანიზაციის აკრედიტაცია, აუდიტის ხარისხის უზრუნველყოფა და ა.შ). უფრო კონკრეტულად თუ ვიტყვით, მაგალითისთვის, კანონს აქვს პრეტენზია მოიცავს აუდიტური საქმიანობა მთლიანად, თუმცა, სათაურის მიხედვით, ის მხოლოდ ფინანსური ანგარიშგების აუდიტს ეხება. ფინანსური ანგარიშგების აუდიტი აუდიტორული საქმიანობის მხოლოდ ნაწილია. ამიტომ, როგორც მინიმუმ, სათაური შესაბამისობაში უნდა მოვიდეს მის შინაარსთან;

კანონი ცალსახად (არაორაზროვნად) არ განსაზღვრავს რეგულირების სფეროს - მოიცავს ის, თუ არ მოიცავს ყველა სუბიექტს (ფიზიკური პირი (ინდივიდუალური მენარმე), კერძო სამართლის იურიდიული პირი, საბიუჯეტო ორგანიზაცია, საჯარო სამართლის იურიდიული პირი), ყოველშემთხვევაში კანონის მე-2 მუხლის „ე“ პუნქტში წარმოდგენილი სუბიექტის განმარტება შესაბამისობაში არ მოდის რეგულაციის სფეროსთან;

კანონის ამოქმედებამ მთლიანად ხაზი გადაუსვა „ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების რეგულირების შესახებ“ საქართველოს კანონით დამკვიდრებულ პრაქტიკას, რომლის თანახმადაც, 2001 წლიდან კერძო სამართლის იურიდიული პირი (მცირე სანარმოსა და არაკომერციული იურიდიული პირის გარდა) მენარმე ვალდებული იყო ბუღალტრული აღრიცხვა და ფინანსური ანგარიშგება ეწარმოებინა ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. ამჟამად მოქმედი კანონის (მე-16 მუხლის მე-7 პუნქტი) თანახმად კი, „ფინანსური ანგარიშგების ფინან-

სური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (IFRS) შესაბამისად მომზადება სავალდებულოა 2015 წლის 1 იანვრიდან“. რა მიზანს ემსახურება ეს? თავიდან უნდა დაგინდოთ მზადება, მოვიზიდოთ გრანტები და შევქმნათ პრობლემის დაძლევის ილუზია?;

დეტალებზე შეიძლება ბევრი ვიდაოთ, მით უმეტეს, რთულია სტატიის ფორმატში ყველა საკითხს შეეხო. ამიტომ განსაკუთრებით პრინციპულ საკითხებზე შევჩერდეთ. მათ შორის, მნიშვნელოვანია „**ფინანსური ანგარიშგებისა და აუდიტის საზედამხედველო სააგენტოს**“ სტატუსი.

კანონში შესატანი ცვლილებების ბოლო პროექტის თანახმად (მუხლი 12²), „**სააგენტოს მართვის უმაღლესი ორგანოა საბჭო, რომლის შემადგენლობაც განისაზღვრება 5 კაცით. საბჭოში თითო წევრი წარდგენილი იქნება: პარლამენტის საფინანსო საბიუჯეტო კომიტეტის, ფინანსთა სამინისტროს, ეროვნული ბანკის, ფასიანი ქაღალდების კომისიის და აკრედიტებული პროფესიული ორგანიზაციის მიერ. საბჭოს წევრებს ამტკიცებს პარლამენტი 5 წლით.**“. როგორც ჩანს, ამ ხუთი წევრიდან ოთხი ნომინენტურული პირია და მხოლოდ ერთია პროფესიული ორგანიზაციის ინტერესების გამომხატველი. დიდი გამჭრიახობა არაა საჭირო მიხედვით, რომ ეს ერთი წევრი იქნება ბაფ-ის წარმომადგენელი, რაც აქედანვე უკვე ნიშნავს სხვა პროფესიული (არანაკლებ კომპეტენტური) ორგანიზაციების იგნორს, ისევე ძველმოდურ კარუსელს, საკითხების გადაწყვეტისადმი გუნდურ მიდგომას, ალტერნატიული აზრის ჩახრჩობას (ყველაზე ცოტა, 5 წლის განმავლობაში), რაც კატეგორიულად მიუღებელია. უფრო რაციონალურია, საბჭოს შემადგენლობა განისაზღვროს 7 წევრის შემადგენლობით, აქედან, სამი წევრი პროფესიულმა ორგანიზაციებმა წარადგინონ და გაჩნდეს დაბალანსებული გადაწყვეტილებების მიღების რეალური შესაძლებლობა.

არანაკლებ მნიშვნელოვანია და პრინციპული, პროფესიულ ორგანიზაციებს გააჩნდეს ბუღალტერთა (სერტიფიცირებულ პროფესიონალ ბუღალტრად და სერტიფიცირებულ

ბუღალტრად) სერტიფიცირების განსხვავებული პროგრამები, რაც არ უნდა იყოს განათლების სტანდარტთან წინააღმდეგობაში, მაგრამ არ იქნება შაბლონური. ეს ხელს შეუწყობს კონკურენციის ზრდას, მაშასადამე, ხარისხის გაუმჯობესებას, სწავლების ნოვაციური და თანამედროვე მეთოდების გამოყენებას, პროფესიული უნარებისთვის რაციონალური კომპეტენციის განსაზღვრას, პროფესიული კადრების დინამიური კორპუსის ჩამოყალიბებას;

კანონპროექტის თანახმად (კანონის მე-6 მუხლის მე-6 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტი, მე-6 მუხლის მე-7 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტი), სავალდებულო აუდიტის ჩატარების უფლების მქონე პირთა რეესტრში რეგისტრაციით დაინტერესებული (ფიზიკური, იურიდიული) პირი „უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ პირობებს: **ჰქონდეს აუდიტის ჩატარების მეთოდოლოგია, რომელიც შეესაბამება აუდიტის საერთაშორისო სტანდარტებს (ISA)**“. ასეთი კატეგორიული მოთხოვნა არ არის რაციონალური - ყოველთვის წარმოშობს საკითხის მიმართ აზრთა სხვადასხვაობას და დავის საბაბს. მით უმეტეს, თანამედროვე კომპიუტერული ტექნოლოგიების პირობებში, აუდიტის ჩატარება შესაძლებელია ისეთი მეთოდებითაც, რაც საბოლოო შედეგებზე უარყოფითად არ აისახება. ამდენად, უმჯობესია აღნიშნული საკითხის მიმართ განვირცოვო პოზიცია „**ჰქონდეს აუდიტის ჩატარების მეთოდოლოგია, რომელიც არ ენ-**

ინააღმდეგება აუდიტის საერთაშორისო სტანდარტებს (ISA)“.

კანონის მე-16 მუხლის მე-6 პუნქტში შესატანი ცვლილების თანახმად, „**აკრედიტებულმა პროფესიულმა ორგანიზაციამ, 2013 წლის 1 იანვრამდე უზრუნველყოს ხარისხის კონტროლის შემმონმებლის სერტიფიცირების პროგრამისა და ხარისხის კონტროლის სისტემის მონიტორინგის დებულების შემუშავება.**“ როგორც ჩანს, უკან უნდა დავბრუნდეთ!..

კანონში, მით უმეტეს, მასში შესატანი ცვლილებების პროექტში ბევრია მსგავსი გაუგებრობა, ქართულ ენაზე გაუმართავი, შესაბამისად, გაუგებარი წინადადებებიც. იქმნება შთაბეჭდილება, თითქოს ცალკეული დებულებები შედგენილია სხვადასხვა „კონსულტანტის“ მიერ და ჩაყრილია ერთ „ქვაბში“, ერთმანეთთან ლოგიკური (აზრობრივი) კავშირის გარეშე! აქედან გამომდინარე, აუცილებელია კანონზე მუშაობისას ყურადღება მიექცეს ენის ნორმებს, დებულებათა მარტივად (გასაგებად) გადმოცემის კულტურას.

შენიშვნების სიმრავლე, რასაც ნაწილობრივ აქმივავყარით ყურადღება, აშკარად მიანიშნებენ იმაზე, რომ წარმოდგენილი კანონპროექტი მხოლოდ ნედლი მასალაა და მასზე გულდასმით უნდა გაგრძელდეს მუშაობა მიუმხრობელი, მათ შორის უცხოელი ექსპერტების მონაწილეობით. მანამდე კი პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტმა იქნებ მონახოს ჩიხური მდგომარეობიდან უფრო საღი გამოსავალი.

ANNOTATION

MONOPOLY LAW METASTASES - SELF-REGULATION OF ACCOUNTING AND FINANCIAL REPORTING

**Iuri Papaskua
Doctor of
Economy, Professor**

The article discusses the preconditions for adopting the Law of Georgia on “Auditing of Accounting and Financial Reporting” and the ensuing developments. The author focuses on those shortcomings, which are found in the law itself and the drafts amendments therein. In addition to the relevant remarks and their substantiation, the article presents the author’s views on finding solutions to the given situation.

უნდა გაიყიდოს თუ არა მიწა?!

(ბიბლიის შეგონება და ქართული რეალობა)

ზოგადად მიწას, როგორც ადამიანისთვის სასიცოცხლოდ აუცილებელ ერთერთ ძირითად რესურსს, ნებისმიერი ერისთვის ფასდაუდებელი მნიშვნელობა ენიჭება. უკანასკნელ წლებში ჩვენს ქვეყანაში მიწის (განსაკუთრებით კი სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების) მიმართ წინა ხელისუფლების დანაშაულებრივი და უპასუხისმგებლო დამოკიდებულების ფონზე ზედმეტი არ იქნება თუ საზოგადოებას კიდევ ერთხელ შევახსენებთ იმ უდავო ჭეშმარიტებას, რაც გადმოცემულია ბიბლიაში მიწის საკუთრების, ყიდვა-გაყიდვის და მიწის ფასის შესახებ



თავიდანვე უნდა შევნიშნო, რომ როგორც ძველი, ისე ახალი აღთქმის ავტორები მიწის საკითხს განიხილავდნენ არა გარკვეული პერიოდულობით, არამედ პერმანენტულად ბიბლიის მთელი ისტორიის მანძილზე. კერძოდ, ბიბლიაში დეტალურადაა გადმოცემული (აღწერილი) არამარტო გარიგებები უძრავ ქონებაზე და მიწის ყიდვა-გაყიდვაზე, არამედ მიწის კერძო საკუთრების თაობაზეც. ამასთან, როგორც წესი, ყველგან ხაზგასმითაა აღნიშნული, რომ ადამიანებისთვის გადაცემული მიწის ფლობის, სარგებლობის და განკარგვის უფლების უმაღლესი მესაკუთრეა უფალი.

დავით მეფსალმუნის ენით რომ ვთქვათ, „**ღმერთმა დალოცა ისინი და უთხრა მათ განაყოფიერდით და გამრავლდით, დასახლდით, იბატონეთ და დაეუფლეთ მას**“.

თუმცა აქვე ისიც უნდა ითქვას, რომ ადამიანის უფლება ზოგადად საკუთრებაზე თავიდავე ატარებდა შეფარდებით და შეზღუდულ ხასიათს. შეზღუდვები ეხებოდა მიწის საკუთრებასაც, რამდენადაც ყველაფრის უმაღლესი მესაკუთრე როგორც უკვე ითქვა არის უფალი

არსებული კანონები კრძალავდა მიწის სრულ გასხვისებას და ამაღროულად უტოვებდა უფლებას მის დროებით გამსხისებელს გამოეყიდა ის.

მიწა არ უნდა გაიყიდოს სამუ-

დამოდ, რადგან ის ჩემია, ბრძანებს უფალი. მიწის გამოსყიდვა თუ არ შეეძლო მის უშუალო გამყიდველს, მაშინ, მისი გამოსყიდვა შეეძლო მის ახლო ნათესავს. **“თუ შენი ძმა გაღარიბდება და გაყიდის თავის საკუთარ მიწას, მაშინ მოვიდეს მისი ახლო ნათესავი და გამოისყიდოს ის”.**

ბიბლიის მიხედვით, ამავე მიზანს ემსახურებოდა მიწის არენდაც, რომლის გადასახადი შედარებით მცირე ზომისა იყო (მასზე მოდიოდა მიწიდან მიღებული შემოსავლის მცირედი ნაწილი) და არენდის პერიოდი 50 წელს შეადგენდა.

საყურადღებოა, რომ მიწის შეფასება თანამედროვე გაგებით ხდებოდა და ის ძირითადად ეფუძნებოდა ფასწარმოქმნის კანონზომიერებებს. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, მიწის ფასი განისაზღვრებოდა მიწიდან პოტენციურად მისაღები შემოსავლის გათვალისწინებით. კერძოდ, ის დამოკიდებული იყო მიწის ნაყოფიერებაზე, მიწის ნაკვეთის ადგილმდებარეობაზე და მასში დაბანდებულ კაპიტალზე. უფრო მეტიც, ის (როგორც დღევანდელი საბაზრო ეკონომიკის პირობებში) დამოკიდებული იყო მიწაზე მოთხოვნასა და მიწოდებაზე. ანუ, ცალკეულ შემთხვევებში როცა საბაზრო კონიუნქტურა არახელსაყრელი იყო, მიწის ფასი დაეცემოდა ძალიან დაბალნიშნულზე. ამდენად, შეიძლება ითქვას რომ არც ძველი და არც ახალი

აღთქმა არ უარყოფდა მიწაზე კერძო საკუთრებას თუმცა აღიარებდა მის შეზღუდულ და შეფარდებით ხასიათს, რამდენადაც უმაღლესი მფლობელი და მესაკუთრე არის უფალი რომელმაც შექმნა სამყარო.

ამ მცირე შესავლის შემდეგ შეიძლება თამადად ითქვას, რომ ადამიანი რჩება რა **“მოაზროვნე ადამიანად”** (ჰომო საპიენს) დღესაც ასრულებს უფლის კურთხევას, ანუ ნაყოფიერდება და მრავლდება როგორც ყველა ცოცხალი არსება დედამიწაზე. ამასთან, “არსობის პურის” მოპოვების სირთულეებიდან გამომდინარე, ექსპანსია, ანუ გაფართოება სასიცოცხლო სივრცისა, დღეს ყველა ცოცხალი ორგანიზმის (მათ შორის ადამიანის) ბუნებრივი და მთავარი თვისება გახდა.

როგორც ცნობილია, ზოგადად “კეთილდღეობა” წარმოების და მოხმარების სინთეზია, თანაც ისეთი, როცა არცერთ მათგანს არ შეუძლია უერთმანეთოდ არსებობა. ანუ, ეს ისეთივე ჭეშმარიტებაა როგორც მტკიცება იმისა რომ არ არსებობს მთელი ნაწილების გარეშე და ნაწილები მთელის გარეშე!

ადამიანები რომ გამრავლდნენ, ანუ შეასრულონ უფლის კურთხევა საჭიროა შესაბამისი სასიცოცხლო სივრცე, რომელიც ბევრ ჭარბმოსახლეობით ცნობილ ქვეყანას დღეს არ გააჩნია. აქედან გამომდინარე, მათთვის საჭიროა ექსპანსია, მო-

პოვება აუცილებელი სასიცოცხლო სივრცისა, რომლის მაგალითები მსოფლიოში მრავლად მოიპოვება.

დღეს ძნელად თუ მოიპოვება ქვეყანა, სადაც აკრძალული იყოს უცხოელებზე სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის გასხვისება. ის პრაქტიკულად ყველგან ნებადართულია, მაგრამ მიწა რომ უცხოელმა შეიძინოს მრავალი ისეთი პირობა უნდა დააკმაყოფილოს, რომელსაც მხოლოდ ერთეულები თუ ახერხებენ და არა მიწის შეძენის ნებისმიერი მსურველი.

ამ მიმართულებით ჩვენს ქვეყანაში უკანასკნელ წლებში შეიქმნა მეტად საგანგაშო მდგომარეობა, რაც გამოიხატა ერის სასიცოცხლო ბასის -- სასოფლო-სამეურნეო მიწის ყოველგვარი წინაპირობების გარეშე უცხო ქვეყნის მოქალაქეებზე უკონტროლო მიყიდვაში. ამ მიზნით გამოიყენებოდა როგორც პირდაპირი მიყიდვის წესი (პრეზიდენტის მიერ), ასევე ინტერნეტ აუქციონები და სხვა საშუალებები.

სამწუხაროდ ქვეყანას 2004 წლიდან არ გააჩნია მიწის ბალანსი და ამის გამო მარტივი არაა დადგინდეს ჩვენი სასოფლო სამეურნეო მიწის რა ნაწილია დღეს უცხოელთა ხელში და რა ფასად გადაეცათ მათ, თუმცა მისი დადგენა მაინც შეიძლება საჯარო რეესტრის მეშვეობით სადაც მიწასთან დაკავშირებით მიწის ჩუქების და გასხვისების ფაქტებია მხოლოდ აღირიცხული.

საქართველოში სასოფლო-სამეურნეო მიწის უცხოელებზე გასხვისებისა და ქართველი გლეხობის სოფლიდან აყრის პროცესი წლების განმავლობაში უნიათოდ ინიღბებოდა ფსევდოლიბერალური იდეოლოგიით, თითქოს შემოსულნი, როგორც ზოგადად მაღალი შრომითი კულტურის და, კონკრეტულად, ფერმერული მეურნეობის გამოცდილების მქონენი, საქართველოში სოფლის მეურნეობის გაძღოლისა და ბუნებათსარგებლობის თანამედროვე კულტურას შემოიტანენ. **სინამდვილეში ეს ღონისძიება ერთ-ერთი ელემენტი იყო ფართო პროგრამისა, რომელიც მდგომარეობდა ქვეყნიდან საკუთარი მოსახლეობის განდევნაში (ეკონომიკური გაჭირვების ორგანიზების გზით) და ახალი, უცხო ტომის მოსახლეობის შემოყვანაში.**

ქართული სახელმწიფო სოფელთან და მიწასთან იდენტიფიცირდება და ამდენად, ამ იდენტობის მაჩვენებლის ნაშლა შესაძლოა თვით სახელმწიფოს ყოფნა-არ ყოფნას ცოლფასი გახდეს!

მიწა ერისთვის სასიცოცხლოდ აუცილებელი ბაზაა, რომელიც არსებითად განსაზღვრავს ქვეყნის ეკონომიკური და პოლიტიკური დამოუკიდებლობის ხარისხს და ფაქტობრივად წარმოადგენს მოცემულ სივრცეში ერის გამრავლების და სიცოცხლის აუცილებელ პირობას.

მართალია, დღეს ბაზრის ლიბერალიზაცია (მათ შორის მიწის) გან-

ვითარებადი ქვეყნების ეკონომიკის განვითარების ერთ-ერთი აუცილებელი პირობათაგანია, მაგრამ ის უნდა გაკეთდეს არა უკონტროლოდ, საზოგადოებასთან შეთანხმების გარეშე, არამედ იმ გამოცდილების გათვალისწინებით, რომელიც ამ მხრივ არსებობს თანამედროვე მსოფლიოში.

ამიტომაც დღეს მეტად მაღალფასეული ბიბლიაში გადმოცემული ქეშმარიტი სიბრძნე მიწის საკუთრების, ყიდვა გაყიდვის, მიწის, როგორც აუცილებელი სასიცოცხლო სივრცის არა საყოველთაო და სამუდამო გასხვისების, არამედ ერის ინტერესებში დატოვების შესახებ. **უფლის ნების შესასრულებლად პირველ რიგში საჭიროა გაიზარდოს ხელისუფლების ზრუნვა მოსახლეობის უდიდესი ნაწილის სიღარიბის ჯადოსნური წრიდან გამოყვანისთვის, რადგან სწორედ სიღარიბე აიძულებს დღეს მიწის ბევრ მესაკუთრეს გაყიდოს მიწა უცხოელზე და ამით გამოიყვანოს თავისი ოჯახი გაჭირვებიდან.** თუმცა უნდა ითქვას, რომ სკუთარი მიწის გასხვისება არ არის ერთადერთი საშუალება სიღარიბესთან ბრძოლის საქმეში. სიღარიბის დაძლევისათვის საჭიროა სოფლის, როგორც ტერიტორიული ერთეულის, განვითარების პოლიტიკის შემუშავება და განხორციელება, სოფლის ინსტიტუციონალური და ინფრასტრუქტურული მოწყობა, მელიორაციული, სასოფლო-სამეურნეო ტექნიკისა და ზოოვეტმომსახურეობის ხელმისაწვდომი სისტემის შექმნა, იაფი კრედიტის პროგრამის შემუშავება და დანერგვა, კოოპერაციის პროცესის ხელშეწყობა, ფერმერთა სწავლება კონსულტირება, პროდუქციის გასაღების ბაზრების მოძიება, მარკეტინგის გაუმჯობესება, მართვის დეცენტრალიზაცია და ა.შ. ყველა ამ მიმართულებით ბოლო პერიოდში საქართველოს ახალი მთავრობის მიერ მდორედ, მაგრამ მაინც იდგმება პრაქტიკული ნაბიჯები, რაც იმის გარანტიას იძლევა, რომ არც მიწის უშუალო მესაკუთრე და მით უფრო, მთავრობა არ გაიმეორებს უკანასკნელი წლებში დაშვებულ სერიოზულ შეცდომებს.

პაატა კოლუაშვილი,
პროფესორი



არამატერიალური აქტივები

არამატერიალურ აქტივებს, როგორც ეს სახელიდანაც ჩანს, არ გააჩნიათ ფიზიკური სუბსტანცია, ანუ ნივთიერი ხელშესახები ფორმა.

არამატერიალური აქტივები მიეკუთვნებიან გრძელვადიანი აქტივების ჯგუფს. ისინი ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში გამოიყენებიან, მაგრამ მათი ვადა სასრულია, თუმცა, ხშირ შემთხვევაში ზუსტი ვადის დადგენა საკმაოდ რთულია. ისევე, როგორც ძირითადი საშუალებები, არამატერიალური აქტივებიც განიცდიან ამორტიზაციას. არამატერიალური აქტივებისთვის, როგორც წესი, გამოიყენებენ ამორტიზაციის დარიცხვის ნრფივ მეთოდს. არამატერიალური აქტივების სახეები: **ლიცენზიები, კონცესიები, პატენტები, სავაჭრო ნიშნები, გუდვილი და სხვა არამატერიალური აქტივები.**



ნათო ბაბიაშვილი
ეკონომიკის აკადემიური
დოქტორი

ბუღალტრული აღრიცხვის ანგარიშთა გეგმაში გათვალისწინებულია შემდეგი ანგარიშები: **2500 არამატერიალური აქტივები, 2510 ლიცენზიები, 2520 კონცესიები, 2530 პატენტები, 2540 გუდვილი, 2590 სხვა არამატერიალური აქტივები. ხოლო ამორტიზაციისათვის შესაბამისად 2600 არამატერიალური აქტივების ამორტიზაცია, 2610 ლიცენზიების ამორტიზაცია, 2620 კონცესიების ამორტიზაცია, 2630 პატენტების ამორტიზაცია, 2640 გუდვილის ამორტიზაცია, 2690 სხვა არამატერიალური აქტივების ამორტიზაცია.**

1) ლიცენზია (licence) — არის სახელმწიფო ორგანოს სპეციალური ნებართვა, რომელიც ლიცენზიის მფლობელს უფლებას აძლევს განახორციელოს გარკვეული სახის საქმიანობა, რომელიც კანონის თანახმად სპეციალურ ნებართვას საჭიროებს.

2) კონცესია (Concession) — არის სახელმწიფოს მიერ გაფორმებული გრძელვადიანი საიჯარო ხელშეკრულება განახლებადი და განუახლებადი ბუნებრივი რესურსების ექსპლუატაციასა და მასთან დაკავშირებულ სამეურნეო საქმიანობაზე. საფასური, რომელსაც გადაიხდის კონცესიონერი, კონცესიისთვის უნდა აისახოს მის ბალანსში არამატერიალური აქტივის სახით. კონცესიისთვის გადახდილი თანხა ამორტიზაციის ხარჯების სახით ჩამოინერება კონცესიით სარგებლობის პერიოდში.

3) პატენტი (Patent) წარმოადგენს გარკვეული პროდუქტის წარმოების და გაყიდვის გამორჩეულ უფლებას მინიჭებულს სახელმწიფო ორგანოების მიერ. პატენტის მფლობელი შეიძლება იყოს პირი ან ორგანიზაცია, რომელიც დააპატენტებს გამოგონებას. თუ რომელიმე ფირმას სურს საპატენტო დაცვის ქვეშ მყოფი საქონლის წარმოება და გაყიდვა, მაშინ პატენტის მფლობელს უნდა გადაუხადოს გარკვეული თანხა. ბევრ ქვეყანაში საპატენტო დაცვის ხანგრძლივობა განისაზღვრება 17 წლით. მაგ.: თუ საწარმო 10 000-ად შეიძინა “12 წლის” პატენტი

ე.ი. საპატენტო დაცვის მოხსნამდე დარჩენილია 5 წელი და სწორედ ეს პერიოდი იქნება არამატერიალური აქტივის ექსპლუატაციის ვადა და შესაბამისად დაერიცხება ამორტიზაცია (2-2 ათასი 5 წლის განმავლობაში). პატენტის რეგისტრაცია არ უზრუნველყოფს დაცვას. ხშირია დარღვევები, ამიტომ საჭიროა სასამართლოში დამტკიცება საპატენტო უფლებებისა. პატენტის დარღვევაზე სარჩელის სასამართლოში მოგების შემთხვევაში თანხა კაპიტალიზირდება და ემატება პატენტის ღირებულებას.

4) საავტორო უფლება (Copyright) — ესაა განსაკუთრებული უფლება, რომელიც ეძლევა ავტორს სახელმწიფოს მიერ. იგი იცავს ავტორის მიერ შექმნილ ლიტერატურულ, მუსიკალურ, კინო, ვიდეო და სხვა მასალებს კომპიუტერული პროგრამების ჩათვლით, სხვა პირის მიერ არალეგალური გზით გამრავლებისა და გავრცელებისგან. საავტორო უფლების ვადა ტოლია ავტორის სიცოცხლის პერიოდს დამატებული 50 წელი. ავტორისგან შექმნილი საავტორო უფლება სანარმოსთვის არამატერიალური აქტივია და ბალანსში აისახება როგორც ინტელექტუალური საკუთრება.

5) სავაჭრო ნიშნები (Trademarks and Trade Names) მაგ.: **McDonald’s** და **Coca-Cola** — ეს არის საქონლის ან მომსახურების განმასხვავებელი სახელი ან სიმბოლო, რომელიც რეგისტრირებულია. ერთხელ რეგისტრაციის შემდეგ სავაჭრო ნიშნის მფლობელს აქვს მისი გამოყენების განსაკუთრებული უფლება. რეგისტრირებული სავაჭრო ნიშანი შესაძლებელია განახლდეს 20 წლიან პერიოდში. სავაჭრო ნიშანში გადახდილი თანხა კაპიტალიზირდება და ჩამოინერება ამორტიზაციის ნრფივ მეთოდით 40 წლის განმავლობაში, ან უფრო ხანმოკლე პერიოდში, თუ მისი სასარგებლო გამოყენების ვადა ნაკლებია.

6) ფრანჩიზა (Franchise). ფრანჩიზა ესაა გადასახდელი, რომელსაც უხდის საწარმო რომელიმე იურიდიულ

პირს განსაკუთრებული უფლებისთვის განსაზღვრული ბიზნესი წარმართოს განსაზღვრულ გეოგრაფიულ არეალში. მაგალითად შეგვიძლია მოვიყვანოთ კაბელური ტელევიზიის კომპანია, რომელსაც აქვს სახელმწიფოსგან მინიჭებული რომელიმე რეგიონში საქმიანობის განსაკუთრებული უფლება.

7) ლიზჰოლდი (Leaseholds) - წარმოადგენს ლიზინგური ქონების გამოყენების უფლებას. კონტრაქტს, ძირითადი საშუალების იჯარით გადაცემის თაობაზე, ლიზინგი ეწოდება. ფინანსური ლიზინგის დროს ლიზჰოლდი არამატერიალური აქტივის სახით წარმოგვიდგება იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულება ითვალისწინებს პირველი წლის იჯარის გადასახადთან ერთად ერთჯერადი თანხის გადახდას. სწორედ ეს ერთჯერადი თანხა აღირიცხება ანგარიშზე ლიზჰოლდი და ამორტიზაცია ერიცხება იჯარის ვადის განმავლობაში.

8) გუდვილი (Goodwill) — ფირმის ღირებულება. გუდვილი წარმოიქმნება ისეთი ფაქტორების გათვალისწინებით, როგორიცაა: **მაღალი ხარისხის საქონლის და მომსახურების მწარმოებელი ფირმის რეპუტაცია; ხელსაყრელი ადგილმდებარეობა; გამოცდილება, ახალი იდეები, “ნოუ-ჰაუ”; ხელსაყრელი კონტრაქტების ფლობა; კარგი ხელმძღვანელობა და პერსონალი.** გუდ-

ვილი წარმოადგენს არამატერიალურ აქტივს, რომელიც ასახავს ფირმის პრესტიჟიდან მიღებულ სარგებელს. **გუდვილი განისაზღვრება, როგორც განსხვავება ფირმის შესაძენად გადახდილ ფულსა და მისი აქტივების სუფთა საბაზრო ღირებულებას შორის.** აქტივების სუფთა საბაზრო ღირებულება ეს არის მათ რეალურ საბაზრო ფასსა და ფირმის ვალდებულებებს შორის სხვაობა. გუდვილის ბალანსში ასახვა მოხდება მხოლოდ ახალი მფლობელის მიერ საწარმოს შეძენის შემთხვევაში. საწარმოს შეიძლება გააჩნდეს მაღალი რეპუტაცია, მაგრამ, ობიექტურობის პრინციპიდან გამომდინარე, არ შეიძლება მისი გუდვილის სახით ასახვა, სანამ მასში არ იქნება გადახდილი ფული, ანუ სხვა საწარმოს მიერ არ იქნება შეძენილი. გუდვილის ამორტიზაციის ვადის განსაზღვრა რთულია, ამიტომ მიღებულია 5 წელი. გუდვილის მაგალითად შეგვიძლია მოვიყვანოთ შემდეგი ფაქტი: 1988 წელს **ფილიპ მორისმა** შეიძინა კრაფტის კომპანია. შეძენის ფასი იყო 12,9 მილიარდი დოლარი, ხოლო Kraft-ის აქტივების წმინდა საბაზრო ღირებულება შეადგენდა მხოლოდ 1,3 მილიარდს. განსხვავება 11,6 მილიარდი არ წარმოადგენდა რეალურ აქტივს, ამიტომ Philip Morris-მა დაარქვა მას გუდვილი. 80-იანი წლებიდან გუდვილს უკავია მნიშვნელოვანი ადგილი მრავალი ფირმის აქტივებში.



გლობალიზაცია და სტატისტიკის აქტუალური პრობლემები 21-ე საუკუნეში

(samecniero-საინოვაციო გლობალიზაციის ძირითადი საპროგნოზო მიმართულებები)

განხილულია მსოფლიო ეკონომიკის მეცნიერებისა და ტექნოლოგიების გლობალური ცვლილებებიდან წარმოშობილი გლობალური პროცესების საერთაშორისო რეგულირებისა და მართვის აუცილებლობა, გლობალიზაციის გამომწვევი ძირითადი და ურთიერთდაკავშირებული ფაქტორები, გლობალიზაციასთან მიმართებაში ეკონომიკურ-სტატისტიკური ანალიზის ჩატარების თვალსაზრისით სტატისტიკური მეთოდოლოგიის (saindeqso, სარკისებური სტატისტიკის მეთოდის, ვარიაციის და ა.შ.) სრულყოფა-გამოყენების გზები. ნაჩვენებია სარკისებური სტატისტიკის მეთოდოლოგიის გამოყენების აუცილებლობა, როგორც გლობალიზაციული პროცესების სწორად მართვისათვის, ასევე ჩრდილოვანი ეკონომიკის აღმოფხვრის თვალსაზრისით, რისი მიიღწევაც შესაძლებელია ქვეყნებს შორის ერთიანი ელექტრონული ქსელის, პროგრამული უზრუნველყოფის განხორციელებითა და, შესაბამისად, პარტნიორი ქვეყნების ექსპორტ-იმპორტის მონაცემთა შედარებით.



მსოფლიო ეკონომიკის მეცნიერებისა და ტექნოლოგიების გლობალურმა ცვლილებებმა წარმოშვეს გლობალური პროცესების საერთაშორისო რეგულირებისა და მართვის აუცილებლობა. გლობალიზაცია ურთულესი ეკონომიკური, პოლიტიკური, სოციალური და კულტურული მოვლენაა, რომელიც მოიცავს მსოფლიოში მიმდინარე ერთიანი ეკონომიკური სივრცის ქმნადობის და ფუნქციონირების ურთულეს პროცესებს და, თავის მხრივ, შედეგადად ერთმანეთთან ინტეგრირებული, ერთმანეთის „ინსპირატორი“ ცალკეული ქვეყნების ეკონომიკების, ბაზრების, მომსახურების, ფინანსების, ინფორმაციული სისტემების, ინსტიტუციური სტრუქტურების, კულტურებისა და სხვათა ერთობლიობებისაგან, სადაც წამყვანი ადგილი უკავია ეკონომიკურ გლობალიზაციას.

გლობალიზაციის გამომწვევ ძირითად, ურთიერთდაკავშირებულ ფაქტორთაგან მნიშვნელოვანია: შრომის ახალი საერთაშორისო დანაწილება, ფინანსების ინტერნაციონალიზაცია, ახალი ტექნოლოგიების სისტემა და საერთაშორისო სამომხმარებლო ბაზრების ჰომოგენიზაცია. მონოგრაფიაში „ეკონომიკის გლობალიზაცია: მიმართულებები, გამომწვევები,

პერსპექტივები“, (ავტორია ცნობილი ქართველი მეცნიერ-ეკონომისტი პროფესორი ელგუჯა მექვაბიშვილი) ნაჩვენებია ის აშკარა საფრთხეები, რითაც გლობალიზაცია ემუქრება საქართველოს სუვერენიტეტსა და ეროვნულ ფასეულობებს, მოჰყავს სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უნმინდესისა და უნეტარესის, ილია II-ს ფრიად ტევადი და შორსმიმავალი შემდეგი სიტყვები: „ეკონომიკა თანდათან კარგავს მხოლოდ ეროვნულ-სახელმწიფოებრივ მნიშვნელობას და იქმნება ტრანსნაციონალური კომპანიები, რომლებსაც ძირითადად საკუთარი მიზნები ამოძრავებთ და არა - სახელმწიფო ინტერესები. მიმდინარეობს კულტურათა ასიმილაციის პროცესი. ეს ყველაფერი გლობალიზაციის გამოვლინებაა.. სხვადასხვა ფორმებით და საშუალებებით მიმდინარეობს ზემოქმედება ჩვენი საზოგადოების, განსაკუთრებით კი მომავალი თაობის ცნობიერებაზე, რათა მათში დაინერგოს არაეროვნული, არაქრისტიანული მსოფლმხედველობა, რაც შედეგად გამოიწვევს ჩვენი ეთნოფსიქიკის შეცვლას და ერთიანი ქართველი ერის დაშლა-გადაგვარებას“.

გლობალიზაციასთან მიმართებაში, პროცესების ეკონომი-

კურ-სტატისტიკური ანალიზის თვალსაზრისით დიდი მნიშვნელობა ენიჭება სტატისტიკური მეთოდოლოგიის (saindeqso. სარკისებური სტატისტიკის მეთოდის, ვარიაციის და ა. შ.) სრულყოფა-გამოყენებას. უურნალ „Foreign Policy“-ს მარტი-პერილის ნომერში (victor ელენსკი - უკრაინის რელიგიური თავისუფლების საერთაშორისო ასოციაციის პრეზიდენტი), უკვე მეოთხეჯერ გამოქვეყნდა გლობალიზაციის მსოფლიო ინდექსი (A.T.Kearny/Foreign Policy Globalization Index), მასში მოყვანილია პლანეტის შემდგომი შემჭიდროების პროცესების ანალიზის საექსპერტო შედეგები, გლობალიზირებული ქვეყნების სიაში მოხვდა 62 სახელმწიფო, სადაც ცხოვრობს მსოფლიოს მოსახლეობის 84 პროცენტია და რომლებიც აწარმოებენ მსოფლიო პროდუქციის 96 %-ს. გლობალიზაციის ინდექსი გამოითვლება 14 მაჩვენებლით, რომლებიც 4 ნაწილად იყოფიან: 1. ესაა მსოფლიო ეკონომიკაში ეკონომიკური ინტეგრაციის დონე, სადაც მხედველობაში მიიღება ვაჭრობის, ინვესტიციების განვითარება, კაპიტალის მოძრაობა და ა.შ.; 2. პერსონალური კონტაქტები, საერთაშორისო ტურიზმი, სატელეფონო კავშირის ხარისხი, ფულადი

გაცვლები, სხვადასხვა სახის არასახელმწიფოებრივი ტრანზაქციები; 3. ინტერნეტის განვითარება და 4. საერთაშორისო ურთიერთობებში პოლიტიკური თანამონაწილეობა, ანუ მონაწილეობა საერთაშორისო ორგანოზაციებსა და საერთაშორისო ხელშეკრულებების რატიფიკაციაში, წვლილი გაეროს მშვიდობისმყოფელი ძალების საქმიანობაში (იხ. "Measuring Globalization" In, Foreign Policy, March-April 2004, pp.54-69).

გლობალიზაციის ინდექსი უდავოდ სერიოზულ მასალას იძლევა განხილვისათვის. საყურადღებოა, რომ მსოფლიოს ყველაზე გლობალიზირებული სახელმწიფო A.T.Kearny/Foreign Policy Globalization Index-ის თანახმად - არის **ირლანდია**. ეს ქვეყანა ზედიზედ მესამეჯერ არის პირველ ადგილზე ამ ინდექსში როგორც მსოფლიოსთან თავისი მჭიდრო ეკონომიკური და პერსონალური კავშირების, ასევე, საკუთარ ეკონომიკაში კოლოსალური ინვესტიციების წყალობით. საინდექსო მეთოდის გამოყენებისას შესაძლებელია ასევე გლობალიზაციაზე მოქმედი სხვა ფაქტორების გათვალისწინება, რომელიც სპეციფიკურია ამა თუ იმ ქვეყნისთვის და სტატისტიკური კვლევის საგანს წარმოადგენს. რაც შეეხება სარკისებური სტატისტიკის მეთოდოლოგიის გამოყენებას, ის აუცილებელი პირობაა, როგორც გლობალიზაციის სწორად წარმართვისთვის, ასევე ქვეყნებს შორის ჩრდილოვანი ეკონომიკის აღმოფხვრის თვალსაზრისითაც. აღნიშნული მეთოდის არსი მდგომარეობს იმაში, რომ მისი გამოყენებისას ხდება პარტნიორი ქვეყნების ექსპორტი-იმპორტის მონაცემთა შედარება. თეორიულად ეს მონაცემები ტოლი უნდა იყოს, თუმცა, პრაქტიკაში ეს ასე არ ხდება. საქართველო „სარკისებური სტატისტიკის“ მეთოდს სულ რამდენიმე ქვეყანასთან იყენებს (რუსეთი, თურქეთი, აზერბაიჯანი, უკრაინა, სომხეთი გერმანია და ა. შ.).

მნიშვნელოვან განსხვავებას პარტნიორი ქვეყნების ექსპორტი-იმპორტის მონაცემებში ინვესტ საგარეო ვაჭრობის აღრიცხვაში მეთოდოლოგიური ხასიათის განსხვავების არსებობა. პარტნიორი ქვეყნების საგარეო ვაჭრობის მონაცემებზე არანაკლებ გავლენას ახდენს კლასიფიკაციებთან დაკავშირებული პრობლემები. დღეისათვის საგარეო ვაჭრობის პრაქ-

ტიკაში რამდენიმე კლასიფიკატორი გამოიყენება. მიუხედავად იმისა, რომ არსებობს აღნიშნული კლასიფიკატორების ერთმანეთში გადასაყვანი ცხრილები, ნომენკლატურული განსხვავების არსებობა გამორიცხული არ არის. პარტნიორი ქვეყნების საგარეო ვაჭრობის სტატისტიკის მონაცემთა განსხვავების მეორე ჯგუფის მიზეზებს მიეკუთვნება შეფასებითი ხასიათის განსხვავებები. საგარეო ვაჭრობის სტატისტიკის მონაცემთა შორის განსხვავების მიზეზებს ასევე მიეკუთვნება შეცდომები საბაჟო დეკლარაციების შევსებისას, რომელიც შეიძლება იყოს შემთხვევითი და წინასწარგანზრახვითი. საგარეო ვაჭრობის აღრიცხვის ხარისხის თვისობრივად გაუმჯობესებისთვის საჭიროა სარკისებური შედარებების პარალელურად ჩატარდეს სპეციალური კვლევები, როგორც არაორგანიზებული საგარეო ვაჭრობის, ისე, ცალკეული საქონელთა ჯგუფის მიხედვით. ამასთან განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ქვეყნებს შორის „ასიკუდას“ მსგავსი ერთიანი ქსელის პროგრამირება, რაც თავის მხრივ ავტომატურად მოახდენს, ექსპორტი-იმპორტის აღრიცხვას პარტნიორ ქვეყნებს შორის.

როდესაც ვახასიათებთ სამეცნიერო და საინოვაციო-ტექნოლოგიურ სფეროში გლობალიზაციის თანამდროვე პროცესებს, საჭიროა გამოიყოს რიგი ასპექტები. უწინარეს ყოვლისა, ეს ტენდენციები ასახვას პოვენენ უშუალოდ, საკვლევი სამუშაოების შინაარსსა და მიმართულებებში. ფუნდამენტური მეცნიერება თავისი არსით იმთავითვე წარმოადგენს ინტერნაციონალურს, რომელიც გადალახავს სახელმწიფოთაშორის საზღვრებს და ხდება საკაცობრიო თვითშემეცნებისა და მსოფლიოს განვითარების პროგნოზირების ზოგადსაკაცობრიო საშუალება. მეცნიერებატევად პროდუქციას მსოფლიო ბაზრის ჩარჩოებში, გააჩნია სხვადასხვა ტექნოლოგიური სპეციალიზაცია. ჩამოყალიბდა შრომის საერთაშორისო განაწილება, რომელიც ქვეყნებს საშუალებას აძლევს კონცენტრაცია გაუკეთოს რესურსებს მეცნიერებისა და ტექნოლოგიების იმ მიმართულებით, სადაც ისინი ფლობენ განვითარებულ პოტენციალს. შედეგად ძლიერდება სახელმწიფოებს შორის ტექნოლოგიური ურთიერთდამოკი-

დებულება. თანამდროვე პირობებში სამეცნიერო-საინოვაციო ტექნოლოგიების სფეროს გლობალიზაციისთვის დამახასიათებელია სხვადასხვა ორგანიზაციულ-ეკონომიკური ფორმები. გრძელდება საერთაშორისო სამეცნიერო-ტექნოლოგიური კორპორაციების პირველადი ფორმების ხარისხობრივი განვითარება - საერთაშორისო პროგრამებისა და პროექტების დამუშავება და რეალიზაცია, მეცნიერებისა და სპეციალისტების საერთაშორისო გაცვლა. ამასთან ერთად, ძალას იკრებს ინტეგრაციის უფრო ღრმა ფორმები - **საერთაშორისო სამეცნიერო-კვლევითი კოლექტივები, მეცნიერების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის უნიკალური ობიექტები, რომლებიც საერთაშორისო საკუთრებას წარმოადგენენ, ერთობლივი სანარმოები, რომლებშიც ამუშავებენ და აწარმოებენ მეცნიერებატევად პროდუქციას. შეიქმნა სამეცნიერო-საინოვაციო საქმიანობის საკოორდინაციო მექანიზმი. საერთაშორისო ტექნიკური პროექტები და პროგრამები მუშავდება და რეალიზაცია უკეთდება სახელმწიფოთა და ფირმებს შორის შეთანხმებებისა და რეგიონული ინტეგრაციული ინსტიტუტების ჩარჩოებში, ავტორიტეტული საერთაშორისო ორგანიზაციების - გაერო, იუნედი, იუნესკო და სხვ. ვეგდით. გადადგმულია მნიშვნელოვანი ნაბიჯები, რომელიც მიმართულია საერთაშორისო სამეცნიერო-საინოვაციო ინფრასტრუქტურის ისეთი შემადგენლების უნიფიკაციის მიზნით, როგორცაა: სტანდარტები, სერთიფიკაციის სისტემები, ინტელექტუალური საკუთრების უფლებების დაცვის მექანიზმი და ა.შ.**

სწრაფი ტემპებით ვითარდება სამეცნიერო ტექნოლოგიური კომპლექსის საერთაშორისო საფინანსო ინფრასტრუქტურა-საბანკო ქსელი, ფონდები, ვენჩურული და სადაზღვევო კომპანიები, ასოციაციები და ა.შ., რომლებიც სამეცნიერო-ტექნოლოგიური და საინოვაციო პროექტების ინვესტირებაზე არიან სპეციალიზებული. მეცნიერებისა და სამეცნიერო ორგანიზაციების საქმიანობა სულ უფრო მეტად მსოფლიო საერთო პრაქტიკას ეყრდნობა და საერთაშორისო ერთიანი კრიტერიუმებით ფასდება. სამეცნიერო და საინოვაციო-ტექნოლოგიური გლობალიზა-

ციის ძირითად საპროგნოზო მიმართულებებზე შეიძლება წარმოდგენილი იქნეს, როგორც: 1. ტექნოლოგიების პრიორიტეტული დამუშავებები, რომლებიც უზრუნველყოფენ ქვეყნებს შორის საინფორმაციო ურთიერთმოქმედებას და საინფორმაციო საზოგადოებაში გადასვლას; 2. გლობალური მეტატექნოლოგიების დამუშავება (ტექნოლოგიური და სოციალური ინოვაციების ინტეგრირება); 3. ინტელექტუალური რესურსების საერთაშორისო მობილურობის რადიკალური ინტენსიფიკაცია; 4. მსოფლიო სამეცნიერო-ტექნოლოგიური განვითარების ნაწილობრივი რეგულირების საერთაშორისო მექანიზმის ფორმირება, უზინარეს ყოვლისა, ეკოლოგიური პრობლემების მიზნით, ასევე „მესამე მსოფლიოს“ ქვეყნების ტექნოლოგიური ჩამორჩენილობის შემცირება; 5. საერთაშორისო სამეცნიერო-ტექნოლოგიურ ინფრასტრუქტურაში მცირე და საშუალო მეცნიერებატევადი ბიზნესის ორგანული ჩართვა; 6. ინტერნეტ-ტექნოლოგიებისა და კომპანიების განვითარება, რომლებიც სამეცნიერო-საინოვაციო ციკლის სხვადასხვა სტადიაზე მოახდენს სხვადასხვა ქვეყნების ინტელექტუალური რესურსების აკუმულირებას; 7. მსოფლიო სამეცნიერო-ტექნოლოგიური კომპლექსის განვითარების პროცესის რეგულირებაში ტრანსნაციონალური კორპორაციების და სახელმწიფო სტრუქტურების ურთიერთმოქმედება. სამეცნიერო-ტექნოლოგიურ სფეროში ინტეგრაციისა და გლობალიზაციის ტენდენციის ხასიათი უმეტესად განისაზღვრება ქვეყანაში ფორმირებული სოციალურ-ეკონომიკური მოდელით.

გლობალურ საინტეგრაციო პროცესში მეცნიერებისა და საინოვაციო-ტექნოლოგიური საქმიანობის გარდაქმნასთან დაკავშირებული სამომავლო გეგმები დამოკიდებულია სისტემური რეფორმებისა და სტრუქტურული პოლიტიკის ხარისხზე, რომელიც ღია საერთაშორისო თანამშრომლობის ახალი ფორმების განვითარებასა და მისი მსოფლიო პრაქტიკისადმი ადაპტირებას, სამამულო მეცნიერებისა და ტექნოლოგიების კონკურენტუნარიანობის ამაღლებას, ინტელექტუალური პროდუქტის, მეცნიერებატევადი საქონ-

ლისა და მომსახურების მსოფლიო ბაზარზე გატანას, ამასთან ქვეყნის სამეცნიერო-ტექნიკური უსაფრთხოების უზრუნველყოფას უნდა ითვალისწინებდეს. დღეს მეცნიერება და ინოვაცია ქმნის ერთიან გლობალურ კომპლექსს, რომელშიც ახალი მიღწევები და აღმოჩენები, მიუხედავად შეზღუდვებისა და აკრძალვებისა, საკმაოდ სწრაფად ხდება მსოფლიო მეცნიერების კუთვნილება და საყოველთაო სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის გაძლიერების ფაქტორი. გლობალიზაციის პროცესს ერთიანი მსოფლიო თანამეგობრობის ჩამოყალიბებამდე მივყავართ, რომელშიც ერთიანი ნორმების, ინსტიტუტებისა და კულტურული ღირებულებების ფორმირების ტენდენცია შეიმჩნევა. იგი ჩვენი ცხოვრების რეალობაა, რო-

მელსაც ადრე მიმდინარე ინტეგრაციული პროცესებისგან განსხვავებით, მთელი რიგი არსებითი ნიშნები და სპეციფიკური თავისებურებანი გააჩნია.

ნონა ახვლედიანი,
აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ეკონომიკისა და ტურიზმის დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი

ნანა შონია,
აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ბიზნესის ადმინისტრირების დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი

გამოყენებული ლიტერატურა

1. გაბიძაშვილი ბ., „სტატისტიკა ეკონომიკაში, ბიზნესსა მენეჯმენტში“ 2010წ.
2. მექვაბიძევილი ე., ეკონომიკის გლობალიზაცია: მიმართულებები, გამონგვევები, პერსპექტივები, 2010წ.
3. ჟ. „Foreign Policy“-ს მარტი-აპრილი
4. www.geostat.ge და ა.შ.

GLOBALIZATION AND STATISTICAL CURRENT PROBLEMS OF THE 21TH CENTURY

(main directions of scientific and innovative globalization)

ABSTRACT

Nona Akhvlediani – Akaki Tsereteli State University, Associated Professor of Economic and Tourism Department
Nana Shonia - Akaki Tsereteli State University Associate Professor at Business Administration Department


In article “Globalization and Statistical Current Problems in 21th Century” considered worlds Economic, Science and global technologies changes (Global changes in the world economy) Science and Technology in global processes arising from the need for International regulation and governance. The main causative factors of Globalization, with respect to the statistical analysis of economic globalization in terms of statistical methodology (Index , mirror method of variation statistics) Ways of improving the use of. From mirroring the necessity of using statistical methodology, as globalization properly conduct, as well as between countries in terms of elimination of the shadow economy, what can be achieved a single electronic network, software realization and partner countries to export-import data.

დაზღვევა, როგორც საზოგადოების ეკონომიკური, ფინანსური და სოციალური ურთიერთობების ნაწილი

დაზღვევის, როგორც ეკონომიკური დისციპლინის მეცნიერული განმარტება შეიძლება შემდეგნაირად ჩამოვყალიბოთ: **დაზღვევა ეკონომიკურ ურთიერთობათა სისტემის განსაკუთრებული სფეროა, რომელიც მყარდება ფიზიკური და იურიდიული პირების პირადი და ქონებრივი ინტერესების დასაცავად სპეციალურად შექმნილი ფულადი ფონდების განაწილებადანაწილების ხარჯზე.**

დაზღვევის არსი ცალკეული სუბიექტების ან სამეურნეო ერთეულის მიერ რისკების სხვა სუბიექტებზე გადაცემით მათი რეალიზაციის შემთხვევაში წარმოშობილი ზარალის ანაზღაურებაში მდგომარეობს.

სადაზღვევო საქმიანობაში მონაწილეობს: **კერძო, ან იურიდიული პირი, რომელსაც სადაზღვევო კომპანიაში პერიოდულად შეაქვს წინასწარ განსაზღვრული თანხა-სადაზღვევო პრემია.** ეს უკანასკნელი რისკის ხარისხის მიხედვით არის გამოთვლილი. **მზღვეველი, ანუ სადაზღვევო ორგანიზაცია, რომელიც დამზღვევის რისკის რეალიზების შემთხვევაში ანაზღაურებს ზარალს-სადაზღვევო თანხით.** ასევე შესაძლებელია მონაწილე მხარეებიდან განვიხილოთ **სადაზღვევო აგენტი, ბროკერი და გადამზღვევი ორგანიზაცია.**



ტენგიზ მეზურნიშვილი
საქართველოს პოლიტიკური უნივერსიტეტის დოქტორანტი

სადაზღვევო ურთიერთობათა ანალიზი მოიცავს დაზღვევის სუბიექტისა და ობიექტის ცნებებს. დაზღვევის სუბიექტის როლში სადაზღვევო გარიგების მხარეები: **დამზღვევი და მზღვეველი** გვევლინებიან, ხოლო, რაც შეეხება დაზღვევის ობიექტს, იგი სადაზღვევო ხელშეკრულებაში მითითებული რისკის სახეა, რომლისგანაც მიყენებული ზარალი მთლიანად ან ნაწილობრივ ანაზღაურებადია. დაზღვეული ობიექტების ერთობლიობა ქმნის სადაზღვევო ველს.

სახელმწიფოსგან დამოუკიდებელი მენარმეების ქონებრივი ინტერესების დაცვა შესაძლებელია მხოლოდ დაზღვევის მეშვეობით, უფრო საიმედო და მყარი დამცავი მექანიზმი საზოგადოებაში ჯერ-ჯერობით არ არსებობს. ამასთან, საბაზრო ეკონომიკისათვის დამახასიათებელია სადაზღვევო რისკის მაღალი ხარისხი, რაც პირდაპირ დამოკიდებულია არამარტო სტიქიურ უბედურებებზე, არამედ ეკონომიკურ ურთიერთობათა არასტაბილურობაზე, ინფლაციაზე, პოლიტიკურ მერყეობაზე და სხვა სოციალურ-ეკონომიკურ ანომალიებზე. თანამედროვე პირობებში

სადაზღვევო დაცვის მასშტაბურობას მნიშვნელოვნად განაპირობებს ის, რომ ბუნებრივი და ეკონომიკური რისკები პერმანენტულად მატულობს, რაც აფერხებს ეკონომიკის განვითარების ფაქტორების მოქმედებას და აძნელებს მისი პირობების შენარჩუნებას. საზოგადოებას ცხოვრება უხდება რისკების ეპოქაში სწორედ ამ უკანასკნელში საზოგადოების სამეურნეო, კულტურული და სულიერი ცხოვრების ადაპტირება განაპირობებს ცივილიზაციის მომავალსაც.

საქართველოში სადაზღვევო ურთიერთობანი რეგულირდება საქართველოს კონსტიტუციით, სამოქალაქო კოდექსით, კანონით დაზღვევის შესახებ, საქართველოს სხვა კანონებითა და კანონქვემდებარე აქტებით.

ამრიგად, სადაზღვევო ურთიერთობების განხილვა საშუალებას გვაძლევს დავასკვნათ, რომ დაზღვევისთვის დამახასიათებელია რამდენიმე არსებითი თავისებურება, რომელიც გამოწვეულია დაზღვევის, როგორც ეკონომიკური კატეგორიის სპეციფიკურობით.

კერძოდ, **პირველი, არასასურ-**

ველი სტიქიური და ეკონომიკური მოვლენების შედეგად მიყენებული მატერიალური ან სხვა სახის ზარალის სალიკვიდაციოდ სადაზღვევო ფულადი გადანაწილებითი ურთიერთობების ჩამოყალიბების აუცილებლობა;

მეორე, დაზღვევის პროცესში სტიქიური მოვლენებისგან მიყენებული ზარალის დაზღვევის მონაწილეებს შორის გადანაწილება. რამდენადაც ამ უკანასკნელთათვის ყოველთვის დამახასიათებელია ჩაკეტილი, რკალური ბუნება, მატერიალური ზარალი სამეურნეო სუბიექტის ან ფიზიკური პირის მთელ ქონებაზე ან ტერიტორიაზე კი არ ვრცელდება, არამედ, მათი ქონების, ან ტერიტორიის მხოლოდ ნაწილზე, ამიტომ, მიყენებული ზარალი იფარება დაზღვეულთა მთელი შენატანებიდან და არა მხოლოდ დაზარალებულთა შენატანებიდან;

მესამე, მატერიალური ზარალის ჩაკეტილი განაწილება განაპირობებს სადაზღვევო ფონდში მობილური სახსრების დაბრუნებადობას.

ისტორიულად ცნობილია, რომ დაზღვევას საკმაოდ ხანგრძლივი ისტორია აქვს და ბუნებრივია, რომ ამ

მეხნიერება

ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში მან მნიშვნელოვანი ცვლილებები განიცადა. ეს ცვლილებები, ნაკარნახევი იყო სადაზღვევო პრაქტიკით და, როგორც წესი, გამონეული იყო პრობლემური სადაზღვევო შემთხვევებით, რომლებთანაც დაკავშირებით საჭირო ხდებოდა სასამართლოს ჩარევა.

დროთა განმავლობაში სწორედ სასამართლო გადაწყვეტილებების საფუძველზე ჩამოყალიბდა რამდენიმე მნიშვნელოვანი სამართლებრივი პრინციპი, რომელიც დღესდღეობით საფუძვლად უდევს სადაზღვევო საქმიანობას და რომელთა დაცვაც სავალდებულოდ ითვლება ყველა სადაზღვევო ბაზარზე. გაგანალიზოთ ოთხი მთავარი პრინციპი, რომელიც სადაზღვევო ურთიერთობებს საფუძვლად უდევს:

პირველი პრინციპი ეს არის ე.წ. **სადაზღვევო ინტერესის პრინციპი**. მისი შინაარსი შემდეგში მდგომარეობს: „**იურიდიულ ან ფიზიკურ პირს უფლება აქვს გამოვიდეს დამზღვევის როლში მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მას გააჩნია ფინანსური ინტერესი დაზღვევის ობიექტის მიმართ. ამავე დროს მას შეუძლია განახორციელოს დაზღვევა მხო-**

ლოდ ამ ფინანსური ინტერესის ფარგლებში“. ამ პრინციპის დანიშნულება ალბათ ნათელია. ჩვენს ენაზე რომ ვთქვათ, დაზღვევის ობიექტი უნდა იყოს პირველადი რისკის მატარებელი, ხოლო, დამზღვევი მეორეულის; ან კიდევ სხვანაირად, იმის გამო, რომ დაზღვევის ობიექტი დაზიანდება, დამზღვევმა აუცილებლად უნდა განიცადოს ზარალი. ხაზგასმით უნდა აღვნიშნოთ, რომ დამზღვევის ფინანსური ინტერესი დაზღვეული ობიექტის მიმართ უნდა იყოს მკაფიო, სრულიად ნათელი და გამჭვირვალე. იგი აუცილებლად უნდა გამოდინარეობდეს არსებული კანონმდებლობიდან, ან კანონიერად გაფორმებული სახელშეკრულებო ურთიერთობებიდან. არანაირი სისხლით ნათესაობა ან სხვა რაიმე ურთიერთობა (სიცოცხლის დაზღვევის გარდა) თავისთავად არ წარმოადგენს სადაზღვევო ინტერესის წარმოქმნის საფუძველს. მაგალითად, ერთ ძმას არა აქვს უფლება დააზღვიოს მეორე ძმის ქონება მხოლოდ იმის საფუძველზე, რომ ისინი ძმები არიან. მიღებულია, რომ არასიცოცხლის დაზღვევაში სადაზღვევო ინტერესი უნდა არსებობდეს ზარალის დადგომის მომენტში, ხოლო, სიცოცხლის

დაზღვევაში, პირიქით – სადაზღვევო ხელშეკრულების გაფორმების მომენტში. გარდა ამისა, სიცოცხლის დაზღვევაში არის კიდევ რამდენიმე თავისებურება, კერძოდ, **მიღებულია, რომ ყოველ ადამიანს თავისი სიცოცხლის მიმართ შემოუსაზღვრელი სადაზღვევო ინტერესი აქვს, ასევე მუდმივებს გააჩნიათ შემოუსაზღვრელი სადაზღვევო ინტერესი ერთმანეთის მიმართ. სხვა სიტყვებით, ადამიანი შეიძლება გამოვიდეს საკუთარი სიცოცხლის დამზღვევად და ასევე ქმარს (ან ცოლს) შეუძლია დააზღვიოს თავისი ცოლის (ან თავისი ქმრის) სიცოცხლე.**

აქვე აღვნიშნოთ, რომ **სადაზღვევო ხელშეკრულების საგანს** ყოველთვის წარმოადგენს სწორედ ის სადაზღვევო ინტერესი, რომელიც გააჩნია დამზღვევს. ასევე, თუ ერთზე მეტ პირს გააჩნია სადაზღვევო ინტერესი ერთი და იმავე ობიექტის მიმართ, ისინი შეიძლება იყვნენ თანადაზღვევები (თავ-თავისი სადაზღვევო ინტერესის ფარგლებში ერთი და იმავე სადაზღვევო ხელშეკრულების მიხედვით).

მეორე ძირითადი პრინციპი არის ე.წ. **კომპენსაციის პრინციპი,**



რომელიც ძირითადად გამოიყენება ქონებრივ დაზღვევაში და მდგომარეობს შემდეგში: დაუშვებელია, რომ დამზღვევეი გამდიდრდეს სადაზღვევო ანაზღაურების მიღების შედეგად, ანუ სადაზღვევო ანაზღაურება უნდა იყოს იმ ზომის, რომ მაქსიმალური შესაძლო სიზუსტით მოახდინოს მხოლოდ დამზღვევის ზარალის კომპენსირება ანუ დააბრუნოს იგი დაახლოებით იმავე ფინანსურ მდგომარეობაში, რომელშიც იმყოფებოდა უშუალოდ ზარალის დადგომამდე.

კომპენსაციის პრინციპი არ გამოიყენება ყოველთვის, მაგალითად, სიცოცხლის დაზღვევაში ან უბედური შემთხვევის დაზღვევაში. ეს პრინციპი არ გამოიყენება, ვინაიდან გაუგებარია, რას ნიშნავს გამდიდრება ადამიანის გარდაცვალების ან დასახიჩრების შემთხვევაში? ქონებრივ დაზღვევაშიც კი არსებობს იშვიათი გამონაკლისის სახით სპეციალური ტიპის პოლისები, რომელთა მფლობელებიც ქონების დაზიანების, ან განადგურების შემთხვევაში ყოველთვის ლებულობენ მსგავსი ახალი ქონების ღირებულებას იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც მათი საკუთარი ქონება, რომელიც დაზიანდა, სრულიადაც არ იყო ახალი.

დაზღვევის ძირითადი სამართლებრივი პრინციპები ლოგიკურადაა დაკავშირებული ერთმანეთთან. მაგალითად, ადვილი მისახვედრია, რომ სადაზღვევო ინტერესის პრინციპის დარღვევა ქონებრივ დაზღვევაში გამოიწვევს კომპენსაციის პრინციპის დარღვევასაც. მართლაც, თუ დამზღვევეს არ გააჩნია სადაზღვევო ინტერესი, იგი მიიღებს სადაზღვევო ანაზღაურებას და ამ დროს არ განიცდის არანაირ ზარალს, რის შედეგადაც გამდიდრდება.

კომპენსაციის პრინციპთან ლოგიკურად დაკავშირებულია კიდევ ორი პრინციპი. ესენია: **კონტრიბუციის პრინციპი და სუბროგაციის პრინციპი.**

კონტრიბუციის პრინციპი მოქმედებს იმ შემთხვევაში, როდესაც ერთი და იგივე სადაზღვევო ინტერესი დაზღვეულია სხვადასხვა მზღვეველთან. ასეთ შემთხვევაში, კვლავ კომპენსაციის პრინციპიდან გამომდინარე, ცალკეულ მზღვეველებს შეაქვთ გარკვეული წესით



გამოთვლილი თავ-თავისი წილი (კონტრიბუცია) დამდგარი ზარალის საერთო ანაზღაურებაში ისე რომ ჯამში დამზღვევემა მიიღოს ის თანხა, რომელიც არ აღემატება მის მიერ რეალურად განცდილ ზარალს. ამგვარი წესებიდან ყველაზე გავრცელებული წესი იმაში მდგომარეობს, რომ კონკრეტული მზღვეველი იხდის საერთო ზარალის იმ ნაწილს, რა ნაწილსაც შეადგენს მის მიერ გაცემულ პოლისში დაფიქსირებული სადაზღვევო თანხა ამ სადაზღვევო ინტერესთან დაკავშირებით გაცემული ყველა პოლისის ჯამურ სადაზღვევო თანხაში. სუბროგაციის პრინციპი მოქმედებს იმ შემთხვევაში, როდესაც გამოვლენილია დამნაშავე მესამე მხარე, რომლის ქმედებებმაც გამოიწვია ზარალი. როგორც წესი, ასეთ შემთხვევაში ქვეყანაში მოქმედი კანონმდებლობის თანახმად დამზღვევეს (დაზარალებულს) უფლება აქვს მოსთხოვოს დამნაშავე მესამე მხარეს ზარალის ანაზღაურება. თუ

ეს ზარალი დაფარულია სადაზღვევო პოლისით, მაშინ, დაზარალებულს აქვს ორი შესაძლებლობა: **მას შეუძლია მიიღოს ანაზღაურება დამნაშავე მესამე მხარისგან ან მზღვეველისაგან. კომპენსაციის პრინციპის თანახმად მას არ შეუძლია ზემოთ აღნიშნული ორივე ანაზღაურების მიღება, ვინაიდან ეს გამოიწვევს მის გამდიდრებას დაზღვევის ხარჯზე.**

იმ შემთხვევაში, თუ დამზღვევეი მიმართავს მზღვეველს ზარალის ანაზღაურების თაობაზე, სუბროგაციის პრინციპი ავალდებულებს მას ოფიციალურად, წერილობით გადასცეს მზღვეველს კანონით მისთვის მინიჭებული უფლება მოსთხოვოს ზარალის ანაზღაურება მესამე მხარეს. ამის შემდეგ დამზღვევეი დაფარავს თავის ზარალს სადაზღვევო კომპანიის მეშვეობით, ხოლო ამ უკანასკნელს უჩნდება რეგრესის უფლება ბრალეული მესამე მხარის მიმართ.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. გ. გიგოლაშვილი, „სადაზღვევო საქმე“, თბილისი 2012;
2. ჯ. შათირიშვილი, ნ. კაკუშვილი, „სადაზღვევო საქმე“, თბილისი 2012;
3. თ. ვერულავა „ჯანდაცვის ეკონომიკა და დაზღვევა“, თბილისი 2009;
4. Reinsurance Accounting Non-life course, Munnich re, Berlin, 1999, S. 15;
5. Lampert H., Lehrbuch der Sozialpolitik. Berlin, 1998, S. 224-228;

ინტერნეტ გვერდები:

www. Mof.gov.ge;
www. nbg.gov.ge;
www. heconomic.wordpress.com.

INSURANCE AS A PART OF ECONOMIC, FINANCIAL AND SOCIAL RELATIONS OF SOCIETY.

REZUME

T. Mezurnishvili

Insurance industry constitutes significant integral part of any successful economics. Numerous researchers of economics and history admit close relationship between a firm insurance market and efficient economical development.

Purpose of insurance is to reimburse an insured person or entity the material condition, which such person or entity has got before risk realization. It is related to overcoming of the risk case financial outcomes.

Insurance together with financial compensation of damage is a powerful stimulus for business activities, which is made by investment of provisionally free monetary means, which are at disposal of insurance companies. Owing to existence of the insurance fund each enterpriser may to acquire insurance coverage for the less price than would be the expenses, which such enterpriser should incur for establishment of his own reserve fund.

Actuality of insurance problems is clearly expressed in basic economical interests of the insurance relations subjects, i. e. of the insured person or entity and the insurer. The first of them requires protection against risks instead of insurance premium payment; in the case of such risks occurrence the basic requirement is full and timely compensation of damage originated from those; while the other subject aspires to maximum possible profit obtaining through investigation of provisionally free monetary means. Therefore, for the first of them the biggest achievement is “the spiritual peace” substantiated by material status preservation, while for the other it is “financial effect” obtained by stabile increase of profit.

Protection against unemployment, disease, accident and other risks through a private insurance is unachievable for a certain layer of society, proceeding from correlation between their incomes and amount of an insurance premium. In this case the social protection system regulates compensation of risks implementation outcomes, which is based on “insurance”, “security” and “care” principles.

In the case of a social insurance there are made insurance payments, which from one hand are not oriented to individual risks probability, while on the other hand, insurance compensation is not carried out under strict relationship with them. Social insurance, unlike individual and private insurance, does not exclude either risk or aid for the insured person. It insures the needy people who are under special risks without additional insurance payments.

When applying the security principle there arise services, privileges or aid rendering claims not on the grounds of insurance payments, but on the grounds of a person’s special merits before state.

In it is applied the care principle the members of society who are in poor economic status and suffer damage are given material and/or monetary aid from the state irrelative to their insurance payments.

In developed countries liberalization and deregulation of the insurance market contributed to increase of its volume and, therefore, also increase of potential competitors number; competition has intensified, which inspires insurance companies to follow the best economical policy. Reduced insurance premiums, improved services, more guaranties, etc. Consumers attraction and “good risks” insurance contributes to high profit obtaining and development of the insurance market.

Involvement of Georgia in the global development process objectively substantiates economical transformation, which shall provide for stabilization of financial and economical situation in the country. Correct management of the insurance market should take importance place for these issues settlement.

From the point of view of market relationships formation and development in Georgia, great significance should be given to development of correct insurance relationships, which contributes to economical growth of Georgia and, therefore, its involvement in the global insurance system. Successful implementation of economical, social and political programs for purpose of the country building and development are impossible without sustainable financial system, which should be considered basis for establishment of the insurance system related to the market economics. One of the most significant conditions for development of insurance relations is formation of insurance services state regulation. Basic purpose of that is, on one hand, ensuring of capability for the insurance companies functioning at the insurance market, while on the other hand, development of the governmental policy in the insurance field and observance of socially oriented market economics principles.

Against background of the economical and social reforms, which have been conducting in Georgia, it is evident necessity of establishing alternative mechanisms for people’s social protection. From this point of view it is especially important consideration of developed countries experience for adoption of civilized forms of governmental insurance activities.

For efficient functioning of the insurance market it is necessary existence of the legislative basis, accounting system, data base conforming to the market requirements, which has contributed to significant advance of the insurance industry for last few years.

The insurance field is one of the most important parts of the social reforms as the economical relationships system as it creates alternative mechanisms for people’s social securing, which are independent from state; through that the insurance industry undertakes settlement of the certain spectrum of social problems.

It a long time since establishment of insurance in countries with developed market economics as the powerful tool for regulation of social and economical processes and acquired the alternative social function.

გადაზღვევის სისტემა

სადაზღვევო პრაქტიკის პოპულარული სფეროა თვით სადაზღვევო კომპანიის დაზღვევა, ანუ, როგორც სადაზღვევო ლიტერატურაშია ცნობილი გადაზღვევა. ეს ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი საკითხია სადაზღვევო საქმიანობის განხილვისას.

გადაზღვევა ეს არის პირდაპირი მზღვეველის მიერ დაზღვეულისგან სადაზღვევო ხელშეკრულებით აღებული რისკის გარკვეული ნაწილის სხვა მზღვეველისთვის - გადამზღვევისთვის გადაცემა, ისე, რომ, ამ უკანასკნელს დაზღვეულთან სახელშეკრულებო ურთიერთობა არ გააჩნია.



გადაზღვევის განსაზღვრება XIX საუკუნის ბრიტანეთში ჩამოყალიბდა, რომლის მიხედვითაც, გადაზღვევა ეს არის იმის დაზღვევა, რაც უკვე დაზღვეულია და რისკის შემცირების საშუალებას იძლევა. გადაზღვევის დროს მაქსიმალურად იზღუდება სადაზღვევო კომპანიის ზარალი და ისინი გაკოტრებისგან არიან დაცული. უმთავრესად ამ გზას მიმართავენ მაშინ, როცა რისკის ასაღებად საჭირო ფინანსური რესურსები არ გააჩნია ორგანიზაციას.

ბუნებრივია გადამზღვევის ინსტიტუტის გამოყენებას დღევანდელი ქართული სადაზღვევო კომპანიებისთვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს. მისი განვითარება ჩვენში სადაზღვევო კულტურის ჩამოყალიბების საშუალებას იძლევა. ქართული სადაზღვევო კომპანიები გადახდისუნარიანი (რაც საზოგადოების ნდობას აყალიბებს) და პროფესიულად დახვეწილები ხდებიან. თუმცა გადაზღვევის უარყოფით მხარეს წარმოადგენს ის, რომ ამას თან ახლავს საქართველოდან თანხების (კაპიტალის) გადინება, რაც მაკრო-

ეკონომიკური თვალსაზრისით არასასურველია.

როგორც ცნობილია, გადამზღვევი პირდაპირ მოქმედებს მზღვეველის სადაზღვევო სიმძლავრეზე და მაქსიმუმამდე ამცირებს რისკს. ქართული სადაზღვევო კომპანიები გადაზღვევის მექანიზმს იყენებენ, როგორც ქონებრივი, ისე პიროვნული რისკების დაზღვევის სფეროში. ქართული ბაზარი "დაპყრობილი" აქვთ ისეთ სადაზღვევო კომპანიებს, როგორებიცაა; Munich Re, Swiss Re, General Re, Cologne Re, Garbing Globa Re, AXA და ა.შ.

გადამზღვევ ორგანიზაციას დაზღვეულთან ხელშეკრულება არ გააჩნია, მას მზღვეველთან აქვს უშუალო კავშირი. მზღვეველი ორგანიზაციები ამ სისტემას იყენებენ იმისთვის, რომ, ჯერ ერთი, მაქსიმალურად შეზღუდონ საკუთარი ზარალის წლიური მერყეობა; მეორე, დაცული იყვნენ გაკოტრებისგან კატასტროფის შემთხვევაში; მესამე, მზღვეველს არ გააჩნია რისკის ასამალღებლად საკუთარი რესურსები; მეოთხე, როდესაც სადაზღვევო

პორტფელი დაზღვევის ამა თუ იმ სფეროში არის არაპრომოგენური ანუ დაუბალანსებელი.

გადაზღვევის მოცულობას თვით მზღვეველი განსაზღვრავს, რამეთუ იგი დამოკიდებულია რისკის აღების სურვილზე, კომპანიის ფინანსურ სიძლიერეზე და ბაზრის მდგომარეობაზე.

როგორც მსოფლიო პრაქტიკა გვიჩვენებს, ძლიერი და კვალიფიციური გადამზღვევი მნიშვნელოვნად ამალღებს:

- 1) პირდაპირი მზღვეველის მომსახურების ხარისხს;
- 2) ამცირებს მზღვეველის გაკოტრების შესაძლებლობას;
- 3) სტაბილურს ხდის მზღვეველის ბალანსს;
- 4) ზრდის მზღვეველის სადაზღვევო სიმძლავრეს რისკის პროპორციული ნაწილის თავის თავზე აღებითა და საკუთარი რეზერვების მიწოდებით (სადაზღვევო სამძლავრე ეს არის მთლიანი პრემიის ის მაქსიმუმი, რომელიც სადაზღვევო კომპანიას შეუძლია აიღოს დამოუკიდებლად როგორც ერთეულ, ისე აკუმულირებულ რისკზე). ამასთან,

5) ანვდის მზღვეველს სტატისტიკურ ინფორმაციას მთელი მსოფლიოდან;

6) განსაზღვრავს და აფასებს სპეციფიკურ რისკებს;

7) უზრუნველყოფს მზღვეველს ნოუ-ჰაუთი;

8) ეხმარება კომპანიას ზარალის განსაზღვრასა და შეფასებაში;

9) აწარმოებს აქტუალურ გათვლებს და ახორციელებს საკონსულტაციო მომსახურებას ზარალის თავიდან ასაცილებლად.

ყოველივე ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ გადამზღვევი უზრუნველყოფს თავის უსაფრთხოებასა და ფინანსურ სიმყარეს:

პირველი, რისკის განაწილებით დროსა და სივრცეში (ძლიერი გადამზღვევის პორტფელები მოიცავს რისკებს მთელს მსოფლიოში);

მეორე, აღებული რისკის აკუმულირების კონტროლით;

მესამე, კლიენტთან ხანგრძლივი ურთიერთობით, რათა მოხდეს ზარალის დროში კომპენსირება;

მეოთხე, დაუბალანსებელთან

ერთად დაბალანებული რისკების ალებით;

მეხუთე, იმ რისკების შემდგომი გადამზღვევით (რეტროცესიით) რომელიც აჭარბებს მის საკუთარ “სადაზღვევო სიმძლავრეს”.

სადაზღვევო სისტემაში ცნობილია გადამზღვევის ორი ძირითადი ფორმა: ფაკულტატურული და ობლიგატორული.

ფაკულტატურული გადამზღვევის შემთხვევაში ხდება გადამზღვევა ინდივიდუალური რისკისგან. პირდაპირ მზღვეველს ამ შემთხვევაში შეუძლია განსაზღვროს, ერთის მხრივ, რისკის რომელი სახე და რა ნაწილი გადააზღვიოს, ხოლო მეორეს მხრივ, რომელ გადამზღვევთან განახორციელოს ეს ოპერაცია.

პრაქტიკულად პირდაპირი მზღვეველი ორ შემთხვევაში მიმართავს ფაკულტატურულ გადამზღვევას:

1) **თუ მას არ გააჩნია ობლიგატორული გადამზღვევა;**

2) **თუ რისკის მოცულობა აჭარბებს ობლიგატორული გადამზღვევის მოცულობას ან, თუ დასაზღვევი რისკი გამონაკლისია**

ობლიგატორული გადამზღვევის ხელშეკრულებაში.

ფაკულტატურული გადამზღვევა შეიძლება იყოს პროპორციული და არაპროპორციული. მეორე ფორმაა ობლიგატორული გადამზღვევა, რომელიც წარმოადგენს გადამზღვევის ხელშეკრულებას მთელი პორტფელისთვის, ანუ, ავტომატური გადამზღვევა.

ობლიგატორული გადამზღვევის შემთხვევაში პირდაპირი მზღვეველი ვალდებულია, რომ რისკის ხელშეკრულებით განსაზღვრული პროცენტი გადააზღვიოს გადამზღვევთან. ხოლო, ეს უკანასკნელი, თავის მხრივ, ვალდებულია მიიღოს რისკის ეს ნაწილი გადამზღვევაზე. სწორედ ეს განსაზღვრავს ტერმინს — ობლიგატორული, ე.ი. გადამზღვევი ვერც ერთ შემთხვევაში ვერ იტყვის უარს რისკზე, ისევე როგორც პირდაპირი მზღვეველი ვერ დატოვებს ვერც ერთ რისკს ისე, რომ არ გადააზღვიოს. როგორც წესი, ასეთი ხელშეკრულება ფორმდება ერთი წლის ვადით.

გადამზღვევის ძირითადი ტიპებად გამოყოფენ პროპორციულ და





არაპროპორციულ გადაზღვევას. პროპორციული გადაზღვევის დროს პირდაპირი მზღვეველი და გადამზღვევე იყოფენ როგორც პრემიას, ისე ზარალს ხელშეკრულებაში წინასწარ განსაზღვრული პროპორციით. ეს პროპორცია გადაზღვევის ხელშეკრულების ტიპის მიხედვით შეიძლება იყოს ყოველთვის ერთი და იგივე (ქვოტური პრინციპი), ან იცვლებოდა ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში (აღმატებულობის პრინციპი). მაგრამ ყოველთვის გადაზღვევის წილი პრემიაში პირდაპირ პროპორციულია შესაძლო ზარალში მისი წი-

ლისა. მაგალითად, თუ გადამზღვევე იღებს რისკის 90 %-ს, მაშინ პრემიის 90 %-იც მას ეკუთვნის.

არაპროპორციული გადაზღვევის დროს არ არსებობს პრემიისა და ზარალის მზღვეველსა და გადამზღვევს შორის წინასწარ დადგენილი პროპორცია. ზარალის გაყოფა ხდება ფაქტიური ზარალის სიდიდის მიხედვით.

არაპროპორციული გადაზღვევის ხელშეკრულება განსაზღვრავს იმ ზღვრული თანხის ოდენობას, სანამდეც იფარება ზარალი მზღვეველისგან. ასეთი ხელშეკრულებით გადამზღვევე ვალდებულია ამ

თანხის ზევით ზარალი დაფაროს იმ ლიმიტამდე, რომელიც ასევე განისაზღვრება არაპროპორციული გადაზღვევის ხელშეკრულებით. რაც შეეხება ასეთი სახის გადაზღვევის პრემიის ტარიფს, იგი გამოითვლება გადამზღვევის მიერ წინა პერიოდის ზარალების სტატისტიკის საფუძველზე და წარმოადგენს მოსალოდნელი მთლიანი პრემიის ნაწილს ფიქსირებული თანხის ფორმით.

თენგიზ მეზურიშვილი

საქართველოს პოლიტექნიკური უნივერსიტეტის დოქტორანტი

**გამოყენებული
ლიტერატურა:**

1. გ. გიგოლაშვილი, „სადაზღვევო საქმე“, თბილისი 2012;
2. ჯ. შათირიშვილი, ნ. კაკაშვილი, „სადაზღვევო საქმე“, თბილისი 2012;
3. თ. ვერულავა „ჯანდაცვის ეკონომიკა და დაზღვევა“, თბილისი 2009;
4. Reinsurance Accounting Non-life course, Munnich re, Berlin, 1999, S. 15;
5. Lampert H., Lehrbuch der Sozialpolitik. Berlin, 1998, S. 224-228;

ინტერნეტ გვერდები:

- www. Mof.gov.ge;
- www. nbg.gov.ge;
- www.heconomic.wordpress.com.

REINSURANCE SYSTEM

REZUME

T. Mezurnishvili

A widely spread practice is insuring insurance company. It is called as reinsurance in insurance literature. This is one of the most important issues when reviewing insurance operations.

Reinsurance is sharing part of the risk, taken from the insured, from one insurer to another, so that the latter has no contractual relation with the insured one.

It is obvious that reinsurance is crucial for today's Georgian insurance companies. Development of reinsurance gives the opportunity to the insurance culture in Georgia to be formed. Georgian insurance companies are becoming solvent (which forms the confidence in society) and professionally refined. However, negative side of reinsurance still exists. This process causes cash (capital) outflow from Georgia, which is not preferable from macroeconomic point of view.

It is known that the reinsurer directly affects insurance power of the insurer and reduces the risk to the minimum. Georgian insurance companies use reinsurance mechanism for property insurance as well as for personal risks' insurance. Companies, like Swiss Re, General Re, Cologne Re, Garbing Global Re, AXA and others, operate on Georgian reinsurance market.

სუთი ტიპური შესდომა ხელფასზე მოლაპარაკების დროს

ხალხის რჩეულმა ქართველმა კანონმდებლებმა უკვე დასაქმებულების უფლებებზე დაინყეს ზრუნვა. შრომის კოდექსის ახალი რეგულაციები არც ისე მემარაცხენე-რადიკალური აღმოჩნდნენ, როგორც ამას ევროპელები მოითხოვდნენ, მაგრამ მიუხედავად ამისა, მაინც დაიმსახურეს ისეთი არაორდინალური შეფასება, როგორიცაა „როზა ლუქსემბურგის ოცნება“.

თუმცა, თვითონ საქართველოში შრომის კოდექსის შინაარსს არსებითი მნიშვნელობა არ აქვს – კერძო ბიზნესმენები და დაქირავებულები აქამდეც მშვენივრად ახერხებდნენ მოლაპარაკებას ყოველგვარი იურიდიული კანონების გარეშე.



შრომითი ურთიერთობები საქართველოში უფრო მეტად ტრადიციულ სამართლის სფეროს განეკუთვნება.

რა თქმა უნდა, ხშირი იყო ისეთი შემთხვევები, როდესაც დამსაქმებლები თანამშრომლებს 2-3 თვე ამუშავებდნენ მხოლოდ დაპირებით და შემდეგ ხელფასებს არ უხდიდნენ. მაგრამ ამ პრობლემის მოგვარება არსებული შრომითი კოდექსის ფარგლებშიც შეიძლებოდა შრომითი ხელშეკრულების გაფორმებით და ხელფასების მიღების ბუღალტრული აღრიცხვის გამოყენებით

ოფიციალურ კანონმდებლობას დიდი მნიშვნელობა აქვს ევროამერიკელი ინვესტორებისათვის. ისინი არა-თუ შრომით ურთიერთობებს, არამედ ქორწინებასაც კი იურიდიულ ფორმატში აქცევენ.

შესაბამისად ქართველმა თანამშრომლებმა უნდა გაითვალისწინონ ის ნესები თუ ჩვეულებები, რაც დამახასიათებელია ცივილიზირებული ქვეყნებისათვის.

დამსაქმებელთან ურთიერთობის ერთ-ერთი მთავარი საგანი ხელფასია და მისი ოდენობა ხშირად დამოკიდებულია არა საკანონმდებლო ნორმატივებზე, არამედ, პირად ურთიერთობებზე, საბაზრო კონიუქტურაზე და შრომითი საქმიანობის სპეციფიკაზე.

დამსაქმებელს უფლება აქვს არ გადაუხადოს თანამშრომელს კანონმდებლობით დაწესებულ მინიმუმზე მეტი, მაგრამ თანამედროვე ევროამერიკაში იშვიათად იპოვით ისეთ ადამიანს, რომელიც იურიდიულ მინიმუმზე მუშაობს!

თუ როგორ უნდა მივალწიოთ ხელფასის მომატებას მინიმუმზე მაღლა – ამის შესახებ სარეკრუტო სააგენტომ **“The Creative Group”** გამოკვლევა ჩაატარა და საკმაოდ საინტერესო შედეგები მიიღო.

აღმოჩნდა, რომ ის კანდიდატები, რომლებიც თავიდანვე ეთანხმებიან შემოთავაზებულ ხელფასს, ხშირად კარგავენ მისი გაზრდის პერსპექტივას. დამსაქმებელი ბუნებით კომერსანტია – ამიტომ ვაკანსიის შესახებ განცხადებაში წერს არა იმ მაქსიმუმს, რომლის გადახდაც

შეუძლია, ან უღირს, არამედ იმდენს, რამდენიც მისი აზრით მიმზიდველია უმუშევარი ადამიანისთვის.

რა თქმა უნდა, არ ღირს რომ პირველსავე გასაუბრებაზე – ჯერ კიდევ სამსახურში მიღებამდე პრეტენზიები გამოთქვათ ხელფასის გამო, მაგრამ კითხვაზე – გაკმაყოფილებთ თუ არა ხელფასი – მინიმუმ უნდა გამოთქვა სურვილი, რომ იგი მომავალში ცოტა მაინც უნდა გაიზარდოს სანარმოს განვითარების პროპორციულად.

დასაქმებულის ხელფასთან ერთად ბიზნესის გაზრდის **ოცნება** დამსაქმებელსაც გადაედება და არ არის გამორიცხული, რომ საქმის წარმატების შემთხვევაში სოლიდური პრემიებიც გასცეს!

ასე რომ, სახელფასო განაკვეთის შესახებ საუბრის დროს პრეტენდენტმა არ უნდა დაუშვას შემდეგი ტიპური შეცდომები:

1. არ მიხვიდეთ მოუმზადებელი

კანდიდატმა ზუსტად უნდა იცოდეს, თუ რას უხდიან მის რეგიონში ანალოგიურ პოზიციებზე დასაქმებულ ადამიანებს. რა ფაქტორებზეა დამოკიდებული მათი ხელფასების თუნდაც მცირეოდენი სხვაობა და ზრდის ან კლების პერსპექტივები.

2. არ ითამაშოთ.

მცდელობა, რომ შეცდომაში შეიყვანონ დამსაქმებელი, როგორც წესი წარუმატებლად მთავრდება. არ ღირს იმის მოყოლა, რომ აი სხვა ფირმაში მსგავს პოზიციაზე უფრო მეტი ხელფასი იყო და იქ უფრო დიდი ინტერესით მოგისმინეს და უფრო მეტი მონღომებით დაგპირდნენ მიწვეას. სჯობს გულწრფელი იყოთ – ამ თვისებას თვით პროფესიონალი თვალთმაქცებიც კი აფასებენ.

3. არ დააყენოთ თქვენი პრობლემები ყველაფერზე მაღლა.

არ ღირს იმის მტკიცება, რომ ხელფასი კი არის ნორმალური, მაგრამ თქვენ სასწრაფოდ გაქვთ გადასახდელი იპოთეკა, ან კიდევ გინდათ ავტომობილის ახალი ეკონომიური მოდელი იყიდოთ და ა.შ.

თვითმმართველობა, როგორც დემოკრატიის მწვერვალი



უმჯობესია იმსჯელოთ იმის შესახებ თუ რა ნვლილს შეიტანთ კომპანიის განვითარებაში.

4. არ გაამახვილოთ ყურადღება მხოლოდ ხელფასზე.

ხელფასის დონე ყოველთვის არ არის მთავარი მაჩვენებელი. შესაძლებელია ხელფასი არც ისე დიდი იყოს, მაგრამ სანაცვლოდ კომპანიას ჰქონდეს დაზღვევის შესანიშნავი პაკეტი ან პრემიების პროგრესული სისტემა. შესაძლებელია შედარებით უკეთესი იყოს შვებულების ანაზღაურების პირობები, ან სამუშაო გრაფიკი.

ასე რომ, სანამ ხელფასზე პრეტენზიას გამოთქვამთ - აღნიშნული ასპექტებიც უნდა გააარკვიოთ.

5. ნუ გადაქაჩავთ საბანს მხოლოდ თქვენსკენ.

თუ თქვენ თავიდანვე უკმაყოფილება გამოთქვით ხელფასის განაკვეთის გამო - მოლაპარაკება უშედეგოდ დამთავრდება. დამსაქმებელს სჭირდება არა პრეტენზიული ხელქვეითი, არამედ ისეთი თანამშრომელი, რომელიც კომპანიის შემადგენელი ნაწილი გახდება და სხვებთან ერთად იზრუნებს მის განვითარებაზე.

კოლეგიალურობის გრძობის დემონსტირება უფრო მიმზიდველი იქნება ვიდრე ეგოისტური მიდრეკილებების გამომხეურება. ასეთ შემთხვევაში არ არის გამორიცხული, რომ დამსაქმებელი მოგებასაც კოლეგიალურად გაგიზიარებთ.

თვითმმართველობა არა მხოლოდ დემოკრატიის შემადგენელი ნაწილი, არამედ მისი მწვერვალია.

რეფორმისტული აზროვნება ცხადია კარგია, მაგრამ როგორ რეალიზდება ცენტრალური ხელისუფლების მეტად ამბიციური იდეები რეგიონებში, ადგილობრივი მმართველობების მრავალრიცხოვან სტრუქტურებში?! ხელისუფლება სამოქმედოდ ევროპული გამოცდილების „ან-ბანს“ გვთავაზობს, „რომანი“ კი რეგიონებში უნდა დაინეროს!

ძნელი წარმოსადგენია, როგორ უნდა დაინეროს, მაგალითად, კასპის რაიონში, „ქართული დემოკრატიის რომანი“ და იქ თვითმმართველობის ნაყოფი აღმოცენდეს, სადაც ადგილობრივ ხელისუფლებას დამოუკიდებელი აზროვნება არ შეუძლია და ის ღრმა, უძირო პროვინციალიზმშია ჩაიძირული; სადაც უფლებები, მოვალეობები, საარსებო გარემო და საერთოდ სიცოცხლე, დაკნინებულია, როგორც ამ რაიონის უნაყოფოდ ქცეული, მოურწყავი ველ-მინდვრები; სადაც უსისტემო, „რევოლუციური“ არჩევნები გამოფხიზლების ერთადერთი იმპულსია და ისიც მხოლოდ ადამიანთა პირად ამბიციებს აღვიძებს. ერთი სიტყვით, საქართველოს რეგიონებში თვითმმართველობის საფუძვლებიც კი მენტალურად თუ მატერიალურად, სრულიად დეგრადირებულია!

საქართველოს მთავრობის მიერ ინიცირებული ადგილობრივი თვითმმართველობისა და დეცენტრალიზაციის მეტად მომხიბვლელი იდეა, მართლაც იმედისმომცემი შუქურასავით გამოკრთა და საზოგადოებაში უდიდესი ინტერესი, მოლოდინი და აზრთა დაპირისპირება გამოიწვია.

საკითხი ასე დგას: იქ, სადაც არ არის დემოკრატიის ევროპული ტრადიცია, როგორ იმუშავებს განვითარებული თვითმმართველობის მზა ევროპული მოდელი?! როგორ

მოვახერხოთ ჩვენი პროვინციების გაცოცხლება?!

რა გვაქვს, რისი გამოყენება შეგვიძლია რეგიონების დონეზე, როგორ წავახალისოთ პოტენციური თვითმმართველი - ადგილობრივი ხელისუფლება?!

მივყვეთ მთავრობის ნებას, გავიდეთ რეგიონებში და გზადაგზა დავკვალიანდეთ, რა უნდა იცოდეს ზოგადად ადგილობრივმა ხელისუფლებამ რეფორმის დაწყებამდე, რა სასტარტო პირობებია მათ გამგებლობაში.

რეფორმის ავტორების ძალისხმევა რეალიზდება რეგიონებში (და მთელს ქვეყანაში) არსებული საზოგადოებრივი განწყობის ადეკვატურობით და მისი ჩართულობით მიმდინარე პროცესებში. თანამედროვე პროგრესული ინსტიტუცია - ადგილობრივი თვითმმართველობა ახალ გარემოში რომ დაინერგოს, ეკონომიკური საფუძვლების გარდა, იქ შესაბამისი სოციალური გარემო უნდა არსებობდეს, რაც ვლინდება ადამიანთა მენტალურ თვისებებში, საზოგადოებრივ შეგნებაში, შინაგან მრწამსსა და ფასეულობათა სისტემაში. ეს ყოველივე, შესაბამისი ძალისხმევის შემთხვევაში, სუბიექტის სიახლისადმი მზადყოფნაში აისახება, რადგან საზოგადოებას აქვს თვითგანვითარების შინაგანი რესურსი, სიახლისადმი ბუნებრივი სწრაფვა. ადამიანთა აქტივობის ამ ასპექტებს ახასიათებენ ტერმინით - „სოციალური კაპიტალი“, რაც თავისთავად, ქვეყნის უდიდესი რესურსია და ძირითადად განვითარებული საზოგადოების პროდუქტს წარმოადგენს. მისი დონე და განვითარების ხარისხი გვიხასიათებს თუ რამდენად წარმატებული შეიძლება იყოს სახელმწიფოს ნებისმიერი ინიციატივა და პროგრესული ნოვაცია.

ამდენად, გარდაქმნა რომ შედეგიან რეფორმად იქცეს, რეფორმის ინიციატორმა, უპირველესად, ჩვენი საზოგადოება ქალაქებში და რეგი-

თვითმმართველობა

ონებში გარინდებისა და უმოქმედობის მდგომარეობიდან უნდა გამოიყვანოს და მათი ენერჯია წარმართოს პროგრესისკენ, თვითშემოქმედებისკენ, ანუ შექმნას რეფორმისთვის ადეკვატური სოციალური გარემო - მობილიზაცია გაუკეთოს და აამოქმედოს საზოგადოების ენერჯეტიკული კაპიტალი. წარმატებისთვის ეს ფაქტორი გაცილებით უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე ეკონომიკური რესურსები.

ერთი სიტყვით, რეფორმა საზოგადოებიდან უნდა დავიწყოთ და არა ამ საზოგადოების მიერ შესაქმნელი და მათივე სამართავი ინსტიტუციებიდან, რითაც ის შემდგომ თვითმმართველობას განახორციელებს.

ამ უმნიშვნელოვანესი პირობის დასაცავად, ვფიქრობ, რეფორმის პირველ ეტაპზევე, უნდა შემუშავდეს მეცნიერულად დასაბუთებული სახელმწიფო პროგრამა, რომელიც განსაზღვრავს მოქმედების ფორმებს, შესაბამის ნორმებს და მექანიზმებს, მათი გამოყენების პირობებს და სქემებს საზოგადოების მაქსიმალური აქტივობის მისაღწევად, რეფორმის სოციალურ-იდეოლოგიური საფუძ-

ვლების შესაქმნელად.

გავაგრძელოთ, გავყვეთ რეფორმას და მის ავტორებს. ეხლა ვნახოთ, რა მატერიალური გარემო და ეკონომიკური რესურსები არსებობს რეგიონებში თვითმმართველობის დასამკვიდრებლად.

ნებისმიერი ქალაქის თუ რაიონის თვითმმართველობის უზრუნველსაყოფად მეტ-ნაკლები ზომით, აუცილებელი და საჭირო ობიექტური წანამძღვრები არსებობს - ბუნებრივი და მატერიალური რესურსები, შრომითი რესურსები, განადგურებას გადარჩენილი ეკონომიკური ბაზა, ფინანსური შემოსავლები, სანარმოო, სამმართველო, საყოფაცხოვრებო, კულტურული ინფრასტრუქტურა და სხვ. არ არსებობს (დღემდე) სუბიექტური, მეთოდოლოგიური წანამძღვრები და მათი რეალიზაციის საკანონმდებლო თუ მოდულაციური მექანიზმი. ეს წანამძღვრები შესაბამის კონცეპტუალურ მოდელებში უნდა აისახოს.

მეთოდოლოგიური წანამძღვრები საჭიროა იმისთვის, რომ გავაცნობიეროთ რა გვინდა დღეს და გრძელვადიან პერსპექტივაში, რა ორგანიზაციულ-მეთოდური საკითხებია

გადასაწყვეტი, ე. ი. გაცხადდეს მიზანი, ინტერესები და შესაძლებლობები. აქაც, საჭირო იქნება ცოდნის (სამეცნიერო ბაზის), ინტელექტუალური კაპიტალის ჩართვა, რაც თანამედროვე პოსტინდუსტრიულ მსოფლიოში ეკონომიკის ძირითადი რესურსია. ალბათ, უნდა შემუშავდეს თითოეული რაიონის და მხარის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების გრძელვადიანი პროგრამები, მათი ბუნებრივ-კლიმატური და ეკონომიკური პოტენციალის გათვალისწინებით. მნიშვნელოვანი იქნება თუ თითოეული რეგიონის ეკონომიკის განვითარებისთვის მოხდება ისეთი მოდელის შერჩევა, რომელიც მისი სპეციფიკიდან გამომდინარე, სახელმწიფოს ჩართულობით, ეფექტიან პროფილად ჩამოყალიბდება და განვითარების უპირატეს პერსპექტივას შექმნის. ძირითადად, რეგიონული ეკონომიკის განვითარების პრიორიტეტი სოფლის მეურნეობის შესაბამისი მაპროფილებელი, ტრადიციული (ზოგჯერ უნიკალური) დარგები გახდება.

ტერიტორიული თვითმმართველობის სისტემა დაეფუძნება თითოეული მხარის და რაიონის გე-



ოპოლიტიკურ, დემოგრაფიულ, გეოგრაფიულ, ეკონომიკურ, კულტურულ-სოციალურ თავისებურებებს და არსებულ „სოციალურ კაპიტალს“. გამოიკვეთება რეგიონის პოტენციალი, პერსპექტიული სამეურნეო პროფილი, თავისთავადობა. აღნიშნულის შესაბამისად, ჩამოყალიბდება თვითმმართველობის ტერიტორიული ორგანიზების ინფრასტრუქტურული, ეკონომიკური, სოციალური და კულტურული ჩარჩო-მოდელი.

ტერიტორიული თვითმმართველობა რეალიზდება ადგილობრივი ხელისუფლების და მის დაქვემდებარებაში გადაცემული საწარმოებისთვის უფლების დელეგირებით - ავტონომიურად მართონ, განკარგონ და გამოიყენონ მათ გამგებლობაში არსებული საკუთრება; დამოუკიდებლად დაამყარონ ერთმანეთთან სამეურნეო ურთიერთობა. სამეურნეო ავტონომია საერთო რესპუბლიკური კანონმდებლობით განისაზღვრება.

ეს ნიშნავს, რომ რეგიონს, როგორც თვითმმართველ ეკონომიკურ ერთეულს შეუძლია დამოუკიდებელი ეკონომიკური პარტნიორის სტატუსით ჯანსაღ სამეურნეო ურთიერთობაში შევიდეს ნებისმიერ სხვა რეგიონთან, როგორც ეკონომიკურ პარტნიორთან. ადგილობრივი თვითმმართველობა რეგიონის სამეურნეო კომპლექსის პრიორიტეტული განვითარების არჩევის შესაძლებლობას იძლევა. ეს კვლავწარმოების სტრუქტურულ ცვლილებებში აისახება. კერძოდ:

- არსებული ვითარების გათვალისწინებით, აქცენტი აღებული უნდა იყოს ადგილობრივ სუბსტანციურ, ბუნებრივ რესურსებზე, ტრადიციულ მეურნეობებზე და ამის საფუძველზე, შევეცადოთ ვანარმოოთ არა მხოლოდ ნედლეული, არამედ მზა პროდუქცია;

- უნდა შემუშავდეს კონკრეტული საწარმოო პროგრამები, ორიენტაცია ავილოთ ძირითადად ადგილობრივ ბაზარზე;

- გადაისინჯოს და დაზუსტდეს რეგიონის სამეურნეო პროფილის დარგობრივი და შიგადარგობრივი სტრუქტურა. ამისათვის უნდა გამოიკვეთოს საბაზო მაპროფილებელი დარგები, რომელთა პროდუქციაც

კონკურენტუნარიანად იქნება მიჩნეული. უარი ვთქვათ მასალატევად და ენერგოტევად დარგებზე, ინტერესი გავამახვილოთ ინოვაციურ დარგებზე და ტექნოლოგიებზე;

- აუცილებელია დაზუსტდეს რესპუბლიკური, სამხარეო და მუნიციპალური საკუთრებითი ერთეულები, დადგინდეს მათი პროპორციები და წილი. დაისვას საკითხი მათი დაქვემდებარების სტატუსის შეცვლის ან დაზუსტების შესახებ, რაც შემოსავლების გამიჯვნის ვარიანტებში აისახება;

- პერსპექტივაში, მნიშვნელოვანია ორიენტაცია ავილოთ უნიფიცირებული სამეურნეო კომპლექსების შექმნა-მოდელირებაზე.

შეიძლება ითქვას, რომ არცერთ რეგიონში, არცერთი სამეურნეო სფერო სამეურნეო კომპლექსად არ არის ჩამოყალიბებული. კომპლექსის ნაცვლად ისინი წარმოადგენენ ეკონომიკურად, ეკოლოგიურად, დარგობრივად დაუსაბუთებელ საწარმოთა ნაკრებს, რომელთა ფუნქციონირება არც ტერიტორიულ და არც დარგობრივ ეფექტს არ იძლევა.

აუცილებელია თვითმმართველობების იურიდიულ და სამეურნეო სუბიექტთა ფუნქციონირების მოდელირება ურთიერთობის სხვადასხვა დონეზე. საჭიროა მართვის სუბიექტთა და სამართავ ობიექტთა რაციონალური რაოდენობის განსაზღვრა.

რთულ სამეურნეო ურთიერთობათა დარგობრივ სისტემაში რაციონალურია მართვის შედარებით მეტი დამოუკიდებელი სუბიექტისა და ნაკლები ობიექტის ურთიერთდამოკიდებულება. რეგიონულ სისტემაში - ტერიტორიული მართვის ნაკლები სუბიექტისა და მეტი სამართავი ობიექტის ურთიერთდამოკიდებულება. თვითმმართველობის ოპტიმალური მოდელი მათი რაციონალური ერთიანობით მიიღწევა.

სამეურნეო თვითმმართველობის ეს მოთხოვნა რეგიონული მართვის ტერიტორიულ სტრუქტურაში გულისხმობს:

- **ადმინისტრაციული დარაიონების გამსხვილებას;**

- **ადმინისტრაციული მართვის ორგანოთა (სუბიექტთა) შემცირებას;**

- **ადგილობრივი მუნიციპალუ-**

რი დაქვემდებარების საწარმო-ორგანიზაციათა მაქსიმალურ შესაძლო სიმრავლეს ერთი მმართველი სუბიექტის გამგებლობაში.

დარგობრივ სტრუქტურაში:

- **სახელმწიფო საკუთრების დეცენტრალიზაციას და მის განდანილებას თვითმმართველობის დამოუკიდებელ ეკონომიკურ სუბიექტებს შორის;**

- **წვირლ და საშუალო საწარმოთა გაერთიანებას ეკონომიკური მიზანშეწონილობისა და სამეურნეო სარგებლიანობის შესაძლო ვარიანტთა გათვალისწინებით;**

- **დარგობრივი და დარგთაშორისი გაერთიანებების, ასოციაციების და სხვ. შექმნას;**

- **მართვის ერთი სუბიექტის კენსწრაფვას.**

მსოფლიოში დღეს ინდუსტრიალიზმის ეპოქის მემკვიდრეობის - არარაციონალური ბიო-ეკონომიკური გარემოს მკურნალობაზე საუბრობენ. ტექნიკური და ტექნოლოგიური პროგრესის მოთხოვნებმა ადამიანი მაქსიმალურად მომხმარებელი გახადა, რაც მხოლოდ ცოცხალი ბუნების ექსპლუატაციის ხარჯზე ხდებოდა და ეს განვითარებული მსოფლიოსთვის მრავალი პრობლემის საფუძველი გახდა.

ამ მხრივ საქართველოს „გაუმართლა“.

ბიო-ეკონომიკური გარემო ჩვენს რეგიონებში „სუფთა“ და „ცარიელია“. პოსტსაბჭოთა ეკონომიკური ბაზა და ინფრასტრუქტურა თითქმის აღარ არსებობს. ე.ი. ჩვენ თავისუფალი ვართ განვითარებული მსოფლიოს მომხმარებლური ეპოქის პრობლემებისგან, ასევე, საბჭოთა ცენტრალიზებული, მრავალდარგოვანი ეკონომიკის ნარჩენებისგან. გვეძლევა შანსი ცივილიზაციის „შეცდომები“ გავითვალისწინოთ და ჩვენ თვითონ შევქმნათ ახალი ქართული ეკონომიკური ინფრასტრუქტურა ჩვენს ქალაქებში თუ რეგიონებში, და ეს ქართული „ან-ბანით“ დაწერილი თვითმმართველობის „რომანის“ საფუძველი იქნება.

ნუკრი მიხანაშვილი

ეკონომიკის
აკადემიური დოქტორი

საბანკო საქმის მებზური

რეცენზია წიგნზე: „საბანკო კრიზისის პროგნოზირება“,
ავტორი ლია ელიავა, თბილისი, 2013, გვ. 402

2008-2010 წლების მსოფლიო ფინანსური კრიზისის დამანგრეველმა ტალღამ, რომელიც აშშ-ი აგორდა, ლამის საქართველოს მალალ მთიან სოფლად მცხოვრებ გლეხის ეზო-კარამდეც კი ააღწია. მოვლენები მყისიერად განვითარდა: ინფორმაციამ საბანკო ჯგუფ Citigroup-ის შემოსავლების მკვეთრი კლების შესახებ 2009 წლის 15 იანვარს ნიუ-იორკის საფონდო ბირჟა ფაქტობრივად ჩაშალა. ამ დღის ინციდენტი გლობალურ მასშტაბებს მოედო და შედეგები სამყაროს შედარებით მომცრო ჩვენი პლანეტის მოსახლეობას იმაზე ძვირი დაუჯდა, ვიდრე, ის ღირებულებით მაჩვენებელში გამოისახა (აღამიანური ფაქტორები ციფრებით არ იზომება).

შეიძლება თუ არა ამ მოვლენის წინასწარ განჭვრეტა და განეიტრალება? პასუხი ცალსახაა - რა თქმა უნდა, მოლოდინი არსებობდა. კრიზისის აფეთქებამდე, წარღვნის ტოლფასი სიმპტომი ნიუ-იორკის ქუჩებში კაბრიოლეტით დასეირნობდა, ზოგი მას შურით აადევნებდა თვალს, ზოგი კი ყოველდღიურ საზრუნავში იყო თავჩაგრული და სხვის კეთილდღეობაზე მეტად საკუთარი სიდუხჭირე უფრო ადარდებდა. მხოლოდ მცირერიცხოვან სპეციალისტებს ქონდათ ალიაქოთი ატეხილი - მოსალოდნელ კატასტროფაზე აფრთხილებდნენ ქვეყნის მთავრობებს და საქმიან წრეებს. ვინც ირწმუნა და თადარიგი დაიჭირა, უთუოდ მოიგო, ურწმუნონი კი აზვირთებულ ტალღებს ჩაჰყვნენ ოკეანის ფსკერზე სკაფანდრის გარეშე.

ფინანსური კრიზისი უფრო ფართო კატეგორიაა და მოიცავს საბანკო კრიზისს, სავალუტო კრიზისს, ფულის მიმოქცევის კრიზისს, ლიკვიდურობის კრიზისს, ორმაგ



კრიზისს და ა. შ. მისი ბუნებიდან გამომდინარე, ფინანსური კრიზისის ნებისმიერი შემადგენელი, ან მათი ცალკეული ელემენტიც კი ძლიერ ზემოქმედებს საკრედიტო-საფინანსო სისტემაზე და მაშასადამე, დაუყოვნებლივ აისახება ეკონომიკის განვითარების სტაბილურობაზე.

მსოფლიო მასშტაბის სხვადასხვა სახის კრიზისებს ადრეც არაერთხელ ჰქონდა ადგილი, თუმცა გაკვეთილები ბევრმა ვერ დაიზუთხა და ვერც საშინაო დავალება შეასრულა საშუალო დონეზეც. ამიტომაც შედეგებიც სავალალო გამოდგა.
ფინანსური, მათ შორის, საბან-

კო და სავალუტო კრიზისების, დამანგრეველი ძალა საკუთრივ, საქართველომაც მრავალგზის იწვინია საბაზრო ეკონომიკაზე გარდამავალ პერიოდსა თუ „ვარდების რევოლუციის“ პირმშო ჯღ-ით გაბრუების დროშიც. ძალიან ზოგადი, ზედაპირული წარმოდგენით, კრიზისული მდგომარეობა განპირობებული იყო ქვეყანაში სტრუქტურულ გარდაქმნებისას დაშვებული არაკომპეტენტურობით, აგრეთვე, მისი იმპორტირებით სხვა ქვეყნებიდან. ცალკეული ავტორის კრიტიკული შეფასებების გარდა, დღემდე არ მომხდარა აღნიშნული კრიზისების ღრმა მეცნიერული შესწავლა, ანალიზი, შედეგების განზოგადება და პრევენციულ ღონისძიებათა კომპლექსის ჩამოყალიბება. რაც უფრო მნიშვნელოვანია, არ შესრულებულა კვლევები ამგვარი კრიზისების დადგომის მაუწყებელი, მეცნიერულად არგუმენტირებული ინდიკატორების შემუშავების, მათი გამოვლენის და გამოყენების შესახებ.

სწორედ, მაღალი მგრძობიარობის მატარებელი წინმსწრები გააფრთხილებელი ინდიკატორების სისტემა, წარმოადგენს რა მაკრო და მიკროეკონომიკური მაჩვენებლების კომპლექსურ ერთიანობას, საბანკო კრიზისის დადგომის პროგნოზირების მნიშვნელოვანი ინსტრუმენტი. მისი ჩანასახშივე შემჩნევა, სასიგნალო იმპულსების შეკრება, ხასიათისა და ბუნების გახსნა, მოქმედების არეალის და მასშტაბების განსაზღვრა, ამ ინფორმაციული ბაზის საფუძველზე კი ზუსტი დიაგნოზის დასმა და პრევენციული თერაპიის კურსის დანიშვნა მხოლოდ მაღალი რანგის სპეციალისტებს ემარჯვებათ.

და აი, დაინტერესებული მკითხველის ბიბლიოთეკას შეემატა **ეკონომიკის აკადემიური დოქტორის, პროფესორ ლია ელიავას მონოგრაფია „საბანკო კრიზისების პროგნოზირება“**. წიგნი შედგება რვა თავისგან, მასში რუდუნებით, მაღალმეცნიერულ დონეზე შესწავლილია საბანკო

კრიზისების მეთოდოლოგიური საფუძვლები; **გამოკვლეულია** საბანკო კრიზისის არსი, განმაპირობებელი ფაქტორები და საბანკო კრიზისების მსოფლიო გამოცდილება; **განხილულია** საბანკო კრიზისების პროგნოზირების მაკროინდიკატორები და მოდელები, საბანკო კრიზისის წინმსწრები მაკროინდიკატორების ანალიზის მეთოდოლოგია; **გახსნილია** საქართველოს საბანკო სექტორის კრიზისების თავისებურებანი; **წარმოდგენილია** საქართველოს საბანკო სექტორისა და საბანკო კრიზისების რეტროსპექტიული ანალიზი; **შემუშავებულია** ამგვარი კრიზისების წინმსწრები გამაფრთხილებელი ინდიკატორების სისტემა და **შეფასებულია** საბანკო სექტორის განვითარების თანამედროვე ტენდენციები.

მონოგრაფიის ყოველი თავი მოიცავს პარაგრაფებს, სადაც დეტალიზებულია საკითხები და გადმოცემულია ყველა მნიშვნელოვანი ასპექტი, რომელიც კი დაკავშირებულია განხილული თემების არსის გახსნასთან.

წიგნს დანართების სახით ერთვის მეტად მნიშვნელოვანი და საინტერესო ინფორმაცია, რომლებშიც ასახულია: ქვეყნების ჩანათვალი, რომლებმაც განიცადეს საბანკო კრიზისი; მსოფლიოში განვითარებული ფინანსური კრიზისები და მათი სახეები; საქართველოს უცხოური ვალუტის რეზერვები; საქართველოს სახელმწიფო საგარეო ვალი თვეების მიხედვით 2004 წლის დასაწყისიდან 2012 წლის თებერვლამდე პერიოდში; საქართველოდან კაპიტალის გადინება; მიმდინარე ანგარიშების საღდო; საქართველოს ექსპორტ იმპორტის დინამიკა 1995-2010 წლებში; ცალკეულ ქვეყნებში საბანკო კრიზისის დადგომის წინა წლის მაკროეკონომიკური მაჩვენებლებისა და საბანკო კრიზისის პერიოდების მაჩვენებლების ურთიერთკავშირი; სახელმწიფოთა სისტემური საბანკო კრიზისების და სახელმწიფოთა სტრატეგიის შედარება; ფინანსუ-

რი კრიზისის დაძლევის შედეგები; მსოფლიოს ქვეყნების სისტემური საბანკო კრიზისების აღწერა.

წიგნის შინაარსში წარმოდგენილი და, მით უფრო, განხილული საკითხების მარტო ჩამონათვალი უკვე იძლევა შთამბეჭდავ წარმოდგენას განუვლი კვლევის მასშტაბებისა და მნიშვნელობის შესახებ, რომ არაფერი ვთქვათ კოლოსალურ შრომაზე, რომელიც დასჭირდა მასალის მოძიებას, დამუშავებას, ანალიზს და მეცნიერულ კვლევის ჩარჩოებში მოქცევას.

ისევე, როგორც ქალბატონ **ლია ელიავას** ნებისმიერი სამეცნიერო ნაშრომი (სტატია, მოხსენება კონფერენციისთვის, თუ პუბლიკაცია), ეს მონოგრაფიაც შესრულებულია მაღალი პასუხისმგებლობით და საინტერესოდ. ამ გამოცემის მთავარი ღირსება მისი ავტორის კომპეტენტურობაა. ქალბატონი ლია ნლების განმავლობაში სწორედ საფინანსო-საბანკო პრობლემატიკით იყო დაკავებული. პრაქტიკული საქმიანობის ნაწილიც (საქართველოს ეროვნულ ბანკში) საფინანსო და საბანკო სფეროს უკავშირდება. ამიტომაც არცაა გასკვირი მისი ეგზომ განსწავლულობა და საქმის ცოდნა. უპირველეს ყოვლისა, წიგნიც ამ ღირსებით გამოირჩევა.

წიგნის, მეტადრე მეცნიერული კვლევის ღირსებას განსაზღვრავს აგრეთვე ის, თუ რამდენად აქტუალურია თემა-პრობლემა, რომელსაც მიეძღვნა იგი. ამ მხრივაც, გადაჭარბების გარეშე შეიძლება ითქვას, რომ საქმე გვაქვს მართლაც თანადროულ, უაღრესად საჭირო და მრავალმხრივ, არამარტო ლოკალური, არამედ გლობალური მნიშვნელობის წარმატებულ მეცადინეობასთან - წიგნში წარმოდგენილი კვლევის შედეგები დღემდე არსებული მსოფლიო გამოცდილების ერთგვარი შეჯამებაცაა და ამასთან, შევსებულია (გამდიდრებულია) ავტორისეული დაკვირვებებით, მიზეზ-შედეგობრივი კავშირებით, სწორი გადანყვეტილებებით, საოცრად ორიგინალური მიგნებებით, პრებლემების ხედვის

რეცენზია

(აღქმის) ფართო დიაპაზონით, განვითარებული მოვლენების შეფასების მეცნიერული ლოგიკით, რაც გამორჩევით ფასეულია, საქართველოს საფინანსო-საბანკო საქმის (როგორც ტრანსფორმაციის ობიექტის) თავისებურებებისა და მიმდინარე ტენდენციების ღრმა, საფუძვლიანი ანალიზით.

თანაბრად აქტუალურ და პრობლემური საკითხების განხილვის სიღრმესთან ერთად, განსაკუთრებით გამორჩეულია საბანკო კრიზისის წინმსწრები მაკროინდიკატორების ანალიზის შემოთავაზებული მეთოდოლოგია, აგრეთვე დასკვნები, რომელიც სავალუტო და საბანკო კრიზისებს შორის კავშირებს, ორმაგი კრიზისების წარმოქმნის მიზეზებს ეხება. ორიგინალურია და კვლევის შედეგების მიხედვით ძალზედ ფასეულია საქართველოსთვის საბანკო კრიზისებისადმი სასიგნალო მიდგომის მეთოდი, რომელიც საბანკო კრიზისების წინმსწრები გამაფრთხილებელი ინდიკატორების სისტემის შესახებ არსებულ მეცნიერულ ლიტერატურასა და პრაქტიკული გამოცდილების ანალიზს ეფუძნება.

ყველა პარამეტრის მიხედვით, საკითხები, რომელიც წიგნშია განხილული, თეორიული და პრაქტიკული ღირებულების მატარებელია. **წიგნისთვის დამახასიათებ-**

ელ (მისაკუთვნებელ) ღირსებებს შორის, ვფიქრობ, ეს უკანასკნელი (პრაქტიკული დანიშნულება) მას სამაგიდო წიგნის, საბანკო საქმის მეგზურის ფუნქციას მატებს არა მარტო ბანკირებისთვის, არამედ ბიზნესით, (ქვეყნის ეკონომიკური განვითარებით) დაკავებული პირებისთვისაა, მათ შორის, ბიუროკრატი ჩინოსნებისთვის. პრაქტიკულ ასპექტში, ყურადსაღები და პირდაპირ გამზადებული სახელმძღვანელოა საბანკო ზედამხედველობის პრობლემების შესახებ ჩამოყალიბებული ავტორისეული მოსაზრებები და წინადადებები.

წიგნის ნაკითხვისას, ფერადი კონტურით ჩემთვის ვინიშნავდი საინტერესო, საყურადღებო, განსაკუთრებულად ღირებულ დებულებებს, მოსაზრებებს თუ დასკვნებს, რომლებზეც ვაპირებდი გამომეხატა სარეცენზიო შეხედულება და უცხო თვალთ დანახული ღირსება. ფაქტობრივად, წიგნი თავიდან ბოლომდე აჭრელდა. გარდა იმისა, რომ აღმოვაჩინე ძალიან ბევრი, ჩემთვის აქამდე ამოუხსნელი კავშირი ეკონომიკურ მოვლენებს შორის, გამიჭირდა გამომეჩრია, რომლისთვის მიმეკუთნებინა უპირატესობა - მომიწევდა სქელტანიანი მონოგრაფიის სრული ციტირება, ამიტომ შემოვიფარგლე მხოლოდ

ძირითადი აქცენტებით, რომელსაც ნებისმიერი (მათ შორის, არასპეციალისტი) მკითხველიც უთუოდ შენიშნავს.

სავსებით ბუნებრივია, ისეთი ვრცელი და ფუნდამენტური ნაშრომის (402 გვ. ა-4 ფორმატი) მიმართ, როგორც სარეცენზიო წიგნია, შეიძლება გამოითქვას შენიშვნებიც, თუმცა ჩემი გადასახედიდან ისინი უმნიშვნელოა, ან გამოიხატებიან სურვილებში და მხოლოდ პოლემიკისთვის თუ გამოდგება. ამდენად, მათზე შეჩერება არც ღირს.

რაც მთავარია, სახეზეა დასრულებული სამეცნიერო ნაშრომი, რომელშიც არეკლილია მეცნიერული ნოვაციები, ნიჭიერება, პრაგმატიზმი და ავტორის მდიდარი გამოცდილება.

დარწმუნებით შემიძლია დავსძინო, რომ წიგნში წარმოდგენილი ანალიზის სიღრმე, ავტორის კომპეტენტურობა, კვლევის შედეგების გადმოცემის სიმარტივე და დასკვნების მეცნიერულ-პრაქტიკული ღირებულება ნებისმიერი პროფესიის, კვალიფიციური მკითხველის ნდობას, მოწონებას დაიმსახურებს. ეს წიგნი, პირველყოვლისა, სარგებლობას მოუტანს ბანკირებს, საფინანსო-საბანკო სექტორში დასაქმებულ პირებს და მათ შეცდომებისგან განარიდებს, მეგზურობას გაუწევს, საკითხების რაციონალურ გააანგეცტაში წაადგება, ხელს შეაშველებს, საბანკო კრიზისთან დაკავშირებული პრობლემების ლაბირინთიდან გაღწევაში დაეხმარება. ამავდროულად, წიგნს ეკონომიკური ფაკულტეტის შესაბამისი სპეციალობის სტუდენტებისთვის აუცილებელი სამეცნიერო წყაროს დანიშნულებაც გააჩნია და უდავოა, ის ხელს შეუწყობს საბანკო კრიზისების პროგნოზირების სწავლებას.

იური პავასაძა

ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემიური დოქტორი, პროფესორი



რედაქციისგან

ჟურნალის წინა ნომრებში უკვე გამოვაქვეყნეთ კანონში „ბუღალტრული აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშგების აუდიტის შესახებ“ შესატანი ცვლილებებისა და დამატებების პროექტის წინა ორი, მათ შორის, საქართველოს პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის თავმჯდომარის ბატონ დავით ონოფრიშვილის ინიციატივით მომზადებული და გასული წლის დეკემბერში პარლამენტის ვებგვერდზე განთავსებული (07-3/20, 29.11.2012), ასევე, ამავე ინიციატორის მიერ 2013 წლის მასამდე მომზადებული კანონპროექტები. ამჟამად გთავაზობთ ახალ, მესამე ვარიანტს, რომელმაც ჩაანაცვლა მეორე, რომელიც ჯერ კიდევ აპრილის მიწურულს იხილებოდა პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტში.

ცვლილებისა და დამატებების პროექტის დებულებების უფრო სრულად და საფუძვლიანად აღქმის მიზნით, წარმოვადგენთ მას მოქმედი კანონის ძირითად ტექსტთან ერთად იმ სახით, როგორც კანონი მიიღებდა პარლამენტის მიერ აღნიშნული ცვლილებებისა და დამატებების პროექტის მიღების შემთხვევაში. **ლურჯად** აღნიშნულია შესატანი ცვლილებები და დამატებები, ხოლო **წითლად** - ის მუხლები, რომლებიც უნდა ამოეღოთ. კანონს (შესატანი ცვლილებებითა და დამატებებით) ვურთავთ განმარტებით ბარათსაც.

დაინტერესებულ პირებს გთხოვთ, მოგვაწოდოთ შენიშვნები, მოსაზრებები, ვერსიები.

საქართველოს კანონი ბუღალტრული აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშგების აუდიტის შესახებ

თავი I ზოგადი დებულებანი

მუხლი 1. კანონის მიზანი

1. ეს კანონი ადგენს საქართველოში ბუღალტრული აღრიცხვის წარმოების, ფინანსური ანგარიშგების მომზადების, წარდგენის და ფინანსური ანგარიშგების აუდიტის ჩატარების სამართლებრივ საფუძვლებს.

2. ამ კანონის მიზანია:

ა) ბუღალტრული აღრიცხვის წარმოების, ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის სამართლებრივი საფუძვლების განსაზღვრა;

ბ) ფინანსური ანგარიშგების აუდიტის ჩატარების პირობებისა და წესების განსაზღვრა.

მუხლი 2. კანონში გამოყენებულ ტერმინთა განმარტება

ამ კანონის მიზნებისათვის მასში გამოყენებულ ტერმინებს აქვს შემდეგი მნიშვნელობა:

ა) ბუღალტრული აღრიცხვა – სუბიექტის სამეურნეო ოპერაციების ცვლილებათა შესახებ ინფორმაციის შეგროვების, გაზომვის, დაჯგუფებისა და გადაცემის სისტემა ფულად გამოსახულებაში;

ბ) ბუღალტერი – ფიზიკური პირი, რომელიც უშუალოდ აწარმოებს ბუღალტრულ აღრიცხვას ან/და ამზადებს ფინანსურ ანგარიშგებას;

გ) ბუღალტრული აღრიცხვის დოკუმენტები – სა-

მეურნეო მოვლენის დამადასტურებელი პირველადი დოკუმენტები, ბუღალტრული აღრიცხვის რეგისტრები და მათი გაგებისათვის აუცილებელი შიგა ინსტრუქციები;

დ) ფინანსური ანგარიშგება – სუბიექტის ფინანსური მდგომარეობის და მისი საქმიანობის ფინანსური შედეგების სტრუქტურირებული ასახვა;

ე) სუბიექტი – ფიზიკური პირი (ინდივიდუალური მეწარმე), კერძო სამართლის იურიდიული პირი, საბიუჯეტო ორგანიზაცია, საჯარო სამართლის იურიდიული პირი;

ვ) ფინანსური ანგარიშგების აუდიტი (შემდგომ – აუდიტი) – აუდიტორის/აუდიტორული (აუდიტური) ფირმის მიერ ჩატარებული სამუშაო, რომელიც მიმართულია:

ვ.ა) ფინანსური ანგარიშგების (მათ შორის, სპეციალური დანიშნულების ანგარიშგების) უტყუარობისა და სისრულის შესახებ აუდიტორის/ აუდიტორული (აუდიტური) ფირმის მოსაზრების გამოხატვისკენ;

ვ.ბ) ფინანსური ანგარიშგების მიმოხილვით აუდიტორის/ აუდიტორული (აუდიტური) ფირმის რწმუნების გამოხატვისკენ;

ვ.გ) სხვა დასაბუთებული ან/და შეზღუდული მარწმუნებელი გარიგების შესაბამისი მოსაზრების გამოხატვისკენ;

ზ) აუდიტორი – სერტიფიცირებული პირი, რომელიც არის აკრედიტებული პროფესიული ორგანიზა-

ციის წევრი, რეგისტრირებულია აუდიტორთა რეესტრში და ახორციელებს პროფესიულ მომსახურებას;

თ) აუდიტორული (აუდიტორი) ფირმა (შემდგომ – აუდიტორული ფირმა) – საქართველოში რეგისტრირებული იურიდიული პირი ან უცხოეთში რეგისტრირებული იურიდიული პირის საქართველოში არსებული ფილიალი, რომელიც არის აკრედიტებული პროფესიული ორგანიზაციის წევრი, რეგისტრირებულია აუდიტორთა რეესტრში და ახორციელებს პროფესიულ მომსახურებას სერტიფიცირებული პირის (პირების) მეშვეობით;

ი) პროფესიული მომსახურება – მომსახურება, რომელიც მოითხოვს ბუღალტრულ და მასთან დაკავშირებულ უნარებს, როდესაც აუდიტორი/აუდიტორული ფირმა ახორციელებს მომსახურებას საბუღალტრო, აუდიტორული, საგადასახადო, ფინანსური მენეჯმენტის ან ბიზნესსაკონსულტაციო სფეროში;

„კ) სერტიფიცირებული პირი – ფიზიკური პირი, რომელიც აკრედიტებული პროფესიული ორგანიზაციის მიერ აღიარებულია სერტიფიცირებულ პროფესიონალ ბუღალტრად და რომელიც თავის კვალიფიკაციას ადასტურებს აკრედიტებული პროფესიული ორგანიზაციის მიერ დადგენილი განგრძობითი განათლების სტანდარტის შესაბამისად;“

ლ) სერტიფიცირებული პროფესიონალი ბუღალტერი – ფიზიკური პირი, რომელიც სერტიფიცირებულია პროფესიული სერტიფიცირების სტანდარტის შესაბამისად;

მ) სერტიფიცირებული ბუღალტერი – ფიზიკური პირი, რომელიც სერტიფიცირებულია პროფესიული სერტიფიცირების სტანდარტის შესაბამისად, მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებში (IFRS for SMEs);

ნ) გარიგების პარტნიორი – აუდიტორი/აუდიტორულ ფირმაში დასაქმებული სერტიფიცირებული პირი, რომელიც პასუხისმგებელია აუდიტის ჩატარებისათვის და გაცემულ აუდიტორულ დასკვნაზე;

ო) აუდიტორული დასკვნა – აუდიტორის/აუდიტორული ფირმის მიერ გაცემული დოკუმენტი ჩატარებული აუდიტის შედეგების შესახებ, რომელშიც აუდიტორი/აუდიტორული ფირმა ადასტურებს, რომ სუბიექტის ინდივიდუალური ან/და კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება შეესაბამება/არ შეესაბამება ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტებს და კანონმდებლობით დადგენილ ნორმებს;

პ) მარწმუნებელი გარიგება – გარიგება, როდესაც აუდიტორი/ აუდიტორული ფირმა ამოთქვამს მოსაზრებას განსახილველი საგნის შეფასების ან/და გაზომვის შედეგის სათანადო კრიტერიუმებთან შესაბამისობის შესახებ, რომლის მიზანია, აამაღლოს მესამე პირების ნდობის ხარისხი;

ჟ) პროფესიული სერტიფიცირების სტანდარტი – აკრედიტებული პროფესიული ორგანიზაციის მიერ სერტიფიცირებულ პირად აღიარებისათვის დადგენილი ნორმები, რომლებიც შეესაბამება ბუღალტერთა საერთაშორისო ფედერაციის (IFAC) მიერ დადგენილ განათლების საერთაშორისო სტანდარტებს (IES);

რ) განგრძობითი განათლების სტანდარტი – აკრე-

დიტებული პროფესიული ორგანიზაციის მიერ სერტიფიცირებული პირის კვალიფიკაციისა და სტატუსის შენარჩუნებისათვის დადგენილი ნორმები;

„ს) აკრედიტებული პროფესიული ორგანიზაცია – ბუღალტერთა ან/და აუდიტორთა პროფესიული ორგანიზაცია, რომელიც საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად რეგისტრირებულია არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირად და არის ამ კანონის მოთხოვნების შესაბამისად აკრედიტებული პირი.“

თავი II

ბუღალტრული აღრიცხვა და ფინანსური ანგარიშგება

მუხლი 3. ბუღალტრული აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშგების სამართლებრივი საფუძვლები

„1. ბუღალტრული აღრიცხვა და ფინანსური ანგარიშგება რეგულირდება ამ კანონითა და საქართველოს სხვა ნორმატიული აქტებით. ბუღალტრული აღრიცხვა და ფინანსური ანგარიშგება უნდა შეესაბამებოდეს ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტებს.

2. ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტები შედგება საჯარო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტებისა და კერძო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტებისაგან.

3. საჯარო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტები არის საბიუჯეტო ორგანიზაციებისა და საჯარო სამართლის იურიდიული პირებისათვის დადგენილი ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების წესები.

4. საქართველოს მთავრობა უფლებამოსილია საჯარო სექტორის ცალკეული კატეგორიების დაწესებულებებისთვის დაადგინოს კერძო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტების გამოყენების ვალდებულება, მათი საქმიანობის გათვალისწინებით.

5. საჯარო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტებს ადგენს საქართველოს ფინანსთა მინისტრი“.

6. კერძო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტები შედგება ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებისაგან (IFRS), მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებისა (IFRS for SMEs) და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების ფინანსური ანგარიშგების ადგილობრივი (ეროვნული) სტანდარტებისაგან.

7. ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტები (IFRS) არის ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (IASB) მიერ მიღებული სტანდარტები და ინტერპრეტაციები, რომლებიც მოიცავს:

ა) ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებს;

ბ) ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტებს;

გ) ინტერპრეტაციებს, რომლებიც მიღებულია ფინანსური აღრიცხვის ინტერპრეტაციების საერთა-

შორისო საბჭოს (IFRIC) მიერ ან ინტერპრეტაციების მუდმივმოქმედი კომიტეტის (SIC) მიერ.

8. მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტები (IFRS for SMEs) არის ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (IASB) მიერ დამტკიცებული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტები (IFRS for SMEs) მცირე და საშუალო საწარმოებისათვის.

9. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების ფინანსური ანგარიშგების ადგილობრივი (ეროვნული) სტანდარტები არის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირებისათვის რეკომენდებული ფინანსური ანგარიშგების სტანდარტები, რომლებსაც ადგენს აკრედიტებული პროფესიული ორგანიზაცია საერთაშორისო პრაქტიკისა და გამოცდილების გათვალისწინებით.

„10. ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებისა (IFRS) და მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (IFRS for SMEs) საქართველოს სახელმწიფო ენაზე ხელმისაწვდომობის მიზნით ისინი ქართულ ენაზე უნდა თარგმნოს და გამოსცეს აკრედიტებულმა პროფესიულმა ორგანიზაციამ.

11. აკრედიტებული პროფესიული ორგანიზაცია ამ მუხლის მე-10 პუნქტში აღნიშნულ, ქართულ ენაზე თარგმნილ ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებსა (IFRS) და მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებს (IFRS for SMEs), აგრეთვე თავის მიერ დადგენილ არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების ფინანსური ანგარიშგების ადგილობრივ (ეროვნულ) სტანდარტებს რეგისტრაციაში გასატარებლად წარუდგენს საჯარო სამართლის იურიდიულ პირს – ფინანსური ანგარიშგებისა და აუდიტის საზედამხებველო სააგენტოს (შემდომში სააგენტო), რომელიც ამ სტანდარტებს აქვეყნებს რეგისტრაციაში გატარების შემდეგ.“

12. სავალდებულოა მხოლოდ შესაბამის პერიოდში მოქმედი ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებისა (IFRS) და მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (IFRS for SMEs) ქართული თარგმანის გამოყენება, რომლებიც რეგისტრირებულია ამ მუხლის მე-11 პუნქტის შესაბამისად. პირს უფლება აქვს, გამოიყენოს ამ სტანდარტების ინგლისური ტექსტი.

მუხლი 4. ბუღალტრული აღრიცხვის წარმოება

1. სუბიექტი ბუღალტრულ აღრიცხვას აწარმოებს ამ მუხლის შესაბამისად.

„2. ამ კანონის მიზნებისათვის მეწარმე სუბიექტი მიეკუთვნება:

ა) მსხვილ საწარმოს თუ კმაყოფილდება შემდეგი სამი კრიტერიუმიდან მინიმუმ ორი: წლიური შემოსავალი აღემატება 35 მლნ. ლარს; დასაქმებულთა საშუალო წლიური რიცხვი აღემატება 150 კაცს და აქტივების ღირებულება აღემატება 30 მლნ. ლარს;

ბ) მცირე და საშუალო საწარმოს თუ იგი არ აკმაყოფილებს მიკროსაწარმოსათვის და მსხვილი საწარმოსათვის დადგენილ კრიტერიუმებს.

გ) მიკროსაწარმოს, თუ, საქართველოს საგადასახადო კოდექსის მიხედვით, იგი არის მიკრო ბიზნესის, მცირე ბიზნესის ან ფიქსირებული გადასახადის გადამხდელის სტატუსის მქონე პირი. ფიქსირებული გადასახადის გადამხდელი მიკროსაწარმოდ ითვლება მხოლოდ შესაბამისი საქმიანობის ნაწილში;“

3. მეწარმე სუბიექტი ითვლება:

ა) მიკროსაწარმოდ, თუ, საქართველოს საგადასახადო კოდექსის მიხედვით, იგი არის მიკრო ბიზნესის, მცირე ბიზნესის ან ფიქსირებული გადასახადის გადამხდელის სტატუსის მქონე პირი. ფიქსირებული გადასახადის გადამხდელი მიკროსაწარმოდ ითვლება მხოლოდ შესაბამისი საქმიანობის ნაწილში;

ბ) მცირე და საშუალო საწარმოდ, თუ იგი არ აკმაყოფილებს მიკროსაწარმოსათვის დადგენილ კრიტერიუმებს.

4. ამ კანონის მე-7 მუხლის მე-4 პუნქტის „ა“, „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული სუბიექტები ბუღალტრულ აღრიცხვას და ფინანსურ ანგარიშგებას აწარმოებენ ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (IFRS) შესაბამისად.

5. მცირე და საშუალო საწარმოები ბუღალტრულ აღრიცხვას და ფინანსურ ანგარიშგებას აწარმოებენ მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (IFRS for SMEs) შესაბამისად. ამასთანავე, მათ უფლება აქვთ, გამოიყენონ ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტები (IFRS).

6. მიკროსაწარმოს ბუღალტრული აღრიცხვის წარმოება არ ევალება.

7. მეწარმე სუბიექტის გარდა, კერძო სამართლის სხვა იურიდიული პირი ბუღალტრულ აღრიცხვას აწარმოებს არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების ფინანსური ანგარიშგების ადგილობრივი (ეროვნული) სტანდარტების შესაბამისად, თუ კანონმდებლობით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული. ამასთანავე, მას უფლება აქვს და კომერციული საქმიანობის განხორციელებისას მოეთხოვება, გამოიყენოს ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტები (IFRS) ან მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტები (IFRS for SMEs).

8. საბიუჯეტო ორგანიზაცია და საჯარო სამართლის იურიდიული პირი ბუღალტრულ აღრიცხვას აწარმოებენ საჯარო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტების შესაბამისად, გარდა ამ კანონის მე-3 მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევისა.“

9. სუბიექტმა ბუღალტრული აღრიცხვა შეიძლება აწარმოოს პირადად, დაქირავებული პირის ან ბუღალტრული მომსახურების მიღების მეშვეობით. ბუღალტრულ მომსახურებად ითვლება პირის მიერ სუბიექტისთვის ბუღალტრული აღრიცხვის მომსახურების გაწევა.

10. ბუღალტერი შეიძლება იყოს როგორც სერტიფიცირებული, ისე არასერტიფიცირებული პირი.

11. ბუღალტრული აღრიცხვის დოკუმენტი არ არის საჯარო დოკუმენტი. ეს დოკუმენტი, შესაბამისი სუბიექტის გარდა, ხელმისაწვდომია მკონტროლებელ/ზედამხედველი ორგანოსთვის საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში და ნებისმიერი სხვა პირისთვის – შესაბამისი სუბიექტის თანხმობით.

12. ბუღალტრული აღრიცხვის დოკუმენტი სუბიექტთან ინახება შესაბამისი საანგარიშო პერიოდის დასრულებიდან 6 წლის განმავლობაში, გარდა საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევისა.

**თავი III
აუდიტი**

მუხლი 5. აუდიტის ჩატარების სამართლებრივი საფუძვლები

1. აუდიტის ჩატარების სამართლებრივი საფუძვლები განისაზღვრება ამ კანონით.

2. საქართველოში აუდიტი ტარდება აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ISA) შესაბამისად.

3. აუდიტის საერთაშორისო სტანდარტები (ISA) არის ბუღალტერთა საერთაშორისო ფედერაციის (IFAC) მიერ დამტკიცებული აუდიტისა და მარწმუნებელი მომსახურების საერთაშორისო ოფიციალური დოკუმენტების ცნობარი, რომლებიც ამ კანონის მიღების დღისთვის მიღებული და გამოცემულია ბუღალტერთა საერთაშორისო ფედერაციის (IFAC) მიერ და რომლებიც გადამუშავებული, შეცვლილი, დამტკიცებული და გამოცემული იქნება ბუღალტერთა საერთაშორისო ფედერაციის (IFAC) მიერ ან მისი უფლებამონაცვლე ორგანოს მიერ.

4. აუდიტისა და მარწმუნებელი მომსახურების საერთაშორისო ოფიციალური დოკუმენტების ცნობარი არის აუდიტისა და მასთან დაკავშირებული მომსახურების განსახორციელებლად ბუღალტერთა საერთაშორისო ფედერაციის (IFAC) მიერ სახელმძღვანელოდ გამოცემული დოკუმენტების კრებული.

„5. აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ISA) საქართველოს სახელმწიფო ენაზე ხელმისაწვდომობის მიზნით ისინი ქართულ ენაზე უნდა თარგმნოს და გამოსცეს აკრედიტებულმა პროფესიულმა ორგანიზაციამ.

6. აკრედიტებული პროფესიული ორგანიზაცია ამ მუხლის მე-5 პუნქტში აღნიშნულ, ქართულ ენაზე თარგმნილ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტებს (ISA) რეგისტრაციაში გასატარებლად წარუდგენს სააგენტოს, რომელიც ამ სტანდარტებს აქვეყნებს რეგისტრაციაში გატარების შემდეგ.“

7. სავალდებულოა მხოლოდ შესაბამის პერიოდში მოქმედი აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ISA) ქართული თარგმანის გამოყენება, რომლებიც რეგისტრირებულია ამ მუხლის მე-6 პუნქტის შესაბამისად. პირს უფლება აქვს, გამოიყენოს ამ სტანდარტების ინგლისური ტექსტი.

მუხლი 6. აუდიტის ჩატარების უფლებამოსილების მინიჭება

1. საქართველოში რეგისტრირებული იურიდიული პირი, უცხოეთში რეგისტრირებული პირის საქართველოში არსებული ფილიალი და ფიზიკური პირი საქართველოში აუდიტის ჩატარების უფლებამოსილებას იძენენ აუდიტორთა რეესტრში (შემდგომ – რეესტრი) რეგისტრაციის შემდეგ.

„2. რეესტრს აწარმოებს სააგენტო .

3. საქართველოში რეგისტრირებული იურიდიული პირი, უცხოეთში რეგისტრირებული პირის საქართველოში არსებული ფილიალი ან ფიზიკური პირი რეესტრში რეგისტრაციისათვის განცხადებით მიმართავს სააგენტოს.

4. საქართველოში რეგისტრირებული იურიდიული პირის, უცხოეთში რეგისტრირებული პირის საქართველოში არსებული ფილიალის ან ფიზიკური პირის მიერ ამ მუხლის მე-6–მე-9 პუნქტებში აღნიშნული შესაბამისი მოთხოვნების დაკმაყოფილების შემთხვევაში სააგენტო ვალდებულია დაარეგისტრიროს იგი შესაბამის რეესტრში.“

5. რეესტრი არის 2 ტიპის:

ა) სავალდებულო აუდიტის ჩატარების უფლების მქონე პირთა რეესტრი, რომელშიც რეგისტრირებული არიან ის აუდიტორები/ აუდიტორული ფირმები, რომლებსაც აქვთ სავალდებულო აუდიტის ჩატარების უფლება;

ბ) სავალდებულო აუდიტის ჩატარების უფლების არმქონე პირთა რეესტრი, რომელშიც რეგისტრირებული არიან ის აუდიტორები/ აუდიტორული ფირმები, რომლებსაც არ აქვთ სავალდებულო აუდიტის ჩატარების უფლება.

6. სავალდებულო აუდიტის ჩატარების უფლების მქონე პირთა რეესტრში რეგისტრაციით დაინტერესებული საქართველოში რეგისტრირებული იურიდიული პირი ან უცხოეთში რეგისტრირებული პირის საქართველოში არსებული ფილიალი უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ პირობებს:

ა) დასაქმებული ჰყავდეს სულ ცოტა 1 სერტიფიცირებული პროფესიონალი ბუღალტერი;

ბ) იყოს აკრედიტებული პროფესიული ორგანიზაციის წევრი;

გ) ჰქონდეს ხარისხის კონტროლის სისტემა;

დ) ხარისხის კონტროლის სისტემის მონიტორინგის გავლის შემდეგ მიღებული ჰქონდეს პირველი ან მეორე კატეგორიის დასკვნა;

ე) ჰქონდეს აუდიტის ჩატარების მეთოდოლოგია, რომელიც შეესაბამება აუდიტის საერთაშორისო სტანდარტებს (ISA).

7. სავალდებულო აუდიტის ჩატარების უფლების მქონე პირთა რეესტრში რეგისტრაციით დაინტერესებული ფიზიკური პირი უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ პირობებს:

ა) იყოს სერტიფიცირებული პროფესიონალი ბუღალტერი;

ბ) იყოს აკრედიტებული პროფესიული ორგანიზაციის წევრი;

გ) ჰქონდეს ხარისხის კონტროლის სისტემა;

დ) ხარისხის კონტროლის სისტემის მონიტორინგის გავლის შემდეგ მიღებული ჰქონდეს პირველი ან მეორე კატეგორიის დასკვნა;

ე) ჰქონდეს აუდიტის ჩატარების მეთოდოლოგია, რომელიც შეესაბამება აუდიტის საერთაშორისო სტანდარტებს (ISA).

„8. სავალდებულო აუდიტის ჩატარების უფლების არმქონე პირთა რეესტრში რეგისტრაციით დაინტერესებული საქართველოში რეგისტრირებული იურიდიული პირი ან უცხოეთში რეგისტრირებული პირის საქართველოში არსებული ფილიალი უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ პირობებს:

ა) დასაქმებული ჰყავდეს სულ ცოტა 1 სერტიფიცირებული პროფესიონალი ბუღალტერი;

ბ) იყოს აკრედიტებული პროფესიული ორგანიზაციის წევრი;

გ) ჰქონდეს ხარისხის კონტროლის სისტემა;

დ) ჰქონდეს აუდიტის ჩატარების მეთოდოლოგია, რომელიც შეესაბამება აუდიტის საერთაშორისო სტანდარტებს (ISA);

ე) ხარისხის კონტროლის სისტემის მონიტორინგის გავლის შემდეგ მიღებული ჰქონდეს შესაბამისი კატეგორიის დასკვნა.“

9. სავალდებულო აუდიტის ჩატარების უფლების არმქონე პირთა რეესტრში რეგისტრაციით დაინტერესებული ფიზიკური პირი უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ პირობებს:

ა) იყოს სერტიფიცირებული ბუღალტერი;

ბ) იყოს აკრედიტებული პროფესიული ორგანიზაციის წევრი;

გ) ჰქონდეს ხარისხის კონტროლის სისტემა;

დ) ჰქონდეს აუდიტის ჩატარების მეთოდოლოგია, რომელიც შეესაბამება აუდიტის საერთაშორისო სტანდარტებს (ISA).

„ე) ხარისხის კონტროლის სისტემის მონიტორინგის გავლის შემდეგ მიღებული ჰქონდეს შესაბამისი კატეგორიის დასკვნა.“

10. აკრედიტებულ პროფესიულ ორგანიზაციას ეკრძალება საქართველოში რეგისტრირებული იურიდიული პირისათვის, უცხოეთში რეგისტრირებული პირის საქართველოში არსებული ფილიალისათვის ან ფიზიკური პირისათვის გაწევრებაზე უარის თქმა, თუ იგი აკმაყოფილებს ამ მუხლის მე-6-მე-9 პუნქტებში აღნიშნულ შესაბამის მოთხოვნებს, გარდა აკრედიტებული პროფესიული ორგანიზაციის წევრობისა.

„11. სააგენტოს აქვს საქართველოში რეგისტრირებული იურიდიული პირის, უცხოეთში რეგისტრირებული პირის საქართველოში არსებული ფილიალის ან ფიზიკური პირის აუდიტორთა რეესტრში რეგისტრაციის უფლება, თუ ისინი აკმაყოფილებენ ამ მუხლის მე-6-მე-9 პუნქტით განსაზღვრულ მოთხოვნებს.“

12. აკრედიტებული პროფესიული ორგანიზაცია ვალდებულია სერტიფიცირებულ პროფესიონალ ბუღალტრად აღიაროს ეკონომიკური განვითარებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციის (OECD) წევრ ქვეყანაში არსებული ბუღალტერთა საერთაშორისო ფედერაციის (IFAC) წამდელი წევრი პროფესიული ორგანიზაციის წამდელი წევრი ფიზიკური პირი.

სხვა შემთხვევაში აკრედიტებულ პროფესიულ ორგანიზაციას უფლება აქვს, მოითხოვოს ცოდნის დადასტურება.

13. საქართველოს მთავრობა უფლებამოსილია დაადგინოს იმ სახელმწიფოთა ჩამონათვალი, რომელთა უფლებამოსილი ორგანოების მიერ სერტიფიცირებულ პირად აღიარებული ფიზიკური პირი სერტიფიცირებულ პირად უნდა აღიარონ აკრედიტებულმა პროფესიულმა ორგანიზაციებმა.

14. თუ სააგენტო დაადასტურებს, რომ აკრედიტებული პროფესიული ორგანიზაციის მიერ დადგენილი პროფესიული სერტიფიცირების სტანდარტი იგივეა, რაც სერტიფიცირების სტანდარტი, რომლითაც ეს აკრედიტებული პროფესიული ორგანიზაცია ახორციელებდა პირთა სერტიფიცირებას აკრედიტაციამდე, აკრედიტებული პროფესიული ორგანიზაცია უფლებამოსილია თავის მიერ ამ სერტიფიცირების სტანდარტის შესაბამისად სერტიფიცირებული პირი სერტიფიცირებულ პროფესიონალ ბუღალტრად აღიაროს და მიმართოს და მიმართოს ფინანსური ანგარიშგებისა და აუდიტის საზედამხებველო სააგენტოს მისი შესაბამისი ტიპის რეესტრში რეგისტრაციისათვის“

15. აუდიტორი/აუდიტორული ფირმა, რომელიც აღარ აკმაყოფილებს შესაბამის რეესტრში რეგისტრაციის პირობებს, ექვემდებარება ამ რეესტრიდან ამოღებას.

„16. თუ აუდიტორი/აუდიტორული ფირმა აღარ აკმაყოფილებს შესაბამის რეესტრში რეგისტრაციის პირობებს, ის ვალდებულია ამის შესახებ ინფორმაცია 5 სამუშაო დღის ვადაში მიაწოდოს სააგენტოს. ამ მოთხოვნის შეუსრულებლობის შემთხვევაში აუდიტორს/აუდიტორულ ფირმას სააგენტო დააკისრებს დისციპლინურ პასუხისმგებლობას.“

17. ამ მუხლის მე-16 პუნქტით გათვალისწინებული ინფორმაციის მიღების შემთხვევაში სააგენტო ვალდებულია აუდიტორი/აუდიტორული ფირმა 5 სამუშაო დღის ვადაში ამოიღოს შესაბამისი რეესტრიდან.“

18. საქართველოში რეგისტრირებული იურიდიული პირის, უცხოეთში რეგისტრირებული პირის საქართველოში არსებული ფილიალის ან ფიზიკური პირის მიერ აუდიტის შესაბამის რეესტრში რეგისტრაციის გარეშე ჩატარების შემთხვევაში აუდიტი ჩატარებულად არ ჩაითვლება.

19. აუდიტორი/აუდიტორული ფირმა უფლებამოსილია ნებისმიერ დროს მიმართოს აკრედიტებულ პროფესიულ ორგანიზაციას მისი შესაბამისი რეესტრიდან ამოღების მოთხოვნით, გარდა ამ მუხლის მე-16 პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევისა.

18.მე-6 მუხლის მე-19 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„4. აუდიტის ჩატარება სავალდებულოა:

ა) საქართველოს ეროვნული ბანკის, დაზღვევის ზედამხებველობის კომისიის, ფასიანი ქაღალდების კომისიის ზედამხებველობისადმი დაქვემდებარებული სუბიექტებისათვის, რომლებსაც ევალებათ ყოველწლიური აუდიტის ჩატარება;

ბ) იმ საწარმოებისათვის, რომლებიც აკმაყოფილებენ საქართველოს მთავრობის მიერ განსაზღვრულ კრიტერიუმებს;

გ) საწარმოებისათვის, რომლებიც აკმაყოფილებენ ამ კანონით დადგენილ მსხვილი საწარმოების კრიტერიუმებს.

დ) საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ სხვა შემთხვევებში, გარდა ამ პუნქტის „ა“, „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული სუბიექტებისა.

მუხლი 7. აუდიტის ჩატარება

1. სუბიექტის აუდიტი შეიძლება ჩატარდეს აუდიტორმა ან აუდიტორულმა ფირმამ.

2. აუდიტი შეიძლება ჩატარდეს სავალდებულო ან საინიციატივო წესით.

3. სავალდებულო აუდიტის ჩატარების ვალდებულება დადგენილია ამ კანონით ან საქართველოს სხვა ნორმატიული აქტით.

4. აუდიტის ჩატარება სავალდებულოა:

„ა) საქართველოს ეროვნული ბანკის, დაზღვევის ზედამხედველობის კომისიის, ფასიანი ქაღალდების კომისიის ზედამხედველობისადმი დაქვემდებარებული სუბიექტებისათვის, რომლებსაც ევალებათ ყოველწლიური აუდიტის ჩატარება;“

ბ) იმ საწარმოებისათვის, რომლებიც აკმაყოფილებენ საქართველოს მთავრობის მიერ განსაზღვრულ კრიტერიუმებს;

გ) საწარმოებისათვის, რომლებიც აკმაყოფილებენ ამ კანონით დადგენილ მსხვილი საწარმოების კრიტერიუმებს.

დ) საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ სხვა შემთხვევებში, გარდა ამ პუნქტის „ა“, „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული სუბიექტებისა.

5. სავალდებულო აუდიტი ტარდება ყოველწლიურად, კალენდარული წლის მომდევნო წლის 31 ოქტომბრამდე, თუ საქართველოს კანონმდებლობით სხვა რამ არ არის განსაზღვრული.

6. ამ მუხლის მე-4 პუნქტის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული სუბიექტების მიერ ამავე მუხლის მე-5 პუნქტის მოთხოვნის შეუსრულებლობის შემთხვევაში საქართველოს მთავრობის მიერ განსაზღვრული პირი სუბიექტის ხარჯით დაიქირავებს აუდიტორს ამ სუბიექტისათვის აუდიტის ჩატარების მიზნით.

7. სავალდებულო აუდიტის ჩატარების უფლება აქვს მხოლოდ სავალდებულო აუდიტის ჩატარების უფლების მქონე პირთა რეესტრში რეგისტრირებულ აუდიტორს/აუდიტორულ ფირმას. ამასთანავე, იგი უნდა ჩაატაროს ამ აუდიტორმა/აუდიტორულ ფირმაში დასაქმებულმა სერტიფიცირებულმა პროფესიონალმა ბუღალტერმა.

8. ამ მუხლის მე-4 პუნქტის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული სუბიექტები ვალდებული არიან, აუდიტირებული ფინანსური ანგარიშგება საქართველოს მთავრობის მიერ დადგენილი წესით, გამოსაქვეყნებლად წარუდგინონ საქართველოს მთავრობის მიერ განსაზღვრულ პირს, თუ საქართველოს კანონმდებლობით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

9. საინიციატივო აუდიტი ტარდება უფლებამოსილი პირის (პირების) გადაწყვეტილებით ან საქარ-

თველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

10. აუდიტორულ დასკვნას ხელმოწერით ადასტურებს შესაბამისად აუდიტორი, აუდიტორული ფირმა ან გარიგების პარტნიორი.

11. აუდიტორული ფირმის შიგა პროცედურით შესაძლებელი უნდა იყოს გარიგების პარტნიორის იდენტიფიცირება. ამ მოთხოვნის შეუსრულებლობის შემთხვევაში აუდიტორულ ფირმას დისციპლინურ პასუხისმგებლობას დააკისრებს ის აკრედიტებული პროფესიული ორგანიზაცია, რომელშიც გაწევრებულია იგი.

12. ამოღებულია (21.12.2012 N 135)

მუხლი 8. აუდიტის ხარისხის უზრუნველყოფა

1. აუდიტორი/აუდიტორული ფირმა პასუხისმგებელია ხარისხის კონტროლის სისტემის სათანადო პოლიტიკისა და პროცედურების ბუღალტერთა საერთაშორისო ფედერაციის (IFAC) მოთხოვნების შესაბამისად შემუშავებისა და გამოყენებისათვის.

2. ხარისხის კონტროლის სისტემა არის ხარისხის კონტროლის საერთაშორისო სტანდარტის (ISQC) შესაბამისად აუდიტორის/აუდიტორული ფირმის მიერ დადგენილი წესებისა და პროცედურების ერთობლიობა, რომლის მიზანია აუდიტორის/აუდიტორული ფირმის მიერ აუდიტის ფინანსური ანგარიშგების აუდიტის მიზნებისა და ზოგადი პრინციპების შესაბამისად ჩატარება.

3. ხარისხის კონტროლის საერთაშორისო სტანდარტი (ISQC) არის აუდიტისა და მარწმუნებელი მომსახურების საერთაშორისო საბჭოს (IAASB) მიერ მიღებული სტანდარტები და მითითებები იმ პირთა ხარისხის კონტროლის სისტემის შესახებ, რომლებიც ახორციელებენ აუდიტს და ფინანსური ანგარიშგების მიმოხილვას, ასევე სხვა სახის მარწმუნებელ და მასთან დაკავშირებულ მომსახურებებს.

„4. ხარისხის კონტროლის საერთაშორისო სტანდარტის (ISQC) საქართველოს სახელმწიფო ენაზე ხელმისაწვდომობის მიზნით ის ქართულ ენაზე უნდა თარგმნოს და გამოსცეს აკრედიტებულმა პროფესიულმა ორგანიზაციამ.“

5. აკრედიტებული პროფესიული ორგანიზაცია ამ მუხლის მე-4 პუნქტში აღნიშნულ, ქართულ ენაზე თარგმნილ ხარისხის კონტროლის საერთაშორისო სტანდარტს (ISQC) რეგისტრაციაში გასატარებლად წარუდგენს სააგენტოს რომელიც ამ სტანდარტს აქვეყნებს რეგისტრაციაში გატარების შემდეგ.

6. აუდიტორის/აუდიტორული ფირმის ხარისხის კონტროლის სისტემის მონიტორინგს აკრედიტებული პროფესიული ორგანიზაციის დონეზე ახორციელებს ის აკრედიტებული პროფესიული ორგანიზაცია, რომელშიც გაწევრებულია ეს აუდიტორი/აუდიტორული ფირმა. ხარისხის კონტროლის სისტემის მონიტორინგს და ჩატარებული აუდიტის მოკვლევას სახელმწიფო საზედამხებელო ფუნქციის ფარგლებში ახორციელებს ბუღალტრული აღრიცხვისა და აუდიტის საზედამხედველო საბჭო. ხარისხის კონტროლის სისტემის მონიტორინგი უნდა განხორციელდეს 3 წელიწადში

ერთხელ მაინც.

7. ხარისხის კონტროლის სისტემის მონიტორინგით არის აუდიტორის/აუდიტორული ფირმის მიერ შემუშავებული ხარისხის კონტროლის სისტემის შეფასება აუდიტორული დასკვნებისა და ამ დასკვნების მომზადების პროცესის შემოწმებით.

„8. ხარისხის კონტროლის სისტემის მონიტორინგი ხორციელდება საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სააგენტოს მიერ რეგისტრირებული ხარისხის კონტროლის სისტემის მონიტორინგის დებულების შესაბამისად, რომელსაც რეგისტრაციისათვის წარადგენს აკრედიტებული პროფესიული ორგანიზაცია.“

9. აკრედიტებული პროფესიული ორგანიზაცია აუდიტორის/ აუდიტორული ფირმის ხარისხის კონტროლის სისტემის მონიტორინგს ახორციელებს მხოლოდ სააგენტოს მიერ რეგისტრირებული ხარისხის კონტროლის შემოწმებლის მეშვეობით.

10. ხარისხის კონტროლის სისტემის მონიტორინგის განხორციელებიდან 1 თვის ვადაში ხარისხის კონტროლის შემოწმებელი ხარისხის კონტროლის საერთაშორისო სტანდარტის (ISQC) შესაბამისად ადგენს მონიტორინგის დასკვნას, რომლის თითო ეგზემპლარი გადაეცემა აუდიტორს/აუდიტორულ ფირმას, აკრედიტებულ პროფესიულ ორგანიზაციას და ფინანსური ანგარიშგებისა და აუდიტის საზედამხედველო სააგენტოს.“

11. აუდიტორული ფირმა ვალდებულია მასში დასაქმებულ ყველა სერტიფიცირებულ პირს გააცნოს მონიტორინგის დასკვნა. ამ მოთხოვნის შეუსრულებლობის შემთხვევაში აუდიტორულ ფირმას დისციპლინურ პასუხისმგებლობას დააკისრებს ის აკრედიტებული პროფესიული ორგანიზაცია, რომელშიც გაწევრებულია იგი.

12. მონიტორინგის დასკვნა შეიძლება იყოს 4 კატეგორიის:

ა) პირველი კატეგორიის – როდესაც აუდიტორი/აუდიტორული ფირმა ხარისხის კონტროლის სისტემის მონიტორინგს შენიშვნების გარეშე გაივლის;

ბ) მეორე კატეგორიის – როდესაც აუდიტორი/აუდიტორული ფირმა ხარისხის კონტროლის სისტემის მონიტორინგს მცირე შენიშვნებით გაივლის;

გ) მესამე კატეგორიის – როდესაც აუდიტორი/აუდიტორული ფირმა ხარისხის კონტროლის სისტემის მონიტორინგს მნიშვნელოვანი შენიშვნებით გაივლის;

დ) მეოთხე კატეგორიის – როდესაც აუდიტორი/აუდიტორული ფირმა ხარისხის კონტროლის სისტემის მონიტორინგს ვერ გაივლის.

13. ხარისხის კონტროლის შემოწმებელი ვალდებულია მონიტორინგის დასკვნაში შეიტანოს თავისი შენიშვნები ან/და მოსაზრებები როგორც აუდიტორის/აუდიტორული ფირმის, ისე აუდიტორულ ფირმაში დასაქმებული ყველა გარიგების პარტნიორის შესახებ.“

14. აუდიტორის ხარისხის კონტროლის სისტემის მონიტორინგის შემთხვევაში პასუხისმგებლობა ეკისრება აუდიტორს. აუდიტორული ფირმის ხარისხის კონტროლის სისტემის მონიტორინგის შემთხვევაში პასუხისმგებლობა ეკისრება აუდიტორულ ფირმას ან/

და ყოველ კონკრეტულ აუდიტორულ დასკვნაზე – შესაბამის გარიგების პარტნიორს.

„15. მონიტორინგის დასკვნას იხილავს აკრედიტებული პროფესიული ორგანიზაცია და იღებს ამ მუხლით გათვალისწინებულ გადაწყვეტილებას როგორც აუდიტორის/აუდიტორული ფირმის, ისე აუდიტორულ ფირმაში დასაქმებული ყველა სერტიფიცირებული პირის მიმართ. მიღებული გადაწყვეტილება 3 სამუშაო დღის ვადაში ეგზავნება ფინანსური ანგარიშგებისა და აუდიტზე ზედამხედველობის სააგენტოს.“

16. როგორც აუდიტორი/აუდიტორული ფირმა, ისე აუდიტორულ ფირმაში დასაქმებული ყველა სერტიფიცირებული პირი უფლებამოსილია პირადად ან/და წარმომადგენლის მეშვეობით მიიღოს მონაწილეობა მის მიმართ შედგენილი მონიტორინგის დასკვნის განხილვაში და წარადგინოს ახსნა-განმარტება.

„17. თუ აუდიტორი/აუდიტორული ფირმა ვერ გაივლის ხარისხის კონტროლის სისტემის მონიტორინგს, აკრედიტებული პროფესიული ორგანიზაციის მიმართვის საფუძველზე სააგენტო ვალდებულია ამოიღოს იგი შესაბამისი რეესტრიდან.“

18. ხარისხის კონტროლის სისტემის მონიტორინგის შედეგებიდან გამომდინარე, შესაბამისი საფუძვლის არსებობისას, სააგენტო ვალდებულია აუდიტორი/აუდიტორული ფირმა ერთი ტიპის რეესტრიდან მეორე ტიპის რეესტრში გადაიყვანოს, აკრედიტებული პროფესიული ორგანიზაციის მიერ მიწოდებული ინფორმაციის საფუძველზე.

19. მონიტორინგის დასკვნის შედეგებიდან გამომდინარე, მონიტორინგის განმახორციელებელი სერტიფიცირებული პირის მიმართ იღებს გადაწყვეტილებას:

ა) სერტიფიკატის მოქმედების შენარჩუნების თაობაზე;

ბ) შეცდომების გამოსასწორებლად ვადის განსაზღვრის თაობაზე;

გ) სერტიფიკატის მოქმედების შეჩერების თაობაზე.

20. მონიტორინგის განმახორციელებელი უფლებამოსილია სერტიფიცირებული პირის მიმართ მიიღოს ამ მუხლის მე-19 პუნქტით გათვალისწინებული ერთი ან მეტი გადაწყვეტილება.

21. მონიტორინგის განმახორციელებლის მიერ განსაზღვრულ ვადაში სერტიფიცირებული პირის მიერ შეცდომების გამოუსწორებლობის შემთხვევაში სერტიფიკატის მოქმედება შეჩერდება. შეცდომების გამოუსწორებლობისას სერტიფიცირებული პირის მიმართ არსებული შენიშვნები ექვემდებარება გამოქვეყნებას.

22. ამ მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევებში სერტიფიკატის მოქმედების შეჩერებისას ფიზიკურ პირს სერტიფიკატის მოქმედების განახლების მოთხოვნით მიმართვა შეუძლია სერტიფიკატის მოქმედების შეჩერებიდან 1 წლის შემდეგ“.

მუხლი 9. ეთიკის წესები

1. აუდიტორი/აუდიტორული ფირმა ვალდებულია პროფესიული მომსახურების განხორციელებისას დაიცვას ბუღალტერთა საერთაშორისო ფედერაციის (IFAC) მიერ დადგენილი, ქართულ ენაზე თარგმნილი და ამ მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად რეგისტრი-

რებული პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსი (IESBA Code).

„2. პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსი (IESBA Code) ქართულ ენაზე უნდა თარგმნოს და გამოსცეს აკრედიტებულმა პროფესიულმა ორგანიზაციამ.

3. აკრედიტებული პროფესიული ორგანიზაცია ამ მუხლის მე-2 პუნქტში აღნიშნულ, ქართულ ენაზე თარგმნილ პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსს (IESBA Code) რეგისტრაციაში გასატარებლად წარუდგენს სააგენტოს, რომელიც ამ კოდექსს აქვეყნებს რეგისტრაციაში გატარების შემდეგ.“

4. აუდიტორი/აუდიტორული ფირმა იმ სუბიექტისგან დამოუკიდებელი უნდა იყოს, რომელსაც იგი აუდიტს უტარებს. ამასთანავე, იგი არ უნდა იყოს ჩართული ამ სუბიექტის გადაწყვეტილებების მიღების პროცესში.

5. აუდიტორს/აუდიტორულ ფირმას უფლება არ აქვს, ჩაატაროს აუდიტი იმ შემთხვევაში, თუ:

ა) სუბიექტსა და აუდიტორს/აუდიტორულ ფირმას შორის არსებობს ფინანსური ან/და სხვა ინტერესი, რომელმაც შესაძლებელია გავლენა მოახდინოს სუბიექტზე გაცემული აუდიტორული დასკვნის შინაარსზე;

ბ) სუბიექტი და აუდიტორი/აუდიტორული ფირმა არიან ურთიერთდამოკიდებული პირები საქართველოს საგადასახადო კოდექსის მიხედვით;

გ) სუბიექტსა და აუდიტორს/აუდიტორულ ფირმას შორის არსებობს შრომითი ურთიერთობა.

6. ამ მუხლის მიზნებისათვის ფინანსურ ინტერესად ჩაითვლება ინტერესი აქციებსა და სხვა ფასიან ქაღალდებში, სესხებსა და სხვა სავალო ვალდებულებებში, ისეთი უფლებებისა და ვალდებულებების ჩათვლით, რომლებიც ითვალისწინებს ასეთი ინტერესის მოპოვებას, ასევე წარმოებულებს, პირდაპირ დაკავშირებულს ასეთი ინტერესის მოპოვებასთან.

7. ფინანსური ანგარიშგების საკითხებთან დაკავშირებით აზრთა სხვადასხვაობა არ შეიძლება გახდეს აუდიტორთან/აუდიტორულ ფირმასთან სახელშეკრულებო ურთიერთობის შეწყვეტის საფუძველი.

8. ამ მუხლის პირველი, მე-4 ან მე-5 პუნქტით გათვალისწინებული მოთხოვნების შეუსრულებლობის შემთხვევაში:

„აუდიტორს/აუდიტორულ ფირმას დისციპლინურ პასუხისმგებლობას დააკისრებს ის აკრედიტებული პროფესიული ორგანიზაცია, რომელშიც გაწევრებულია იგი. 3 სამუშაო დღის ვადაში აკრედიტებული პროფესიული ორგანიზაცია ინფორმაციას აუდიტორისთვის/აუდიტორული ფირმისათვის დაკისრებული დისციპლინარული პასუხისმგებლობის შესახებ აცნობებს ბუღალტრული აღრიცხვისა და აუდიტის საზედადამხედველო საბჭოს;

9. ამ მუხლის მოქმედება აგრეთვე ვრცელდება ხარისხის კონტროლის შემმოწმებელსა და აუდიტორულ ფირმაში დასაქმებულ სერტიფიცირებულ პირზე, მათ მიერ შესაბამისი უფლებამოსილების განხორციელებისას.

მუხლი 10. ინფორმაციის კონფიდენციალურობა

1. აუდიტორის/აუდიტორული ფირმის მიერ პროფესიული მომსახურების განხორციელებისას მიღებული ინფორმაცია პროფესიული საიდუმლოებაა.

2. საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევების გარდა, აუდიტორი/აუდიტორული ფირმა ვალდებულია:

ა) დაიცვას პროფესიული საიდუმლოება, დროის გასვლისა და საქმიანობის შეცვლის მიუხედავად;

ბ) სუბიექტის თანხმობის გარეშე არ გაამჟღავნოს პროფესიული საიდუმლოება.

3. აუდიტორის/აუდიტორული ფირმის შეცვლის შემთხვევაში წინა აუდიტორს/აუდიტორულ ფირმას უფლება აქვს, შემდეგ აუდიტორს/აუდიტორულ ფირმას გადასცეს შესაბამისი ინფორმაცია იმ სუბიექტის შესახებ, რომელსაც აუდიტი ჩაუტარა.

4. აუდიტორს/აუდიტორულ ფირმას უფლება აქვს, სუბიექტის თანხმობის შემთხვევაში პროფესიული მომსახურების განხორციელებისას მიღებული ინფორმაცია სხვა პირს გადასცეს.

„5. ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული მოთხოვნების შეუსრულებლობის შემთხვევაში აუდიტორს/აუდიტორულ ფირმას დისციპლინურ პასუხისმგებლობას დააკისრებს ის აკრედიტებული პროფესიული ორგანიზაცია, რომელშიც გაწევრებულია იგი. დისციპლინური პასუხისმგებლობის სახით შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს აკრედიტებული პროფესიული ორგანიზაციის წევრობის შეჩერებაც. აკრედიტებული პროფესიული ორგანიზაციის წევრობის შეჩერება, მისი რეესტრიდან ამოღების საფუძველია.“

6. ამ მუხლის მოქმედება აგრეთვე ვრცელდება ხარისხის კონტროლის შემმოწმებელსა და აუდიტორულ ფირმაში დასაქმებულ სერტიფიცირებულ პირზე, მათ მიერ შესაბამისი უფლებამოსილების განხორციელებისას მიღებულ ინფორმაციასთან დაკავშირებით.

**თავი IV
აკრედიტებული პროფესიული ორგანიზაცია**

მუხლი 11. პროფესიული ორგანიზაციის აკრედიტაცია

1. ამ კანონის მიზნებისათვის აკრედიტებული შეიძლება იყოს მხოლოდ საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად შექმნილი ბუღალტერთა ან/და აუდიტორთა პროფესიული ორგანიზაცია, რომელიც რეგისტრირებულია არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირად და აკმაყოფილებს ამ მუხლის მოთხოვნებს.

„2. ბუღალტერთა ან/და აუდიტორთა პროფესიული ორგანიზაციის აკრედიტაციას ახორციელებს სააგენტო.

3. ბუღალტერთა ან/და აუდიტორთა პროფესიული ორგანიზაცია, აკრედიტაციას იღებს იმ შემთხვევაში, თუ მას აქვს ბუღალტერთა საერთაშორისო ფედერაციის (IFAC) მოთხოვნების შესაბამისი შიგა პოლიტიკა და პროცედურები ქვემოთ ჩამოთვლილ საკითხებთან მიმართებით:

ა) თავისი წევრი აუდიტორების/აუდიტორული ფირმების ხარისხის კონტროლის სისტემის მონიტორინგის მექანიზმი;

ბ) მოთხოვნები სერტიფიცირებულ პირთა განათლების მიმართ და მათი სერტიფიცირების სისტემა;

გ) თავისი წევრების მიერ პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსის (IESBA Code) მოთხოვნების დაცვის უზრუნველყოფის სისტემა;

დ) დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრების სისტემა.

4. ამ მუხლის მე-3 პუნქტში აღნიშნულ ბუღალტერთა ან/და აუდიტორთა პროფესიულ ორგანიზაციას აკრედიტაცია ეძლევა განუსაზღვრელი ვადით.

5. ამ მუხლის მე-3 პუნქტში აღნიშნულ ბუღალტერთა ან/და აუდიტორთა პროფესიულ ორგანიზაციას აკრედიტაცია გაუხანგრძლივდება 1 წლით, თუ ის მიიღებს ბუღალტერთა საერთაშორისო ფედერაციის (IFAC) ასოცირებული წევრის სტატუსს.

„6. ბუღალტერთა ან/და აუდიტორთა პროფესიული ორგანიზაციის აკრედიტაციის პირობებთან შესაბამისობის მონიტორინგს ყოველწლიურად ახორციელებს სააგენტო.“

7. ამ კანონის მიზნებისათვის ბუღალტერთა ან/და აუდიტორთა პროფესიული ორგანიზაცია, რომელიც არის ბუღალტერთა საერთაშორისო ფედერაციის (IFAC) ნამდვილი წევრი ან ბუღალტერთა საერთაშორისო ფედერაციის (IFAC) მიერ აღიარებული რეგიონალური ორგანიზაციის ნამდვილი წევრი, აკრედიტებულად ითვლება მისი წევრობის განმავლობაში.

8. ამ მუხლის მე-7 პუნქტში აღნიშნული ბუღალტერთა ან/და აუდიტორთა პროფესიული ორგანიზაცია ვალდებულია საჯარო სამართლის იურიდიულ პირს – აკრედიტაციის ერთიან ეროვნულ ორგანოს – აკრედიტაციის ცენტრს პირველ წელს დაუდასტუროს შესაბამისად ბუღალტერთა საერთაშორისო ფედერაციის (IFAC) წევრობა ან ბუღალტერთა საერთაშორისო ფედერაციის (IFAC) მიერ აღიარებული რეგიონალური ორგანიზაციის წევრობა.

9. ამ მუხლის მე-7 პუნქტში აღნიშნული ბუღალტერთა ან/და აუდიტორთა პროფესიული ორგანიზაცია ვალდებულია შესაბამისად ბუღალტერთა საერთაშორისო ფედერაციის (IFAC) წევრობის ან ბუღალტერთა საერთაშორისო ფედერაციის (IFAC) მიერ აღიარებული რეგიონალური ორგანიზაციის წევრობის შეჩერების შემთხვევაში მისი შეჩერებიდან 1 თვის განმავლობაში აცნობოს ეს საჯარო სამართლის იურიდიულ პირს – აკრედიტაციის ერთიან ეროვნულ ორგანოს – აკრედიტაციის ცენტრს.

„10. ამ კანონის მიზნებისათვის, თუ ბუღალტერთა ან/და აუდიტორთა პროფესიული ორგანიზაციის წევრების 50%-ზე მეტს შეადგენენ იმ ბუღალტერთა ან/და აუდიტორთა პროფესიული ორგანიზაციის წევრები, რომლის აკრედიტაცია გაუქმებულია, ითვლება, რომ ეს ბუღალტერთა ან/და აუდიტორთა პროფესიული ორგანიზაციები ერთი და იგივეა. შესაბამისად, აღნიშნულ ბუღალტერთა ან/და აუდიტორთა პროფესიული ორგანიზაციას სააგენტოსთვის აკრედიტაციის მიღე-

ბის მოთხოვნით მიმართვის უფლება აქვს რეგისტრაციიდან 3 წლის შემდეგ.

11. აკრედიტაციის წესს, ამ მუხლის მე-3 პუნქტით განსაზღვრული მოთხოვნების შესაბამისად, ადგენს სააგენტო.“

მუხლი 12. აკრედიტებული პროფესიული ორგანიზაციის კომპეტენცია

1. აკრედიტებული პროფესიული ორგანიზაცია, რომელიც ბუღალტერთა საერთაშორისო ფედერაციის (IFAC) ნამდვილი წევრია, ვალდებულია:

„ა) არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების ფინანსური ანგარიშგების ადგილობრივი (ეროვნული) სტანდარტების შედგენა, გამოცემა და სააგენტოსათვის სარეგისტრაციოდ წარდგენა;“

ა.ა) ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტები (IFRS);

ა.ბ) მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტები (IFRS for SMEs);

ა.გ) აუდიტის საერთაშორისო სტანდარტები (ISA);

ა.დ) ხარისხის კონტროლის საერთაშორისო სტანდარტი (ISQC);

ა.ე) პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსი (IESBA Code);

ბ) დაადგინოს, საჯარო სამართლის იურიდიულ პირს – საქართველოს სტანდარტებისა და მეტროლოგიის ეროვნულ სააგენტოს რეგისტრაციაში გასატარებლად წარუდგინოს და გამოსცეს;

ბ.ა) ხარისხის კონტროლის სისტემის შემოწმებულთა სერტიფიცირების წესები;

ბ.ბ) ხარისხის კონტროლის სისტემის მონიტორინგის დებულება, ბუღალტერთა საერთაშორისო ფედერაციის (IFAC) მოთხოვნების შესაბამისად.

2. აკრედიტებული პროფესიული ორგანიზაციის ფუნქციებია:

ა) არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების ფინანსური ანგარიშგების ადგილობრივი (ეროვნული) სტანდარტების შედგენა, გამოცემა და საჯარო სამართლის იურიდიული პირისთვის – საქართველოს სტანდარტებისა და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტოსთვის სარეგისტრაციოდ წარდგენა;

ბ) ბუღალტრული აღრიცხვის სარეკომენდაციო (სანიმუშო) ანგარიშთა გეგმის შემუშავება და გამოცემა;

გ) ბუღალტერთა საკვალიფიკაციო სწავლებების (ტრენინგების) განხორციელება;

დ) ფიზიკურ პირთა სერტიფიცირება, კერძოდ:

„დ.ა) ბუღალტერთა (სერტიფიცირებულ პროფესიონალ ბუღალტრად) სერტიფიცირება;“

დ.ბ) ხარისხის კონტროლის სისტემის შემოწმებულთა სერტიფიცირება ამ მუხლის პირველი პუნქტის „ბ.ა“ ქვეპუნქტში აღნიშნული სერტიფიცირების წესების შესაბამისად;

დ.გ) ადმინისტრაციულ ორგანოსთან ან სხვა დაინტერესებულ პირთან შეთანხმებით სხვა სახის სერტიფიცირების განხორციელება;

ე) დისციპლინური საქმის წარმოება თავისი წევრი აუდიტორის/ აუდიტორული ფირმის და ამ აუდიტ-

ორულ ფორმაში დასაქმებული სერტიფიცირებული პირის მიმართ;

ვ) განგრძობითი განათლების სტანდარტის შემუშავება, დადგენა და გამოყენება;

ზ) თავისი წევრების მიერ ბუღალტერთა საერთაშორისო ფედერაციის (IFAC) ეთიკის წესების მოთხოვნების დაცვის უზრუნველყოფის კონტროლი;

თ) ხარისხის კონტროლის სისტემის მონიტორინგის განხორციელება ამ მუხლის პირველი პუნქტის „ბ.ბ“ ქვეპუნქტში აღნიშნული დებულების შესაბამისად;

ი) თავის მიერ სერტიფიცირებულ პირთა სიის საკუთარ ვებგვერდზე გამოქვეყნება;

„კ) თავისი წევრი აუდიტორების/აუდიტორული ფირმების აღრიცხვის წარმოება და მისი საჯაროობის უზრუნველყოფა.“

3. აკრედიტებული პროფესიული ორგანიზაცია უფლებამოსილია, ამ მუხლით განსაზღვრული საქმიანობის გარდა, განხორციელოს სადამფუძნებლო დოკუმენტებით გათვალისწინებული ან/და კანონით აუკრძალავი სხვა ნებისმიერი საქმიანობა.

„4. აკრედიტებული პროფესიული ორგანიზაცია პირთა სერტიფიცირებულ პროფესიონალ ბუღალტრად სერტიფიცირებას ახორციელებს ბუღალტერთა საერთაშორისო ფედერაციის (IFAC) განათლების საერთაშორისო სტანდარტების (IES) მოთხოვნების დაცვით.“

5. პირთა სერტიფიცირებულ პროფესიონალ ბუღალტრად და სერტიფიცირებულ ბუღალტრად სერტიფიცირების პროგრამები საჯარო უნდა იყოს. ამასთანავე, ამ პროგრამებში მითითებული უნდა იყოს სერტიფიცირებულ პირად აღიარებისათვის საჭირო ცოდნის სავალდებულო მინიმალური მოთხოვნები.

6. აკრედიტებული პროფესიული ორგანიზაცია ვალდებულია გამოაქვეყნოს ინფორმაცია აუდიტორების/აუდიტორული ფირმების შემოსავლების მოცულობის შესახებ. ამასთანავე, იგი ვალდებულია აუდიტორების/ აუდიტორული ფირმების შემოსავლები დაყოს გაწეული მომსახურების სახეების მიხედვით.

7. აკრედიტებულმა პროფესიულმა ორგანიზაციამ ამ მუხლის მე-6 პუნქტში აღნიშნული შემოსავლების შესახებ ინფორმაცია უნდა გამოაქვეყნოს ყოველწლიურად, შესაბამისი წლის მომდევნო წლის ბოლომდე.

8. აკრედიტებული პროფესიული ორგანიზაცია ვალდებულია თავისი საქმიანობის შესახებ ანგარიში გამოაქვეყნოს ყოველწლიურად, საკუთარ ვებგვერდზე ან/და პრესაში, შესაბამისი წლის მომდევნო წლის 1 ივლისამდე. თავისი საქმიანობის შესახებ ანგარიშის საკუთარ ვებგვერდზე გამოქვეყნების შემთხვევაში აკრედიტებული პროფესიული ორგანიზაცია ვალდებულია ეს ანგარიში ვებგვერდზე ჰქონდეს გამოქვეყნებიდან სულ ცოტა 3 წლის განმავლობაში.

„9. ამ მუხლის 1 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დოკუმენტების სააგენტოში წარდგენა შეუძლია მხოლოდ ბუღალტერთა საერთაშორისო ფედერაციის (IFAC) წევრ აკრედიტებულ პროფესიულ ორგანიზაციას.“

„10. ამ კანონის მიზნებისათვის, თუ ბუღალტერთა ან/და აუდიტორთა პროფესიული ორგანიზაციის წევ-

რების 50%-ზე მეტს შეადგენენ იმ ბუღალტერთა ან/და აუდიტორთა პროფესიული ორგანიზაციის წევრები, რომლის აკრედიტაცია გაუქმებულია, ითვლება, რომ ეს ბუღალტერთა ან/და აუდიტორთა პროფესიული ორგანიზაციები ერთი და იგივეა. შესაბამისად, აღნიშნულ ბუღალტერთა ან/და აუდიტორთა პროფესიული ორგანიზაციას სააგენტოსთვის აკრედიტაციის მიღების მოთხოვნით მიმართვის უფლება აქვს რეგისტრაციიდან 3 წლის შემდეგ.

11. აკრედიტაციის წესს, ამ მუხლის მე-3 პუნქტით განსაზღვრული მოთხოვნების შესაბამისად, ადგენს სააგენტო.“

**„თავი IV“
ფინანსური ანგარიშგებისა და აუდიტის
საზედამხედველო სააგენტო**

მუხლი 12¹. სააგენტოს სტატუსი

1. სააგენტო იქმნება ფასიანი ქაღალდების კომისიასთან და წარმოადგენს საჯარო სამართლის იურიდიულ პირს

2. სააგენტო დამოუკიდებელი ორგანოა და თავისი საქმიანობისას არ ექვემდებარება არც ერთ სხვა ორგანოსა და თანამდებობის პირს. სააგენტო საქმიანობას წარმართავს საქართველოს კონსტიტუციის, საერთაშორისო ხელშეკრულებებისა და შეთანხმებების, ამ კანონის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ“ საქართველოს კანონის, „ფასიანი ქაღალდების კომისიის შესახებ“ საქართველოს კანონის, სხვა ნორმატიული აქტებისა და სააგენტოს დებულების შესაბამისად.

3. სააგენტო თავისი კომპეტენციის ფარგლებში წარმოადგენს საქართველოს საერთაშორისო ურთიერთობებში და ორგანიზაციებში.

4. სააგენტოს აქვს დამოუკიდებელი ბალანსი, საბანკო ანგარიში, ბეჭედი სახელმწიფო გერბის გამოსახულებით და საკუთარი სახელწოდებით.

5. სააგენტო ანგარიშვალდებულია საქართველოს პარლამენტის და კომისიის წინაშე.

6. სააგენტო საქართველოს პარლამენტს და კომისიას წარუდგენს ყოველწლიურ ანგარიშს გაწეული საქმიანობის შესახებ.

მუხლი 12². სააგენტოს შექმნა და საქმიანობის წესი

1. სააგენტოს მართვის უმაღლესი ორგანოა საბჭო, რომლის შემადგენლობაც განისაზღვრება 5 კაცით. საბჭოში თითო წევრი წარდგენილი იქნება: პარლამენტის საფინანსო საბიუჯეტო კომიტეტის, ფინანსთა სამინისტროს, ეროვნული ბანკი, ფასიანი ქაღალდების კომისიის, და აკრედიტებული პროფესიული ორგანიზაციის მიერ.

2. საბჭოს წევრებს ამტკიცებს პარლამენტი 5 წლით.

3. საბჭოს ხელმძღვანელობს თავმჯდომარე, რომელსაც საბჭოს წევრთა შემადგენლობიდან ამტკიცებს პარლამენტი

4. საბჭოს თავმჯდომარე და წევრები თანამდებობიდან ვადამდე თავისუფლდებიან:

- ა) პირადი განცხადების საფუძველზე;
- ბ) თუ დაუშვა სერიოზული სამსახურებრივი გადაცდომა;
- გ) თუ ვერ ასრულებს თავის მოვალეობას ჯანმრთელობის მდგომარეობის ან სასამართლოს მიერ ქმედუნაროდ ან შეზღუდულქმედუნარიანად ცნობის გამო;
- დ) საქართველოს მოქალაქეობის შეწყვეტისას;
- ე) სისხლის სამართლის დანაშაულზე გამამტყუნებელი განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლისას.

5. საბჭოს გადაწყვეტილებები მიიღება წარმოდგენილი წევრების ხმათა უმრავლესობით.

6. სააგენტოს თავმჯდომარე საბჭოს გადაწყვეტილებების საფუძველზე გამოსცემს ნორმატიულ აქტს – ბრძანებას.

მუხლი 12³. სააგენტოს მართვა და ბიუჯეტი

1. სააგენტოს ფუნქციები, მის მართვასთან, სტრუქტურასთან, ანგარიშვალდებულებასთან, წარმომადგენლობასთან და კონტროლთან დაკავშირებული საკითხები რეგულირდება ამ კანონით, სხვა საკანონმდებლო აქტებითა და სააგენტოს დებულებით, რომელსაც საბჭოს გადაწყვეტილებით და სააგენტოს თავმჯდომარის წარდგინებით ამტკიცებს საქართველოს პარლამენტის ბიურო.

2. სააგენტოს წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ფუნქციები ეკისრება სააგენტოს თავმჯდომარეს.

3. სააგენტოს სამტატო ნუსხას და თანამშრომელთა თანამდებობრივი სარგოების ოდენობას საბჭოს გადაწყვეტილებით და სააგენტოს თავმჯდომარის წარდგინებით ამტკიცებს საქართველოს პარლამენტი.

4. სააგენტოს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებამოსი-ლებების განხორციელებისათვის; საჭირო შემთხვევაში, ტექნიკური საშუალებებით, ფინანსური სახსრებითა და სხვა ქონებით უზრუნველყოფს კომისია.

5. საბჭოს გადაწყვეტილებით და საბჭოს თავმჯდომარის წარდგინებით სააგენტოს ბიუჯეტს ყოველწლიურად ამტკიცებს ფასიანი ქაღალდების კომისია. ბუჯეტში გათვალისწინებული უნდა იქნას აკრედიტებული პროფესიული ორგანიზაციის მიერ ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (IFRS), მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (IFRS for SMEs) და აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ISA) თარგმნაში ფინანსური მხარდაჭერა.

6. სააგენტოს მიმდინარე ხარჯები არ შეიძლება იყოს წინა წელს დამტკიცებულ დაფინანსებაზე ნაკლები. სააგენტოს მიმდინარე ხარჯების შემცირება წინა წლის დაფინანსებასთან შედარებით შეიძლება მხოლოდ სააგენტოს წინასწარი თანხმობით. თუ ფასიანი ქაღალდების კომისია არ დაამტკიცებს სააგენტოს ბიუჯეტს, სააგენტოს დაფინანსება განხორციელდება სააგენტოსათვის წინა წელს დამტკიცებული დაფინანსების ოდენობით.

მუხლი 12⁴. სააგენტოს კომპეტენცია

1. სააგენტო უფლებამოსილია:

- ა) აწარმოოს :
 - ა.ა) აუდიტორების/აუდიტორული ფირმების რეესტრი;
 - ა.ბ) ხარისხის კონტროლის შემმოწმებელთა რეესტრი;
 - ბ) განახორციელოს ამ კანონის დაცვის მონიტორინგი, რაც გულისხმობს, მაგრამ არ შემოფარგლება:
 - ბ.ა) აუდიტორთა რეესტრში რეგისტრირებული აუდიტორის/აუდიტორული ფირმის ხარისხის კონტროლის სისტემის მონიტორინგს;
 - ბ.ბ) აუდიტორთა რეესტრში რეგისტრირებული აუდიტორის/აუდიტორული ფირმის მიერ ჩატარებული აუდიტის მოკვლევას;
 - ბ.გ) ჩატარებული ხარისხის კონტროლის სისტემის მონიტორინგის, მოკვლევის შედეგებზე აუდიტორისათვის/აუდიტორი ფირმისათვის დისციპლინა-რული სასჯელის (ზომების) დაკისრება;
 - ბ.დ) აკრედიტებული პროფესიული ორგანიზაციების აკრედიტაციის წესებთან შესაბამისობის მონიტორინგს (შემოწმებას);
 - ბ.ე) ადმინისტრაციული ღონისძიებების გატარებას იმ პირთა მიმართ, რომლებიც ახორციელებენ აუდიტს რეგისტრაციის გარეშე ან თავს არიდებენ სავალდებულო აუდიტს.
 - გ) განახორციელოს პროფესიული ორგანიზაციების აკრედიტაცია და იმ აკრედიტებული პროფესიული ორგანიზაციების აკრედიტაციის გაუქმება, რომლებიც არ აკმაყოფილებენ/ასრულებენ ამ კანონით დადგენილ მოთხოვნებს.
 - დ) დაამტკიცოს და რეგისტრაციაში გაატაროს:
 - დ.ა) ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტები (IFRS);
 - დ.ბ) მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტები (IFRS for SMEs);
 - დ.გ) აუდიტის საერთაშორისო სტანდარტები (ISA);
 - დ.დ) ხარისხის კონტროლის საერთაშორისო სტანდარტი (ISQC);
 - დ.ე) პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსი (IESBA Code);
 - დ.ვ) ხარისხის კონტროლის სისტემის შემმოწმებელთა სერტიფიცირების წესები;
 - დ.ზ) ხარისხის კონტროლის სისტემის მონიტორინგის დებულება;
 - დ.თ) ბუღალტერთა (სერტიფიცირებულ პროფესიონალ ბუღალტრად და სერტიფიცირებულ ბუღალტრად) სერტიფიცირების პროგრამები;
 - ე) შეასრულოს მედიატორის ფუნქცია აკრედიტირებულ პროფესიულ ორგანიზაციებს შორის წარმოქმნილი დავის შემთხვევაში;
 - ვ) შესაბამისი საფუძვლის არსებობისას, მოსთხოვოს აკრედიტებულ პროფესიულ ორგანიზაციას მისი წევრი აუდიტორის/აუდიტორული ფირმის რეგარეშე ხარისხის კონტროლის მონიტორინგის ჩატარება ან/და ხარისხის კონტროლის მონიტორინგის მიზნით მიუთითოს კონკრეტული აუდიტს დაქვემდებარებული

სუბიექტის აუდიტის ფაილების შემოწმება.

ზ) განახორციელოს სხვა ისეთი მოვალეობები, ან შეასრულოს ისეთი ფუნქციები, რომელიც გამომდინარეობს ამ კანონიდან და „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ“ საქართველოს კანონიდან.

2. სააგენტო ვალდებულია დააფინანსოს აკრედიტებული პროფესიული ორგანიზაციის მიერ ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (IFRS), მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (IFRS for SMEs) და აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ISA) თარგმნა .

3. სააგენტო ახორციელებს ადმინისტრაციულ ზომებს იმ სუბიექტების მიმართ რომელიც ახორციელებენ აუდიტს შესაბამისი რეგისტრაციის გარეშე, აგრეთვე იმ კომპანიების მიმართ რომლებიც ექვემდებარებიან სავალდებულო აუდიტს და არ ასრულებენ კანონის შესაბამის მოთხოვნებს.

4. სააგენტო აუდიტორების რეესტრში ცვლილებებს ახორციელებს მხოლოდ აკრედიტებული პროფესიული ორგანოს წარდგინებით.“

თავი V

პასუხისმგებლობა და დავის გადაწყვეტა

მუხლი 13. პასუხისმგებლობა ამ კანონის დარღვევისათვის

1. ამ კანონის მოთხოვნათა დარღვევა გამოიწვევს ამ მუხლით განსაზღვრულ პასუხისმგებლობას, თუ შესაბამისი კანონმდებლობით ასეთი ქმედებისთვის (მოქმედებისთვის/უმოქმედობისთვის) სხვა პასუხისმგებლობა არ არის გათვალისწინებული.

2. ამ კანონის მე-7 მუხლის მე-4 პუნქტის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული სუბიექტების მიერ იმავე მუხლის მე-5 პუნქტის მოთხოვნის შეუსრულებლობა გამოიწვევს შესაბამისი სუბიექტის დაჯარიმებას 10 000 ლარის ოდენობით, რაც მას არ ათავისუფლებს აუდიტის ჩატარების ვალდებულებისაგან.

მუხლი 14. პასუხისმგებლობის დაკისრების წესი

1. სამართალდარღვევის საქმის წარმოების დაწყების საფუძველია ამ კანონის მე-13 მუხლით გათვალისწინებული სამართალდარღვევის გამოვლენა, რომლის შესახებაც დგება სამართალდარღვევის ოქმი. სამართალდარღვევის ოქმს ხელს აწერს მისი შედგენის უფლებამოსილების მქონე პირი.

2. ამ კანონის მე-13 მუხლით გათვალისწინებული სამართალდარღვევის გამოვლენისას ამავე კანონის მე-7 მუხლის მე-4 პუნქტის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული სუბიექტების მიმართ სამართალდარღვევის ოქმს ადგენს საქართველოს მთავრობის მიერ განსაზღვრული პირი, თუ საქართველოს კანონმდებლობით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

3. სამართალდარღვევის ოქმში აღინიშნება: ოქმის შედგენის თარიღი; შემდგენის თანამდებობა, სახელი

და გვარი; მონაცემები დამრღვევი პირის შესახებ, მათ შორის, პირადი ნომერი ან გადასახადის გადამხდელის საიდენტიფიკაციო ნომერი; სამართალდარღვევის შინაარსი; ნორმატიული აქტი, რომელიც ითვალისწინებს პასუხისმგებლობას ამ სამართალდარღვევისათვის.

4. სამართალდარღვევის საქმის წარმოების დაწყების თაობაზე ეცნობება იმ პირს, რომლის მიმართაც მიმდინარეობს აღნიშნული საქმის წარმოება, და მას გადაეცემა სამართალდარღვევის ოქმის 1 ეგზემპლარი.

5. პირი უფლებამოსილია პირადად ან/და წარმომადგენლის მეშვეობით მიიღოს მონაწილეობა მის მიმართ დაწყებული სამართალდარღვევის საქმის წარმოების პროცესში და წარადგინოს ახსნა-განმარტება.

6. ამ კანონის მე-13 მუხლით გათვალისწინებული სამართალდარღვევის გამოვლენისას ამავე კანონის მე-7 მუხლის მე-4 პუნქტის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული სუბიექტების მიმართ დაჯარიმების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს საქართველოს მთავრობის მიერ განსაზღვრული პირი, თუ საქართველოს კანონმდებლობით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

7. სამართალდარღვევის საქმეზე გადაწყვეტილება მიიღება ოქმის შედგენიდან 1 თვის ვადაში. ამ გადაწყვეტილების 1 ეგზემპლარი გადაწყვეტილების მიღებიდან 5 დღის ვადაში გადაეცემა იმ პირს, რომლის მიმართაც მიმდინარეობდა აღნიშნული საქმის წარმოება.

8. სამართალდარღვევის საქმეზე მიღებულ გადაწყვეტილებაში აღინიშნება: გადაწყვეტილების მიმღები ორგანოს/პირის დასახელება; საქმის განხილვის თარიღი; მონაცემები იმ პირის შესახებ, რომლის მიმართაც განიხილებოდა საქმე; საქმის განხილვისას დადგენილი გარემოებები; ნორმატიული აქტი, რომელიც ითვალისწინებს პასუხისმგებლობას ამ სამართალდარღვევისათვის; გადაწყვეტილების შინაარსი; გადაწყვეტილების გასაჩივრების ვადა და წესი.

9. ამ კანონის შესაბამისად დაკისრებულ ჯარიმას პირი იხდის დაჯარიმების შესახებ გადაწყვეტილების ჩაბარებიდან 30 დღის ვადაში.

10. ამ კანონით დაწესებული ჯარიმა ირიცხება ბიუჯეტში, საქართველოს საბიუჯეტო კოდექსით დადგენილი წესით.

მუხლი 15. დავის გადაწყვეტა

1. ამ კანონიდან გამომდინარე დავა განიხილება და გადაწყდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, ამ მუხლის მოთხოვნათა გათვალისწინებით.

2. მონიტორინგის დასკვნა გასაჩივრდება მონიტორინგის განმახორციელებლის გადაწყვეტილებასთან ერთად.

3. მონიტორინგის დასკვნის თაობაზე მონიტორინგის განმახორციელებლის გადაწყვეტილება აუდიტორმა, აუდიტორულმა ფირმამ ან აუდიტორულ ფირმაში დასაქმებულმა სერტიფიცირებულმა პირმა შესაძლებელია გასაჩივროს სასამართლოში, გადაწყვეტილების ჩაბარებიდან 30 დღის ვადაში.

4. სამართალდარღვევის საქმეზე მიღებული გა-

დაწყვეტილება გასაჩივრდება სასამართლოში, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსით დადგენილი წესით.

5. სამართალდარღვევის საქმეზე მიღებული გადაწყვეტილების გასაჩივრება არ აჩერებს ამ გადაწყვეტილების მოქმედებას.

თავი VI
გარდამავალი და დასკვნითი დებულებანი

მუხლი 16. გარდამავალი დებულებანი

1. საქართველოს პარლამენტთან არსებული აუდიტორული საქმიანობის საბჭოს კოლეგიის და საქართველოს პარლამენტთან არსებული ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტების კომისიის დადგენილებებით მიღებული, აგრეთვე ბუღალტრული აღრიცხვისა და აუდიტის სფეროში 2013 წლის 1 იანვრისათვის მოქმედი ნორმატიული აქტები მოქმედებს ამ კანონით გათვალისწინებული შესაბამისი სტანდარტების გამოყენების ვალდებულების ძალაში შესვლამდე.

2. „ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების რეგულირების შესახებ“ საქართველოს კანონში აღნიშნული ბუღალტრული აღრიცხვის დროებითი სტანდარტები მოქმედებს 2015 წლის 1 იანვრამდე.

„3. საქართველოს პარლამენტთან არსებული აუდიტორული საქმიანობის საბჭოს მიერ გაცემული აუდიტორის საკვალიფიკაციო სერტიფიკატები, რომლებიც ძალაშია 2013 წლის 1 იანვრისათვის, მოქმედებს 2013 წლის 1 იანვრიდან 5 წლის განმავლობაში. ასეთი სერტიფიკატის მფლობელებმა ამ ვადაში უნდა მოიპოვონ სერტიფიკატი პროფესიული ორგანიზაციის მიერ მომზადებული და სააგენტოში რეგისტრირებული პროგრამის შესაბამისად.

„3¹. აკრედიტებულმა პროფესიულმა ორგანიზაციამ 2014 წლის 1 იანვრამდე შეიმუშაოს და სააგენტოს რეგისტრაციისათვის წარუდგინოს ამ მუხლის მე-3 პუნქტში აღნიშნული სერტიფიკატის მლობელთა პროფესიონალი ბუღალტრის საკვალიფიკაციო სპეციალური პროგრამა, რომლის მიხედვით სერტიფიცირება

4. ამ მუხლის მე-3 პუნქტში აღნიშნულ სერტიფიცირებულ პირს და აუდიტორულ ფირმას, რომელსაც ამ კანონის მე-6 მუხლის მე-6 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად დაქირავებული ჰყავს ასეთი სერტიფიცირებული პირი, უფლება აქვს, ხარისხის კონტროლის სისტემის მონიტორინგის გავლამდე რეგისტრირებული იყოს სავალდებულო აუდიტის ჩატარების უფლების არმქონე პირთა რეესტრში.

მე 16 მუხლის 5. აკრედიტებულმა პროფესიულმა ორგანიზაციამ 2013 წლის 1 დეკემბრამდე უზრუნველყოს ბუღალტერთა სერტიფიცირებულ პროფესიონალ ბუღალტრად სერტიფიცირების პროგრამების შემუშავება.

6. აკრედიტებულმა პროფესიულმა ორგანიზაციამ, 2013 წლის 1 იანვრამდე უზრუნველყოს ხარისხის კონტროლის შემოწმების სერტიფიცირების პროგრამისა და ხარისხის კონტროლის სისტემის მონიტორინგის დებულების შემუშავება.“

7. ფინანსური ანგარიშგების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (IFRS) შესაბამისად მომზადება სავალდებულოა 2015 წლის 1 იანვრიდან, თუ საქართველოს კანონმდებლობით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული. ამასთანავე, 2015 წლის 1 იანვრამდე სუბიექტს უფლება აქვს, გამოიყენოს ეს სტანდარტები.

8. ფინანსური ანგარიშგების მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (IFRS for SMEs) შესაბამისად მომზადება სავალდებულოა 2015 წლის 1 იანვრიდან, თუ საქართველოს კანონმდებლობით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული. ამასთანავე, 2015 წლის 1 იანვრამდე სუბიექტს უფლება აქვს, გამოიყენოს ეს სტანდარტები.

9. 2013 წლის 1 იანვრის შემდეგ სავალდებულო აუდიტის ჩატარების უფლების მქონე პირთა რეესტრში რეგისტრაციას ექვემდებარებიან საქართველოს საგადასახადო კოდექსის 202-ე მუხლის მე-2 ნაწილის საფუძველზე საქართველოს მთავრობის მიერ განსაზღვრული აუდიტორები/ აუდიტორული ფირმები.

„10. ამ მუხლის მე-9 პუნქტით გათვალისწინებული წესი მოქმედებს 2013 წლის 1 იანვრიდან 4 წლის განმავლობაში.“

11. 2013 წლის 1 იანვრიდან 3 წლის განმავლობაში ამავე კანონის მე-7 მუხლის მე-4 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული სუბიექტებისთვის აუდიტის ჩატარების უფლება აქვს ნებისმიერ აუდიტორს/ აუდიტორულ ფირმას, მიუხედავად იმისა, თუ რომელი ტიპის რეესტრშია რეგისტრირებული.

12. აუდიტორს/აუდიტორულ ფირმას უფლება აქვს, ჩაატაროს ამ კანონის მე-7 მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული სუბიექტების 2012 წლის ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, მიუხედავად იმისა, თუ რომელი ტიპის რეესტრშია რეგისტრირებული.

13. საჯარო სამართლის იურიდიულმა პირმა – აკრედიტაციის ერთიანმა ეროვნულმა ორგანომ – აკრედიტაციის ცენტრმა ამ კანონის მე-11 მუხლის მე-11 პუნქტით განსაზღვრული აკრედიტაციის წესი 2012 წლის 1 ნოემბრამდე წარუდგინოს საქართველოს პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტს.

14. პერიოდი ბუღალტრული აღრიცხვისა და აუდიტის საზედამხედველო საბჭოს მიერ პროფესიული ორგანიზაციების აკრედიტაციის განხორციელებამდე განისაზღვროს გარდამავალ პერიოდად. აღნიშნულ პერიოდში აუდიტორების / აუდიტორული ფირმების გაწვევება პროფესიულ ორგანიზაციებში არ მოითხოვება.

15. ფინანსური ანგარიშგებისა და აუდიტზე ზედამხედველობის სააგენტო წარმოადგენს საქართველოს პარლამენტთან არსებული აუდიტორული საქმიანობის საბჭოს სამართალმემკვიდრეს.

16. ფინანსური ანგარიშგებისა და აუდიტზე ზედამხედველობის სააგენტო წარმოადგენს ქონების მესაკუთრეს, რომელიც 2012 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ირიცხებოდა საქართველოს პარლამენტთან არსებული აუდიტორული საქმიანობის საბჭოს ბალანსზე.

მუხლი 17. დასკვნითი დებულებანი

1. 2013 წლის 1 იანვრიდან ძალადაკარგულად გამოცხადდეს:

ა) საქართველოს 1995 წლის 7 თებერვლის კანონი „აუდიტორული საქმიანობის შესახებ“ (საქართველოს პარლამენტის უწყებები, 1994–1995, №№23–26, მუხ. 496);

ბ) საქართველოს 1999 წლის 5 თებერვლის კანონი „ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების რეგულირების შესახებ“ (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, №4(11), 1999 წელი, მუხ. 18);

გ) საქართველოს პარლამენტის 1995 წლის 30 ივნისის დადგენილება „საქართველოს პარლამენტთან არსებული აუდიტორული საქმიანობის საბჭოს შესახებ“ (საქართველოს პარლამენტის უწყებები, 1994–1995, №№27–30, მუხ. 656);

დ) საქართველოს პარლამენტის 1999 წლის 19 მარტის დადგენილება „საქართველოს პარლამენტთან არსებული ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტების კომისიის შესახებ“ (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, №16(23), 1999 წელი, მუხ. 239).

2. ეს კანონი, გარდა ამ კანონის პირველი–მე–15 მუხლებისა, მე–16 მუხლის პირველი–მე–4 და მე–7–მე–12 პუნქტებისა, ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

3. ამ კანონის პირველი–მე–15 მუხლები, მე–16 მუხლის პირველი–მე–4 და მე–7–მე–12 პუნქტები ამოქმედდეს 2013 წლის 1 იანვრიდან.

საქართველოს პრეზიდენტი
მიხეილ სააკაშვილი

თბილისი, 2012 წლის 29 ივნისი. №6598-რს

გ ა ნ მ ა რ ტ ე ბ ი თ ი ბ ა რ ა თ ი

**საქართველოს კანონის პროექტზე
„ბუღალტრული აღრიცხვისა და ფინანსური
ანგარიშგების აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონში
ცვლილების შეტანის თაობაზე“**

ა) ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ:

ა.ა) კანონპროექტის მიღების მიზეზი:

„ბუღალტრული აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშგების აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანის მიზეზს წარმოადგენს საკანონმდებლო რეგულირების გაუმჯობესება და ხარვეზების გამოსწორება, რომლებიც საშუალებას არ აძლევს აღნიშნულ სფეროში დასაქმებულ ორგანიზაციებს, კომპანიებს და კერძო პირებს ნორმალური ფუნქციონირების საშუალებას.

ა.ბ) კანონპროექტის მიზანი:

კანონპროექტის მიზანს წარმოადგენს კანონის საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკასთან დაახლოება, ევროდირექტირების რეკომენდაციების გათვალისწინება.

ა.გ) კანონპროექტის ძირითადი არსი:

საქართველოს ფასიანი ქაღალდების ეროვნული კომისიასთან იქმნება საჯარო სამართლის იურიდიული პირი – „ფინანსური ანგარიშგებისა და აუდიტის საზედამხედველო სააგენტო“, რომელიც განახორციელებს აღნიშნულ სფეროში არსებული პროფესიული ორგანიზაციების ზედამხედველობას, რეესტრის წარმოებას და სხვა.

კანონპროექტით დეტალად არის განსაზღვრული სააგენტოს შექმნის წესი, სრუქტურა და უფლებამოსილება.

აღსანიშნავია, რომ საზედამხედველო ორგანოსათვის მოხდა სხვადასხვა ფუნქციების გადაცემა რომელსაც ახორციელებდა საქართველოს პარლამენტთან არსებული აუდიტორული საქმიანობის საბჭო და საბჭოს გაუქმების შემდეგ აგნიშული ფუნქციები სათანადოდ აღარ რეგულირდებოდა.

ცვლილებების შესაბამისად, საქართველოში მოქმედი ბუღალტერთა და აუდიტორთა ორგანიზაციები აკრედიტაციის თანაბარ პირობებს დაექვემდებარებიან, ყოველგვარი გამოწვევის გარეშე.

ბ) კანონპროექტის ფინანსური დასაბუთება:

ბ.ა) კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:

კანონპროექტის მიღება არ გამოიწვევს დამატებითი სახსრების გამოყოფას სახელმწიფო ბიუჯეტიდან.

ბ.ბ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე:

კანონპროექტს მიღება გავლენას არ ახდენს ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილის ზრდაზე.

ბ.გ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე:

კანონპროექტის მიღება არ გამოიწვევს ზეგავლენას ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე.

ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები:

კანონპროექტის მიღება არ წარმოშობს ახალ ფინანსურ ვალდებულებებს.

ბ.ე) კანონპროექტით მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირთათვის, რომელთა მიმართ ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება:

კანონპროექტის მიღება ზეგავლენას არ იქონიებს იმ პირთათვის, რომელთა მიმართ ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება

ბ.ვ) კანონპროექტით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის ოდენობის განსაზღვრის წესი (პრინციპი):

კანონპროექტით გათვალისწინებულია სარეგისტრაციო მოსაკრებლის ოდენობის განსაზღვრა.

გ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან:

გ.ა) კანონპროექტის მიმართება ევროკავშირის დირექტივებთან:

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება და იზიარებს ევროკავშირის დირექტივებს.

გ.ბ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან:

კანონპროექტის მიღებით არ წარმოიქმნება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებული ვალდებულებები.

გ.გ) კანონპროექტის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან:

კანონპროექტის მიღება არ ეწინააღმდეგება საქართველოს მიერ დადებული ორმხრივი და მრავალმხრივი ხელშეკრულებებით ნაკისრ ვალდებულებებს.

დ) კანონპროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები:

დ.ა) სახელწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს კანონპროექტის შემუშავებაში, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

კანონპროექტის შემუშავების პროცესში მონაწილეობდნენ აღნიშნული დარგის წამყვანი სპეციალისტები, კონსულტაციის მიზნი მოეწყო მრავალი შეხვედრა.

აღსანიშნავია, ბატონი ლავრენტი ჭუმბურიძის (საქართველოს პროფესიონალ ბუღალტერთა და აუდიტორთა ფედერაციის აღმასრულებელი დირექტორი) და ბატონი გიორგი ხმალამის (საქართველოს დამოუკიდებელ ბუღალტერთა და აუდიტორთა საზოგადოება) მნიშვნელოვანი წვლილი კანონპროექტის მომზადების პროცესში.

დ.ბ) კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის (დაწესებულების) ან/და ექსპერტის შეფასება კანონპროექტის მიმართ, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

წერილობითი შეფასებები არ არსებობს.

ე) კანონპროექტის ავტორი

კანონპროექტის ავტორია პარლამენტის წევრი: დავით ონოფრიშვილი

ვ) კანონპროექტის ინიციატორი

კანონპროექტის ინიციატორია პარლამენტის წევრი: დავით ონოფრიშვილი